...ცნინვალის ხეობიდან და სხვას სოფლებიდან რამთონი ათასი კოდი პური წაიღეს კარგად მოგხსენებიაო“ [დოლიძე, VIII, 1985:447-449]. ზემოხსენებული შინაარსის მსგავსი საბუთი ქართულ ისტორიოგრაფიაში არაერთია. ფარნაოზ, იულონ და ალექსანდრე ბატონიშვილებმა, რომლებიც ჯერ კიდევ გიორგი XII-ესა და მის ვაჟს დავით ბატონიშვილს ეცილებოდნენ ქართლ-კახეთის სამეფო ტახტს, რუსული ხელისუფლების დამყარების შემდეგ, იმპერატორს დაუმორჩილებლობა გამოუცხადეს, ალექსანდრე ნიახურასთან დამარცხების (07.11.1800 წ.) შემდეგ, ჯერ ჩრდილო კავკასიაში, ხოლო იქიდან ირანში გაიქცა, ხოლო ფარნაოზი და იულონი ცოლ-შვილიანად იმერეთში გადავიდნენ მათ დისშვილ სოლომონ II-სთან და იქიდან გააგრძელეს ბრძოლა. ბატონიშვილებს თან გაჰყვა და მათი ერთგულება შეინარჩუნა ქართლისა და კახეთის თავად-აზნაურთა მნიშვნელოვანი ნაწილი (ელიზბარ და გიორგი ერისთავები, გიორგი და ივანე ამილახვრები, ლუარსაბ მაჩაბელი და ა. შ.), მაგრამ იმპერატორისადმი მიცემული ფიცის ერთგულიც არანაკლები დარჩა (მიხეილ და შანშე ერისთავები, ზაზა ამირეჯიბი, ზაალ ბარათაშვილი, დარჩო ბებუთაშვილი, ბესარიონ, სოლომონ და დავით თარხნიშვილები, ეგნატე, მანუჩარ თუმანიშვილები და ა. შ.). თუმცა, ხსენებული ბატონიშვილების რუსეთში გადასახლების შემდეგ, მათ ერთგულთა წინააღმდეგობამაც აზრი დაკარგა და უმრავლესობა მთავრობას შეურიგდა, ხოლო ვინც ხელისუფლებამ არ შეირიგა, ან არ შეურიგდა, ქვეყნიდან გადაიხვეწა.

მნიშვნელოვნად შეიცვალა მოსახლეობის სოციალური სტრუქტურაც. ჯერ კიდევ ციციანოვის მთავარმართებლობის დროს, თითქმის ყველა ბატონიშვილი, დარეჯან და მარიამ დედოფლები, იძულების წესით, ან „ნებაყოფლობით“ რუსეთში გადასახლეს. მათ თან გაჰყვა თავად-აზნაურთა ნაწილიც. გადახვეწილი დედოფლების, ბატონიშვილებისა და თავად-აზნაურთა ყმა-მამულები და ქონება თანდათანობით სახაზინო უწყებას გადაეცემოდა. ასევე თანდათანობით უქმდებოდა და რუსული იცვლებოდა ტრადიციული ქართული სახელოები. ხელისუფლებამ ძირეული ცვლილებები შეიტანა არა მარტო ქართველი თავადაზნაურობის უფლებრივ, არამედ საადგილმამულო ურთიერთობებშიც. რუსული კანონმდებლობა არ ცნობდა აზნაურების სამეფო, საბატონი, საუფლისწულო, საეკლესიო კატეგორიებად დაყოფას, ამიტომ ისინიც სახაზინო უწყებაში გააერთიანეს. სახაზინო, ანუ სახელმწიფო გლეხობა საქართველოში რუსეთთან შეერთებამდე დიდი ხნით ადრე არსებობდა, მაგრამ სახელმწიფო სოფლები, იმ სოფლებისაგან, რომლებიც მეფე-დედოფლის პირად საკუთრებას („სახასოს“) წარმოადგენდნენ, მკვეთრად გამიჯნული არ იყო, ამიტომ ქართულ ისტორიულ საბუთებში ტერმინები: „სამეფო“, „სახელმწიფო“ და „სახასო“ გლეხებისა თუ მიწების მიმართ, მეტწილად სინონიმების ხასიათს ატარებდნენ [ანთაძე, 1973:224].

რუსეთში ჯერ კიდევ პეტრე I-ის დროს გაუქმდა ფეოდალური კლასის დაყოფა ფენებად და იგი გაერთიანდა ერთ წოდებად - „დვორიანსტვოდ“. საქართველოში ეს ცნება გაუგებარი დარჩა, თუ ვის გულისხმობდა თავადს თუ აზნაურს. კოლონიურმა ადმინისტრაციამ საქართველოში არსებული მკვეთრი ზღვრის განსხვავება არ გაითვალისწინა და უფლებრივად ორივე ფენა ერთმანეთს გაუთანაბრა, მაგრამ ქონებრივი განსხვავება მათ შორის დარჩა [გურული, I, 2017:286-287].

უფლებრივად ერთმანეთს გაუთანაბრდნენ სამეფო, საეკლესიო და სათავადო აზნაურები, იმ შემთხვევაში თუ ისინი იხსენიებოდნენ გეორგიევსკის ტრაქტატისათვის თანდართულ ქართლისა და კახეთის აზნაურების სიაში.

ვახტანგ VI-ის კანონის მიხედვით, საქართველოში დიდვაჭრები აზნაურებთან თანაბრდებოდნენ [დოლიძე, I, 1963:489-490], რუსული კანონმდებლობა კი დიდვაჭარს აზნაურად არ სცნობდა და, შესაბამისად, მას არც ყმის ფლობის უფლება ჰქონდა, ამიტომ ხსენებული გლეხების დიდი უმრავლესობა სახაზინო უწყებაში ჩარიცხეს [გურული, I, 2017:290].

ასევე განსხვავება იყო გაქცეული ყმის ძებნის ვადაში. ვახტანგ VI-ის სამართლის მიხედვით, მებატონეს შეეძლო გაქცეული ყმა 30 წლის განმავლობაში ეძებნა [დოლიძე, I, 1963:530], ხოლო ეკატერინე II-ის კანონი იგივე შემთხვევაში მხოლოდ 10 წელს ითვალისწინებდა.

საკმაო პრობლემას წარმოადგენდა თავად-აზნაურთა წოდების დასამტკიცებელი პროცედურის გავლა. მიუხედავად იმისა, რომ ქართლ-კახეთის თავად-აზნაურთა საკრებულო, რომელიც უფლებამოსილი იყო წოდების მაძიებელთა საქმეების განხილვა ეწარმოებინა, თბილისში ჯერ კიდევ 1818 წელს შეიქმნა, იმპერატორმა ნიკოლოზ I-მა წარდგენილი სიები მხოლოდ 1850 წლის 6 დეკემბერს დაამტკიცა [ჭუმბურიძე, 2006:7].

სახელმწიფო (სახაზინო) გლეხთა კატეგორიის საბოლოო ჩამოყალიბება და მისი რიცხობრივი ზრდა საბოლოოდ რუსული მმართველობის შემოღებას უკავშირდება. სახელმწიფო გლეხთა კატეგორიაში ირიცხებოდნენ ტყვეობიდან დაბრუნებული, ბატონის მამულის საჯარო გაყიდვის შედეგად თავგამოსყიდული, მებატონისაგან გათავისუფლებული, ან უმიწოდ დაგირავებული დაუხსნელი საბატონო გლეხები [ანთაძე, 1973:226]. ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ, სახაზინო უწყებაში ჩარიცხეს საეკლესიო გლეხებიც. მემკვიდრეობით მფლობელობაში აღებულ საბატონო, სახელმწიფო და საეკლესიო მიწებს გარდა, გლეხობას ჰქონდა „ნასყიდობით“ შეძენილი მიწაც. ეს მიწა გლეხის პირადი საკუთრება იყო და მას ქართული სამართალი იცავდა. გლეხი „ნასყიდობის“ ბარათს გულმოდგინედ ინახავდა და უფრთხილდებოდა, მიუხედავად ამისა, საგლეხო რეფორმის (1864 წ.) გატარების შემდეგ ხელისუფლებამ გლეხობას „ნასყიდი“ მიწების მხოლოდ მცირე ნაწილი დაუტოვა პირად საკუთრებაში [ანთაძე, 1973:234]. მასიური ხასიათი მიეცა თავადთა სახლების ყმა-მამულის გაყრის ფაქტებს, მაგ., 1800-1825 წლებში მარტო ციციშვილები ათჯერ გაიყარნენ, მრავალჯერ გაყრის შედეგად ქსნის ერისთავების საერთო მამული 6 დამოუკიდებელ საბატონო ერთეულად დანაწილდა. ასევე გაიყარნენ ამილახვრები (1805, 1818 წწ.), თუმანიშვილები (1809, 1812), აბაშიძეები (ქართლის, 1813) [გოგოლაძე, IV, 1973:895] და სხვ.

რუსეთ-ირანისა და რუსეთ-თურქეთის ომების (1804-13; 1806-12 წწ.) პირველი ეტაპის დასრულებისა და ამ მიზეზებით გამოწვეული მოსახლეობის დემოგრაფიული, ტერიტორიული და ქონებრივი ცვლილებების გამო, დღის წესრიგში მოსახლეობის ახალი კამერალური აღწერის საჭიროება დადგა, მაგრამ ახალი აღწერის ოფიციალურ მიზეზად გამოცხადდა მემამულეთა უკმაყოფილება და გამოდმებული ჩივილი, რომ მათი გლეხები ზომამე მეტი გამოსაღებით იყვნენ დატვირთულნი 1803-05 წლებთან შედარებით [გუგუშვილი, I, 1949:].

სიტუაციას დაბავდნენ რუსი მოხელეებიც, რომლებიც გლეხებს მოუწოდებდნენ, მებატონეებისათვის გადასახადები აღარ ეძლიათ, რადგან გადარიცხულნი არიან სახაზინოდ და ამიერიდან მხოლოდ რუსთ ხელმწიფეს უნდა ემსახურონ [დუმბაძე, IV, 1973:830].

თავის მხრივ, საბატონო გლეხობაც ცდილობდა სახაზინო უწყებაში ჩარიცხვას, რაც მას ნაწილობრივ მაინც ათავისუფლებდა მძიმე ბატონყმური ვალდებულებებისაგან. სასამართლოები მებატონეთა და გლეხთა საჩივრებით გაივსო. რუსული ენის უცოდინარობის გამო, მექრთამე ჩინოვნიკების წყალობით, მომჩივრებს ქალაქის სასამართლოში რამდენჯერმე უხდებოდათ ჩასვლა, რასაც ძალზე დიდი ხარჯი მიჰქონდა. მაგ., გორის მაზრის თავადაზნაურობა, რომელიც სხვა მაზრებს მნიშვნელოვნად აღემატებოდა, მოგვიანებით ჩიოდა, რომ მებატონეების მიერ გაწეული ხარჯი იმდენი იყო, რომ თვით ყმა გლეხების ღირებულებას აღემატებოდა [კაკაბაძე, 2003:107].

როგორც ითქვა, გორის მაზრის აღწერა მთავარმართველ პავლე ციციანოვის დავალებით 1803 წლის 2 აპრილს დაუწყია მაზრის კაპიტან-ისპრავნიკ იანცოვს და დაუსრულებია წელიწადსა და ოთხ თვეში 1804 წლის 4 ივლისს. თუმცა, მაზრის სრულყოფილი აღწერა მას ვერ მოუხერხებია, რადგან ოსებით

დასახლებულ სოფლებში (იგულისხმება ლიახვისა და ქსნის ზემო წელის მთიანი სოფლები, სადაც მოსახლეობის დიდი უმრავლესობა ოსები იყვნენ) მოსახლეობას მოხელეები არ შეუშვია, და, როგორც ციციანოვისადმი წარდგენილ რაპორტში მიუთითებს, თვით იანცოვიც კი დაუჭრიათ. გარდა ამისა, აღწერა მოიცავდა მხოლოდ გადამხდელ მოსახლეობას, მამაკაცებისაგან განსხვავებით, სიებში მდებარეობით სქესის მხოლოდ რაოდენობას აღნუსხავდნენ სახელებისა და გვარების გარეშე. აღწერა არ ეხებოდა პრივილეგირებულ წოდებებს და უცხო ქვეყნის ქვეშევრდომებს.

აღწერის მასალებსა და ინფორმაციის სისწორეზე პასუხისმგებელნი იყვნენ ადგილობრივი მოხელეები. აღწერა მთლიანობაში დასრულდა 1805 წლისათვის და შეკრებილი სტატისტიკური მასალის საფუძველზე 1806 წელს სახაზინო ექსპედიციისათვის გენერალური უწყება შედგა გადამხდელი მოსახლეობის რიცხოვნობის შესახებ, რომლის მიხედვით, სულ აღმოსავლეთ საქართველოს აღწერილ რეგიონებში (აღწერა არ შეხებია მთიულეთს, თუშეთს, ფშავ-ხევსურეთს) აღირიცხა 153, 6 ათასი. ხოლო გორის მაზრაში 33, 4 ათასი გადამხდელი [საქართველოს, 254, ს. 58:1-78].

1956 წელს გორის მაზრის კამერალური აღწერის პირი, შესავლითა და შენიშვნებითურთ, ცნობილმა მეცნიერმა სარგის კაკაბაძემ გორის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმს გადასცა [გსიემ, 7486], რომლითაც ვისარგებლეთ კვლევისას.

აღწერა მთლიანობაში მოიცავს იმდროინდელი გორის მაზრის 189 სოფლის შესახებ მასალებს და აღწერილია მდ. მტკვრის, ფრონის, ლიახვის, თემის, ლეხურის, ძამას, ძირულას, ჩხერიმელას და ა. შ. მონაპირე სოფლები.

აქედან, ფრონეს ფრონეს ხეობაში ფიქსირდება 27 სოფელი რომელთაგან დღეისათვის ორი (წირეთი და ტყისი) გამქრალია.

„წირეთი“ ჯერ კიდევ სერგი მაკალათიას ფრონის ხეობაში მოგზაურობისას (1963 წ.) წარმოადგენდა ნასოფლარს [მაკალათია, 1963:40]. იოანე ბაგრატიონს წირეთი დასახლებული აქვს მდ. ფცისწყალზე ავლევისა და ბრემას შორის [ბაგრატიონი, 1986:43]. ხსენებული სოფელი დატანილი აქვს ივ. ჯავახიშვილსაც 1923 წელს გამოცემულ რუკაზე [ჯავახიშვილი, 1923].

რაც შეეხება „ტყისს“, იგივე ტყისუბანია, რომელიც იხსენიება „რუისის სამწყსოს დავთარში“ ოქონასთან ერთად [თაყაიშვილი, 2015:40], ასევე 1781 წლის ერთ დავთარში თიღვასა და წირეთს შორის [თაბუაშვილი, 2013:78].

ტყისი სერგი მაკალათიასაც მოტანილი აქვს, როგორც „ტყისუბანი“. თუმცა, იქვე აღნიშნავს, რომ ხსენებული სოფელი ამჟამად ზნაურად<sup>3</sup> იწოდება [მაკალათია, 1963:40].

ფრონეს ხეობის სოფლები აღწერის სხვადასხვა ნაწილში არიან მოქცეულნი. ფციდან - არადეთის ჩათვლით (ნუმერაციით 29-დან-47-ის ჩათვლით), ანუ, დასავლეთისა (ალისწყალი) და შუა ფრონეს (ფცისწყალი) ხეობის სოფლები ერთად არიან მოქცეულნი (ალი, ფცა, აბისი, აბანო, ბრემა, ატოცი, წირეთი, თიღვა, ძალინა, ახალშენი, ხუნდისუბანი, ტყისი, სუნისი, ოქონა, კნოლეთი, ავლევი, ცერონისი, სალოლაშენი და არადეთი, სულ 19 სოფელი), შემდეგ აღმწერები დიდი და პატარა ლიახვის მონაპირე სოფლებს აღწერენ, ისევე ბრუნდებიან აღმოსავლეთ ფრონეს (დვანისწყალი) ხეობაში და 8 სოფელია აღწერილი (ბრეთი, წვერი, დირბი, ძვიმლეთი, დვანი, ავნევი, ნული და ყორნისი).

ზემოხსენებულ 27 სოფელში სულ დაფიქსირებულია 589 კომლი (38880 სული, აქედან 2175 მამაკაცი, 1705 ქალი). აქედან ყველაზე მეტი მოსახლეობა ცხოვრობს ბრეთში - 105 კომლი (644 სული, აქედან 356 მამაკაცი, 288 ქალი) [გსიემ, 7486:84], მოსახლეობის რაოდენობით შემდეგ მოდის ალი (67 კომლი, 461 სული, აქედან 254 მამაკაცი, 207 ქალი) [გსიემ, 7486:27]. ყველაზე ნაკლები მოსახლეობა ცხოვრობს ტყისში (4 კომლი). შემდეგ მოდიან, წირეთი, სუნისი და ხუნდისუბანი (5-5 კომლი).

მიუხედავად იმისა, რომ აღწერა მხოლოდ გორის მაზრას მოიცავს, ფრონეს ხეობის შემდეგ შემდეგ აღწერა გრძელდება ლიხის ქედის დასავლეთით და აღწერილია დღევანდელი ხარაგაულის მუნიციპალიტეტში,

<sup>3</sup> იგულისხმება ყოფილი ყორნისი.

მდინარეების: დუმალას, ძირულას, ჩხერიმელას და რიკოთულას მონაპირე სოფლები: სნეკვი, ხევიჯვარი, გრიგალათი, ნადაბური, ვერტყვილა, ციცქიური, გედსამანია და ჩრდილი.

1804 წლისათვის იმერეთი ჯერ კიდევ დამოუკიდებელ პოლიტიკურ ერთეულს წარმოადგენდა, მაგრამ, ხსენებული სოფლები რუს მოხელეებს მაინც აღუწერიათ.

ცნობილია, რომ ჯერ კიდევ XVI ს. პირველ მესამედში ქართლ-იმერეთის პოლიტიკური საზღვარი ლიხს აღმოსავლეთით, „არადეთს წყალს გამოღმა“, ალზე, სურამზე, ახალდაბასა და მოხისზე გადიოდა [ალიმბარაშვილი, 2015:639-640]. თუმცა, XVIII ს. შუახანებში შემოსხენებული სოფლები „ხეფინის ხევის“ საერთო სახელით, თეიმურაზ II-ს აბაშიძისათვის ჩამოურთმევია და ისევ ქართლელი გივი ამილახვრისათვის დაუბრუნებია. 1744 წლის წყალობის სიგელით გივი ამილახვარი ამ სოფლების მოსახლეობას ძველ ვალდებულებებს „ახსენებს“: „ესე წიგნი გიბოძეთ ჩვენ, ამირახორმა გივმან, თქვენ ვერტყვილელთა და ვერტყვილის ჭალელთა, ბჟინეველთა, გესამანიელთა, გრიგალათელთა, აჯვის ჯვრელთა...ნადაბურელთა და ციცქიურთელთა და სულ ერთობით ხეფინისაქელთა. ასე რომე, ძველითგანვე ქართველის ბატონის სახასო და მკვიდრი ყმანი ყოფილიყავით და ჩვენი სახელო და სასარდლო იყავით. ცოტას ხანს ქართველმა ბატონმა თქვენი თავი აბაშიძეს უბოძა. ახლა მეფემ თქვენი თავი ისევ ჩვენ გვიბოძაო“ [ბურჯანაძე, I,1958:73].

ქართლ-იმერეთის ხსენებული საზღვარი, როგორც ჩანს, უცვლელად დატოვა რუსულმა ხელისუფლებამ.

აღწერის მიხედვით, ყმათა ვალდებულება მემამულეთა მიმართ, ძირითადად, გამოიხატება ბეგართა და ღალით. ბეგარა კვირაში ორ დღეს ფიზიკური შრომაა (კომლზე 1 კაცი). ღალის სახით გლეხები მეზატონის სასარგებლოდ იხდიან პურის მოსავლის მეექვსედს, ან მეშვიდედს და წელიწადში ოთხჯერ დიდ უქმებზე კომლზე ერთ ქათამს. ზოგან (ცხინვალში, ატოცში, ავნევეში, შერთულში, მოხისში, ხოვლეში და სხვ.) საგადასახადო ვალდებულებები გამოხატულია ფულადი ფორმითაც. საეკლესიო გლეხთა ვალდებულებაში ასევე შედის ცვილისა და საკმეველის დამზადება. სადაც მოსახლეობა გადახდისუუნარო და ბოგანოა, იხდიან შეძლებისდაგვარად, ან მეზატონის სურვილის მიხედვით.

მოსახლეობის ძირითადი საქმიანობაა მიწათმოქმედება, მევენახეობა და მესაქონლეობა. შიგადაშიგ მისდევენ მეფუტკრეობას.

მართალია, 1804 წლის აღწერაში ყმათა ვინაობა დასახელებული არ არის, მაგრამ ქრონოლოგიური სიახლოვის ქართულ აღწერებში, ზოგიერთი მათგანის ვინაობის დადგენა შესაძლებელი ხდება. მაგ., 1781 წლის დავთრის მიხედვით, ბრეთში 45 კომლი (61 სული) მოლაშქრე უნდა გამოსულიყო. ესენი იყვნენ: როსტომ ავალიშვილი და მისი ბიძაშვილი იესე, მათი ყმები: ბეჟია და ბერუა ქუჩუკაშვილები, ბერუა, შიო და გოგია თედიაშვილები, ბერუა და ზურაბა გარაყანიშვილები, ზაალ ავალიშვილის ყმები: სარქისა, ზურაბა და სტეფანე ზუბიაშვილები, ოქრუა, სვიმონა, მაისა და ზურაბა შალუტაშვილები, მთავარეპისკოპოსის ყმა ბეჟან მიროტაძე და ა. შ. [თაბუაშვილი, 2013:46-48].

იგივე სიტუაცია გვაქვს ატოცში. სადაც 1804 წლის აღწერის მიხედვით, ყმები ჰყავთ როსტომ, ელიზბარ და ბეცია ფალავანდიშვილებს, ევგენი აბაშიძეს, ავალიშვილებს და დარეჯან დედოფალს [გსიემ, 7485:32]. 1781 წლის დავთრით დგინდება, არა მარტო მათი ვინაობა, არამედ, ისიც, თუ მოსახლეობის რომელ კატეგორიას ეკუთვნიან ისინი (აზნაური, მღვდელი, ხიზანი, ნამზითვი, შეუძლებელი): „ატოცს ფალავანდიანთ ყმა პატარა როსტომისა;

ქ. სამარღანიშვილი ზურაბ და გოგია, კომლი ა, თავი ბ;

ქ. აქავ. ამისი ყმა ვაჭრიძე პატარკაცი კომლი ა, თავი ა;

ქ. აქავ. ამისივ ყმა კუპატაძე ივანე, შეუძლებელი, კომლი ა,

{ფალავანდიშვილი} გლახასი:

ქ. აქავ ფალავანდიშვილი გლახას ყმა გოგიჭაშვილი ივანე და პატა კომლი ა, თავი ბ.

ქ. აქავ აზნაურიშვილი სამარღანიშვილი მღვდელი გრიგოლ კომლი ა, თავი ა.

ქ. აქავ ამისივ ყმა ჯოხაძე სვიმონა, ნამზითვი, კომლი ა, თავი ა.

ქ. აქავ ხიზანი ალელი ბატუაშვილი სტეფანა კომლი ა, თავი“ [თაბუაშვილი, 2013:76-77].

„მორიგე ჯარის“ სხვა დავთრის მიხედვით, რომელიც XVIII ს. 70-იანი წლების შვიდი თვის მდგომარეობას ასახავს, დირბიდან „მორიგეში 42 კაცი უნდა გამოსულიყო (აგვისტოში - 7, სექტემბერში - 6, ოქტომბერში - 6, ნოემბერში - 5, დეკემბერში, იანვარსა და თებერვალში - 6-6), ესენი არიან: მგალობლიშვილი გოგია, ქვრივისშვილი კაცია, ერაძე გოგია, ბეჟანისშვილი გოგია, გემიაშვილი ბერი, ტეტუნაშვილი ბერი, ხატიაშვილი ნინია და სხვ [ლორთქიფანიძე, 1947:303-304].

იმავე დროის „მორიგე ჯარის“ სხვა დავთრის მიხედვით, ბრეთიდან 13 მოლაშქრე გამოდის: ლაშქარაშვილი გოგია, ელიაშვილი ზურაბ, სამსონაშვილი ბასილა, ხუციშვილი ბეჟუა, კიკაძე გაბრიელ და სხვ. [ლორთქიფანიძე, 1947:343].

ერეკლე II-ის 1787 წლის 26 დეკემბრის ბრძანებით ოთარ ამილახვარს დირბიდან სამი „აზნაურშვილი“ და ოთხი გლეხი უნდა გამოეყვანა. მათ შორის:

ქ. ურბნელის კაცი ორი,

ამირეჯიბი რამინ, ამისი კაცი ერთი

მახვილაძე გლახა ერთი [ჯავახიშვილი, II, 1974:151].

ამავე დავთრით, არადეთიდან ერთი სახასო კაცი გამოდის, ხოლო ატოციდან - 4 [ჯავახიშვილი, II, 1974:151].

1804 წლის აღწერა სულ მოიცავს 7 გრაფას. პირველ გრაფაში მოცემულია სოფლის დასახლება, საგუბერნიო ქალაქიდან (თბილისიდან) დაშორება, მებატონეთა ვინაობა და მათ დაქვემდებარებაში მყოფი გლეხების რაოდენობა ეთნიკური მაჩვენებლის მიხედვით. მეორე გრაფა ასახავს კომლთა რაოდენობას, ხოლო მესამე და მეოთხე – სულთა რაოდენობას სქესის (მამაკაცი, ქალი) მიხედვით. მეხუთე გრაფაში მიწის რაოდენობა, ხარისხი (სახნავი, სათიბი, ვენახი) და საკუთრების ფორმა (სახაზინო, საბატონო, საეკლესიო) დაკონკრეტებული. მეექვსეში – მოყვანილი მოსავლის რაოდენობა, სახე, სოფლის ტერიტორიაზე არსებული წისქვილებისა და ტყეების სიმძლავრეები და ხარისხობრივი მაჩვენებლებია მოცემული (მაგ: წისქვილის შემთხვევაში - ერთთვლიანი, ორთვლიანი, ტყეების – სამშენებლო, საწვავი და ა. შ.). ბოლო გრაფა სოფლის მოსახლეობის ეკონომიკურ მდგომარეობას, საქმიანობას და გადასახადებს აკონკრეტებს.

აღწერაში გადასახადები ნაჩვენებია დღიური ნორმით. რაც შეეხება წონისა და მოცულობის ერთეულებს, გამოყენებულია კოდი და კოკა . თუმცა გვხვდება ზომა-წონის სხვა ერთეულებიც, მაგ., ჩარქი , ფუნტი , პუდი და ა. შ. აღწერიდან ცხადი ხდება, რომ ჯერ კიდევ სისტემატიური ადგილი აქვს ლეკებისა და ოსების მარბიელ თავდასხმებს. ისინი იტაცებენ ბავშვებს, მოსავალს, პირუტყვს, ხოლო რაც ვერ მიაქვთ ანადგურებენ [გსიემ, 7486: 86, 89], ამიტომ მოსახლეობის უმეტესობა ღარიბია. არაერთგან მითითებულია, რომ მოჰყავთ საარსებო მინიმუმი. შედარებით უკეთესად ცხოვრობს ბრეთის, ალის და ატოცის მოსახლეობა, სადაც მიწათმოქმედების, მევენახეობისა და მესაქონლეობის პარალელურად, მისდევენ წვრილმან ვაჭრობას, ტყავის, ტილოს გამოყვანას. ასევე ამზადებენ ცვილს, საკმეველს და სხვ.

რამდენადმე პირობითია ეთნიკურობის გრაფა. ქართველების, სომხების, ოსების, რუსების გარდა, ცალ-ცალკეა მითითებული: იმერელი, ჯავახეთელი, კათოლიკე, ყიდი.

აღწერაში იხსენიებიან საკმაოდ ცნობილნი და გავლენიანი პირები: ზაალ ბაგრატიონ-დავითაშვილი, ომან ხერხეულიძე, როსტომ, ზურაბ, ბეცია, ელიაზარ ფალავანდიშვილები, შანშე და რევაზ ერისთავები, იასე მაჩაბელი, ივანე ამილახვარი, ქაიხოსრო აბაშიძე, როსტომ და ზაზა ამირეჯიბები, ციციშვილები და სხვები.

აღწერას ხარვეზებიც ახლავს თან. არაერთი სოფლის სახელი დამახინჯებულია, სავარაუდოდ, აღმწერი მოხელეების ქართული ენის არცოდნის გამო. თითოეულ სოფელს და დასახლებულ პუნქტს მითითებული აქვს მანძილი (დაშორება) საგუბერნიო ქალაქ თბილისიდან, მაგრამ აქაც გაპარულია შეცდომები.

შეცდომებია დაჯამებებშიც. ვფიქრობთ, ზემოხსენებული შეცდომები გადამწერის, ან მბეჭდავის მიერაა დაშვებული, თორემ ნაკლებად მოსალოდნელია, მსგავსი ხარვეზები სარგის კაკაბაძეს მოსვლოდა. მართლაც, აღწერის არაერთ ადგილას, გაუმართავი, ან ალოგიკური ტექსტის შემთხვევებში, მეღნიშვნით კაკაბაძის მიერ ჩამატებულია ძახილის, ან კითხვის ნიშნები.

სტილისტურ ხარვეზებს ვასწორებთ და შენიშვნებს ვურთავთ აღწერის ტექსტის დანართს, რათა მკითხველს სრული წარმოადგენა შეეძლოს დოკუმენტზე.

მიუხედავად ზემოთქმული ხარვეზებისა, 1804 წლის აღწერას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს. აღნიშნული ღონისძიება რუსული ხელისუფლების მიერ ჩატარებული პირველი ოფიციალური ღონისძიებაა XIX საუკუნის დასაწყისში ქართლში მოსახლეობის რიცხოვნობის, ეთნიკური და სოციალური შემადგენლობის, ეკონომიკური და დემოგრაფიული ვითარების დადგენის შესახებ.

თუ გავითვალისწინებთ, რომ ზემოხსენებული სოფლებიდან, დღეისათვის 12 ოკუპირებულია, ოფიციალური ცნობები (მით უფრო, რუსული ხელისუფლების მიერ) ორი საუკუნის წინანდელი შიდა ქართლის მოსახლეობის ეთნიკური, სოციალური შემადგენლობისა და განსახლების შესახებ, არა მარტო მნიშვნელოვანი, არამედ აქტუალურიცაა.

### წყაროები და დამოწმებული ლიტერატურა

1. ალიმბარაშვილი, 2015, ალიმბარაშვილი იოსებ. ქართლ-იმერეთის ურთიერთობის საკითხის გარკვევისათვის XVI ს. 10-იან წლებში, გორის სს უნივერსიტეტის VII საერთაშორისო კონფერენციის მასალები, თბ., 2015.
2. ალიმბარაშვილი, 2012, ალიმბარაშვილი იოსებ (სოსო). ლეკიანობა აღმოსავლეთ საქართველოში, თბ., 2012
3. ანთაძე, 1973, ანთაძე კონსტანტინე. საქართველოს მოსახლეობა XIX საუკუნეში (ისტორიულ-დემოგრაფიული გამოკვლევა), თბ., 1973.
4. ბაგრატიონი, 1986, ბაგრატიონი იოანე. `ქართლ-კახეთის აღწერა~, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და საძიებლები დაურთეს თინა ენუქიძემ და გურამ ბედოშვილმა, თბ., 1986
5. გოგოლაძე, IV, 1973, გოგოლაძე დურმიშა. ცვლილებები ქვეყნის სოციალურ ცხოვრებაში, აწიგნში: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბ., 1973.
6. გსიემ, 7486, გორის ს. მაკალათიას სახელობის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი (გსიემ), 7486.
7. გუგუშვილი, I, 1949, გუგუშვილი პაატა. საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX სს. ტომი I, თბ., 1949.
8. გურული, I, 2017, გურული ვახტანგ. საქართველოს ახალი ისტორია (1801-1918), წიგნი I, თბ., 2017.
9. დუმბაძე, IV, 1973, დუმბაძე მამია. რუსული მმართველობის დამყარება ქართლ-კახეთში, აწიგნში: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბ., 1973.
10. თაბუაშვილი, 2013, თაბუაშვილი აპოლონ. ქალაქ ცხინვალისა და მისი მიმდებარე სოფლების აღწერის დავთრები, (XVIII საუკუნის II ნახევარი), თბ., 2013.
11. თაყაიშვილი, 2015, თაყაიშვილი ექვთიმე. რუისის სამწყსოს დავთარი 1715. ს. მაკალათიას სახ. გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის გამოცემა, გორი 2015.
12. თოფჩიშვილი, 2016, თოფჩიშვილი როლანდ. დვალეთი და დვალეები, თბ., 2016.
13. იოსელიანი, 1978, იოსელიანი პლატონ. ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, ავ. გაწერელის რედ., თბ., 1978.
14. ბურჯანაძე I, 1958, ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა და გურია-ოდის სამთავროებისა (1466-1770 წწ), ტექსტი გამოსცა, წინასიტყვაობა და საძიებლები დაურთო შოთა ბურჯანაძემ, I, თბ., 1958.
15. კაკაბაძე, 1973, კაკაბაძე სარგის. ქართველი ხალხის ისტორია 1783-1921, თბ., 2003.
16. ლორთქიფანიძე, 1947, ლორთქიფანიძე იასე. მორიგეთა სიები. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XIV-B, თბ., 1947.
17. მაკალათია, 1963, მაკალათია სერგი, ფრონის ხეობა, თბ., 1963.
18. დოლიძე I, 1963, „სამართალი ბატონიშვილის ვახტანგისა“, ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული, ტექსტები გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბ., 1963.
19. საქართველოს, 254, ს. 58, საქართველოს ეროვნული საისტორიო არქივი, ფ. 254, ს. 58, ფ. 1-78.
20. ჯავახიშვილი, 1923, საქართველოს ისტორიული რუკა, გამოცემული შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მიერ ივ. ჯავახიშვილის რედაქტორობით, შედგენილი ტოპოგრაფ ევსევი ბარამიძის მიერ, თბილისი 1923 წ.
21. ჭუმბურიძე, 2006, ქართლ-კახეთის თავადთა და აზნაურთა ოჯახები, ფოტოტიპირი გამოცემა ზურაბ ჭუმბურიძის რედაქციით, თბ., 2006.

- 
22. დოლიძე, VIII, 1985, ქართული სამართლის ძეგლები. ტ. VIII, სასამართლო არზა-ოქმები და კერძო-სამართლებრივი აქტები. ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. სისიძორე დოლიძემ, თბ., 1985.
  23. ჯავახიშვილი, II, 1974, ჯავახიშვილი ივანე. საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები (XIII-XIX სს.), წიგნი II, თბ., 1974.
  24. Флоровский, 1836, Обозрения Российских владении за Кавказом, ч. II, отд. 7, Горийский уезд. Описание произведено Николаем Флоровским, СПб 1836.

## მუსტაფა ქემალ ათათურქის შეხედულება თურქულ ნაციონალიზმზე

ემზარ მაკარაძე

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის  
დეპარტამენტის პროფესორი, საქართველო

### აბსტრაქტი

ნაციონალიზმი (Milliyetçilik) – კაცობრიობის ახალი და უახლესი ისტორიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენაა. მ თანამედროვე თურქეთის იდეოლოგიის ერთ-ერთი ქვაკუთხედს ნაციონალიზმი წარმოადგენს, რომელიც თურქეთში ოფიციალური პოლიტიკის რანგშია აყვანილი და დაფიქსირებულია – კონსტიტუციაში – „ათათურქისეული ნაციონალიზმის“ სახელით. ათათურქი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ამ პრინციპს, რადგანაც მისი საშუალებით ხდებოდა თურქი ერის ერთიანობის დაცვა და მიზნად ისახავდა თურქეთში მცხოვრები სხვადასხვა ეროვნების ხალხთა კონგლომერაციას და თურქი ერის ჩამოყალიბებას. ნაციონალიზმის პრინციპი თურქი ხალხის ბრძოლის ერთ-ერთი დასაყრდენია. ის ათათურქის მხრიდან განიხილებოდა, როგორც მთავარ მამოძრავებელ ძალად სახელმწიფოებრიობის წინსვლის საქმეში. მითუმეტეს, რომ ნაციონალიზმი ყოველთვის დიდ როლს თამაშობდა თურქეთის ისტორიაში. ნაციონალიზმის დებულებას დღესაც ეყრდნობა თურქეთის რესპუბლიკის საშინაო პოლიტიკა და ამ დებულების ცხოვრებაში გატარების შედეგად ბევრად უფრო ერთგვაროვანი და თურქულია იგი ვიდრე მისი არსებობის პირველ წლებში.

**საკვანძო სიტყვები:** ნაციონალიზმი, თურქეთი, ათათურქი, კონსტიტუცია.

### Mustafa Kemal Ataturk's View of Turkish Nationalism

#### Abstract

Nationalism (Milliyetçilik) is one of the most important phenomena in the new and recent history of humanity. One of the cornerstones of the modern Turkish ideology is nationalism, which is considered in the frameworks of Turkish official policy and is documented in the constitution under the name of "Atatürk Nationalism". Atatürk attached a great importance to this principle, as it contributed to the protection of the unity of the Turkish nation and was aimed at the conglomeration of people of different nationalities, living in Turkey, and the formation of the Turkish nation. The principle of nationalism is one of the strongholds of the Turkish people's fight. Atatürk believed that it was a major driving force for the development of statehood. Moreover, nationalism always played a significant role in the history of Turkey. The domestic policy of the Turkish Republic is still based on the provision of Nationalism, which was implemented in life and has become much more homogeneous than it was at the beginning of its existence.

**Keywords:** Nationalism, Turkey, Kemal Ataturk, constitution.

წინამდებარე სამეცნიერო ნაშრომში შევეცდებით ყურადღება გავამახვილოთ რესპუბლიკური თურქეთის დამაარსებლის მმუსტაფა ქემალ ათათურქის შეხედულებაზე თურქულ ნაციონალიზმზე.

მუსტაფა ქემალ ათათურქი (1881-1938) თურქეთისათვის არა მარტო გუმინდელი დღეა. ამ პიროვნებამ მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა ქვეყნის დღევანდელი და მომავალი. თურქეთის რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი მოწყობის ოფიციალური დოქტრინა რესპუბლიკის დამაარსებლის, დიდი რეფორმატორის, ქემალ ათათურქის პრინციპებს ეყრდნობა და თურქეთში ქემალიზმის სახელითაა ცნობილი (რესპუბლიკანიზმი; ლაიციზმი; ხალხოსნობა, ეტატიზმი, რევოლუციონიზმი და ნაციონალიზმი).

ნაციონალიზმი (*Milliyetçilik*) – კაცობრიობის ახალი და უახლესი ისტორიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენაა. XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისს „ნაციონალიზმის ეპოქას“ უწოდებდნენ. M

ქემალიზმის იდეოლოგიის ერთ-ერთი ქვაკუთხედი ნაციონალიზმია, რომელიც თურქეთში ოფიციალური პოლიტიკის რანგშია აყვანილი და დაფიქსირებულია – კონსტიტუციაში – „ათათურქისეული ნაციონალიზმის“ სახელით. მაგრამ, თურქული ნაციონალიზმი ერთგვაროვანი არაა. მისი სხვადასხვა ფორმის წარმოშობა-განვითარების შესწავლა და ჯეროვნად გათვალისწინება შესაძლებლობას იძლევა არამარტო გაარკვიოს თურქეთის წარსული და აწმყო, არამედ განჭვრიტოს მისი შესაძლო მომავალი<sup>1</sup>.

ათათურქი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ამ პრინციპს, რადგან მისი საშუალებით ხდებოდა თურქი ერის ერთიანობის დაცვა და მიზნად ისახავდა თურქეთში მცხოვრები სხვადასხვა ეროვნების ხალხთა კონგლომერაციას და თურქი ერის ჩამოყალიბებას.

ნაციონალიზმი ყოველთვის დიდ როლს თამაშობდა თურქი ხალხის გადარჩენისათვის ბრძოლაში. სახელმწიფოს არსებობაც კი წარმოუდგენელია ამ დებულების გარეშე.

თურქულ ენაში ამ დებულების აღმნიშვნელი სიტყვაა *Milliyetçilik* (მილიეთჩილიკ) – რომელიც წარმოსდგება არაბული სიტყვიდან – „მილეთ“ - ერი და მისგან ნაწარმოები „მილეთ“ - ეროვნებისაგან. ქართულად შეიძლება ითარგმნოს როგორც ეროვნულობა (და როგორც ნაციონალიზმი)<sup>1</sup>. ეს დებულება მიზნად ისახავს ეროვნული თავისებურებებისა და ეროვნული ხასიათის დაცვასა და შენარჩუნებას ეროვნებათა განვითარების ახალი ეტაპის პირობებში.

ქართულად შეიძლება ითარგმნოს როგორც ეროვნულობაც და როგორც ნაციონალიზმიც. ეს დებულება მიზნად ისახავს ეროვნული თავისებურებებისა და ეროვნული ხასიათის დაცვასა და შენარჩუნებას ეროვნებათა განვითარების ახალი ეტაპის პირობებში. ქართველი თურქოლოგი ო. გიგინეიშვილი აღნიშნავს: „თურქეთში ნაციონალიზმის დებულება გულისხმობს ეროვნული სახელმწიფოს შექმნას, რომლის საფუძველი იქნება თურქი ერი – „ერთი ერი - ერთი სახელმწიფო“.<sup>2</sup>

ათათურქის სიტყვით „ერი უნდა ქმნიდეს სახელმწიფოს საფუძველს, უნდა იყოს მისი დასაყრდენი“ და „ჩვენი სახელმწიფოს დასაყრდენი - თურქი ხალხია და რაც უფრო ღრმად არის ეს ხალხი გამსჭვალული თურქული კულტურით მით უფრო ძლიერი იქნება რესპუბლიკა, რომელიც მას ეყრდნობა. ე. ი. ნაციონალიზმის დებულებამ არამარტო უნდა უზრუნველყოს თანამედროვე ერებთან ურთიერთობის პროცესში ეროვნული ხასიათისა და ეროვნული თავისებურებების დაცვა, არამედ ის გულისხმობს აგრეთვე ეროვნული სახელმწიფოს შექმნას, რომლის საფუძველი იქნება თურქი ერი“.<sup>3</sup>

ოსმალეთის სახელმწიფოში, სადაც თანაცხოვრობდა 18 ეთნიკური ჯგუფი, რომლებიც სხვადასხვა კონფესიებს მიეკუთვნებოდნენ, არ არსებობდა ნაციონალიზმი - ამ სიტყვის ჩვეულებრივი ტრადიციული გაგებით. რელიგიური თემის ფაქტორის პარალელურად ეროვნული საკითხის წამოწევა დაწყებული იქნა „ახალგაზრდა ოსმალთა“ და „ახალგაზრდა თურქთა მიერ“.

„ახალგაზრდა თურქები“ ქვეყნის გადარჩენას ხედავდნენ მხოლოდ მისი დასავლური მიმართულებით განვითარებაში და ამგვარად, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ თურქულ სპეციფიკას და წამოიწყეს მოძრაობა „თურქიზმის“ სახელწოდებით. თურქიზმის იდეა ეყრდნობოდა ხალხოსნობისა და ნაციონალიზმის იდეებს. გარდა ამისა, იგი მიმართული იყო აგრეთვე თურქულენოვანი ხალხების გაერთიანებისაკენ. მათი ეროვნული საზღვრების გათვალისწინების გარეშე. ეს მიზანი განსაზღვრული იყო სიტყვით „პანთურანიზმი“ (მომდინარეობს თურანისაგან - თურქი ხალხის ლეგენდარული ქვეყნის სახელწოდება).

„ახალგაზრდა თურქებმა“ შეითვისეს ერთის მხრივ თურქიზმი და მეორეს მხრივ - ერის ევროპული კონცეფცია და შეეცადნენ რეალობად ექციათ „ერის“ გაგება, მაგრამ ოსმალეთის ტერიტორიაზე ბალკანური ომების დაწყებასთან ერთად კვლავ აღორძინდა „პანისლამიზმი“ იმდენად, რამდენადაც

<sup>1</sup> აფხაზავა თ. „ნაციონალიზმი თურქულ ისტორიოგრაფიაში.“ დისერტაცია, თბილისი, 2006. გვ., 125.

<sup>2</sup> YENİ TÜRKÇE SÖZLÜK, 1986. c.,125.

<sup>3</sup> გიგინეიშვილი ო, ნაციონალიზმის ქემალისტური დებულება. მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნების ახალი და უახლესი ისტორია, თბილისი, 1983. გვ., 45.

<sup>4</sup> Atatürk Kemal, Nutuk, c.III, İstanbul, 1975.c.,292. (Atatürk Kemal, 1975:292).

ხელისუფლება ტრადიციულად მიმართავდა ხალხის რელიგიურ გრძობებზე თამაშს, რათა შეეკრა ისინი და მათში აემალლებინა ეროვნული სული.

როცა „ახალგაზრდა თურქთა“ ლიდერმა და ოსმალეთის იმპერიის ფაქტობრივმა მმართველმა ენვერ-ფაშამ ოსმალეთი ჩაითრია პირველ მსოფლიო ომში, წინა პლანზე წამოიწია „პანთურქიზმმა“. ენვერ-ფაშა იმედს ამყარებდა გერმანიის გამარჯვებაზე და გეგმავდა შემოქმედებინა როგორც კავკასია, ასევე ცენტრალური აზია. 1918 წლისათვის, როდესაც ანატოლია ოკუპირებული აღმოჩნდა, ხალხი შეეჯახა ისეთ სირთულეებს, რომლებიც ზოგიერთ შემთხვევაში სრულიად უცხო იყო მათთვის. კერძოდ:

1. პირველად - ოსმალეთის სახელმწიფოს ისტორიაში ქვეყანა ოკუპირებული იქნა უცხოური ძალების მიერ;
2. ეროვნული და რელიგიური უმცირესობები მოითხოვდნენ ანატოლიაში მიწების მიღებას საკუთარი დამოუკიდებელი სახელმწიფოს შესაქმნელად;
3. ახალგაზრდა თურქთა მხრიდან „მამულისა“ და „ერის“ შესახებ წარმოებული დისკუსიების მიუხედავად, ხალხი პრაქტიკულად არ იცნობდა ინტელიგენციას და ჯერ კიდევ არ გააჩნდა ეროვნული თვითშეგნება;
4. 1911 წლიდან ხალხი მუდმივად ეწეოდა ომს. მათ არ განუცდიათ ისეთი მიმდინარეობების გავლენა, როგორცაა „პანოსმანიზმი“ და „პანთურქიზმი“ მაგრამ თანაუგრძობდა „პანისლამიზმს“.

უცხოური ოკუპანტების შემოტევის პირობებში, თუქ ხალხს ჰქონდა ერთადერთი გამოსავალი – ეწარმოებინა ომი ანატოლიაში ყველა ფრონტზე<sup>4</sup>.

ქემალისტები თურქულ ნაციონალიზმს შემდეგნაირად განსაზღვრავენ: - „თურქული ნაციონალიზმი რომლის პირველხარისხოვანი მიზანია მსოფლიოსთან მშვიდობიანი თანაცხოვრების ფონზე საკუთარი ქვეყნის დამოუკიდებლობის შენარჩუნება“.<sup>5</sup>

თურქეთის ეროვნულმა ბურჟუაზიამ შეითვისა თურქიზმი, რომელიც მიმართული იყო დამოუკიდებელი, ეროვნული სახელმწიფოს შექმნისაკენ.

მუსტაფა ქემალის გაგებით თურქიზმი, სხვა არაფერი იყო, თუ არა თურქული ნაციონალიზმი თურქეთის საზღვრებში, რომელიც განსხვავდებოდა, როგორც ოსმალური, ასევე „ისლამური ნაციონალიზმისაგან“. „ერმა - ამბობდა ის - შეიცვალა თავისი საუკუნეობრივი სახე, მან გააერთიანა თავისი ხალხი არა რელიგიური ფაქტორის, არამედ თურქული ეროვნების მიკუთვნების მიხედვით“<sup>6</sup>.

თურქეთის დიდი ეროვნული კრების პირველსავე სხდომაზე, მმუსტაფა ქემალის გამოსვლები ფაქტობრივად ოფიციალურად ადასტურებდა ძველი, დრომოჭმული იდეალებისაგან, თურქული ეროვნული ბურჟუაზიის განთავისუფლებას. ის ამბობდა: - „ნებისმიერ ჩვენ მოქალაქეს აქვს უფლება იყოს რომელიმე დიდი იდეალის თავანისმცემელი და მომხრე, ის ამ საქმეში დამოუკიდებელია, არავის შეუძლია ჩაერიოს ამაში, მაგრამ თურქეთის დიდი ეროვნული კრება მხარს უჭერს მტკიცე და სტაბილურ პოლიტიკას. რომელიც მიმართულია თურქთა დამოუკიდებლობისაკენ მათ განსაზღვრულ ეროვნულ ჩარჩოებში“.<sup>7</sup>

„თურქეთის სახალხო - რესპუბლიკური“ პარტია წარმოადგენდა თურქულ ნაციონალიზმს შემდეგი თვალთახედვით: - „თურქული ნაციონალიზმი განსაკუთრებულია ეროვნულ საზღვრებში მცხოვრები ყველა თურქისათვის, მაგრამ ის ამასთანავე გამოხატავს ყველა იმ თურქის მიმართ ძმურ გრძობებს, რომლებიც საზღვარგარეთ ცხოვრობენ. ის ეწინააღმდეგება ნებისმიერ სხვა არაეროვნულ პოლიტიკურ მიმართულებას. თურქული ნაციონალიზმი ღიაა მთელი კაცობრიობისათვის და ყველა ხალხისათვის ის

<sup>4</sup> გიგინეიშვილი ო, ნაციონალიზმის ქემალისტური დებულება. მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნების ახალი და უახლესი ისტორია, თბილისი, 1983. გვ., 43.

<sup>5</sup> Шамсутдинов А.М. „Национально-освободительная борьба в Турции 1918-1923гг“; М; 1966. ст.,89.

<sup>6</sup> Розалиев Ю.Н. Мустафа Кемаль Ататюрк. Вопросы истории. 1995. №8. ст.,14.

<sup>7</sup> Розалиев Ю.Н. „Мустафа Кемаль Ататюрк“; Очерки жизни и деятельности; Стамбул; 1997. Ст., 100.

რის ნებისმიერი იმ ხალხის გამაერთიანებელი პრინციპი, რომლებიც აღზრდილები არიან ცივილიზირებულ კულტურაზე და ლაპარაკობენ თურქულ ენაზე”.<sup>8</sup>

აანუ ქემალისტებმა აირჩიენ ცნება „ერი“ ევროპული გაგება, რომლის მიხედვით „ერი არის სახელმწიფო, რომლის მიზანია, თურქეთის რესპუბლიკის ეროვნულ საზღვრებში მცხოვრები ყველა ხალხი გააერთიანოს ერთ ერად. მათი შეკავშირების საფუძველი გახდა ეთნიკურობა, ანუ ეთნიკურად თურქული და მუსლიმური წარმოშობა, არამედ რესპუბლიკის ქვეშევრდომობა. ნაციების შემაკავშირებელია სოციალური და კულტურული ფენომენი. სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს გარკვეული ტერიტორიები, სადაც ცხოვრობს მისი მოსახლეობა და მოქმედებს ამ სახელმწიფოს იურისდიქცია“.<sup>9</sup>

თურქულმა ნაციონალიზმმა შედეგად გამოიღო ის, რომ იურიდიულად ანუ პილიტიკურ - სამართლებრივად თურქეთის მთელი მოსახლეობა განურჩევლად ერისა და ეროვნებისა იქცა თურქად. თურქეთის ეროვნულმა ელიტამ სწორედ, რომ დასავლური მოდელი აირჩია. ქემალისტთა რეფორმებმა და სეკულარიზაციამ გამოიწვია ის, რომ ხალხის შეგნების გადახალისება მოხდა. თუ ადრე მისი რწმენის საგანს წარმოადგენდა ისლამი, დღეს ამ ფუნქციას ასრულებს ერი. ხალხმა დაიწყო იმის გათავისება, რომ ის არის არა ისლამური სახელმწიფოს ქვეშევრდომი, არამედ საერო, რესპუბლიკური თურქეთის მოქალაქე. N ნაციონალიზმი XX საუკუნის 30-იან წლებში იქცა თურქეთის მეორე რელიგიად. Q ქემალისტური ნაციონალიზმის სპეციფიკა იმაში მდგომარეობს, რომ ის წარმოიქმნა, როგორც იდეოლოგიური ინსტრუმენტი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში.

A როგორც ვხედავთ, თურქული ნაციონალიზმი წარმოადგენს თურქული პოლიტიკის სისტემას და საზოგადოების „ ევროპიზაციის “ განმსაზღვრელ ყველაზე მძლავრ ფაქტორს, რომლის გარეშეც რესპუბლიკა ვერ მიაღწევდა სუვერენობას და კვლავ გაგრძელებოდა ფაქტობრივად განწირული სახელმწიფოს რღვევის პროცესი.

ათათურქი ყოველთვის არ იყო თანმიმდევრული „პანთურქიზმთან“ ბრძოლაში. შემდგომ წლებში ის აძლევდა თავისუფლებას იმ ხალხის მოღვაწეობას, რომლებიც პროპაგანდას უწევდნენ რეაქციულ იდეოლოგიას, ეს მიუთითებს თურქული, ბურჟუაზიული იდეოლოგიის უუნარობაზე, დაეწყო ბრძოლა რეაქციული ტენდენციების წინააღმდეგ, როგორც პოლიტიკაში, ასევე საზოგადოებრივ ცხოვრებაში. სწორედ ამ გარემოებით სარგებლობდნენ რეაქციული წრეები, რომლებიც თავის თავს ათათურქის მომხრეებად და საქმის გამგრძელებლად თვლიდნენ.

ნაციონალიზმის დებულება უშუალოდ არის დაკავშირებული თურქული ეროვნული თვითშეგნების შექმნასთან. ათათურქი განმარტავს, რომ „ერს ქმნის ბუნებრივი და ისტორიული ფაქტორები: პოლიტიკური ერთიანობა, საერთო ენა, საერთო სამშობლო, საერთო წარმოშობა, ისტორიული და ზნეობრივი საფუძვლების ერთობა“.<sup>10</sup>

„ჩვენი ნაციონალიზმი არავითარ შემთხვევაში არ არის ეგოისტური და ამპარტავნული ნაციონალიზმი... ჩვენ არავის მტრები არ ვართ, მხოლოდ ადამიანობის მტრობის მტრები ვართ... სამშობლოში მშვიდობა დედამიწაზე მშვიდობის დებულებაა, ჩვენი ეროვნულობაც სწორედ ამის თანხმობაა “.<sup>11</sup> დასძენდა ათათურქი.

ნაციონალიზმის პრინციპი თურქი ხალხის ბრძოლის ერთ-ერთი დასაყრდენია. ის ათათურქის მხრიდან განიხილებოდა, როგორც მთავარ მამოძრავებელ ძალად სახელმწიფოებრიობის წინსვლის საქმეში. მითუმეტეს, რომ ნაციონალიზმი ყოველთვის დიდ როლს თამაშობდა თურქეთის ისტორიაში.

თანამედროვე თურქეთის სახელმწიფოებრივი იდეოლოგიაც ნაციონალიზმის დებულებაზე დაფუძნებული, რომელმაც უფრო მეტად აიღო აქცენტი თურქულენოვანი მოსახლეობის ერთ დიდ

<sup>8</sup> დანგაძე ნ. „თურქეთის სახალხო-რესპუბლიკური პარტია 1923-1950წ.წ.“ დისერტაცია, თბილისი, 2006.Ggv., 45.

<sup>9</sup> მაკარაძე ე. თანამედროვე თურქეთის აქტუალური საკითხები. ბათუმი, 2002. გვ.68.

<sup>10</sup> მაკარაძე ე. თანამედროვე თურქეთის აქტუალური საკითხები. ბათუმი, 2002. გვ.,70.

<sup>11</sup> Aktaş R. N. ; Atatürk'ün bağımsızlık savaşı nasıl başladı? İstanbul, 1973. c.,92.

სახელმწიფოში გაერთიანებაზე, რამაც გარკვეულ წილად შეცვალა ათათურქისეული ნაციონალიზმის არსი და ქვეყანა XIX საუკუნის „თურქიზმის“ და „ოსმანიზმის“ იდეოლოგიისაკენ გადახარა.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. აფხაზავა თ., „ნაციონალიზმი თურქულ ისტორიოგრაფიაში.“ დისერტაცია, თბილისი, 2006;
2. გიგინეიშვილი ო., ნაციონალიზმის ქმალისტური დებულება. მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნების ახალი და უახლესი ისტორია, თბილისი, 1983;
3. დანგაძე ნ., „თურქეთის სახალხო-რესპუბლიკური პარტია 1923-1950წ.წ.“ დისერტაცია, თბილისი, 2006;
4. მაკარაძე ე., თანამედროვე თურქეთის აქტუალური საკითხები. ბათუმი, 2002;
5. Розалиев Ю.Н., Мустафа Кемаль Ататюрк. Вопросы истории. 1995. №8.;
6. Розалиев Ю.Н., Мустафа Кемаль Ататюрк, Очерки жизни и деятельности. Стамбул, 1997;
7. Шамсутдинов А.М., Национально-освободительная борьба в Турции 1918-1923гг. М., 1966;
8. Atatürk Kemal, Nutuk, C-III, İstanbul, 1975;
9. Aktaş R. N.; Atatürk'ün bağımsızlık savaşı nasıl başladı? İstanbul, 1973;
10. YENİ TÜRKÇE SÖZLÜK, Ankara, 1986.

## საქართველოს განმანთავისუფლებელი კომიტეტი გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივში დაცული დოკუმენტების მიხედვით

გიორგი ქავთარაძე

ქართულ-ევროპული უმაღლესი სასწავლებელი, საქართველო

### აბსტრაქტი

1910 წელს ჟენევაში ცნობილმა ქართველმა ეროვნულ-პოლიტიკურმა მოღვაწემ პეტრე სურგულაძემ დაარსა "სეპარატისტა ჯგუფი", რომლის წევრებიც იყვნენ ძმები გიორგი და ლეო კერესელიძეები, ნესტორ მალალაშვილი, ვარლამ ჩერქეზიშვილი, მიხაკო წერეთელი, გიორგი მაჩაბელი და სხვები. 1913-14 წწ. ლეო კერესელიძე თანარედაქტორობდა გიორგი კერესელიძის მიერ ჟენევაში დაფუძნებულ გაზეთს "თავისუფალი საქართველო". პირველი მსოფლიო ომის წლებში ევროპაში მოღვაწე ქართველმა სტუდენტებმა დაფუძნეს „დამოუკიდებელი საქართველოს კომიტეტი“, რომელსაც გერმანიის იმპერიის საგარეო საქმეთა სამინისტრო და გენერალური შტაბი აფინანსებდა. ქართულ ისტორიოგრაფიაში აღსანიშნავია, კალისტრატე სალიას მიერ 1962 წელს ბარიზში გამოცემულ ჟურნალ „ბედი ქართლისაში“ გამოქვეყნებული სტატია - „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი პირველი მსოფლიო ომის დროს“ და ლაშა ბაქრაძის 2009 წელს გამოცემული მონოგრაფია - „გერმანულ-ქართული ურთიერთობები პირველი მსოფლიო ომის დროს (ქართული ეროვნული კომიტეტის საქმიანობა 1914-1918 წწ.)“. თუმცა, გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივში დაცული მასალები საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის შესახებ სკურპულოზურად ჯერ არ მომხდარა. ასევე, არ არის ზუსტი აღწერები, ანოტაციები და ნუსხები ამ დოკუმენტების შესახებ. აღნიშნული დოკუმენტები დღემდე ინახავს სამეცნიერო მიმოქცევაში უცნობ ინფორმაციას, რაც უმნიშვნელოვანეს ისტორიას წარმოადგენს საქართველოს დამოუკიდებლობის ბრძოლის გზასთან დაკავშირებით. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადებიდან 100 წლის შემდეგ, გვეძლევა საშუალება წარმოვადგინოთ, გერმანიაში დაცული დოკუმენტებზე ქართული სახელმწიფოებრივი საქმიანობის შესახებ მოხსენება.

**საკვანძო სიტყვები:** პეტრე სურგულაძე, საქართველო, არქივი, ისტორია

### The Liberation Committee of Georgia According to Documents Protected in the Archive of the Ministry of Foreign Affairs of Germany

#### Abstract

In 1910, in Geneva a famous Georgian National-Political figure – Petre Surguladze created "The Group of Separatists", the member of which were the brothers - Giorgi and Leo Kereselidzes, Nestor Maghalashvili, Varlam Cherkezishvili, Mikhako Tsereteli, Giorgi Machabeli and others. In 1913-14 Leo Kereselidze was co-editor of the Newspaper "Free Georgia", which was founded by Giorgi Kereselidze. During the period of the First World War Georgian students who worked in Europe at that time, founded the "Georgian Liberation Committee", which had been financed by the Ministry of Foreign Affairs of German Empire and General Staff. The article "Georgian Liberation Committee within the period of the First World War" being published in the Journal "Bedi Kartlisa" which was issued in 1962 in Paris by Kalistrate Salia and Lasha Bakradze's monography " German-Georgian relationship within the period of the First World War (Activity of Georgian National Committee within 1914-1918)" are of great importance In Georgian Historiography. Although, scrupulous review of the materials about the Georgian Liberation Committee being stored in the Archive of the Ministry of Foreign Affairs of Germany has not been implemented yet. There are not any exact descriptions, annotations and lists of these documents either. The above mentioned documents still keep an unknown information, which could be most significant History concerning the ways of fight for Georgian Independence. 100 years after the announcement of Georgian Democratic Republic, we will have an opportunity to present a report about the documents concerning Georgian state activities, stored in Germany.

**Keywords:** Petre Surguladze, Georgia, Archive, history

1) 1914 წლის 9 აგვისტოს ტელეგრამით №465 ელჩი ვანგენჰეიმი გერმანიის ომის სამინისტროს გენერალური შტაბს აცნობებს, რომ ლიუჟის<sup>1</sup> შთამბეჭდავი აღება, რაც თურქების მხარდაჭერის წყაობით მოხდა. სანაცვლოდ მოხუცმა მარშალმა ფუადმა<sup>2</sup> წამოაყენა მოთხოვნა რუსეთის ჩერქეზეთზე სრული გავლენის მოსაპოვებლად, რომ ხელისუფლებამ ჩერქეზების კავკასიის რევოლუციონიზაციაში მხარდაჭერა აღმოუჩინოს. საელჩოს ნდობით აღჭურვილ კაცად მოხელის დაინიშნას სთავაზობდა, რომელიც ფუადთან და ადგილობრივ ჩერქეზ რევოლუციონერებთან ერთად კავკასიაში გაგზავნილიყო.

2) ამავე წლის 11 აგვისტოს ავსტრია-უნგრეთის საელჩოს განცხადება №000004 მიღებულ ტელეგრაფებზე დაყრდნობით აცნობინებდა გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს, რომ კონსტანტინოპოლიდან<sup>3</sup> „კონფიდენციალურ წყაროებზე დაყრდნობით, მაკედონიის აქცია დაიწყო გენერალური შტაბის მაიორ სულეიმან ასკჯარის მეთაურობით და ცნობილი პროპაგანდისტი გომერ ნადჯერი კომიტეტის მრავალ წევრთან ერთად ჩრდილოეთ სერბიასა და კავკასიაში გაიგზავნა“.

3) 19 აგვისტო, ტელეგრამა 90 [ჩასწორებული - 112] რომბერგი საგარეო საქმეთა სამინისტროს ელჩს ბერნიდან იტყობინებოდა: ჟენევის გენერალური კონსული გაისლერი იტყობინება: "აქ მცხოვრები ქართველი კარგი ოჯახიდან გულთბილად გვირჩია ყოფილმა შვეიცარიის პრეზიდენტმა ლახენალმა<sup>4</sup> საქართველოს რევოლუციური პარტიის აქტიური წევრი, რომელიც რუსეთისაგან განთავისუფლებასა და კავკასიის პოლიტიკური დამოუკიდებლობისათვის იბრძვის, სურს კავკასიაში რევოლუციის ორგანიზება, სავარაუდოდ თურქ ოფიციალურ პირებთან შეთანხმებითა და საკონსულოს თხოვნაზე შეამდგომლობას გერმანიისაგან საბძოლო მასალებით მხარდაჭერის მიღწევის მიზნით, გადაიტანოს თურქეთიდან. მთხოვნელი, ვიხეც რუსეთს გადაცემის (ექსტრადირებაზე) მოთხოვნაზე შვეიცარიის მხრიდან 1907 წელს უარი ეთქვა, მზად არის შემდგომი მოლაპარაკებებისათვის ბერლინში გამოემგზავროს; სერიოზული კაცის შთაბეჭდილებას ახდენს. გთხოვთ საკაბელო პასუხს." (Romburg der Gesandte an Auswärtiges Amt, 1914).

4) 20 აგვისტო, ტელეგრამა 554 ვანგენჰეიმი გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს თარაბიადან წერდა: 1914 წლის 20 აგვისტოს გერმანიის იმპერიის ელჩმა ვანგენჰეიმმა<sup>5</sup> კონსტანტინეპოლიდან ტელეგრამა გაუგზავნა გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს, რომელის ადრესატებიც ასევე იყვნენ ომის მინისტრი და გენერალური შტაბი: "რომ გერმანული იარაღის პარტიის ნაწილი - დაახლოებით 4000 იარაღი - დაჩქარებულად მოდის. სასწრაფოდ საჭიროა კავკასიის მოსახლეობის შეიარაღება, განსაკუთრებით საქართველოში. იქ შეიარაღებული ჟანდარმერია უკვე მზად არის საბრძოლველად.

ვალი ფონ ვანის<sup>6</sup> ცნობით დადასტურდა აქამდელი ჭორები, რომ სპარსელებმა უკვე შეიწყობეს თავი, ავღანეთთან და ბელუჯისტანთან კავშირით რუსეთის წინააღმდეგ შეკრეს." (Wangenheim der Botschafter an Auswärtiges Amt, 1914).

5) 21 აგვისტოს ტელეგრამა #107-ით რომბერგი გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ბერნიდან პასუხობდა ტელეგრამა #112-ზე. „ჟენევის გენერალური კონსული გაისლერი იტყობინება: "სახელი არის

<sup>1</sup> ლიუჟი ქალაქი ბელგიაში (გერმ. Lüttich).

<sup>2</sup> დელი ფუად ფაშა (1835-1931) ჩრდილო კავკასიელი წარმოშობის, ოსმალეთის სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწე, ასევე ცნობილი მარშალ დელი ფუად ფაშას სახელით. ფუად ფაშა 1835 წელს დაიბადა ეგვიპტეში. ის იყო მიუსიურ ჰასან ფაშას ვაჟი. ის მსახურობდა ეგვიპტის არმიაში პოლკოვნიკად, 1869 წელს წავიდა სტამბულში. 1872 წელს მიიღო ლივანს წოდება ოსმალეთის არმიაში. მონაწილეობა მიიღო რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომში. ხელმძღვანელობდა თურქეთის ჯარებს ელენეს კონფლიქტში სადაც შეარქვეს „ელენეს გმირი“. მისი გამბედაობის გამო, ასევე უწოდეს „დელი“, რაც „გიჟს“ ნიშნავს. მიუხედავად დამსახურებებისა 1902 წელს აბდულჰამიდ II-მ ის გადაასახლა დამასკოში, საიდანაც 1908 წელს დაბრუნდა მეორე კონსტიტუციური ეპოქის დაწყებისას. შემდეგ დაინიშნა თურქეთის ელჩად გერმანიაში. 1914 წელს თურქეთმა სამხედრო დახმარება აღმოუჩინა გერმანიას ბელგიის მხარეს ლიუჟის პროვინციის დაპყრობაში, რის სანაცვლოდაც ფუად ფაშა 1914-1915 წლებში გერმანიისაგან ითხოვდა მხარდაჭერას რუსეთის იმპერიიდან ჩერქეზეთის რევოლუციონიზირება-განთავისუფლებაში. 96 წლის გარდაიცვალა სტამბულში.

<sup>3</sup> სტამბულიდან.

<sup>4</sup> ადრიენ ლახენალი (გერმ. Adrien Lachenal, 1849-1918) იყო შვეიცარიელი სამართალმცოდნე და პოლიტიკოსი. 1880-დან 1892 წლამდე იყო ჟენევის კანტონის პარლამენტის წარმომადგენელი. 1892-1899 წლებში ბუნდესრატის წარმომადგენელი. 1896 წელს აირჩიეს ბუნდეს პრეზიდენტად. მაღალი თანამდებობების შემდეგაც აქტიურ პოლიტიკურ ცხოვრებას ეწეოდა.

<sup>5</sup> ჰანს ფონ ვანგენჰეიმი (გერმ. Hans Freiherr von Wangenheim, 1859-1915) იყო გერმანიის იმპერიის ელჩი კონსტანტინოპოლში 1912-1915 წლებში.

<sup>6</sup> ჯევედ ბეი (თურქ. Cevdet Bey) ვანის ვალი პირველი მსოფლიო ომის დროს.

ლუო კერესელიძე<sup>7</sup>; ის არის ადგილობრივი უნივერსიტეტის პრივატდოცენტი დროებით ქენევაში არ იმყოფება, 3 დღეში დაბრუნდება. ვეცდები დავუახლოვდე და მოგიტელეგრაფებთ." (Romberg der Gesandte an Auswärtiges Amt, 1914).

6) 26 აგვისტო, ტელეგრამა 133-ით რომბერგი გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ბერნიდან ტელეგრამა #107-თან დაკავშირებით წერდა: ქენევის გენერალური კონსული გაისლერი იტყობინება: "დღეს დასახლებულმა ქართველმა განაცხადა, რომ დაახლოებით 20 ქართველი წარმოშობის თურქი ოფიცერი მის პარტიას ეკუთვნის და შესაძლოა სადესანტო იარაღი თურქული ორგანოების მოქრთამვით რიზეში ტრაპეზუნტთან ადვილად გადაიტანონ, თუ აჯანყებულთა მოძრაობას თურქეთიდან მხარდაჭერა არ ექნება; რიზედან იარაღი საქართველოში მიაღწევს. პარიზში გამოცემული ქართული გაზეთის გარდაცვლილი რედაქტორის დეკანოზის<sup>8</sup> იაპონელ წარმომადგენელთან ერთად, რომლისგანაც 1905 წელს საქართველოში აჯანყების მხარდაჭერისათვის ექვსი მილიონი ფრანკი მოიპოვა; მაშინ იარაღის მიწოდება შეძლო ამსტერდამიდან ფოთში შავ ზღვასთან." (Romberg der Gesandte an Auswärtiges Amt, 1914).

7) 29 აგვისტო, ტელეგრამა #639-ით ვანგენჰაიმი გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს თარაბიადან წერდა: ბაღდადში მცხოვრები გენერალი მეჰმედ ფაზილ ფაშა ცნობილი კავკასიელი თავადის შამილის ოჯახიდან კონსულ ჰესეს შესთხოვა, თავისი პიროვნების გავლენითა და ოფიციალური გავლენით აჯანყება გამოიწვიოს, თუ კი მას უსაფრთხოების გარანტია ექნება, რომ გერმანია აჯანყებულებს შემდეგ არ მიატოვებს, არამედ სულ ცოტა სამშვიდობო ამინისტციას უზრუნველყოფს. ასევე მარშალ ფუად ფაშას განცხადებით შესაძლოა, რომ რევოლუციონერებმა თავი დაიზღვიონ, სამომავლოდ რუსეთის ანგარიშგებაზე.

მე სიამოვნებით შევთავაზებ თხოვნილი უსაფრთხოება. (Wangenheim der Botschafter an Auswärtiges Amt, 1914).

8) 26 აგვისტო, ტელეგრამა 150-ით რომბერგი გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ბერნიდან წერდა პასუხს #145 ტელეგრამაზე: ქენევის გენერალური კონსული გაისლერი იტყობინება "დღეს ქართველი კონსტანტინოპოლში მიემგზავრება ვენის გავლით საკონსულოსაგან წარმატების სურვილით, სადაც წარმოდგენილია როგორც ეროვნებით ელზას-ლოტარინგელი ლუო კერელი<sup>9</sup>. რისთვისაც ქენევის ბილეთი კონსტანტინოპოლის საკონსულომდე გადახდილია. გთხოვთ კონსტანტინოპოლის სამგზავრო პასპორტი გადასცეთ." (Romberg der Gesandte an Auswärtiges Amt, 1914).

<sup>7</sup> ლუო კერესელიძე (გერმ. Leo Keresselidze, ფესკედონიმი leo Kerelle, 1885-1943) ქართველი სწავლული, პუბლიცისტი, პოლიტიკოსი, რევოლუციონერი, სამხედრო პირი. 1910 წელს ქენევაში ცნობილმა ეროვნულ-პოლიტიკურმა მოღვაწემ პეტრე სურგულაძემ დაარსა "სეპარატისტთა ჯგუფი", რომლის წევრებიც იყვნენ ძმები გიორგი და ლუო კერესელიძეები, ნესტორ მაღალაშვილი, ვარლამ ჩერქეზიშვილი, მიხაკო წერეთელი, გიორგი მაჩაბელი და სხვები. 1913-14 წწ. ლუო კერესელიძე თანარედაქტორობდა გიორგი კერესელიძის მიერ ქენევაში დაფუძნებულ გაზეთს "თავისუფალი საქართველო". პირველი მსოფლიო ომის წლებში იყო გერმანიაში ქართველი სტუდენტების მიერ დაფუძნებული „დამოუკიდებელი საქართველოს კომიტეტის“ წევრი, რომელსაც გერმანიის იმერიის საგარეო საქმეთა სამინისტრო და გენერალური შტაბი აფინანსებდა.

<sup>8</sup> იგულისხმება გიორგი დეკანოზიშვილი (გერმ. Dekanosi, 1868-1910) ქართველი სწავლული, პუბლიცისტი, ემიგრანტი ევროპაში, პოლიტიკოსი, რევოლუციონერი. გიორგი დეკანოზიშვილი იყო ქენევის 1904 წლის ქართველთა ინტერპარტიული კონფერენციის ერთ-ერთი ორგანიზატორი და მონაწილე. სწორედ ამ კონფერენციაზე შეიქმნა "ქართველ სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია".

გიორგი დეკანოზიშვილს რუსეთის იმპერია ერთ-ერთ საშიშ მტრად მიიჩნევდა, რომელმაც როგორც მაშინ აღნიშნავდნენ, იმპერიას "ზურგიდან ჩასცა მახვილი". ეს მახვილი კი ქართველი პატრიოტების მიერ 1905 წელს საქართველოში იარაღის შემოტანას უკავშირდებოდა, რომელიც გიორგი დეკანოზიშვილმა იაპონიის მთავრობის ფულით შეიძინა. იაპონიას რუსეთის იმპერიასთან თავისი ანგარიშები ჰქონდა, იმპერიაში შემავალ მცირე ერებს კი – თავისი. იაპონიის ხელისუფლება ცდილობდა, მოკავშირეები მოექმნა რუსეთის იმპერიის მიერ დაპყრობილ ხალხებში. იაპონელების დახმარებით პარიზში მოეწყო კონფერენცია, რომელსაც რვა პოლიტიკური პარტია ესწრებოდა, მათ შორის ქართველი სოციალ-ფედერალისტები – გიორგი დეკანოზიშვილი და ალექსანდრე გაბუნია, ასევე პოლონელები, ლიტველები, სომხები, ფინელები და რუსებიც (სხვადასხვა პარტიიდან). გადაწყდა, რუსეთის იმპერიის მასშტაბით მოეწყო ერთიანი შეიარაღებული აჯანყება თვითმპყრობელური რეჟიმის წინააღმდეგ. იაპონიის მთავრობას უნდა დაეფინანსებინა რევოლუციონერებისა და პატრიოტების შეიარაღება. გამოიყო 1 000 000 იენი, რაც დიდი ფული იყო მაშინ. გიორგი დეკანოზიშვილს საქართველოს პატრიოტების შესაიარაღებლად გამოეყო 125 000 იენი. მალე დეკანოზიშვილისა და რამდენიმე ადამიანის მიერ შექმნილი იქნა იარაღი. პირველი პარტია გემ "ჯონ გრაფტონის" მეშვეობით ბალტიის ზღვაში გავიდა, იარაღის მცირე ნაწილი ფინელებმა მიიღეს, ნაწილი გემის დაზიანების გამო დაიკარგა, ნაწილი იარაღისა რუსეთის სპეცსამსახურებს ჩაუვარდათ ხელში. მეორე გემი "გარსია" რუსეთის ხელისუფლებამ დააპატიმრა.

<sup>9</sup> იგულისხმება ლუო კერესელიძე.

9) 29 აგვისტოს გერმანიის ომის სამინისტრო საგარეო საქმეთა სამინისტროს ბერლინიდან 27. 8. 1914 წერილის საპასუხოდ წერდა: თანდართული წერილი იარაღების ქარხანა მ ა უ ზ ე რ ი ს ობერდორფში ა/ნ. შესასყიდ გადასაცემ იარაღთან დაკავშირებით და ტყვია-წამლის უზრუნველსაყოფად. ხელსაწერს იუნგი (Kriegsministerium an das Auswärtige Amt, 1914).

10) ამავე დღეს, 29 აგვისტოს გერმანიის ომის სამინისტრო იარაღების ქარხანა მაუზერს ობერდორფში საიდუმლო წერილი #1392/14. გაუგზავნა:

ომის სამინისტრო ითხოვს საგარეო საქმეთა სამინისტროსთვის შესასწიდად გამოტანას:

30 ბრაუნინგის პისტოლეტს და

30 თოფი ან კარაბინი

ამასთან მოთხოვნის შესაბამისად ტყვია-წამალს.

საიდუმლო კანცლერის მდივანის ხელმოწერა. (Kriegsministerium an die Waffenfabrik Mauser in Oberndorf a/Nackar, 1914)

11) 3 სექტემბერს ტელეგრამა #693-ით ვანგენჰაიმი გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს წერდა: ორი ქართველი, კათოლიკური აღმსარებლობის, ავსტრიის საელჩოში გამოჩნდნენ, ქართველთა ნებაყოფლობით შეიარაღებული აჯანყებისათვის რუსეთის წინააღმდეგ საცნობლად. თუმცა მათ აღნიშნეს, ქართველები თურქული მორჩილების ქვეშ არასოდეს შევლენ და ამდენად მხოლოდ შესაძლო ავტონომიისათვის იბრძოლებენ. მათ ითხოვეს, რომ გერმანიამ და ავსტრია-უნგრეთმა მათ ეს გარანტია მისცენ. დამატებით ითხოვეს იარაღის გადაცემა. თქვენთვის საპატივცემულო, თუმცა, ბუნდოვანი საპასუხით. მგონი, შაბათს შეგატყობინებთ, რომ თქვენი სურვილისამებრ გერმანია მიიღებს, სამშვიდობო ანგარიშს რეგულირების მხარდასაჭერად, იმ პირობით რომ ქართველები იბრძოლებენ. ხოლო თუ გულხელდაკრეფილი დარჩებით მიიღებენ თურქეთ-რუსეთის ომში რუსეთის მხარეს მონაწილეობას, მათი განუხილველად დატოვების საკითხი ჩვენი უნდა მოვავაროთ.

12) 3 სექტემბერს ტელეგრამა #693-ით გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს კონსტანტინოპოლიდან ეცნობა: „შეგახსენებთ, კვირა საღამოს გაცნობეთ, რომ გერმანია თქვენი სურვილის გათვალისწინებით, იღებს რეგულირების მხარდამჭერ სამშვიდობო ხელშეკრულებას, იმ პირობით რომ ქართველები უყოყმანოდ იბრძოლებენ მაჰმადიანური კავკასიის მხარეს.“

12) 3 სექტემბერს ტელეგრამი Nr. 93/9-ით ომის სამინისტროს ზოგადი ომის დეპარტამენტი საგარეო საქმეთა სამინისტროს წერდა: ომის სამინისტრო დიდი პატივისცემით იტყობინება, რომ ფელდცეუგმაისტერაიდან<sup>10</sup> ძველი მოდელის 20 ხანჯალი (ხერხით)<sup>11</sup> საგულდაგულო შეფუთვით გაიგზავნება.

13) 4 სექტემბერს ტელეგრამა 697-ით ვანგენჰაიმი გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს წერდა: ცნობა არაბი შეიხის ენვერთან<sup>12</sup> სტუმრობის შესახებ კაპიტან ჰუმანისაგან<sup>13</sup> მქონდა. გამოჯანმრთელებულმა ენვერმა გუშინ შემატყობინა ჰუმანისგან შესწორებული, რომ არა თავად შეიხმა, არამედ მისმა ვაჟმა მამის ბრძანებით მას საჩუქარი ჩამოუტანა და ის ემსახურებოდა მამამისის მთელი სისასხით უზრუნველყოფას. ეს დემარში იყო პასუხი სატელეგრაფო აზრებზე, რომლებსაც ამ თვის დასაწყისში შეიხი მიუთითებდა. შემდეგი შეიხები ინგლისის წინააღმდეგ მარშისთვის ემზადებიან:

<sup>10</sup> სახმელეთო ძალების გენერალიტეტი.

<sup>11</sup> იგულისმება პრუსიული წარმოების ხანჯალი, რომელსაც პირი ბასრი ჰქონდა, ზურგი კი ხერხისებური.

<sup>12</sup> უნდა იგულისხმებოდეს ენვერ ფაშა (1881-1922) ოსმალეთის სამხედრო ოფიცერი და 1908 წლის ახალგაზრდა თურქთა რევოლუციის ლიდერი. იყო მთავარსარდალი ოსმალეთის იმპერიის ბალკანეთის ომებისა და პირველ მსოფლიო ომის დროს. მის სახელს უკავშირდება სომეხთა გენოციდის მოწყობა.

<sup>13</sup> უნდა იგულისხმებოდეს ჰანს ჰუმანი (1878-1933). ის იყო გერმანელი ოფიცერი, სამხედრო ატაშე და ვაჭარი. პირველი მსოფლიო ომის დროს იყო კაიზერული გერმანიის მნიშვნელოვანი წარმომადგენელი ოსმალეთის იმპერიაში.

- 1) იბნი საუოუდი<sup>14</sup>, მას ბასორესა<sup>15</sup> და კუეიტის<sup>16</sup> წინააღმდეგ მარშირება სურდა. რაც მან იმ პირობით შეცვალა, რომ კუეიტის [ქუეიტიის] შეიხმა თავად შესთავაზა განკარგულებაში ყოფნა.
- 2) იბნი რეშიდი<sup>17</sup>.
- 3) იმამ იაჰია<sup>18</sup> იემენში, მას ადენის წინააღმდეგ ოპერირება სურდა.
- 4) სეიდ იდრისი [?], ის ეგვიპტისათვის იყო გათვალისწინებული.

გარდა ამ შეიხებისა ემზადებოდნენ ალი ბახჰემჰა [?] სამხრეთ ტუნისში და ბაროუკი ალგერიაში გასააქტიურებლად. ასევე მაროკოელების, რომლებსაც ფრანგები ამზადებდნენ მარაქეშიდან გადასროლით, სანდო ადამიანებთან კავშირს კრავენ, მათ შორის ინდოელებთან და სპარსელებთან. ყველგან, კავკასიაშიც ენერგიული აგიტაცია მიმდინარეობს. მაროკოელებს სჭირდებათ ღია, როგორც ბარსელონაში შეიძინა, სადაც არის იარაღით ვაჭრობის აფრიული ცენტრი. კაიხერულმა გენერალურმა საკონსულომ შეიძლება იქ საქმე ხელში აიღოს.

თურქეთის ომის სამინისტროში ახალა ცენტრალური ადგილი ისმალურ მოძრაობას უკავია, რომელიც დიდი შემართებით მუშაობს. ენვერს ეშინია მხოლოდ, რომ ომი შეიძლება დამთავრდეს, სანამ სხვადასხვა არეულობები იფეთქებს, რაც ნაწილობრივ მრავალი თვის განმავლობაში სამზადის მოითხოვს.

14) 4 სექტემბერს ტელეგრამა 90-ით იაგოვი გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო მდივანს ლუქსემბურგიდან ტელეგრამა #270-ის პასუხად პასუხობდა. „მე ვუტელეგრაფე კონსტანტინოპოლს: „ქართველების გადაწყვეტილების გათვალისწინებით.“

15) 4 სექტემბერს ტელეგრამა #712-ით ლაფერტი-ვანგენჰაიმი გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს წერდა: გენერალურ შტაბისთვის.

თურქეთის მხარდაჭერით მაქვს ორი განსხვავებული ვალდებულება კავკასიის მატარებლის წინააღმდეგ მოსამზადებლად. რომელიც რამდენიმე დღეში გაემგზავრება. გთხოვთ ინსტრუქციას, რა ადგილებშია ხიდები და გვირაბები ხელმისაწვდომი. რომელიც განსაკუთრებით გამოდგება ასაფეთქებლად. რადგან მოსახლეობამ ვალდებულები საქართველოსა და დაღესტანში უმარტივესად შეასრულონ.

18) 6 სექტემბერს, ტელეგრამი Nr. 607-ით გერმანიის გენერალური შტაბის სექსია III ბ კონსტანტინოპოლის საელჩოს: დაშიფრული ტელეგრამა.

სამხედრო ატაშესთვის „კავკასიის რუსული რუკები იქით გაიგზავნა და გათვალისწინებულია. თუ შესაძლებელია, მოგვიანებით უკან დაბრუნება. იქიდან მდინარეზე გასასვლელები და მსგავსი. სხვა მასალები არ არის ხელმისაწვდომი. უფროსის სექსია III ბ“.

16) 6 სექტემბერს იარაღის ქარხანა მაუზერი საგარეო საქმეთა სამინისტროს ბერლინიდან წერდა: გიდასტურებთ მიღებას ლ.დ.მ. (l. d. M.) დეპეშის იმ გვერდების შედეგად:

<sup>14</sup> ტელეგრამაში გერმანულად წერია - „Ibni Sauoud“ [იბნი საუოუდი]. არაბი შეიხის სახელი შეცდომით არის დაწერილი. სავარაუდოდ, იგულისხმება აბდულაზიზ იბნ აბდულ რაჰმან იბნ ფაისალ იბნ ტურკი იბნ აბდულაჰ იბნ მუჰამად ალ საუდი (1875-1953) არაბულ სამყაროში ცნობილი აბდულაზიზი, რომელსაც დასავლეთში მოიხსენიებენ „იბნ საუდის“ სახლით. „მესამე საუდის სახელმწიფოს“ საუდის არაბეთის ფუძემდებელი და პირველი მონარქი. პირველი მსოფლიო ომის დროს ბრიტანეთის ხელისუფლებამ დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარა იბნ საუდთან. ბრიტანეთის აგენტი კაპიტან უილიამ შექსპირი (1878-1915) ბედუინებმა კარგად მიიღეს. ეს იყო პირველი ოფიციალური კონტაქტი იბნ საუდთან, მომავალ საუდის არაბეთის მეფესთან. 1910-1915 წლებში კაპიტანი უილიამ შექსპირი იყო იბნ საუდის სამხედრო მრჩეველი. გარკვეული დიპლომატიური მისიების წყალობით არაბული ძალაუფლების ქვეშ გაერთიანდა რეგიონი და დასტაბილურდა. ჯარაბას ბრძოლაში შექსპირი მოკლა იბნ რაშიდის ჯარისკაცმა.

<sup>15</sup> ტელეგრამაში გერმანულად წერია - „Bassore“ [ბასორე]. დასახელება შეცდომით არის დაწერილი. სავარაუდოდ, იგულისხმება ქალაქი ბასრა, დღეს ერაყის სიდიდით მეორე ქალაქი. 1538 წელს ოსმალეთის სულთანმა სულეიმან I-მა დაიპყრო და 1914 წლამდე თურქების გავლენის ქვეშ დარჩა. პირველი მსოფლიო ომის დაწყების დროს ინგლისელებმა დაამყარეს კონტროლი ქალაქზე, ხოლო 1918 წლიდან ერაყის შემადგენლობაში შევიდა.

<sup>16</sup> ტელეგრამაში გერმანულად წერია - „Kueit“ [კუეიტ]. დასახელება შეცდომით წერია. ალბათ, იგულისხმება თანამედროვე ქუეიტიის დედაქალაქი ელ-ქუეიტი. 1899-1961 წლებში ქუეიტიის საშეიხო შედიოდა ბრიტანეთის პროტექტორატში.

<sup>17</sup> ტელეგრამაში გერმანულად წერია - „Ibni Reschid“ [იბნი რეშიდი]. დასახელება შეცდომით წერია. სავარაუდოდ, იგულისხმება რაშიდების დინასტიის წარმომადგენელი.

<sup>18</sup> ტელეგრამაში - Imam Jahja, უნდა იგულისხმებოდეს იემენის იმამი იაჰია მუჰამედ ჰამიდ ედ-დინ (1869-1948), რომელიც პირველი მსოფლიო ომის დროს ოსმალეთის ხელდასხმით მართავდა იემენს.

„პრუსიის ომის სამინისტროს მოწერილი მითითებით ა.თ. 29-ს შეუკვეთეს ოცი მაუზერის იარაღი 7,9 კალიბრის ოცდაათი ათას ვაზნასთან ერთად, ასევე ოცდაათი მაუზერის პისტოლეტი მათ შორის 15 მაყუჩით ოცი ათას ვაზნასთან ერთად. ითხოვენ დაუყოვნებლივ გაგზავნას, მრავალყოთიანი ბარგი შეძლებისდაგვარად არ აღემატებოდეს სიგრძეში ერთ მეტრს, სიგანესა და სიმაღლეში ნახევარ მეტრს. ტელეგრამით პასუხის მოთხოვნით“.

თავმდაბლური პატივით გაცნობებთ, რომ მოთხოვნილი 30 მაუზერის იარაღი მოდელი 98 კალ. 7,9 მმ S. და 30 მაუზერი თავისი ჩასადებით - პისტოლეტი - არმია-მოდელი - კონდახითა და ჩვეულებრივი აქსესუარებით აწყობილი: 10 მჭიდვი ვაზნა ტყავის ზონრებით, საწმენდი ჯოხი, სარეზერვო დამაბრუნებელი ზამბარა და ინსტრუქცია, დღეს სალამოს კურიერი დაბეჭდილ დიდად საჩქარო ტვირთს იქ გასაგზავნად მიაღწევს. ყუთები პირდაპირ შტუტგარტი-ბერლინის სწრაფ მატარებელზე დაიტვირთება და ხვალ სალამოს ბერლინში იქნება. იმედი გვაქვს, რომ გზავნილი დროულად ჩავა.

ამავდროულად მოთხოვნილი 30 000 ვაზნა M. 88 S და 20 000 პისტოლეტის ვაზნა კალ. 7.63 მმ. იქნება მჭიდვებში, რითაც ჩვენ ვაკავშირებთ გერმანულ იარაღს. საბრძოლო მასალის ქარხნებს კარლსრუეში მიეწოდება და ამ კომპანიებიდან პირდაპირ გამოითვლება. ჩვენ ვაზნების ფაბრიკას კარლსრუეში ბრძანება მივცევით, ასევე აღსრულდეს საბრძოლო მასალის უსწრაფესი გზით გამოგზავნა.

განსაკუთრებული მაღალი ყურადღებით!

იარაღის ქარხანა - მაუზერი

სააქციო საზოგადოება

შმიდ ფრ. დოელ

17) 7. სექტემბერი გერმანული იარაღისა და საბრძოლო მასალების ქარხანა საგარეო საქმეთა სამინისტროს ტელეგრამით აცნობდა:

საიმპერატორო საგარეო საქმეთა სამინისტროს ნებართვით ამჟამად გაცნობებთ, რომ ჩვენ ვაკავშირებთ იარაღს - მაუზერის ქარხანა A. -G., ობერდორფი ა/ნ. იმავე გვერდებთან დაკავშირებით ა.შ. სხვადასხვა ნაწილებს.

30 000 მახვილი ვაზნები მოდ. 88 S კალ. 7,9 მმ სასროლთავიანი ინფანტერიის იარაღი M/98 მჭიდები ზამბარით.

20 000 ვაზნა მაუზერის - თავისი ჩასადები პისტოლეტით კალ. 7.63 მმ. სრული სასროლო შეფუთვით, 10-სთვის ტყავის ზონრებით გაიცა. აქ ობერდორფში მხოლოდ იარაღი დამზადდება. რადგან ჩვენ აქ მხოლოდ საბრძოლო მასალას ვაწარმოებთ.

ჩვენ ეს ვაზნები გუშინ უკვე ჩვენს საბრძოლო მასალების ქარხანაში გრიოცინგენში გავგზავნეთ. ამდენად მას დღეს პირველივე შესაძლებლობისთანავე კარლსრუედან უსწრაფესი გზით მიეცემა შემდგომი მსვლელობა.

ზუსტი გადაზიდვის საშუალებას ჩვენ დავამატებთ ამას.

მივიღეთ, რომ ჩვენ საჭირო ანგარიში ასევე კიდევ იქ გავამდიდრეთ და იმავე უსწრაფეს შედეგზე გავკედით.

საიმპერატორო საგარეო საქმეთა სამინისტროს გამო სწრაფი გამოგზავნიდან იცოდეთ, ვუშვებთ ჩვენ ხმამაღალ დეპეშას.

გერმანული იარაღისა და საბრძოლო მასალების ქარხანა. (ხელმოწერილი).

18) 7 სექტემბერს, ტელეგრამა 740-ით ვანგენჰაიმი გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ტელეგრამა #557-ის პასუხად წერდა: ადრესატებად მითითებულია:

ომის სამინისტროს,

გენერალურ შტაბს,

რაინის საზღვაო განყოფილებას,

ადმირალის შტაბს,

სახელმწიფო მინისტრს. მათ შორის დელბრიუქს.

კერელე შემხვდა და თავისი გეგმები გამანდო. აგრეთვე წარმოადგინა მდგომარეობა, რომ მომავალი დამოუკიდებლობა საქართველოსი გარანტირებული იყოს. მე მას ეს ჩვენი მხრიდან დავუდასტურე. თალაათ ბეის<sup>19</sup> ამ წინადადების საწინააღმდეგო არაფერი აქვს. დამატებითი ინფორმაცია დაცულია.

კერელემ, რომელმაც საზღვრამდე იმოგზაურა, ფიქრობს, როგორც კი ზემოთ მოცემული პრინციპული საკითხები დარეგულირდება, შეძლებისდაგვარად სწრაფად მოხდეს დიდი რაოდენობით თანამედროვე მოდელის იარაღის მიწოდება.

იარაღისა და საბრძოლო მასალის მიწოდება ჩემი შეხედულებით მაქსიმალური ენერგიით უნდა მოხდეს, თუ კი ჩვენ საერთოდ უახლეს მომავალში წარმატება გვსურს, განსხვავებული მოქმედების სფეროში რაიმე შედეგის მისაღწევად.

19) 12 სექტემბერს ტელეგრამა #794-ით ვანგენჰაიმი გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ტელეგრამა #752-ისთვის:

კერესელიძე<sup>20</sup> X)-თან<sup>21</sup> შეთანხმა და რამდენიმე დღეში აღმოსავლეთის საზღვრებთან გადავა, მოსელი იქნება მისი თანამგზავრი. პირველადი ხარჯისთვის მე მას და მრავალ ქართველ ემისარს 350 ფუნდი თურქულ ფულში გადავაცი და შემდეგ თანხას ტრაპეზუნტის საკონსულოდან მისი განკარგულებაში გადავა. გრიპარისის აქტიურობა და ცნობა გვიდასტურებს მიღებას, რომ მალე საზღვარშორის თავდასხმა მოხდება.

კერესელიძე ითხოვს ამხრივ შუამდგომლობას, ჟენევაში დარჩენილი ზოგი ქართველის გამომგზავრება შეძლონ. ჟენევაში ქართველი მაღალოვი<sup>22</sup> რუე დე ლა ფერმეს 14-შია<sup>23</sup> განთავსებული. მგზავრობის საფასური, 6000 ფრანკს გასცემენ, თუ კი ჩვენი მხრიდან ვინმეს ეჭვი ეპარება.

ამას აქ მე პირველ რიგში გავაკეთებ სრული პერსპექტივის შენარჩუნებისთვის, მხარს ვუჭერ თხოვნას.

ერთი სურგულაძესთან ბულევარდ კარლ ვოგტის 41-ში<sup>24</sup> მიმართულ წერილს გამოგიგზავნით შემდეგ ფოსტით პირდაპირ ჟენევის საკონსულოში.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივში დაცული დოკუმენტების ერთი ნაწილიდან ირკვევა, საუკუნის წინ საქართველოს განმანთავისუფლებელი კომიტეტის იატაკქვეშა საქმიანობა ევროპაში მჭიდროდ იყო დაკავშირებული გერმანიის სახელმწიფო ორგანოებთან. ისინი საგმირო საქმით ცდილობდნენ ქართველი ერის რუსეთის იმპერიისაგან განთავისუფლებას, ევროპის ზესახელმწიფოებიდან პოლიტიკური მხარდაჭერის მოპოვებასა და იარაღის შემოეტანით სამშობლს რევოლუციონირებას. რაც 1918 წელს საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობის გამოცხადებით დასრულდა.

### საარქივო მასალები:

1. Fadel, C., Trilling, B., & Bialik, M. (2015). *Four-Dimensional Education: The Competencies Learners Need to Succeed*. Center For Curriculum Redesign.
2. Kriegsministerium an das Auswärtige Amt, RA AA, R 21008, Bd 1, f Bd 2, #1392/14. g. A. 2. (A19663, Russland 104 №11d, #000019, S. 15; Berlin, August 29, 1914).

<sup>19</sup> მეჰმედ თალაათ-ფაშა (1874-1921) ოსმალეთის იმპერიის შინაგან სამეთა მინისტრი (1913-1917) და დიდი ვეზირი (1917-1918). სომეხთა მასობრივი დეპორტაციის ერთ-ერთი ორგანიზატორი 1915 წელს.

<sup>20</sup> ლეო კერესელიძე.

<sup>21</sup> X ჯგუფი გაუგებარია.

<sup>22</sup> ნესტორ მაღალაშვილი.

<sup>23</sup> rue de la Ferme არის ქუჩის სახელი ჟენევაში.

<sup>24</sup> Boulevard Karl Vogt - ჟენევის ერთ-ერთი ქუჩის სახელი.

3. Kriegsministerium an die Waffenfabrik Mauser in Oberndorf a/Nackar, RA AA, R 21008, Bd 1, f Bd 2, #1392/14. g. A. 2. (A19663, Russland 104 №11d, #000020, S. 16; Berlin, August 29, 1914).
4. Romberg der Gesandte an Auswärtiges Amt, PA AA, R 21008, Bd 1, f Bd 2 Telegramm 90 [korrigiert 112]; ((A17860, Russland 104 №11d, #000010, S. 7; Bern, August 19, 1914).
5. Romberg der Gesandte an Auswärtiges Amt, RA AA, R 21008, Bd 1, f Bd 2 Telegramm 107 (A18216, Russland 104 №11d, #000012, S. 9; Bern, August 21, 1914).
6. Romberg der Gesandte an Auswärtiges Amt, RA AA, R 21008, Bd 1, f Bd 2 Telegramm 133 (A18964, Russland 104 №11d, #000015, S. 11; Bern, August 26, 1914).
7. Romberg der Gesandte an Auswärtiges Amt, RA AA, R 21008, Bd 1, f Bd 2 Telegramm 150 (A19576, Russland 104 №11d, #000018, S. 14; Bern, August 26, 1914).
8. Romberg der Gesandte an Auswärtiges Amt, Politisches Archiv des Auswärtigen Amts, R 21008, Bd 1, f Bd 2 Telegramm 90 [korrigiert - 112] (A17860, Russland 104 №11d, #000010, S. 7; Bern, August, 19, 1914).
9. Wangenheim der Botschafter an Auswärtiges Amt, RA AA, R 21008, Bd 1, f Bd 2 Telegramm 554 (A18021, Türkei 142, Russland 104 №11d, #000011, S. 8; Therapia, August 20, 1914).
10. Wangenheim der Botschafter an Auswärtiges Amt, RA AA, R 21008, Bd 1, f Bd 2 Telegramm 639 (A19502, Russland 104 №11d, #000017, S. 13; Therapia, August 29, 1914).

## ჟურნალი „ფიროსმანი“ და ქართულ-თურქული ურთიერთობები XXI საუკუნის 10-იან წლებში

მარინე შონია

ასოცირებული პროფესორი,  
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

### აბსტრაქტი

მასმედიის და, კერძოდ, ბეჭდური მედიის როლი ნებისმიერი საზოგადოების ცხოვრებაში საყოველთაოდ ცნობილია. ბეჭდური მედია უბრალოდ ინფორმაციას კი არ ავრცელებს რაიმე ფაქტთან დაკავშირებით, მას ასევე დიდი საგანმანათლებლო ფუნქციაც აქვს, რადგან გარკვეული ღირებულებებისა და შეფასებების პროპაგანდისტული არის. თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე რთული პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესები სახელმწიფოებსა და საზოგადოებებს კონსენსუსისა და მოკავშირეთა შექმნისაკენ უბიძგებს. ამისათვის სათანადო პოზიტიური საინფორმაციო და იდეოლოგიური უზრუნველყოფა აუცილებელია, რისი შესრულებაც მასმედიას, განსაკუთრებით კი ბეჭდურ მედიას შეუძლია, რომელიც დღეს კვლავ რჩება ანგარიშგასაწევ ძალად. პოსტკომუნისტურ პერიოდში, „რკინის ფარდის“ დამხობის შემდეგ, საქართველოსა და თურქეთის ურთიერთობები თვისობრივად შეიცვალა. კეთილმეზობლური ურთიერთობები კიდევ უფრო დინამიკურად ვითარდებოდა XXI ს. 10-იან წლებში და ახლაც, 20-იან წლებშიც აქტიურად გრძელდება. ვითარების ასევე წარმატებულად შესანარჩუნებლად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ორი ქვეყნის, ორი განსხვავებული საზოგადოების კულტურული თანამშრომლობის ხელშეწყობას. ეს კი წარსულისა და აწმყოს ცოდნისა და წარმოჩენის გარეშე ვერ განხორციელდება. ამ კუთხით საინტერესოდ წარმართა თავისი საქმიანობა ქ. სტამბოლში 2007 წ. დაფუძნებულმა ორენოვანმა თურქულ-ქართულმა ჟურნალმა „ფიროსმანი“. წინამდებარე სტატიის მიზანი სწორედ მისი მუშაობის შესწავლა და შეფასებაა. ჟურნალი „ფიროსმანი“ სამი წლის მანძილზე კვარტალურად გამოდიოდა და 11 ნომერი დაიბეჭდა. სამწუხაროდ, ფინანსური პრობლემების გამო მისი გამოცემა 2010 წელს შეწყდა, ჟურნალის პუბლიკაციების ანალიზმა გვიჩვენა, რომ მთავარი რედაქტორი და რედკოლეგია ძირითადად ფოკუსირებული იყვნენ ისეთ საკითხებზე, როგორცაა ქართული ლიტერატურა და ფოლკლორი, თურქული ლიტერატურა და ფოლკლორი, თურქოლოგიის ქართული სკოლა, ქართული ეთნოგრაფია, საქართველოს ისტორია, არქეოლოგია, ქართული ნუმისმატიკა, არქიტექტურა, ქართული მუსიკა, საქართველოს ქალაქები, თურქულ-ქართული სოფლების ისტორია, მოგზაურობათა შთაბეჭდილებები, ქართული წარმოშობის წარმატებული პიროვნებები, მემუარული ჟანრის წერილები, ქართულ-აფხაზური, ქართულ-ოსური ურთიერთობები. საინტერესოდ იკითხება თურქეთიდან საქართველოში ჩამოსული სტუმრების მოგზაურობათა შთაბეჭდილებები, მემუარული ჟანრის წერილები, მხატვრული ჩანახატები. პოლიტიკური ხასიათის ინფორმაცია საქართველოსა და 2008 წ. აგვისტოს ტრაგიკული ომის შესახებ თურქულ ენაზე თურქული პრესის დაიჯესტითაა წარმოდგენილი. ჟურნალს ერთვის კულტურული ღონისძიებების ქრონიკა და რეკლამა. მასალა თემატურად მკაცრად დაჯგუფებული არ არის. მის ავტორებად ქართველი მეცნიერები (მაგალითად, ც. აბულაძე, ვ. კვიციანი, თ. შიოშვილი, ი. მერაბიშვილი, გ. ხორავა, გ. მამულია, ლ. მინიონი, ლ. ჩლაიძე, გ. გოცირიძე და სხვ.), მწერლები (მაგალითად, დ. ტურაშვილი, ქ. რუპი, ფ. ჩილოღლუ და სხვ.), თურქი და ქართველი ჟურნალისტები (ნ. კურუიაზიჯი, თ. ართვინლი, მ. კაია, ლ. ჯიყაშვილი და სხვ.) გვევლინებიან. ჟურნალ „ფიროსმანის“ პუბლიკაციების შესწავლის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ რედკოლეგიამ ორ მეზობელ ქვეყანას, თურქეთსა და საქართველოს შორის კეთილმეზობლური ურთიერთობების განმტკიცების საინფორმაციო და საგანმანათლებლო უზრუნველყოფისათვის დიდი შრომა გასწია. იგი ცდილობდა, მკითხველთა ფართო აუდიტორიისათვის მისაღები ენით, სტილითა და სიღრმით ობიექტურად მიეწოდებინა ინფორმაცია. ცხადია, იგი ვერ მოიცავდა 80-მილიონიან თურქეთს, მაგრამ საზოგადოების რაღაც სეგმენტს ნამდვილად მისწვდებოდა. თავისი ხანმოკლე არსებობის მიუხედავად, ჟურნალი „ფიროსმანი“ XXI საუკუნის 10-იან წლებში კულტურულ-საგანმანათლებლო და საინფორმაციო ველზე ქართულ-თურქული თანამშრომლობის მონაწილედ დარჩება.

**საკვანძო სიტყვები:** ჟურნალი „ფიროსმანი“, ორენოვანი, საინფორმაციო-საგანმანათლებლო საქმიანობა, სამეცნიერო-ლიტერატურული თანამშრომლობა, მოკავშირე, კეთილგანწყობა, თანამშრომლობა.

## Journal Pirosmani and the Georgian-Turkish Relations in the 2010s

### Abstract

The role of the mass media, and in particular, the printed media in the life of any society is known universally. The printed media is not merely disseminating information concerning one or another fact, it also has a great educational function, as it is a propagandist of certain values and evaluations. The ongoing complex political and economic processes in the modern world urge states and societies to seek consensus and acquire allies. To achieve this, the relevant positive informational and ideological support is necessary, and fulfilling of this function can be undertaken by the mass media, especially the printed media, which to the present day remains a power to be reckoned with. In the post-Communist period, after the collapse of the "Iron Curtain", the relations of Georgia and Turkey were changed qualitatively. The good neighbourly relationship developed more dynamically in the 2000s, which continues actively in the present period - in the 2010s. In order to maintain the current successful situation it is very important to facilitate the cultural cooperation of the two countries, two different societies. And this cannot be implemented without the knowledge and demonstration of the past and the present. In this respect, the bilingual Turkish-Georgian journal Pirosmani, established in Istanbul in 2007, directed its activities in an interesting way. The objective of the present article is exactly to study and evaluate the work of the above-mentioned journal. The journal Pirosmani was published quarterly during three years, and in total 11 issues were printed. Unfortunately, due to financial problems, its publishing was discontinued in 2010. The analysis of the journal publications has demonstrated that the editor-in-chief and the editorial board were mainly focusing their attention on issues such as Georgian literature and folklore, Turkish literature and folklore, the Georgian school of Turkology, Georgian ethnography, history of Georgia, archaeology, Georgian numismatics, architecture, Georgian music, cities of Georgia, history of Turkish-Georgian villages, impressions of travellers, successful persons of the Georgian origin, articles of the memoirs genre, the Georgian-Abkhazian and the Georgian-Ossetian relations. Interesting among the publications are the impressions of visitors travelling from Turkey to Georgia, articles of the memoirs genre, sketches. The political information concerning Georgia and the tragic war of August 2008 is represented in the Turkish language in the form of the Turkish press digest. The journal is accompanied by the chronicle of cultural events and advertisements. The material is not grouped strictly according to topics. The authors of the journal are Georgian scholars (Ts.Abuladze, V.Kiknadze, T.Shioshvili, I.Merabishvili, G.Khorava, G.Mamulia, L.Migon, L.Chlaidze, G.Gotsiridze, and others), writers (D.Turashvili, K.Ruh, F.Chiloglu, and so on), Turkish and Georgian journalists (N.Kuruiaziji, T.Artvinli, M.Kaia, L.Jighashvili, and others). The study of the publications of the journal Pirosmani leads to the conclusion that the editorial board has made a great contribution in order to serve as the informational and educational support, necessary to strengthen the good neighbourly relations between Turkey and Georgia. The journal was committed to offer to the general readership relevant information objectively, in the language, with the style and depth, acceptable to the given audience. Naturally, it could not have covered entire Turkey with the 80 million population, but it was undoubtedly accessible to its certain segments. Over the short period of its existence, the journal Pirosmani in the 2000s will remain as a participant of the Georgian-Turkish cooperation on the cultural-educational and informational arena.

**Key words:** Journal Pirosmani, bilingual, informational-educational activities, scholarly-literary cooperation, ally, good will, cooperation.

**აშესავალი.** მასმედიის და, კერძოდ, ბეჭდური მედიის როლი საზოგადოებისა და სახელმწიფოს ცხოვრებაში საყოველთაოდ ცნობილია. არ ვიქნებით ორიგინალურნი, თუ ვიტყვით, რომ მასობრივი საინფორმაციო საშუალებები მხოლოდ რაღაც მოვლენისა და ფაქტების შესახებ ამბების გამავრცელებელი სტრუქტურები არ არიან, მათ ასევე დიდი საგანმანათლებლო ფუნქციაც აქვთ. თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე რთული და სწრაფად ცვლადი პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესები ხალხებსა და სახელმწიფოებს ახალ მოკავშირეთა შეძენისაკენ უბიძგებს. ამ ვითარებაში მასმედიის, განსაკუთრებით კი

ბეჭდური მედიის როლი მეტად დიდია, რადგან მან უნდა შექმნას კეთილგანწყობილი აკადემიური საინფორმაციო-პროპაგანდისტული ფონი თავისი საზოგადოებისათვის მოკავშირეთა გასაცნობად.

მართალია, დღეს იგი სოციალურ ქსელებთან შედარებით ინფორმაციის გავრცელების სისწრაფეში ცოტა მოიკოჭლებს, მაგრამ ხმები მისი გარდაცვალების შესახებ მაინც ნაადრევია: ბეჭდური მედია საზოგადოებაში ანგარიშგასაწევ ძალად რჩება.

**მიზანი.** სსრკ დაშლის შემდეგ საქართველოსა და თურქეთის ურთიერთობები თვისობრივად შეიცვალა: XXI საუკუნის 10-იან წლებში თურქეთ-საქართველოს დინამიკური თანამშრომლობის ეტაპზე, საჭირო გახდა არა მხოლოდ რეგიონის პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობის ცოდნა, არამედ ორივე ქვეყნის კულტურული ვითარების უფრო ღრმად შესწავლა და წარმოჩენა. ამ კუთხით საინტერესოდ წარმართა თავისი საქმიანობა ქ. სტამბოლში 2007 წ. დაფუძნებულმა თურქულ-ქართულმა ორენოვანმა ჟურნალმა „ფიროსმანი“. წინამდებარე სტატიის მიზანი სწორედ ხსენებული გამოცემის კვლევა და მისი როლის დადგენაა.

**მსჯელობა.** სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოთ, ჟურნალ „ფიროსმანს“ თურქეთში თავისი წინამორბედი ჰყავდა; ეს იყო თურქულენოვანი ჟურნალი „ჩვენებური“ („Çveneburi“), რომლის პირველი ნომერი 1977 წ. გამოვიდა ქ. სტოკჰოლმში, როგორც ქართული კულტურის ცენტრის ბეჭდვითი ორგანო, და იწოდებოდა კავკასიოლოგიურ ჟურნალად. მას გამოსცემდა ხსენებული ორგანიზაციის თავმჯდომარე, ქართული წარმოშობის შვეციის მოქალაქე შანვერ აქინი. ჟურნალის გაერთიანებული მეექვსე და მეშვიდე ნომრები 1979 წ. უკვე სტამბოლში გამოსცა ლეგენდარულმა აჰმედ ოზქან-მელაშვილმა, რომელიც „ჩვენებურის“ მეპატრონე და პასუხისმგებელი რედაქტორი გახდა. გასული საუკუნის 70–80-იან წლებში, „ცივი ომის“ ეპოქაში, როცა საქართველო და მთელი კავკასია საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შედიოდა, თურქეთში კი უმწვავესი პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისი მძვინვარებდა ორი სამხედრო გადატრიალების გამო, ამ ტიპის ჟურნალის გამოცემა იოლი არ იყო.

აჰმედ ოზქანის პროქართული საქმიანობა 1980 წ. მისი სიკვდილის მიზეზი გახდა. ჟურნალის გამოცემა შეწყდა. მისი ბეჭდვა მხოლოდ 1993 წლიდან განახლდა და გაგრძელდა 2006 წლამდე. იმხანად მფლობელი და პასუხისმგებელი რედაქტორი ოსმან მერჯანი იყო, რომელიც თანამოაზრეებთან ერთად იღვწოდა „ჩვენებურის“ ფურცლებზე ახალი ეპოქის – საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომი პერიოდის – საქართველოსა და თურქეთის პოლიტიკური ურთიერთობები და ქართული კულტურის მიღწევები გაეცნო თურქული საზოგადოებისათვის. შ. აქინის, ა. ოზქან-მელაშვილის, ო. მერჯანის, რედკოლეგიის წევრთა ცოდნამ, მონდომებამ და წინდახედულებამ დაგვიტოვა მეტად საინტერესო, აკადემიური და დაბალანსებული პუბლიკაციები, რომლებიც მკითხველთა და მკვლევართა ინტერესის საგანი კიდევ დიდხანს იქნება.

2007–2010 წლებში „ჩვენებურის“ ნიშა დაიკავა ორენოვანმა, ილუსტრირებულმა, მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე გამოცემულმა ჟურნალმა „ფიროსმანი“, გამოდიოდა სამ თვეში ერთხელ. მისი მფლობელი, ქართული წარმოშობის თურქეთის მოქალაქე შენოლ თაბანი იყო, მთავარი რედაქტორი – ფაჰრედინ ჩილოღლუ, იგივე ფარნა-ბექა ჩილაშვილი, რომელმაც სრულიად ახალგაზრდამ ჩინებული წრეობა გაიარა თურქეთის სხვადასხვა პერიოდულ გამოცემებსა და ხსენებულ ჟურნალ „ჩვენებურშიც“.

რედკოლეგიაში მთავარმა რედაქტორმა შემოიკრიბა საინტერესო პიროვნებები, რომელთა შორის იყვნენ ქართული ფესვების მქონე თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქეები და ქართველები საქართველოდან. სამი წლის განმავლობაში ჟურნალის თერთმეტი ნომერი გამოვიდა. 2010 წ. ფინანსური პრობლემის გამო ჟურნალის გამოცემა, სამწუხაროდ, შეწყდა.

ჟურნალ „ფიროსმანის“ სტატიების შესწავლამ გვიჩვენა, რომ ისინი თემატურად ეხება: ქართულ ლიტერატურასა და ფოლკლორს, თურქულ ლიტერატურასა და ფოლკლორს, თურქოლოგიის ქართულ სკოლას, ქართულ ეთნოგრაფიას, საქართველოს ისტორიის ზოგიერთ პერიოდს, ქართულ ნუმისმატიკას, ქართული არქიტექტურის ზოგიერთ საკითხს, ქართულ მუსიკას, საქართველოს ქალაქებს, თურქულ-ქართულ სოფლებს, ქართულ-აფხაზურ, ქართულ-ოსურ ურთიერთობებს, მოგზაურობის შთაბეჭდილებებს, ქართული წარმოშობის წარმატებულ პიროვნებებს თურქეთში, ვხვდებით მხატვრულ ჩანახატებს, მემუარული ხასიათის პუბლიკაციებს. პოლიტიკური ინფორმაცია საქართველოს შესახებ თურქული პრესის დაიჯესტიტა და იასინ ონჯუს ორი თურქულენოვანი სტატიითაა წარმოდგენილი:

პირველია: „რუსების პროპაგანდისტული სიცრუე“ [„Pirosmani“, 2009, №8:59–60], მეორე კი „რას მოუტანს საქართველოს ნაბუკო?“ [„Pirosmani“, 2010, №10:58–59]. როგორც ცნობილია, ჟურნალ-გაზეთებში მასალა რუბრიკების შესაბამისად თემატურადაა დაჯგუფებული. „ფიროსმანში“ რუბრიკათა მკაცრად დაცულ სტანდარტს (ვთქვათ, პოლიტიკა, ეკონომიკა, კრიმინალი, ხელოვნება, სპორტი) არ ვხვდებით. ასე, მაგალითად: 2009 წლის ორი კვარტლის გაზაფხული-შემოდგომის გაერთიანებულ IX ნომერში სტატიები შემდეგნაირადაა დალაგებული: 1. რედაქტორის სვეტი: „სოფლისაკენ მიმავალი გზა“, ავტორი ფაპრედინ ჩილოღლი; 2. ირინე გივიაშვილის „ბათუმი – მონატრების ქალაქი“; 3. დათო ტურაშვილის „ჯინსების ქართული ისტორია“; 4. ქვესერ რუჰის „ჭიანჭველასავით ვიცხოვრე“ (უხედა ქართული წარმოშობის ცნობილი ბიზნესმენისა და იზმირში საქართველოს საპატიო კონსულს ნურეთინ ჩარმიქლის ცხოვრებასა და საქმიანობას); 5. პროფ. ვაჟა კიკნაძის „სტამბოლი და აია-სოფია ქართველ მოგზაურთა ჩანაწერებში“; 6. პროფ. ლია ჩლაიძის „მუჰაჯირული და უსამშობლოობის პოეზია“; 7. მელიქე თეგიუნის ნოველა „კარგად დაიფარე“; 8. ხათუნა თოდაძის „ოსები საქართველოში და განმეორებული ისტორია“; 9. ქვესერ რუჰის „დარბაისლური თბილისი“ (ავტორის მოგონებებია 1989 წ. საქართველოში მისი პირველი სტუმრობის შესახებ); 10. შენოლ თაბანის „მამაჩემი, აიდინი, პირველი მაისი და პიესა“ (მოგონებები ოჯახსა და ბავშვობაზე); 11. ნინო ოქროსცვარიძის „იარმარკა“ – რუსიფიკაცია ქართულ ეროვნულ ეკონომიკაში“; 12. საქველმოქმედო ფონდი „ერთგულება“; 13. ფაზისი.

ჩვენი აზრით, თემატურად დაჯგუფებული მასალის წარმოდგენა უმჯობესი იქნებოდა, რადგან საკითხზე ფოკუსირებას, მის გააზრებას ხელს უფრო შეუწყობდა.

„ფიროსმანის“ ყოველი ნომერი იწყება მთავარი რედაქტორის სვეტით, შეიცავს ცამეტიდან თვრამეტ ერთეულამდე სტატიას, საქართველოს შესახებ თურქული პრესის დაიჯესტს, კულტურის ქრონიკასა და რეკლამას. გვერდების რაოდენობის მიხედვით ჟურნალის მოცულობა 60–65 გვერდია.

პირველ ნომერში მთავარი რედაქტორი თავის წერილში „ორენოვანი წამოწყება“ წერდა: „ორენოვანი ჟურნალი, ისევე როგორც მსოფლიოს სხვა მრავალ ქვეყანაში, არც თურქეთში არაა ახალი ამბავი, მაგრამ თუ საქმე ქართულ-თურქულ ჟურნალს შეეხება, მაშინ თამამად უნდა ვთქვათ, რომ ეს ნამდვილად სრულიად ახალი და უჩვეულო ამბავია. მაშინ, როდესაც თურქეთის არც ერთ უნივერსიტეტში არ ისწავლება არც ქართული ენა და ლიტერატურა, არც ქართველოლოგიის განხრა არსებობს, ასეთი ჟურნალის გამოცემა მართლაც რომ რიგგარეშე და დიდად მნიშვნელოვან მოვლენად უნდა ჩაითვალოს, არც გამომცემლებში ურევია ვინმე ქართველოლოგი. მაგრამ როდესაც შენი ფესვები სწორედ ქართველოლოგთა შესწავლის საგნად გამხდარი უძველესი კულტურიდან მოდის, ამ კულტურის პატივისცემა და სისხლის ყივილი ორენოვან ჟურნალსაც გამოგაცემინებს“ [„Pirosmani“, 2007, №1:3].

ჟურნალი, რომელსაც დიდი ქართველი მხატვრის პატივისცემად ეწოდა სახელი, პირველსავე ნომერში დურმუშ აქბულუთის სტატიით „ნიკო და მარგარიტა“ თურქ მკითხველს ფიროსმანის ტილოს „აქტრისა მარგარიტას“ აცნობს: „...ეს ნახატი ორი, ერთმანეთსაგან საწინააღმდეგო სამყაროს შეჯახებას ასახავს: მარგარიტას კდემამოსილების გამომხატველი, მისი მოთეთრო გამაში გადაწყვეტილი სილუეტი მკვეთრ კონტრასტშია მის ფენტეჯში მდებარე გრუნტის ჩამუქებულ ტონებთან. ქვიანი გრუნტი თითქოს უხეში და ველური ცხოვრების სისასტიკის სიმბოლოაა წინა პლანზე წამოწეული. ტოტებადაჭრილი ხეები კი თითქოს ამ სისასტიკის უტყვი მოწმეების სახითაა წარმოდგენილი, რომელიც მათ ახლო წარსულში დაატყდათ თავს. სინაზისა და ამაღლებულისაგან დაშორებული ყველაფერი უხეში და მახინჯი მუქი ტონებითაა და მკვეთრი ნახაზებითაა შესრულებული, ხოლო ყველაფერი ამაღლებული და მომხიბლავი – ღია და ნათელი ტონებით“. „...არავინ იცის, სინამდვილეში ჰგავს თუ არა, ან რამდენად ჰგავს ეს ნახატი ნამდვილ მარგარიტას. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მარგარიტა პოზირებდა მხატვარს. ისიც შესაძლებელია, რომ მხატვარს მხოლოდ თავისი ფანტაზიის წყალობით ჰყავდა დახატული ეს ქალი, როგორც ვენერა. მარგარიტამ ასეთი სახით ჩვენამდე მხოლოდ ფიროსმანის მეტად თავისებური და მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ფუნჯის წყალობით მოაღწია“ [„Pirosmani“, 2007, №1:6–8].

ჟურნალ „ფიროსმანში“ გამოქვეყნებულ სტატიათა შორის ერთ-ერთი მეტად მნიშვნელოვანი ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორის, პროფ. ცისანა აბულაძის წერილებია: 1. „თურქულენოვანი ხელნაწერები და ოსმალური საბუთები ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში“ [„ფიროსმანი“, 2008, გაზაფხული, №4:41–43]; 2. „რაზე მუშაობენ ქართველი თურქოლოგები“ [„ფიროსმანი“, 2009, ზამთარი, №7:18–22], რომლებშიც ავტორი

ქართული თურქოლოგიური სკოლის მიერ გაწეულ საქმიანობისა და ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული მეტად ღირებული ოსმალური დოკუმენტების შესახებ მოუთხრობს მკითხველს.

საყურადღებოა ქართული ლიტერატურისა და ფოლკლორისადმი მიძღვნილი პუბლიკაციები, კერძოდ, პროფ. მაკა ელბაქიდის სტატია „რუსთაველი და მისი ვეფხისტყაოსანი“ [„Pirosmani“, 2008, ზაფხული, №5:22–25], რომელშიც მოკლედ განიხილავს ისეთ საკითხებს, როგორცაა ამ უკვდავი ნაწარმოების ეპოქა, ავტორი, ჯვრის მონასტერი, ქალის კულტი, მსოფლმხედველობა, სოციალურ-პოლიტიკური შეხედულებები, ხელნაწერები, გამოცემები, თარგმანები; ასევე ნაზიმ თაზანის წერილი „სიყვარულის, პატრიოტიზმის და გმირობის კულტი“ [„Pirosmani“, 2008, ზაფხული, №5:42–44]; შურედდინ მემედლისა და გულნარა გოჯას „ნავროზობა „ვეფხისტყაოსანში“ [„Pirosmani“, 2008, ზაფხული, №5:54–55]; პროფ. ინესა მერაბიშვილის სტატია „გალაქტიონი“ [„Pirosmani“, 2008, გაზაფხული, №4:23–28]; ზოია ცხადაიას „ქართული პოეზიის დედოფალი – ანა კალანდაძე“ [„Pirosmani“, 2008, ზაფხული, №5:10–13]; ლორან მინიონის პუბლიკაციებიდან უპირველესად უნდა აღვნიშნოთ – „მინდიას ტრაგედია“ [„Pirosmani“, 2007, ზაფხული, №1:17–19] და „ოლივერ უორდროპის კვალდაკვალ“ [„Pirosmani“, 2008, შემოდგომა, №6:29–31]; თინა შიოშვილის „ქართული ხალხური ნადური ლექს-სიმღერები“ [„Pirosmani“, 2009, გაზაფხული, №8:49–55]; მისივე, „რუსეთ-თურქეთის ომებისა და აჭარელთა მუჰაჯირობის ამსახველი ფოლკლორი“ [„Pirosmani“, 2008, შემოდგომა, №6:4–7].

დაინტერესებული მკითხველი გვერდს არ აუვლის იმ პუბლიკაციებს, რომლებიც თურქულ ლიტერატურასა და ფოლკლორს ეხება. ესენია: ნილუფერ კურუიაზიჯის „ორი მწერალი და ერთი სტამბოლი“ [„Pirosmani“, 2008, გაზაფხული, №4:6–8], რომელშიც ავტორი ორჰან ფამუქისა და სევგი ოზდამარის შეხედულებებზე მსჯელობს; ქევსერ რუჰის „მარტოსული ორჰან ველი“ [„Pirosmani“, 2008, გაზაფხული, №4:13–17]; ლორან მინიონის წერილი „ახალშობილი, ია და ბაბილონის გოდოლი“ [„Pirosmani“, 2007, შემოდგომა, №2:17–19] ათაოლ ბეჰრამოღლუს პოეზიაზე; თანერ ართვინლის „კუდიანები ართვინის მოსახლეობის რწმენაში“ [„Pirosmani“, 2008, გაზაფხული, №4:29–32]; მურად შაჰინის „უნიეს ქართველების ანდაზები“ [„Pirosmani“, 2007, ზაფხული, №1:47–48], რომელსაც „ჩვენებურთა“ ქართულის პატარა ლექსიკონი ერთვის; პროფ. ლ. ჩლაიდის „ხოჯა ნასრედინი კავკასიაში“ [„Pirosmani“, 2008, ზაფხული, №5:15–17]; მისივე „ვინ შეიძლება იყოს „ქორქუთის წიგნის“ შუქლი მეფე?“ [„Pirosmani“, 2008, შემოდგომა, №6:12–14]. სტატიაში ავტორი შეეცადა დაედგინა თურქული ფოლკლორის მარგალიტის, „წიგნი პაპაჩემის ქორქუთისა ოღუზთა ტომის ენაზე“ ერთ-ერთი პერსონაჟის, შუქლი მეფის ვინაობა. მისი აზრით, იგი გიორგი ბრწყინვალე უნდა იყოს. აქვე უნდა მოვიხსენიოთ ლ. ჩლაიდის მესამე სტატიაც ჩრდილო კავკასიელი ხალხების „მუჰაჯირულ და უსამშობლოობის პოეზიას“ რომ მიეძღვნა [„Pirosmani“, 2009, ზაფხული-შემოდგომა, №9:31–36].

არ შეიძლება, არ აღვნიშნოთ „ფიროსმანის“ ის პუბლიკაციები, რომელიც ეთნოგრაფიას, ისტორიას, არქეოლოგიასა და ნუმისმატიკას ეხება, კერძოდ: მაია ზურაშვილის „ხალხური დღესასწაულების ისტორიიდან – ბერიკაობა საქართველოში“ [„Pirosmani“, 2007, გაზაფხული, №1:25–31]; მთვარისა თარხნიშვილის ოთხი წერილი: 1. „გველის კულტი ქართულ კულტურაში“ [„Pirosmani“, 2007, შემოდგომა, №2:15–16]; 2. „ღვინის კულტი საქართველოში“ [„Pirosmani“, 2008, ზაფხული, №5:36–38]; 3. „მთვარისა და ხარის კულტი ქართულ მითოლოგიაში“ [„Pirosmani“, 2007, ზაფხული, №1:9–10]; 4. „ახალი წლის ტრადიცია საქართველოში“ [„Pirosmani“, 2009, ზამთარი, 29–32]; გიორგი გოცირიძის „ღომის კულტურა საქართველოში“ [„Pirosmani“, 2008, ზაფხული, №4:9–12]; ირმა ბერიძის წერილი „ქართული ღვინო“ [„Pirosmani“, 2007, შემოდგომა, №2:7–10]; ომერ ონატის „ქართული სამზარეულო“ [„Pirosmani“, 2007, შემოდგომა, №2:56]; თამაზ ფუტყარაძის „მარიობის დღესასწაული შავშეთში“ [„Pirosmani“, 2008, გაზაფხული, №4:50–52]; მაია ზურაშვილის „სისხლის ალების ტრადიცია საქართველოს მთიანეთში“ [„Pirosmani“, 2010, ზამთარი-ზაფხული, №10:39–42]; ბეჟან ხორავასა და ზაზა წურჭუმეას „რუსეთის მიერ აფხაზეთის დაპყრობა და აფხაზეთა მუჰაჯირობა“ [„Pirosmani“, 2008, შემოდგომა, №6:25–28]. ავტორები შემზარავ სტატისტიკას გვაცნობენ: 1867 წ. აფხაზეთიდან მუჰაჯირობაში წავიდა 18342 ადამიანი, 1877 წ. კი – 32000; ასევე გიორგი მამულიას „ახლად აღმოჩენილი მოგონებები საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის შესახებ“ [„Pirosmani“, 2010, ზაფხული, №11:36–51]; მაია პატარიძის წერილი „კოლხური თეთრი“ [„Pirosmani“, 2007, №2:20–22]; მერი ანთაძის „არტანუჯის ხარაფხანა“ [„Pirosmani“, 2008, გაზაფხული, №4:53–55]; დავით ლორთქიფანიძის „დმანისელი“ [„Pirosmani“, 2008, ზაფხული, №5:7–9]; ნინო სილაგაძის „მარტირიუმების და სამარხების ნიმუშები ახლო აღმოსავლეთსა და საქართველოში“ [„Pirosmani“, 2010, ზამთარი-გაზაფხული, №10:47–50]; ზიზი თორთლაძის „ანტიკური იბერიის არქეოლოგიური აღმოჩენა – ილარი“ [„Pirosmani“, 2008, ზაფხული, №5:39–41] და სხვ.

აიღინ აქინის სტატია „ქართული პოლიფონიის შესახებ“ [„Pirosmani“, 2008, შემოდგომა, №6:44–47], როგორც სათაურიდანვე ჩანს, ქართულ მუსიკას ეძღვნება. იგი მუსიკალურ ინსტრუმენტებზეც მსჯელობს და ნიმუშად მათი ილუსტრაციებიც მოჰყავს.

ცალკეული წერილები მიეძღვნა ცნობილ ქართველ თუ უცხოელ მეცნიერებს, საზოგადო მოღვაწეებს, ბიზნესისა და ხელოვნების სფეროს წარმომადგენლებს. მათ შორის უნდა აღვნიშნოთ შემდეგი: ნინო ყულოშვილისა და დალი ჩიტუნაშვილის „ბერნარ უტიე – ქართული კულტურის ელჩი საფრანგეთში“ [„Pirosmani“, 2008, შემოდგომა, №6:41–43]; ნანა კაჭარავას „მშვიდობით, ბატონო ნოდარ“ [„Pirosmani“, 2009, ზამთარი, №7:37–39] ქართული თურქოლოგიური სკოლის ერთ-ერთი თვალსაჩინო წევრის – მკვლევრისა და პედაგოგის გარდაცვალებასთან დაკავშირებით რომ დაიწერა; ერდალ ქუჩუქის „თავდაბალი მიქელაძე: ისმეთ დინდარი“ [„Pirosmani“, 2007, შემოდგომა, №2:40–42] ცნობილი ექიმის შესახებ გვიამბობს; ქვესერ რუჰიმ ორ წერილში დაახასიათა არქიტექტორის, ჟურნალისტისა და საზოგადო მოღვაწის აჰმედ მელაშვილის ცხოვრება: 1. „დიდი ხნის წინათ და დიდი ხნის შემდეგ“ [„Pirosmani“, 2008, ზაფხული, №5:4–6]; 2. „აჰმედ ოხჟან-მელაშვილის გახსენება“ [„Pirosmani“, 2010, №11:4–8]; ერდალ ქუჩუქის „რუშთუ ბოხქურთი – გამორჩეული ქართველი“ [„Pirosmani“, 2009, ზამთარი, №7:45–49] ეკონომისტს, მკვლევარს, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორს გვაცნობს; ქვესერ რუჰიმის „ისმეთ აჯარის მოგონებები“ [„Pirosmani“, 2010, ზამთარი-გაზაფხული, №10:14–19] – ქართული წარმოშობის ცნობილ ბიზნესმენს; ქ. რუჰიმ ერთი წერილი უძღვნა უდროოდ წასულ „სიყვარულით სავსე ლაზს“, ქაზიმ კოიუნჯუს – მუსიკოსსა და მომღერალს.

მოგზაურობის შთაბეჭდილებებსა და თურქეთის სხვადასხვა რეგიონში განვლილი ცხოვრების მოგონებებს გვაცნობენ მუსტაფა იაკუტი – „თბილისი 20 წლის შემდეგ“ [„Pirosmani“, 2007, შემოდგომა, №2:38–39], შენოლ თაბანი [„Pirosmani“, 2007, №2:28–31; 2008, №5:45–46; 2009, გაზაფხული, №8:44–48]; მირჯან კარა – „მოგზაურობა საქართველოში მუსიკის თანხლებით“ [„Pirosmani“, 2010, ზაფხული, №11:25–29]; ქვესერ რუჰი – „ბებიაჩემი“ [„Pirosmani“, 2008, შემოდგომა, №6:15–17], „ბენ გიდერუმ ბათუმა“ [„Pirosmani“, 2009, ზამთარი, №7:52–56]; ფაჰრედინ ჩილოღლუ – „როცა თოვს“ [„Pirosmani“, 2010, ზამთარი-გაზაფხული, №10:30–33].

საინტერესო მხატვრული ნარკვევების ავტორებად გვევლინებიან ბედისა ელოღლუ, ავტორია პუბლიკაციისა „მე შენი კაემნიანი ქარი შევიყვარე“ [„Pirosmani“, 2010, ზამთარი-გაზაფხული, №10:51–53], მელიქე თეგუნი – „კარგად დაიფარე“ [„Pirosmani“, 2009, ზაფხული-შემოდგომა, №9:37–41] და სხვ.

**დასკვნა:** ჟურნალ „ფიროსმანის“ პუბლიკაციებზე კიდევ შეიძლება გვემსჯელა, მაგრამ ამჯერად აღნიშნულით შემოვიფარგლებით. დასკვნის სახით უნდა ვთქვათ, რომ რედკოლეგია და ავტორები ცდილობდნენ თურქულ და ქართულენოვან მკითხველთა ფართო აუდიტორიისათვის სადა ენით, სტილითა და სიღრმით, ობიექტურად მიეწოდებინათ შემეცნებითი ინფორმაცია მეცნიერების, ხელოვნების, კულტურის სხვადასხვა სფეროსთან დაკავშირებულ საკითხებზე. ცხადია, აღნიშნული ჟურნალი თავისი მოკრძალებული შესაძლებლობიდან გამომდინარე, 80-მილიონიან თურქეთს ვერ მოიცავდა, მაგრამ საზოგადოების რაღაც სეგმენტს ნამდვილად სწვდებოდა.

თურქეთის რესპუბლიკაში ქართული, საზოგადოდ კავკასიური არა ერთი კულტურის ცენტრი არსებობს. თუ ამ ცენტრებს განვიხილავთ პოტენციურ კეთილგანწყობილ მოკავშირეებად, ისიც უნდა გავაგებინოთ, რა ისტორიული და კულტურული წარსული გვაქვს, რა ფასეულობებით ვსაზრდოობთ დღეს და ვემზადებით ხვალინდელი დღისათვის.

ჟურნალი „ფიროსმანი“ (და მისი მსგავსი დიდი თუ პატარა გამოცემებიც) ცდილობენ ორ მეზობელ ქვეყანას შორის კეთილმეზობლური ურთიერთობის განსამტკიცებლად საინფორმაციო-საგანმანათლებლო საქმიანობა უზრუნველყონ. დაბალანსებული სარედაქციო პოლიტიკის წყალობით რედკოლეგიამ ეს შეძლო.

თავისი ხანმოკლე არსებობის მიუხედავად, ჟურნალი „ფიროსმანი“ კულტურულ-საგანმანათლებლო და საინფორმაციო ველზე XXI საუკუნის 10-იანი წლების ქართულ-თურქული თანამშრომლობის მონაწილედ დარჩება.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. Pirosmani (2007, ზაფხული) – Pirosmani/ფიროსმანი, №1, სტამბოლი, 2007.

2. Pirosmani (2007, შემოდგომა) – Pirosmani/ფიროსმანი, №2, სტამბოლი, 2007.
3. Pirosmani (2008, გაზაფხული) – Pirosmani/ფიროსმანი, №4, სტამბოლი, 2008.
4. Pirosmani (2008, ზაფხული) – Pirosmani/ფიროსმანი, №5, სტამბოლი, 2008.
5. Pirosmani (2008, შემოდგომა) – Pirosmani/ფიროსმანი, №6, სტამბოლი, 2008.
6. Pirosmani (2009, ზამთარი) – Pirosmani/ფიროსმანი, №7, სტამბოლი, 2009.
7. Pirosmani (2009, გაზაფხული) – Pirosmani/ფიროსმანი, №8, სტამბოლი, 2009.
8. Pirosmani (2009, ზაფხული-შემოდგომა) – Pirosmani/ფიროსმანი, №9, სტამბოლი, 2009.
9. Pirosmani (2010, ზამთარი-გაზაფხული) – Pirosmani/ფიროსმანი, №10, სტამბოლი, 2010.
10. Pirosmani (2010, ზაფხული) – Pirosmani/ფიროსმანი, №11, სტამბოლი, 2010.

## გლობალიზაციის ზოგი პრობლემური საკითხი, კულტურათა შორის კომუნიკაცია და მთარგმნელობითი მუშაობის პრინციპები ნიკო ჩუბინაშვილის ლექსიკონში

მარიამ კობერიძე

პროფესორი,  
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი,  
საქართველო

### აბსტრაქტი

მოხსენებაში გაანალიზებულია ნიკო ჩუბინაშვილის „ქართულ ლექსიკონში“ დადასტურებულ მეცნიერების ამა თუ იმ დარგის ტერმინები, საკუთარ სახელები, მოძველებული და ხმარებიდან გამოსული, უცხოურ და დიალექტური სიტყვები და ზმნების ლექსიკონებში შეტანის წესები. ყურადღებას გავამახვილებთ მთარგმნელობითი მუშაობის ზოგად პრობლემებზე. ნიკო ჩუბინაშვილს ლექსიკონში არ შეუტანია ის უცხოურ სიტყვები, რომლებსაც ქართულში შესატყვისობანი მოეპოვებოდათ. უცხოური სიტყვებიდან მხოლოდ ის ნაწილი დაუტოვებია, რომლებიც არა მარტო ქართულში, არამედ მსოფლიოს ყველა ენაში დამკვიდრდნენ როგორც ტერმინები (რელიგიური ტერმინოლოგია, მეცნიერული დისციპლინების აღმნიშვნელი ტერმინები, თანამდებობა-წოდების აღმნიშვნელი ტერმინები). მისი მოსაზრებები თანამედროვეობასთან მიმართების თვალსაზრისით აქტუალურია კულტურათა შორის კომუნიკაციისა და გლობალიზაციის პროცესებთან დაკავშირებით.

**საკვანძო სიტყვები:** ნიკო ჩუბინაშვილი, ენა, კულტურა, ლექსიკონი, გლობალიზაცია, კომუნიკაცია.

### Some Problematic Issues of Globalization, Communication Between Cultures and Principles of Translation Work in the Dictionary of Niko Chubinashvili

#### Abstract

In the report are analyzed terms of certain scientific field of proved science in Niko Chubinashvili's „Georgian Dictionary“, personal names, old and words out of use, also foreign and dialectic words and rules for inputting the verbs in the dictionary. We will focus on general problems of translation work. Niko Chubinashvili did not input in the dictionary those foreign words, which had equivalent in Georgian. From the foreign words he input only that part, which were established in Georgian and as well as in all languages of the world, as the terms (religious terminology, terms for scientific disciplines, terms for the position-rank). His opinions in relation towards the modernity are actual connecting with the processes of communication and globalization between cultures.

**Keywords:** Niko Chubinashvili, language, culture, dictionary, globalization, communication

ნიკო ჩუბინაშვილი კულტურის ისტორიაში ცნობილია, როგორც XIX საუკუნის პირველი ნახევრის ღვაწლმოსილი პიროვნება: მთარგმნელი, არქეოლოგი, ლექსიკოგრაფი. პროფესორ ალექსანდრე ცაგარელის ცნობით, ნიკო ჩუბინაშვილი დაიბადა თბილისში 1790 წელს, 1825-1837 წლებში მუშაობდა პეტერბურგში საგარეო საქმეთა სამინისტროში, გარდაიცვალა პეტერბურგში 1847 წელს (ცაგარელი 1894, გვ. 58).

ლექსიკოგრაფიული და მთარგმნელობითი მუშაობა ნიკო ჩუბინაშვილს ერთდროულად დაუწყია. მას უმეტესად უხდებოდა დოკუმენტებისა და წიგნების თარგმნა ან ქართულიდან რუსულად, ან რუსულიდან ქართულად. ნიკო ჩუბინაშვილს დაუმსახურებია ქართული და რუსული ენების საუკეთესო სპეციალისტისა და მთარგმნელის სახელი. იოანე ბაგრატიონის თხზულებაში „მცირე უწყება ქართველთა მწერალთათვის“, რომელიც „კალმასობის“ განუყოფელი ნაწილია, ნიკო ჩუბინაშვილი ერთ-ერთ

გამოჩენილ მთარგმნელად არის მოხსენებული (ბატონიშვილი, 1948, გვ. 213). მისი ლექსიკოგრაფიული შრომებიდან აღსანიშნავია, „ქართული ლექსიკონი რუსული თარგმანითურთ“ და „მოკლე რუსულ-ქართული ლექსიკონი“, რომლებიც გამოუქვეყნებელი დარჩა.

E„ქართული ლექსიკონი (С русским переводом)“-ის ერთი ავტოგრაფიული ხელნაწერი ინახება თბილისში კ. კეკელიძის ხელნაწერთა ინსტიტუტში დავით ჩუბინაშვილის კოლექციაში, მეორე-ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილებაში, იოანე ბატონიშვილის კოლექციაში. აღნიშნული ლექსიკონი პირველად დაიბეჭდა 1861 წელს ალექსანდრე დლონტის რედაქციით, გამოკვლევიტა და ბოლოსიტყვაობით (დლონტი, 1961, გვ. 6). ნიკო ჩუბინაშვილი თავის ლექსიკონს უწოდებს „საბა-სულხან ორბელიანისაგან შეთხზულს და მცირედ გამართულს სისტემისაებრ მისისა“ (ჩუბინაშვილი, 1961, გვ. 99).

ნიკო ჩუბინაშვილი ლექსიკონის შესავალში ვრცლად ახასიათებს საბას ნაშრომის მეთოდოლოგიას („სისტემა საბასი არს ესრეთიო“) და საგანგებოდ აანალიზებს თავის ნაშრომში გამოყენებულ საბასეულ ხერხებს.

ნიკო ჩუბინაშვილს ლექსიკონის აგების საბასეული პრინციპებიდან მოსწონებია:

1. ლექსიკონზე ისეთი შესავლის დართვა, რომელშიც განმარტებულია ქართული ენის ბგერითი სისტემა, მარცვალი და სიტყვის აღნაგობის, ეტიმოლოგიის გზები მან ეს ხერხი გამოიყენა თვითონაც. ლექსიკონის შესავალში სწორედ ეს საკითხებია განხილული. 2. „მონათესავე სიტყვათა (სინონიმთა)“ ერთ ბუდეში მოქცევა. 3. სიმბოლური ნიშნების ხმარება ცალკე გვარეობის სიტყვათა აღსანიშნავად: „სიმოკლისათჲს ლექსთა განმარტებისა საბას ფრიად კეთილად უხმარიან საზოგადონი ნიშანნიო“. ამ ნიშნებს იყენებს ნიკო ჩუბინაშვილი თავის ლექსიკონში. 4. წყაროების დამოწმების წესი. ამ წესის სუსტ დაცვას ვხვდებით ნიკო ჩუბინაშვილის ლექსიკონში. 5. სიტყვათა სადაურობის ჩვენება. „ქართულთა ლექსთა თანა ზედ მოუწერიან ლექსნი იტალიანთა, თურქთა და სომეხთაანი, რომელნიცა აჩვენებენ, უკეთუ მათ ენათაგან მიღებულ არიან ქართულად ლექსნი იგი, ფრიად საქებელი ესე სისტემა საბასი დაცვულ არს მცირედ განმართულსა ამას ლექსიკონსა შინა“ (ჩუბინაშვილი, 1961, გვ. 17).

ამრიგად, ნ. ჩუბინაშვილს სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონისაგან უსესხია ლექსიკონის აგების ძირითადი პრინციპები, წყაროების დამოწმების მეთოდოლოგია, სიტყვათა ანოტაცია-განმარტებანი. თუმცა, საბასეულ პრინციპებში მას საკუთარიც ბევრი ჩაურთავს (დლონტი, 1961, გვ.6).

ნიკო ჩუბინაშვილმა არსებითი ცვლილება შეიტანა ლექსიკონის აგების სტრუქტურაშიც. მან თავის ლექსიკონში არ შეიტანა: 1. უცხო წარმოშობის საკუთარი სახელები (ადამიანების, ადგილების, ქალაქების, მდინარეების);

2. უცხო წარმოშობის არაპოპულარული სიტყვები, რომლებიც გვხვდებიან საბას ნაშრომში. მაგალითად, იოანე პეტრიწის თარგმანებიდან და „სხოლიუებიდან“ ამოკრებილი სიტყვების შესახებ. ამ სიტყვების შეუტანლობას ავტორი ასაბუთებს შემდეგი არგუმენტით: „ განმარტებანი ესე, ვითა სხოლიონნი შესაძლო არიან მოწერად თჲთ მათ ადგილთა ზედა კავშირის წიგნისათა, სადაცა იპოვებიან იგინი, რამეთუ მხოლოდ მუნ არიან ხმარებულ და რა თუ საზოგადოსა შინა საუბარსა და არცა ეკუთვნიან ქართულსა ლექსიკონსა“ (ჩუბინაშვილი, 1961, გვ. 56-57). ნ. ჩუბინაშვილი დგას მართებულ თვალსაზრისზე: ქართულ ლექსიკონში ადგილი უნდა დაეთმოს ისეთ სიტყვებს, რომლებიც ან ხმარებაშია ახლა, ან იხმარებოდა. ეს განსაზღვრავს ლექსიკონში სიტყვის შეტანა-შეუტანლობის საკითხს (დლონტი, 1961, გვ. 19).

3. ნიკო ჩუბინაშვილს საჭიროდ არ დაუნახავს უცხოურ სიტყვათა ისეთი უხვად შეტანა ლექსიკონში, როგორც ამას საბას ნაშრომში ვხვდავთ. ამიტომ ქართულ ენაში დამკვიდრებული უცხოური სიტყვები ავტორს გულმოდგინედ გაუცხრილავს და მისი მხოლოდ ის ნაწილი დაუტოვებია ლექსიკონში, რომელიც ფართო ხმარებაში იყო და მეცნიერების ამა თუიმ დარგის კუთვნილებას შეადგენდა. ყველა უცხოურ სიტყვას მიწერილი აქვს სადაურობა, ბერძნულსა და ლათინურ სიტყვებს-მართლწერა ბერძნულისა და ლათინურის ტრანსკრიფციით. თურქულსა და სომხურ სიტყვებს კი-ქართული ტრანსკრიფციით. ნიკო ჩუბინაშვილს მრავალი უცხოური სიტყვის მართლწერა დაუდგენია და სათანადო წყაროებში შეპარული შეცდომები გაუსწორებია.

4. მოძველებული სიტყვები და გამოთქმები. 5. ლექსიკონში არ შეუტანია ის უცხოურ სიტყვები, რომლებსაც ქართულში შესატყვისობანი მოეპოვებოდათ. უცხოურ სიტყვათა მხოლოდ ის ნაწილი დაუტოვებია,

რომლებიც არა მარტო ქართულში, არამედ მსოფლიოს ყველა ენაში დამკვიდრდნენ როგორც ტერმინები. ამ ტერმინებიდან შეიძლება გამოვყოთ: 1. რელიგიური ტერმინოლოგია: აბბა, ანგელოსი, ანაფორა, ანტიფონი, ალაპი, ბარბაროსი, ბალი, ერეტიკოსი, ტიპიკონი, ტრაპეზი... 2. მეცნიერული დისციპლინების აღმნიშვნელი ტერმინები: ალქიმია, ართრონი, ანდრიატი, ფალანგა, ქიმია, ფილოსოფია, ღრამმატიკა ... 3. წოდება-თანამდებობის სახელწოდებანი: ანთუიპატი, არხიმანდრიტი, აქიმი, ეპისკოპოსი, ეპიტროპოსი... 4. ნიკო ჩუბინაშვილს ლექსიკონში შეუტანია საბას ლექსიკონისაგან განსხვავებული უცხოური წარმოშობის სიტყვები. მაგ. : თაბახი ( ღრმა ტაბაკი ანუ მრგალი ვარცლი//მრთელი ფურცელი ქალაღლისა), თაღარი (ტაგანი, სამის კოდის საწყაო), თარჯი (გალავანი ქალაქთა), კომეტი (კუდიანი ვარსკვალავი), ტიპიკონი (წიგნი საეკლესიოთა ლოცვათა და საგალობელთა წესისა და განგებისა), ტიტლო, ტიტული ( ზედაწარწერა კაცთა ღირსებისა) და სხვა. ამ სიტყვების უმეტესობა ქართულ წყაროებშიც გვხვდება დამოწმებული.

სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონიდან“ აღებული უცხოური წარმოშობის სიტყვები, რომლებიც შეტანილია ნიკო ჩუბინაშვილის ლექსიკონშიც, ავტორს ხელმეორედ შეუჯერებია არსებულ წყაროებთან, უფრო იმდროინდელ რუსულ ლექსიკოლოგიურ ნაშრომებთან, ახლებურად, თანამედროვეობის შესაფერისად გაუმართავს მათი განმარტებანი, დაუხვეწია და დაუზუსტებია ისინი და შემდეგ შეუტანია ლექსიკონში (ღლონტი, 1961, გვ. 60). საილუსტრაციოდ ავიღოთ რამდენიმე ლექსიკური ერთეულის განმარტება: გზირი - „ სხვათა ენაა, ქართულად შულტა ჰქვია“ (საბა, 1991, გვ.159); „შულტი, სოფელსა შინა ქეესად შემდეგნი კაცნი, რომელნიც ხმამალა ზახილით აცნობენ და გამოუცხადებენ რასმე მოსახლეთა (ვეფხისტყ. 1186) (ჩუბინაშვილი, 1961, გვ. 178). აიაზმა - „ ბერძნულია, ქართულად წმინდა წყალი ჰქვია“ (საბა, 1991, გვ. 42); „ნაკურთხი წყალი სასხურებლად“ (ჩუბინაშვილი, 1961, გვ. 134). ტალანტი - „ სომხურსა ლექსიკონში ესრე ეწერა: ტალანტი საწონისა სახელი არისო. არათუ სათვალავთაო, რომელ არს ბევრი დაეკანი, გინა ლიტრა..“ (საბა, 1991, გვ. 131); „ძველებური ოქროსა ანუ ვერცხლის წონა, რამეთუ მაშინ დათაჟლის მაგიერ ასწონდიან საფასეთა. რომაელთა შორის ერთ ტალანტს აქანდა 60 მნა, ხოლო ებრაელთა შორის -50 მნა. ერთი ტალანტი ოქრო ღირდა 16 ტალანტ ვერცხლად, ხოლო ერთი ტალანტი ვერცხლი აწინდელის ანგარიშით იქმნებოდა 30-დამ ვიდრე 35 თუმანი ვერცხლის ფული.// საღმრთოსა შინა წერილსა ტალანტად იგულისხმების ნიჭი ანუ მადლი, ზეგარდმო უფასოდ მონიჭებული (მატ. 18,24 და შემდგომი, კაალად 25, 25) (ჩუბინაშვილი, 1961,გვ. 376).

ნიკო ჩუბინაშვილის ლექსიკონში დადასტურებულ ნასესხებ სიტყვათა მნიშვნელოვანი ნაწილი განეკუთვნება ბერძნულ ენობრივ სამყაროს. მაგ.: კრაოტი, კრავატი, კრამიტი (ღლონტი, 1961, გვ. 61). „კრაოტი, კრავატი ფიცრისაგან ქმნილი საწოლი, სარეცელი ფეხებიანი“ (ჩუბინაშვილი, 1961, გვ. 263). საბასთან არ დასტურდება. აღნიშნული სიტყვა მეცხრამეტე საუკუნეში ქართულში გავრცელებულა რუსული ენის მეშვეობით (ღლონტი, 196, გვ. 61). „კრამიტი-კეცის ლორფინი“ (საბა, 1991, გვ. 367); ნ. ჩუბინაშვილის განმარტებით „კეცის გინა თიხის ლორფინი“ (1961, გვ. 263).

ნიკო ჩუბინაშვილმა მოგვცა უცხოური (ბერძნული) წარმოშობის ტერმინების უმჯობესი რედაქცია, ვიდრე ზოგიერთ მის დროინდელ მოღვაწეს ჰქონდა. ვარსკვლავმრიცხველი მას გადმოცემული აქვს ასტრომონოსად, ჩვეულებრივ „ოს“ დაბოლოებას ხმარობს, როგორც ცნებებში ფიზიკოსი, ქიმიკოსი. ამის შესაბამისად მოითხოვდა ფორმებს: გეოგრაფოსი, ფილოლოგოსი, მეტეოროლოგოსი და არა ასტრონომი, გეოგრაფი, ფილოლოგი, მეტეოროლოგი (ღლონტი, 1961, გვ. 65).

ამრიგად, ნიკო ჩუბინაშვილმა თავის ლექსიკონში გაანალიზა მთარგმნელობითი მუშაობის ზოგად პრობლემები. მას ლექსიკონში არ შეუტანია ის უცხოურ სიტყვები, რომლებსაც ქართულში შესატყვისობანი მოეპოვებოდათ. უცხოური სიტყვებიდან მხოლოდ ის ნაწილი დაუტოვებია, რომლებიც არა მარტო ქართულში, არამედ მსოფლიოს ყველა ენაში დამკვიდრდნენ როგორც ტერმინები (რელიგიური ტერმინოლოგია, მეცნიერული დისციპლინების აღმნიშვნელი ტერმინები, თანამდებობა-წოდების აღმნიშვნელი ტერმინები). მისი მოსაზრებები თანამედროვეობასთან მიმართების თვალსაზრისით აქტუალურია კულტურათა შორის კომუნიკაციისა და გლობალიზაციის პროცესებთან დაკავშირებით.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბატონიშვილი ი. კალმასობა (1948). კალმასობა, თბილისი.
2. ორბელიანი ს.-ს. (1991). ლექსიკონი ქართული, I, თბილისი.

3. ორბელიანი ს.-ს. (1993). ლექსიკონი ქართული, II , თბილისი.
4. ღლონტი ა. (1961). ნიკო ჩუბინაშვილის ქართული ლექსიკონი: ნიკო ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი, თბილისი.
5. ჩუბინაშვილი ნ. (1961). ქართული ლექსიკონი რუსული თარგმანითურთ, თბილისი.
6. Цагарели А. (1884). Сведения о памятниках груз. письменности , III, СПб .

## **„ინფორმაციული საზოგადოების“ ჩამოყალიბება კულტურის გლობალიზაციის ეპოქაში**

**თინათინ მშვიდლობაძე**

ტექ. მეცნიერებათა დოქტორი

გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოც. პროფესორი, საქართველო

### **აბსტრაქტი**

კულტურის გლობალიზაცია, მიზნად ისახავს რელიგიური, ეროვნული და კულტურული განსხვავებების წაშლასა და ერთსახოვანი, გლობალური კულტურის ფორმირებას. ის დასავლური სამყაროს პირმშოა და მასთან დაკავშირებული პროცესები მომდინარეობს თანამედროვე მსოფლიოს ძლიერი მეტროპოლიებიდან და კულტურის უმსხვილესი ცენტრებიდან, როგორცაა ახალი „კულტურული იმპერიები“. ნაშრომში განვიხილავთ კულტურის გლობალიზაციის პროცესებს. ეკონომიკის, კულტურისა და მეცნიერების განვითარებამ, ერთი მხრივ და მენტალური და ინფორმაციული რესურსების გაცვლის თანამედროვე საშუალებებმა, მეორე მხრივ, საყოველთაო გლობალიზაციას შეუწყო ხელი. კულტურათა ინტენსიურმა გაცვლამ კულტურული გლობალიზაცია გამოიწვია. კულტურათა ურთიერთგაცვლის თანამედროვე ფორმებმა კულტურათა შერევის პროცესს დაუდო სათავე და კულტურების კრეოლიზაცია გამოიწვია. აღწერილია გლობალიზაციისა და კულტურის ურთიერთქმედების საკითხები. კულტურა, როგორც მატერიალური, ასევე არამატერიალური, სულიერ კულტურასთან ერთად, ერის კულტურულ პარადიგმას ქმნის და კაცობრიობის არსებობის აუცილებელ ატრიბუტს წარმოადგენს. ნაჩვენებია, „ინფორმაციული საზოგადოების“ ჩამოყალიბება, როგორც გლობალიზაციის სოციალური ასპექტი. მოცემულია მანუელ კასტელსის მოსაზრებები „ინფორმაციული საზოგადოების“ სტრუქტურის შესახებ. განხილულია, კულტურის გლობალიზაციის სამი თავისებურება - მისი უნივერსალურობა, ტექნიკურობა და დროის გარეშე არსებობა. კულტურის გლობალიზაცია ხელს უწყობს კულტურული ღირებულებების გაცვლას, ტრადიციების დაახლოებას და საერთაშორისო კომუნიკაციის ზრდას სხვადასხვა ქვეყნებს შორის. ამგვარად, გლობალიზაცია მუდმივი და შეუქცევადი პროცესია. ამ პროცესებში კი, ციფრული ტექნოლოგიების განვითარებამ და „ინფორმაციული საზოგადოების“ ჩამოყალიბებამ ხელი შეუწყო სოციალურ მრავალფეროვნებასა და ინდივიდუალიზაციას.

**საკვანძო სიტყვები:** გლობალური კულტურა, ინფორმაციული საზოგადოება, კულტურულ პარადიგმა, ინდივიდუალიზაცია.

### **Establishment of “Informative Society” in the Era of Globalization of Culture**

#### **Abstract**

Globalization of culture aims eliminating religious, national and cultural differences and formation of the uniform, global culture. It is the firstborn of the Western world and its associated processes are derived from the strongest metropolises of the modern world and the largest cultural centers, such as the new “Cultural Empires”. In the work we discuss the processes of globalization of culture. The development of economics, culture and science on the one hand and the modern means of exchange of mental and information resources on the other hand has contributed to universal globalization. The intensified exchange of cultures resulted cultural globalization. The modern forms of exchange of cultures has led to the beginning of the process of mixing cultures and caused creolization of cultures. The subjects of globalization and cultural interaction are described. Culture as material as well as intangible, together with spiritual culture, creates cultural paradigm of the nation and it is the essential attribute of human existence. It is shown formation of the „informative society” as a social aspect of globalization. There are given Manuel Castells’s views on the structure of „informative society”. There are discussed three features of the globalization of culture - its universality, technicality and existence without time.

Globalization of culture contributes exchange of cultural values, convergence of traditions and increase of international communication between different countries. Thus, globalization is a permanent and irreversible process. In these processes, development of digital technologies and formation of „informative society“ contributed to social diversity and individualization.

**Keywords:** Global Culture, Informative Society, Cultural Paradigm, Individualization.

კულტურის გლობალიზაცია, დასავლური სამყაროს პირმშოა და მასთან დაკავშირებული პროცესები მომდინარეობს თანამედროვე მსოფლიოს ძლიერი მეტროპოლიებიდან და კულტურის უმსხვილესი ცენტრებიდან, როგორცაა ახალი „კულტურული იმპერიები“. ის მიზნად ისახავს რელიგიური, ეროვნული და კულტურული განსხვავებების წაშლასა და ერთსახოვანი, გლობალური კულტურის ფორმირებას.

გლობალიზაცია აღწერს ერთა ინტეგრაციის დაჩქარებას გლობალურ სისტემაში. იგი ხშირად კულტურულ იმპერიალიზმადაც იწოდება, ხოლო კულტურა განიხილება ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით – პოლიტიკა, ეროვნული იდენტობა, ყოფითი სპეციფიკა, ტრადიციული ფასეულობები. ყველა ერი ეძებს თავისუფლებას, რათა თავად მოახერხოს განვითარება და იპოვოს გზა მსოფლიოში დასამკვიდრებლად. გლობალიზაცია კი შეუქცევადი პროცესია, რომელიც თავის გზაზე შესაძლოა მართლაც ანადგურებს ერის ინდივიდუალიზმსა და ნაციონალიზმს, თუმცა იმ შემთხვევაში თუ ქვეყანა, იქნება ძლიერი საკუთარი ტრადიციებით, კულტურით ისტორიითა და შიდასახელმწიფოებრივი მდგომარეობით, შესაძლებელია გლობალიზაციას ფეხი ავუწყოთ ისე, რომ არ დაკარგოთ ინდივიდუალიზმი, არამედ დავიმკვიდროთ ადგილი მსოფლიო არენაზე და მეტიც, ჩვენი კულტურა ვაქციოთ გლობალურ კულტურად და არა პირიქით[1].

გლობალიზაცია ოთხი პარალელური პროცესისაგან შედგება:

ინტერნაციონალიზაცია -სახელმწიფოებს შორის ურთიერთდამოკიდებულების ზრდა;

ლიბერალიზაცია -სახელმწიფოს როლის შემცირება;

დეტერიტორიალიზაცია - სახელმწიფო საზღვრების მნიშვნელობის კლება;

ვესტერნიზაცია - მთელ მსოფლიოში დასავლური ფასეულობებისა და კულტურის გავრცელება და აღიარება[2].

ამჟამად, გლობალიზაცია ხელს უწყობს კულტურული ფასეულობების გაცვლას. გლობალიზაციის თეორეტიკოსები აღნიშნავენ მსოფლიოში კულტურული ერთგვარობის ზრდას, საერთო პოპულარული მასობრივი კულტურის ჩასახვასა და განვითარებას.

კულტურა, როგორც მატერიალური, ასევე არამატერიალური სულიერ კულტურასთან ერთად, ერის კულტურულ პარადიგმას ქმნის და კაცობრიობის არსებობის აუცილებელ ატრიბუტს წარმოადგენს.

კულტურის, როგორც ცნების განსაზღვრება მრავალფეროვანი და მრავალსახოვანია. ამ ცნების შინაარსი იცვლებოდა, ერთი მხრივ, კაცობრიობის არსებობის ქრონოლოგიურ ღერძზე ეპოქისდა შესაბამისად - კაცობრიობის განვითარების ანუ მისი ისტორიული და კულტურული გამოცდილებისდა შესაბამისად და, მეორე მხრივ, იმის მიხედვით, თუ როგორ განისაზღვრებოდა კულტურა მეცნიერების გადასახედიდან, განსაკუთრებით საკითხის ფილოსოფიურ-ანთროპოლოგიური ასპექტის გათვალისწინებით.

კულტურა, როგორც ცნებათა სისტემის კომპონენტი, შეიძლება განვიხილოთ აღწერით ცნებად - მოცემულ კონკრეტულ დროსა და სივრცეში არსებულ ფენომენად და ნორმატიულ ცნებად - კულტურული საზოგადოებისათვის დამახასიათებელ კომპონენტთა სავალდებულო ერთობლიობად. ეკონომიკის, კულტურისა და მეცნიერების განვითარებამ, ერთი მხრივ და მენტალური და ინფორმაციული რესურსების გაცვლის თანამედროვე საშუალებებმა, მეორე მხრივ, საყოველთაო გლობალიზაციას შეუწყო ხელი[3].

კულტურათა ინტენსიურმა გაცვლამ კულტურული გლობალიზაცია გამოიწვია. კულტურათა ურთიერთგაცვლის თანამედროვე ფორმებმა კულტურათა შერევის პროცესს დაუდო სათავე და კულტურების კრეოლიზაცია გამოიწვია. ეს პროცესი განსაკუთრებით თვალსაჩინოა მიგრაციულ ქვეყნებში: მიგრანტები ცდილობენ, ერთი მხრივ, შეინარჩუნონ საკუთარი კულტურა, მეორე მხრივ, მოახდინონ ახალ კულტურულ გარემოში ინტეგრირება, რის შედეგადაც იქმნება ერთგვარი კულტურული სიმბიოზი[4].

გლობალიზაციის განხილვისას, ტრადიციულად საუბრობენ ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ და კულტურულ გლობალიზაციაზე.

გლობალიზაციის *სოციალურ-ეკონომიკური ასპექტი - "ინფორმაციული საზოგადოების" ჩამოყალიბება.*

60-იან წლებში ციფრული ტექნოლოგიებისა და ინტერნეტის გამოგონებამ ხელი შეუწყო ახალი საზოგადოების ჩამოყალიბებას. მკვლევარები საუბრობენ "ინფორმაციულ საზოგადოებაზე". მოდერნის პროექტი გულისხმობდა მეტა-ნარატივების არსებობას. ეს იყო სამყაროს შეცვლის ფილოსოფიური კონცეფცია, რომლის მიზანსაც წარმოადგენდა ერთიანი ჭეშმარიტების ძიება. მოდერნულობა აისახებოდა ადამიანთა საქმიანობის ყველა სფეროში. დღეისათვის, ეკონომიკაში ნაწარმის სტანდარტიზაციის მცდელობები მრავალფეროვნებით შეიცვალა. მრავალფეროვნების შესაძლებლობას ახალი ტექნოლოგიები გვაძლევს. მოდერნის, როგორც "დიადი პროექტის" იდეის აპოთეოზად ოსვენციმისა და დაპაუს ბანაკებს თვლიან, ანუ უკიდურესი ნაციონალიზმის იდეა გულისხმობდა მასობრივი ტექნოლოგიებით განსხვავებების წაშლას. ახალი ტექნოლოგიები ხელს უწყობს სოციალურ მრავალფეროვნებასა და ინდივიდუალიზაციას. პლურალიზმთან დაკავშირებულია დეცენტრალიზაციის ცნებაც, რომელიც გულისხმობს სოციალური ცენტრის არარსებობასა და "მოზაიკური საზოგადოების" ჩმიუხედავად ყველაფრისა, პოსტმოდერნული საზოგადოება არ არის პოზიტიური რეალობა. უმრავლეს შემთხვევაში, ადგილი აქვს ადამიანთა მასების "გარიცხვას" ურთიერთდაკავშირებული ქსელებიდან. სწორედ ამ პრობლემაზე საუბრობს მანუელ კასტელსი[5], რომელიც მოკლედ მიმოიხილავს "ინფორმაციული საზოგადოების" სტრუქტურას. კასტელსი საუბრობს ქსელებზე, რომლებიც მოითხოვენ კვალიფიციური, ცოდნით შეიარაღებული ადამიანების ჩართვას, რასაც მოსდევს საპირისპირო თვისებების მქონე მოქალაქეების გარიყვა.

გლობალიზაციის უარყოფით გავლენებზე საუბრისას, აუცილებლად უნდა განვასხვავოთ უთანასწორობა, პოლარიზაცია, სიღარიბე. თუ დავაკვირდებით მსოფლიოში მიმდინარე სოციალურ ტენდენციებს, აუცილებლად შევნიშნავთ, რომ ზოგიერთ ქვეყანაში უთანასწორობის სიტუაცია შედარებით გამოსწორდა (მაგალითად, ინდოეთში, ესპანეთსა და აზიის წყნარი ოკეანის სანაპიროს ქვეყნებში), ზოგან კი, პირიქით, გაღრმავდა (მაგ. შეერთებულ შტატებში, დიდ ბრიტანეთსა და ბრაზილიაში). პოლარიზაცია ყველგან განუხრელად იზრდება.

ამგვარად, სახეზე გვაქვს სოციალური კრიზისი, რომელიც დაკავშირებულია გლობალიზაციასთან. კასტელსი საუბრობს ე.წ. "მეოთხე სამყაროზე", ანუ ტერიტორიებზე, რომლებიც დარჩნენ თანამედროვე პროცესების მიღმა.

საზოგადოებაზე უდიდეს გავლენას ახდენს მედია, განსაკუთრებით კი ტელევიზია. ასევე, განვითარდა ინტერნეტი, რომელშიც დომინირებს ინგლისური ენა. ინდოეთი ჰოლივუდზე მეტ ფილმს აწარმოებს, თუმცა საერთაშორისო ბაზარზე კონკურენციის სურვილი არ აქვს. ეს გამოწვეულია "ბოლივუდის" ფილმების ადგილობრივი ენითა და შინაარსით. ამ ყველაფრის პარალელურად დიგიტალიზაცია ხელს უწყობს ინდივიდუალისტურ პრეფერენციებსა და გემოვნებებს. მაგალითად, [www.forum.ge](http://www.forum.ge)-ზე კლასიკური მუსიკის მოყვარულებს აქვთ ცალკე ქვეგანყოფილება, ისევე როგორც, სხვა მიმდინარეობის მსმენელებს, ანუ რაიმე გარკვეული ნიშნით ადამიანთა გაერთიანება უფრო მეტად სპეციალიზირდება. როგორც თანამედროვე იტალიელი მწერალი უმბერტო ეკო აღნიშნავს, "ინტერნეტს მივყავართ ცოდნის დენაციონალიზაციისკენ"[6]. ინტერნეტი არის სამყაროს მიკრომოდელი, რომელშიც შეგვიძლია სასურველი ინფორმაციის მოძიება. ჯგუფები იქმნება უფრო სპეციფიკური, კონკრეტული ინტერესების გარშემო. ინტერნეტი გვთავაზობს ბრენდების ინდივიდუალიზაციას.

ეკონომიკური პოლიცენტრიზმის ექვივალენტია მულტიკულტურალიზმი, ანუ სხვადასხვა კულტურების კომბინაცია და ინტერნაციონალური ან ხენაცინალური კავშირების გაღრმავება.

ალექსანდრ ტომოვის აზრით, გლობალიზაცია და მულტიკულტურალიზმი ერთმანეთს არ გამოირცხავს, რადგანაც:

1. ახლად წარმოქმნილი გლობალური კულტურა ვრცელდება მსოფლიოს მედიის მიერ და იგი ხდება სულ უფრო და უფრო განსხვავებული დომინანტური ერების კულტურისგან.

2. დიდი ერების კულტურა პოლიტიკური პოლიცენტრიზმისა და მულტიკულტურალიზმის პრინციპების დანერგვის კვალდაკვალ კარგავს გავლენასა და უნარს, გაანადგუროს მცირე ერების კულტურა[7].

ცნობილი მულტიკულტურალისტი, რიჩარდ ლუისი მიიჩნევს, რომ კულტურათა ადაპტაცია მიმდინარეობს ძალიან ნელი ტემპით, ანუ არის ელემენტები, რომლებიც სწრაფად ადაპტირდება, თუმცა ამის პარალელურად ზოგიერთი ელემენტი იწვევს კულტურათა შორის "უთანხმოებას"[8].

ბევრი მკვლევარი მიიჩნევს, რომ გამოსავალი დიგიტალიზაციაშია. IT გვთავაზობს ახალ დემოკრატიულ მოდელს, რომელიც რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, ჰაკერული ტექნოლოგიების განვითარების დამსახურებაა.

გლობალიზაციის უარყოფითი გავლენების შესასუსტებლად უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება განათლებას და, განსაკუთრებით, უმაღლეს სასწავლებლებს. კასტელსი საუბრობს ორპირიან მახვილზე. ერთი მხრივ, გლობალიზაცია ხელს უწყობს ქვეყნებს, გადალახონ ეკონომიკური ჩამორჩენილობა და მოახდინონ პროდუქციის მოდერნიზაცია (ამის მაგალითია ჰონგ-კონგი, ტაივანი, სინგაპური, მალაიზია და სამხრეთ კორეა); მეორე მხრივ კი, ის ეკონომიკური სისტემები, რომლებმაც ვერ გაიარეს ადაპტაცია, ხდებიან კიდევ უფრო ჩამორჩენილები. საზოგადოების უნარი, გადავიდეს "ინფორმაციულ ხანაში", დამოკიდებულია მისი წევრების განათლების დონეზე. ეს ეხება საგანმანათლებლო სისტემას, დაწყებითი სკოლიდან უნივერსიტეტის ჩათვლით. ყველაზე უფრო თანამედროვე ქვეყნების განათლების სისტემაც კი სრულად არ ასახავს სისტემის დინამიზმს. აქედან გამომდინარე, გლობალიზაციის ეპოქაში უკვე აქსიომად იქცა, რომ საჭიროა ინვესტიციების ჩადება განათლების სფეროში.

ტექნოლოგიის პროპორციული შემცირება, იქნება სოციალური კრიზისის გაღრმავების მწვავე მაჩვენებელი.

ახალი ერის გამოწვევებთან დაკავშირებულია კორპორატიული უნივერსიტეტების ჩამოყალიბება. ე.წ. "e-learning" დღითი დღე უფრო პოპულარული ხდება. ზოგიერთი მკვლევარი საუბრობს კორპორატიული უნივერსიტეტების აშკარა უპირატესობებზე.

უმაღლესი განათლების ინსტიტუტების ინტერნაციონალიზაცია არის განვითარების ერთ-ერთი მთავარი მაღეტერმინიზებული ფაქტორი. იგი განსაზღვრავს, თუ ვინ იქნება მოგებული გლობალიზაციის პროცესში.

გლობალიზაციის ეკონომიკური, პოლიტიკური, კულტურული და სოციალური კონტექსტები აუცილებლად უნდა აისახებოდეს თანამედროვე უნივერსიტეტის მოდელზე. რა თქმა უნდა, ამ ყველაფერს აქვს სხვა აუცილებელი განზომილებებიც, მაგრამ ცოდნის მენეჯმენტი რჩება ყველაზე უფრო მნიშვნელოვან ასპექტად.

კულტურის გლობალიზაციის სამი თავისებურება. მკვლევრები გლობალურ კულტურაში, რომელიც ახლა ყალიბდება და, ბევრის აზრით, მომავალში მართლაც საყოველთაო, გლობალური გახდება, სამ თავისებურებას ხედავენ. ესაა მისი უნივერსალურობა, ტექნიკურობა და დროის გარეშე არსებობა.

უნივერსალურობა გამოიხატება მის საყოველთაოობაში. ვერც ერთი აქამდე არსებული იმპერიული და, ერთი შეხედვით, 'კოსმოპოლიტიური' კულტურა უნივერსალურობას ვერ დაიჩემებს. ჩინეთის, რომის, ბიზანტიის თუ საბჭოთა იმპერიების კულტურები ანდა მსოფლიო ცივილიზაციები (ბუდისტური, ისლამური, ქრისტიანული) გარკვეულ საზღვრებში იყო მოქცეული და თავიანთი დრო და ადგილი ჰქონდა.

ტექნიკურობაში იგულისხმება, რომ დღევანდელი გლობალური კულტურა პირველი წმინდა ტექნიკური ცივილიზაციაა. კულტურის ეთნიკური და ნაციონალური ელემენტების მიმართ იგი ძირითადად ნეიტრალურია. იგი ემყარება თანამედროვე ტექნიკურ მიღწევებს, ტექნოლოგიურ ბაზას, კომუნიკაციურ სისტემებს, რაც ქმნის ერთმანეთზე დამოკიდებულ სოციალურ ქსელებს, რომელიც თავის გამოხატულებას სტანდარტიზებული, ტექნიკური, ხშირად რაოდენობრივი ფორმით პოულობს. ამით აიხსნება ტექნიკური ინტელიგენციის გადამწყვეტი როლი თანამედროვე ეპოქაში და მის მიერ ჰუმანიტარული და ნაციონალისტური ინტელექტუალების შევიწროება.

გლობალური კულტურა დროის გარეშე კულტურაა. მას არ აქვს ისტორიული ფონი, განვითარების რიტმი, არა აქვს დროის და თანამიმდევრობის გრძობა. ასეთმა ხელოვნურმა, არაბუნებრივმა გლობალურმა კულტურამ შეიძლება წარსული უბრალოდ ილუსტრაციის მიზნით და ეკლექტიკური კაპრიზების დასაკმაყოფილებლად გამოიყენოს, თვითონ კი უარს ამბობს ადგილზე ისტორიაში. უარყოფს რა განვითარების ისტორიულ ფესვებს, გლობალური კულტურა არის უფორმო, ყველგან არსებული და ხედაპირული.

როგორც ვხედავთ, ეს შეფასება საკმაოდ კატეგორიულია. ბუნებრივია, ასეთი მკვეთრი დასკვნები არ შეიძლება არ იწვევდეს საწინააღმდეგო მოსაზრებებს. განსაკუთრებით საკამათოა იმის მტკიცება, რომ გლობალურ კულტურას არ აქვს ისტორიული ფესვები. მრავალი ავტორი პირიქით ამტკიცებს, რომ კულტურის გლობალიზაციას მრავალი ისტორიული ანალოგი მოეძებნება.

კულტურის გლობალიზაციის ისტორიული ანალოგები მიუხედავად იმისა, რომ კულტურის გლობალიზაცია იმ მნიშვნელობით, რაც ამ ცნებაში იგულისხმება, უდავოდ ახალი ფენომენია და სულ რამდენიმე ათწლეულს მოიცავს, კულტურების ურთიერთშერწყმა, მათი დიფუზია ყოველთვის მიმდინარეობდა და ამ პროცესის გარეშე შეუძლებელია ამა თუ იმ ეროვნული კულტურის განვითარება. მეცნიერთა უმრავლესობა ნებისმიერი ეროვნული კულტურის ჩამოყალიბების და განვითარების მთავარ, განმსაზღვრელ ფაქტორად კულტურათა დიფუზიას მიიჩნევს და თვლის, რომ იზოლირებულად წარმოშობილი და განვითარებული კულტურები საერთოდ არ არსებობს.

მაგრამ კულტურული დიფუზიისაგან განსხვავებით, კულტურული გლობალიზაცია კულტურათა შერწყმას კი არ გულისხმობს, არამედ ერთიანი ზენაციონალური, გლობალური კულტურის ჩამოყალიბებას [9].

ამგვარად, გლობალიზაცია მუდმივი და შეუქცევადი პროცესია. ამ პროცესებში კი, ციფრული ტექნოლოგიების განვითარებამ და „ინფორმაციული საზოგადოების“ ჩამოყალიბებამ ხელი შეუწყო სოციალურ მრავალფეროვნებასა და ინდივიდუალიზაციას.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. კულტურათაშორისი კომუნიკაციები. №1-თბ., - 2007.
2. ნიკოლაიშვილი ნ. გლობალიზაცია და კულტურა//ახალი აზრი, № 2(16), – 2004.
3. Bond S; Lemasson J. (1999) A New World of Knowledge, Canadian Universities and Globalization; Ottawa, ON, Canada: International Development Research Centre.
4. Kirkbride P; (2001) Globalization: The External Pressures. JOHN WILEY & SONS, LTD
5. Castells, M., Information Technology, Globalization and Social Development, UNITED NATIONS RESEARCH INSTITUTE FOR SOCIAL DEVELOPMENT, UNRISD Discussion Paper No. 114, September 1999.
6. G., dele Dehesa, (2006) Winners and Losers in Globalization, BLACKWELL PUBLISHING, p. 169
7. Tomov, A., The Fourth Civilisation, Sofia, 1996. - <http://lib.ru/POLITOLOG/TOMOV/4civil.txt>
8. Lewis, R., D. (2003) The Cultural Imperative: Global Trends in the 21st Century, Intercultural Press.
1. Benjamin Barber, Jihad vs. Mc World.2015.

## თანამედროვე ქართული მონუმენტური ხელოვნება არქეოლოგიურ ძეგლებთან მიმართებაში

**მარიამ იზორია**

სიმონ ჯანაშიას სახ-ის ეროვნული  
მუზეუმის თბილისის არქეოლოგიური  
ექსპედიცია, საქართველო

### აბსტრაქტი

მონუმენტური ხელოვნების სამეცნიერო ენა შეიძლება იყენებდეს ვიზუალური ხელოვნების ყველა დარგის მასალას: მოხატვას, პლასტიკას, გრაფიკას, კერამიკას, ხის, ლითონისა და მინის ელემენტებს. მონუმენტური ხელოვნების ფესვები საუკუნეების სიღრმეებშია საძიებელი. ამიტომ ამ დარგის ნაწარმოების შესრულებისას მხატვრულ ეფექტებს იძლევა არა მარტო მასალა, არამედ არქეოლოგიური ტრადიციებით ცნობილი კომპოზიცია, სტრუქტურა, გამომსახველობითი ხერხები, ტექნოლოგია. მონუმენტური ხელოვნება არქიტექტურასთან და ბუნებრივ გარემოსთან დაკავშირებულ სფეროს მიეკუთვნება. თუმცა უკანასკნელ ხანებში მონუმენტური ხელოვნების ნიმუშებად თვლიან არა მარტო დიდი მასშტაბის ობიექტებს, არამედ მცირე არქიტექტურულ ფორმებსაც, რომლებიც ასევე სინთეზური ხელოვნებაა. მათი საშუალებით სივრცის ორგანიზებისას ყველაზე მეტად იყენებენ არქეოლოგიურ მასალას. განსაკუთრებით ფართოა არქიტექტურასთან დაკავშირებული კერამიკული მასალების დიაპაზონი. სივრცის გაფორმებაში იგი მონაწილეობს არა მარტო როგორც მოსაპირკეთებელი საამშენებლო კერამიკა, ან მცირე არქიტექტურული ფორმა შადრევანი, გამჭოლი კედელი, არამედ როგორც საინტერიერო დეკორატიული ელემენტი: პანო, მოზაიკა, შორენკეცი, დეკორატიული პლასტიკა და სხვა. ისინი ყველაზე მეტად ავლენენ სიძველესთან კავშირს.

**საგასაღებო სიტყვები:** მონუმენტური ხელოვნება, არქეოლოგია, ტრადიცია, სივრცე, კერამიკა.

## Modern Georgian Monumental Art with Archeological Monuments

### Abstract

The monumental art mixes all fields of visual arts: this will be a great tradition of wall painting, sculpture, graphics, ceramics, wood, metal or glass. It enables the use of a fine language of fine and applied art. The artistic effect of creating a sample of the art is to use archaeological materials (composition, structure, expressive techniques, technology). So modern Georgian monumental art is often used to archeologically confirmed traditions. The monumental art archeology is technically conceptually connected with an architectural or natural environment. Recently, the designs of monumental art are not only of large scale objects, but also small architectural forms, which are also intellectual arts. The archeological material is most used in organizing space by them. One of the important directions of contemporary monumental art (including Georgian) is the ceramics associated with architecture whose range is quite wide. This is the building construction ceramics, the utility objects that are decorating the interior. Wall panes, mosaic, shoreline, decorative plastics and more. They are most closely associated with old age. A museum space is created by the objects of monumental art, which are independent of the small architectural forms - the source, the fountain or the wall, in the building and in the outer space.

**Keywords;** Monumental art, archeology, tradition, space, ceramic

მონუმენტური ხელოვნება ყველა ვიზუალურ დარგს აერთიანებს. ეს იქნება დიდი ტრადიციის მქონე კედლის მხატვრობა, ქანდაკება, გრაფიკა, კერამიკა, ხე, ლითონი თუ მინა. იგი იძლევა საშუალებას, რომ კომპლექსურად იქნას გამოყენებული სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სამეცნიერო ენა, მისი

ხერხები. მონუმენტური სფეროს ნიმუშის შექმნისას ძლიერ მხატვრულ ეფექტებს იწვევს არქეოლოგიური ძეგლების კომპოზიცია, სტრუქტურა, გამომსახველობითი საშუალებები და ტექნოლოგია. ამიტომ თანამედროვე ქართული მონუმენტური ხელოვნება ხშირად მიმართავს არქეოლოგიურად დადასტურებულ ტრადიციებს. თვით მონუმენტური ხელოვნება, რომელიც ლათინურად გახსენებას ნიშნავს, ძირითადად წარმოდგენილია სივრცისთვის გათვალისწინებული სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშებით. იგი ითხოვს არქიტექტურულ, ან ბუნებრივ გარემოსთან არქიტექტონიკურად და კონცეპტუალურად დაკავშირებულ დიდი მასშტაბის ნამუშევრის შექმნას, მონუმენტური ხელოვნების ნიმუში მუდამ დომინანტის როლს ასრულებს სივრცეში და ამაღლებულ განწყობაზე აყენებს მნახველს.

თანამედროვე ეპოქაში მონუმენტური ხელოვნების ნაწარმოებს ქმნიან სხვადასხვა დარგის მხატვრები, სხვადასხვა ტექნიკის გამოყენებით. ამ სფეროს მიეკუთვნება მემორიალური სკულპტურული კომპოზიციები, საპარკო-დეკორატიული პლასტიკა, ფერწერული და მოზაიკური პანოები, ვიტრაჟი. მათ რიგშია ლანდშაფტისა და შენობის ექსტერიერისა თუ ინტერიერის შემამკობელი დეკორატიული ელემენტები, აგრეთვე შერეული ტექნიკითა და უახლესი ტექნოლოგიებით შესრულებული ნამუშევრები. უკანასკნელ პერიოდში მონუმენტური ხელოვნების ნიმუშებად ითვლება მცირე არქიტექტურული ფორმებიც, რომელიც სივრცის ორგანიზებისას ყველაზე მეტად მიმართავს არქეოლოგიურ მასალას.

თანამედროვე მონუმენტური ხელოვნების (მათ შორის ქართული) ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა არქიტექტურული კერამიკა, ან მინა. მისი დიაპაზონი საკმაოდ ფართოა. პირველ რიგში, ეს არის საამშენებლო კერამიკა (მინა), რომლითაც აპირკეთებენ ინტერიერსა და ექსტერიერს. მათ რიცხვშია სივრცის გამაფორმებელი კედლის პანოები, მოზაიკა, შორენკეცები, დეკორატიული პლასტიკა და სხვა. ისინი ყველაზე მეტად ავლენენ სიძველესთან კავშირს. ამ მხრივ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კედლის (მოზაიკური, ფერწერული) პანოები, რომელსაც ქართულ ხელოვნებაში უზარმაზარი როლი აქვს შესრულებული.

ფერწერული და მოზაიკური პანოები, როგორც კედლის მხატვრობის უძველესი სახეობა ცნობილია პალეოლითის არქეოლოგიური კულტურიდან და იმთავითვე დაკავშირებულია ბუნებრივ „არქიტექტურასთან“. მან გაიარა განვითარების ყველა საფეხური, დაწყებული გამოქვაბულების მოხატულობიდან დამთავრებული თანამედროვე არქიტექტურული ანსამბლების გაფორმებით. იგი წარმოადგენს ქვის, აგურისა და ბეტონის (ძველი რომი), აგრეთვე ხის ნაგებობათა დეკორირების (ეგვიპტე, მესოპოტამია, კრეტა- მიკენი, ბაბილონი,საბერძნეთი,საქართველო,ბიზანტია და სხვა) ერთ-ერთ მთავარ უძველეს მეთოდს.

თანამედროვე მონუმენტური ფერწერა აქტიურად იქმნება ახალი მასალებით, რომლებიც ბევრად მტკიცე და მდგრადია არქიტექტურულ სივრცეში და ნებისმიერ კლიმატურ პირობებს უძლებს.

ამჟამად, მონუმენტური ფერწერა მრავალმიმართულებიანია: ფრესკა, მოზაიკა, ვიტრაჟი, გრაფიტი. საქართველოში ყველაზე ძველი და ხანდაზმული სახეობები - ფრესკა და მოზაიკაა (ქვა, კერამიკა, სმალტა). ჩვენში ფრესკის ყველა ცნობილ ტექნიკას იყენებდნენ. ეს არის ფერწერა სველ ბათქაშზე, საპირისპირო „სეკოსი“, რომელიც წარმოადგენს მშრალ ბათქაშზე მოხატულობას. ფრესკის შესაქმნელად მიმართავდნენ ტემპერას, ბუნებრივ მინერალებს (ქანგებს), თანამედროვე ეპოქაში მათ რიცხვს შეემატა აკრილის საღებავები. დღესდღეობით, ფრესკას ეძახიან ნებისმიერი მასალით შესრულებულ კედლის მხატვრობას. უშუალოდ ფრესკულ ტექნიკას კი უწოდებენ „ბუნ ფრესკას“, რაც ნიშნავს „ნამდვილ ფრესკას“. იგი მინერალურ საღებავებთან ერთად კირქვისა და ქვიშის (კედლის შესაღებ მასალა) დახმარებით სრულდება. სწორედ ეს ტექნოლოგია გამოიყენა მოდერნის სტილის მიმართულებამ საერო ნაგებობათა ფასადებისა და სადარბაზოების მოსართავად.

საქართველოში ფრესკასთან ერთად საპატიო ადგილი უჭირავს მოზაიკურ ხელოვნებას, რომელიც ფერწერის ალტერნატივად მიიჩნევა. მოზაიკური გამოსახულების მისაღებად უძველესი დროიდანვე იყენებდნენ სხვადასხვა ფერის კენჭებს (რითაც საკმაოდ უხვად არის დახუნძილული საქართველოს ტერიტორია), მცირე ზომის კერამიკულ ფილებს და სხვადასხვა ფორმის სმალტის (ფერადი, გაუმჭვირვალე მინა) კუბიკებს. გარდა ამისა, ოდითგანვე ხმარდნენ ოქროთი მოვარაყებულ სმალტებსაც. მოზაიკის ნაწილაკების ჩასამაგრებლად კედლის ან რაიმე კერამიკული ფორმის ზედაპირზე მხატვრები ძველი დროიდან მიმართავდნენ (დღესაც ამ ტექნიკით მუშაობენ) კირის, ცემენტის ხსნარს, ან სანთლის სქელ ფენას. თანამედროვე ეპოქაში ამ მასალას დაემატა ახალი ტიპის ქიმიური წებო-მასალები, რითაც

სარგებლობენ თანამედროვე მხატვრები ან მოზაიკის მოყვარულები. არსებობს მოზაიკის აწყობის ორი ხერხი: "პირდაპირი", როცა მასალა უშუალოდ მაგრდება მისთვის განკუთვნილ ზედაპირზე და „არაპირდაპირი“, როცა მას ჯერ მუყაოზე, ქსოვილსა და სხვა მაგარ ზედაპირზე აწყობენ და შემდეგ გადააქვთ კონკრეტულ ადგილზე. მოზაიკის მასალა, როგორც წესი მყარი და გამძლეა. სწორედ ეს ფიზიკური მახასიათებლები ანიჭებს მას თვითმყოფლობას.

მოზაიკის ხელოვნება 4 ათასწლეულზე მეტ ხანს ითვლის. განსაკუთრებით უნდა გამოიყოს ძველი შუამდინარეთის ტაძრები, რომელთა გაფორმება რამდენიმე მილიმეტრიანი თიხის ტესერებით ხდებოდა. მოზაიკის ამ მეთოდით შესრულება უმაღლეს დონეს აღწევს საბერძნეთში, ქალაქ პომპეიში. ამ დარგის შემდგომ განვითარებას წარმოაჩენს ყველასთვის ცნობილი ბიზანტიური მოზაიკა, რომელშიც რომაული მოზაიკის გავლენა იკვეთება. მის საუკეთესო ნიმუშებს ვხვდებით რავენასა და ვენეციაში, აგრეთვე მუსულმანურ სამყაროში, რომლის ბრწყინვალე მაგალითებია კორდოვას დიდ მეჩეთსა და ალამბრას სასახლეში. V საუკუნის მოზაიკური მხატვრობა, რითაც შემკული იყო IV საუკუნის ბიჭვინთის სამნავიანი ბაზილიკის იატაკი ნათლად გვიჩვენებს საქართველოშიც ამ დარგის ევოლუციას. მოზაიკური იატაკი შესრულებულია ადგილობრივი ოსტატების მიერ ფერადი ქვის (თეთრი, შავი, შინდისფერი და ყვითელი) ოთხკუთხა ნატეხების მჭიდრო წყობით. ისინი ჩამაგრებულია სუფთად დაფქვილ აგურისა და კირის ხსნარზე. ბიჭვინთის მოზაიკა თავისი ხასიათით მახლობელი აღმოსავლეთის ელინიზებული ქვეყნების, სირიისა და პალესტინის მოზაიკურ მხატვრობას უახლოვდება. მას თავისი მაღალმხატვრული შესრულებით არ ჩამორჩება ძალისის ნაქალაქარზე აღმოჩენილი დიონისეს ტაძრის (III) იატაკის უნიკალური მოზაიკა. რომელიც დიონისესა და არიადნას ლხინის სცენას გადმოსცემს. VII ს-ის პირველი ნახევრით თარიღდება წრომის ტაძრის მოზაიკის ფრაგმენტი. იგი შედგება სხვადასხვა ზომისა და ფორმის შავი და ოქროსფერი კენჭებისგან, სხვადასხვა ელფერის წითლად შეღებილი კირქვისაგან, მოცისფრო და ბაცი მწვანე ქვისაგან, რაც ერთობლიობაში თავისი ფერადოვანი ჟღერადობით საკმაოდ მისტიკურ განწყობას იწვევს. აქვე მინდა ავლნიშნო, რომ ქართულ მოზაიკურ ხელოვნებაში სმალტებს (მინის მცირე ზომის ნატეხები) უძველესი დროიდანვე განსაკუთრებული ადგილი ეჭირა. ამის მაგალითებია მცხეთის მცირე ჯვრის (V-VI ს.ს.მიჯნა) და მარტვილის (VII ს.) ტაძრები. თავისი მხატვრული და ოსტატური შესრულებით გამორჩეული გელათის ტაძრის მოზაიკა (XII ს.) უპირატესად ოქროსფერი სმალტითაა აწყობილი და მოზაიკური ხელოვნების მსოფლიო მნიშვნელობის ძეგლადაა მიჩნეული.

საგანგებო აღნიშვნის ღირსია იერუსალიმთან ახლოს მდებარე ბირ-ელ-ყუტის წმ. თევდორეს ტაძარი (საჩკოვი.მ.,ჩაგუნავა.რ.2016:200). ნაგებობის იატაკზე დაგებული მოზაიკა ქართული ფრესკული ფერწერის გავლენას განიცდის და გხიზლავს თავისი სილამაზით. მოზაიკაზე დატანილი ასომთავრული წარწერა (532-55წ.წ.) გვაუწყებს, რომ იგი აბანტონის მამასახლისობის დროს, ამავე მონასტრის ქართველ მონაზონს ვინმე იოსიას შეუქმნია. ამ სახელის მოხსენიებით ჩვენთვის ცნობილი ხდება მოზაიკის ერთ-ერთი უძველესი ქართველი ოსტატის არსებობა. ამასთან ერთად წარწერაში მოყვანილია მოზაიკის აღმნიშვნელი უძველესი ტერმინი "სეფი" (წერეთელი.გ.1960:167). თუმცა მოგვიანებით ეს ტერმინი შეცვალა ტერმინმა "სოფიომ". მას შემდეგ, მოზაიკით მოხატულ ტაძრებს „სოფიოდ“ მოიხსენიებდნენ. სანიმუშოდ შეგვიძლია მოვიყვანოთ კონსტანტინოპოლისა და კიევის „სოფიას“ ტაძრები.

საქართველოში როგორც ირკვევა (ბახტაძე.რ.1964:559), მოზაიკის ოსტატების გარდა, სპეციალურ საწარმოებში ადგილობრივი მასალების გამოყენებით ქმნიდნენ სმალტებს. დღეს, ჩვენს სივრცეში ასეთი რამ არ არსებობს. მაშინ როდესაც თანამედროვე ქართველი მხატვრებისთვის მსგავსი წარმოების არსებობა ფრიად საშური საქმეა. ჩვენ წინაპრებს მაღალ დონეზე ჰქონდათ დაყენებული მოზაიკის გამოსახულებისთვის საჭირო მინის მცირე კენჭების დამზადების საქმე. ამას გვიჩვენებს ორბეთში აღმოჩენილი მინის საწარმოს არსებობის კვალი, სადაც დიდი რაოდენობითაა ნაპოვნი მოზაიკური კენჭები. იგი საქართველოში სმალტის წარმოების დამადასტურებელი პირველი ფაქტობრივი მასალაა. აქ აღმოჩენილი ნიმუშებისგან გამორჩევა ოქროსფერი სმალტა, რომელიც ფერადი მინისგან თავისი დამზადების მაღალი ტექნოლოგიითა და მხატვრული ეფექტებით განსხვავდება.

მოზაიკის ქართველი ოსტატების სახელი ძველქრისტიანულ ქვეყნებში იმდენად აღიარებული ყოფილა, რომ ისინი ბიზანტიელ მხატვრებთან ერთად კიევშიც კი მიუწვევიათ ეკლესიის შესამკობად (Виннер. А. В., 1953: 193). ამასთან დაკავშირებით ძალზე საინტერესო ცნობებია შემორჩენილი ერთ-ერთ რუსულ წერილობით წყაროში. კერძოდ, კიევ-პეჩორის მონასტრის პატრიკიში, საიდანაც ვიგებთ, რომ კიევის

ლავრის მშენებლობასთან დაკავშირებით ბიზანტიელ ოსტატებთან ერთად მოწვეული ყოფილან ქართველი სპეციალისტებიც. ამავე წყაროდან ირკვევა, რომ უკვე XI ს-ში ბიზანტიელი და ქართველი მოზაიკოსი ოსტატების ერთგვარი ამქრული გაერთიანებაც კი არსებობდა, რომელიც საერთაშორისო დაკვეთებს ასრულებდა. ბერძენ და ქართველ ხელოვანებს კიევიში ჩასვლა დამოუკიდებლად, მაგრამ ერთმანეთთან შეთანხმებით განუხორციელებიათ. ქართველი ოსტატების ბიზანტიელებთან თანამშრომლობა უკვე თავისთავად მოწმობს მათ მალა კვალიფიკაციაზე. ამას გარდა, იმდროინდელ საქართველოში გვაოცებს სმალტების დამზადების მალა დონე, რაც დაკავშირებულია გეოლოგიურ (რესურსების მოძიება) და ქიმიურ პროცესებთან (აუცილებელი ქიმიური ნაერთების შერჩევა და დამუშავება) (Виннер. А. В.1953: 87). ამ ოპერაციების წარმატებით განხორციელება შეუძლებელი იქნებოდა, ქართველ მხატვრებს რომ არ ჰქონოდათ სათანადო ტექნოქიმიური ცოდნა. ისინი მალა დონეზე ფლობდნენ ტექნოლოგიურ ჩვევებს და აღიარებული იყვნენ იმ დროინდელ სახელოვნებო სივრცეში, როგორც მალამხატვრული ნამუშევრების შემქმნელი ოსტატები .

ქართველი მოზაიკოსების მიერ შესრულებული ნამუშევრები ორგანულად განუყოფელია ქვეყნის კულტურისგან და ამ სივრცეში ადამიანის ყოფას, ხასიათს, ცხოვრების რიტმს და ხშირ შემთხვევაში მომავალსაც განსაზღვრავს. ძველი და ახალი მოზაიკის ნიმუშები, რომლითაც გაფორმებულია მცირე არქიტექტურული ფორმები - წყაროს, შადრევნის, გამჭოლი კედლის ზედაპირები ერთგვარ სამუხეუმო სივრცეს ქმნის თანამედროვე კულტურაში. ისინი ამავე დროს წარმატებით თანაარსებობენ (ერთად და დამოუკიდებლად) თანამედროვე არქიტექტურასთან.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. საჩკოვი მ., ჩაგუნავა რ.. (2016). ცნობები ძველი ქართული მოზაიკური მხატვრობის შესახებ, ქუთაისი - ალბომი.
2. წერეთელი გ., (1960). უძველესი ქართული წარწერები პალესტინიდან, თბილისი. ქსე.ტ.
3. ბახტაძე რ., (1964). საქართველოს უძველესი მინების შესწავლისათვის,თბილისი.
4. Виннер А. В., (1953). Материалы и техника мозаичной живописи, Москва.

1. კედლის მოზაიკის ფრაგმენტი. წრომი. 7ს



2. იატაკის მოზაიკა. ბიჭვინთა. 5ს.



3. მარკა იზორია. დეკორატიული მოზაიკური კედელი. მინა-კერამიკა-მოხატვა. 2017წ.



4. მარკა იზორია. პოპარტი. მოზაიკა. მინა-კერამიკა, მოხატვა.. 2017წ. მინა-კერამიკა, მოხატვა. 2017წ



## ტელევიზიის არსი და მხატვრული სახის თავისებურებები

**ნინო გელოვანი**

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ტელე-კინო ხელოვნების მიმართულების  
ასისტენტი, მოწვეული პედაგოგი,  
თეატრისა და კინოს სახელმწიფო  
უნივერსიტეტის დოქტორანტი, საქართველო

### აბსტრაქტი

სატელევიზიო შემოქმედების შესწავლის პროცესში ერთ-ერთი მთავარი ყურადღება რეალური სამყაროს ხედვითი სახეებით ფორმას უნდა დაეთმოს. ტელევიზია ეს არის, არა პროგრამა, გადაცემა, არამედ ურთიერთდამოკიდებულება და შევსება „შრომის გადანაწილება“ იმ ჟანრებსა და ფორმებს შორის, რომლებიც საერთო ჯამში პროდუქტს ქმნიან. ეკრანული მხატვრული ნაწარმოები იგება ხელოვნების ზოგადი კანონების მიხედვით. მხატვრული ტელევიზია ისევე როგორც მხატვრული კინო ეკრანის ხელოვნებაა. დღეს განსაკუთრებით დიდი როლი ენიჭება „მოვლენის აქტუალობის“, ანუ საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიწოდებას, რაც გულისხმობს ინფორმაციის სწორად და ოპერატიულად წარმართვას. ქრონიკალური, დოკუმენტური თუ პუბლიცისტური გადაცემა შეიძლება მრავალ გარეგნულ მხატვრულ ელემენტს შეიცავდეს, მაყურებელი ყურადღებას ამახვილებდეს „ესთეტიკურ“ მომენტებზე, მაგრამ ასეთი ნაწარმი ხელოვნების ნიმუშად ვერ გარდაიქმნებიან რჩება რეპორტაჟებად. ტელევიზიაში ხელოვნების ნიმუშად მიიჩნევა მხოლოდ ისეთი გადაცემები, რომელთა საფუძველს მხატვრული შინაარსი წარმოადგენს. მოხსენებაში განხილული იქნება ტელევიზიის არსი, თავისებურება, სპეციფიკა, დამახასიათებელი ნიშნები-გადაწყვეტილებების პირობითობა.

**საკვანძო სიტყვები:** ტელევიზია, ხელოვნება, პროგრამა, კრეატიულობა

## Essence of Television and the Peculiarities of Imagery Character

### Abstract

One of the main focuses in the study of television creativity has to do with the visual form of the real world. Television is, not a program, a broadcasting but an interdependence and complementarity of the "division of labor" between the genres and forms that together form the product. Screen art is created according to the general laws of art. Today, especially important is the provision of "topical" information, that is, socially important information which implies the correct and efficient delivery of information. A chronical, documentary or publicist program may contain many external artistic elements with viewers focusing on "aesthetic" aspects, but such works cannot be transformed into works of art and remain as reports. Television is considered to be a work of art only on the basis of artistic content. In the given work will discuss the essence, specifics, conventionality and features of the television.

**Keywords:** television, art, program, creativity

ტელევიზია, რომელიც კომუნიკაციის უნივერსალური საშუალებაა, თავის თავში ითავსებს რადიოს, ლიტერატურის, კინოს თვისებებსა და ფუნქციებს. ქმნის სინთესს და, შესაბამისად, ეთერიდან ვიღებთ შეთავსებული დარგების პროდუქტს.

მაგალითად, ტელევიზიამ რადიოსაგან მემკვიდრეობით მიიღო პროგრამირების პრინციპი, ლიტერატურისაგან – სიტყვა, კინოსაგან – კინოენა და გამომსახველობითი მასშტაბი, რეალური სინამდვილის ასახვა ეკრანზე მოძრავი გამოსახულების მეშვეობით, რომელსაც თან ახლავს ხმა. უმეტეს შემთხვევაში ტელევიზიას განიხილავენ ყველა ჩამოთვლილი ასპექტის ერთობლიობად.

თუ კანადელი მეცნიერის, მარშალ მაკლუენის, კონცეფციას განვიხილავთ, ტელევიზია ურთიერთობათა „ცივი“ საშუალებაა, რომელიც ადეკვატურად ასახავს მდგომარეობას მოცემულ მომენტში. „ტელეპროგრამა – ეს არის სინამდვილის წარმოსახვა და, ამავე დროს, მისი ახსნაც“.

ტელევიზიას უნარი შესწევს სინამდვილის ფაქტები ასახოს ხმა-ხედვით სახეში. ტექნიკურმა შესაძლებლობებმა რეალურ შემოქმედებით პრაქტიკაში ხელი შეუწყო ინფორმაციის პერსონიფიცირებას, საავტორო და სხვადასხვა სატელევიზიო გადაცემების შექმნასა და გადაცემას.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება „მოვლენის აქტუალობას“, ანუ საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიწოდებას, რაც გულისხმობს ინფორმაციის სწორად, ოპერატიულად, დამაჯერებლად წარმართვას.

სხვადასხვა სატელევიზიო არხი სათანადო მასალის დამუშავებასა და ინფორმაციის მიწოდებას განსხვავებული წესით ახორციელებს, თუმცა ამ თვალსაზრისით ეკრანული დარგები ერთ მოცემულობაში იმყოფება. მოვლენის შეფასებიდან გამომდინარე, მაყურებელამდე მიდის განსაზღვრული სიტუაციის ინფორმაცია, რომელიც ემოციურად დაბალანსებულია. მაგალითად, განვიხილოთ რომელიმე ეკრანული ეპიზოდი შემდეგი სქემით: მაყურებლის წინაშე წარმოდგენილია სიტუაცია, რომელიც გარკვეულ გრძნობებს გამოიწვევს, ხოლო შემდეგ მსხვილი ხედით ეკრანზე გამოჩნდება სიტუაციის „განმკარგულებელი“ – ემოციური ინტონაცია და მოძრაობა. სწორედ ისინი ხდებიან ინფორმაციის რეგულატორები.

ქრონიკა, დოკუმენტური თუ პუბლიცისტური გადაცემა შეიძლება მრავალ გარეგნულ მხატვრულ ელემენტს შეიცავდეს და მაყურებელიც ყურადღებას ამახვილებდეს „ესთეტიკურ“ მომენტებზე, მაგრამ ასეთი ნაწარმი ხელოვნების ნიმუშად ვერ გარდაიქმნება, ფიქსირდება, უბრალოდ, სატელევიზიო სიუჟეტად ან რეპორტაჟად.

ტელევიზიაში ხელოვნების ნიმუშად მიიჩნევა მხოლოდ ისეთი გადაცემები, რომელთა საფუძველს მხატვრული შინაარსი წარმოადგენს. აუდიტორიისთვის განკუთვნილმა სიტყვამ არა მარტო „ხმა ამოიდგა“, არამედ პლასტიკური კონტექსტიც შექმნა. გამოსახულებამ არა მარტო დინამიკა, არამედ სინამდვილის დოკუმენტურად ასახვის სრული სურათის სახე შეიძინა.

სატელევიზიო შემოქმედების შესწავლის პროცესში ერთ-ერთი მთავარი ყურადღება რეალური სამყაროს ხედვით ფორმებს უნდა დაეთმოს. მხატვრული ტელევიზია (ისევე როგორც მხატვრული კინო) ეკრანის ხელოვნებაა, რომელიც იგება ხელოვნების ზოგადი კანონების მიხედვით. ხელოვნების ყველა სფეროს სპეციფიკური მხატვრული ენა გააჩნია, რომელსაც შემოქმედი ახორციელებს მხატვრულ-გამომსახველობითი და ტექნიკური ხერხებით. შემოქმედების აუცილებელი კომპონენტია – შინაგანი მოტივაცია.

მაყურებელს მხოლოდ მოქმედებით დატვირთული პერიპეტები აინტერესებს, მას აღელვებს თუ „რაზეა ფილმი(ან გადაცემა)?“ უმეტესად არც ფიქრობს თუ ვის მიერ არის შექმნილი პროდუქტი. (ეს დამახასიათებელია ესთეტიკურად მოუმზადებელი მაყურებლისათვის). ასეთ შეხედულებას ს.ეიზენშტეინი უწოდებდა -შეხედულებას „საერთო პლანით“ ,როდესაც აუდიტორიის ყურადღება ეთმობა თემატურ მიმართულებას, რეალური სინამდვილის ასახვას, მაგრამ ეს არ არის საკმარისი მთლიანი ნაწარმის აღქმისა ,რომელიც შემოქმედებითი ჯგუფის მიერ მხატვრული შემოქმედების კანონითაა აგებული. ეიზენშტეინის განმარტებით აღქმა -„საშუალო პლანით“ გულისხმობს მაყურებლის მიერ ყურადღების კონცენტრაციას გმირების ვნებათა ღელვაზე, მათ აზრებსა და მოქმედებაზე, ბოროტისა და კეთილის, სამართლიანობისა და უსამართლობის ბრძოლაზე. რაც კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს კინოსა და ტელევიზიის ნათესაურ კავშირს.

მაგალითად, სერიული რომელიც არის დრამატული თხზულების ეპიზოდური ნამუშევარი მაყურებლისათვის ერთ-ერთი პოპულარურია სატელევიზიო სივრცეში, რომელსაც აუდიტორია აღიქვამს „საშუალო პლანით“, უწყვეტი დრამა -თხრობის ღია ხასითით, რამდენიმე განსხვავებული

ისტორიებით, რომლებიც მიმდინარეობს ერთდროულად „მაყურებელს“ „მაგნიტივით“ იზიდავს, დაძაბული ეპიზოდით დამთავრებული ყოველი სერია აღვიძებს ინტერესს ახალი სერიის ნახვისას.

რაც უფრო კარგად ფლობს ავტორი გამოხატვის საშუალებებს, მით უფრო ზუსტად, სიღრმისეულად, გამომსახველობითად ახერხებს საკუთარი ჩანაფიქრის შექმნას და მაყურებელთან მიტანას.

ეკრანული გამომსახველობის საშუალებები – კინო და ტელევიზია – ერთი და იმავე ენით – ეკრანის ენით – სარგებლობს.

ტელევიზიის ევოლუცია შეიძლება კინემატოგრაფის გამეორებადაც ჩაითვალოს. ტექნიკა, რომელიც, უდავოა, უმთავრესი ფაქტორია, ერთნაირად მუშაობს. გამოსახულება სხვადასხვა რაკურსით და მონტაჟი ანათესავებს და აახლოებს ტელევიზიას კინოსთან. თუმცა, კინოში დრო ყოველთვის წარსულია, მას არ ახასიათებს ოპერატიულობა. ტელევიზიაში კი ცხოვრებისეული მოქმედება რეალურად მიმდინარეობს – „ხელუხებელი“ სახით გადადის ეკრანზე ყოველგვარი დრამატურგიის გარეშე. კინო ახდენს სამყაროს ფორმირებას, ტელევიზია კი მას ასახავს.

„სრულიად ზედმეტად მიმაჩნია ტელევიზიისა და კინოსურთის ურთიერთდაპირისპირება. ერთი წარმოდგენს მეორის გაგრძელებას“, – ამბობდა რენე კლერი. მიქელანჯელო ანტონიონს კი მიაჩნდა, რომ კინოც და ტელევიზიაც, ანუ „პოეზია და ტექნიკა“, ხელჩაკიდებულები დადიოდნენ.

განმასხვავებელი ნიშნების მიუხედავად, კინოსა და ტელევიზიას შორის განსხვავება მაინც არაა – ყოყმანის გარეშე აცხადებდნენ კინემატოგრაფისტები.

ტელევიზია – ეს არის არა პროგრამა ან გადაცემა, არამედ ურთიერთდამოკიდებულება, შევსება, „შრომის გადაანაწილება“ იმ ჟანრებსა და ფორმებს შორის, რომლებიც, საერთო ჯამში, პროდუქტს ქმნიან.

ტელევიზიას შეუძლია გვაჩვენოს ეკრანზე, ერთი მხრივ, სცენები, რომლებიც ფიქსირებულია უშუალოდ (ე.ი. იმ მომენტში, როცა მას ვხედავთ) და, მეორე მხრივ, სურათები. სანახაობები, რომელიც წინასწარაა გადაღებული. „ცოცხალმა“ (პირდაპირმა) ტელევიზიამ ჩამოიტოვა ჩვეულებრივი კინო, როდესაც საქმე ეხება მიმდინარე მოვლენების ჩვენებას. „წმინდა“ დოკუმენტურობის თვალსაზრისით ტელევიზიამ გაიმარჯვა.

პირდაპირი ეთერის დროს ზოგჯერ დაბრკოლებას ვაწყდებით. ამ დროს მოვლენის აქტიურობა მოკლებულია მნიშვნელობას. თუ ტელევიზიით გვაჩვენებენ „რომეოს და ჯულიეტას“, მაყურებელი ნაკლებ ამხვილებს ყურადღებას, თამაშობენ თუ არა მოსამსახურეები მოცემულ მომენტში.

ტელევიზიამ საშუალება მოგვცა დაგვენახა მოლაპარაკე ადამიანი. მისმა უნივერსალიზმმა მიუღწევს მიაღწია: ხმა, ფერი, პლასტიკა, დინამიკა, მოვლენისა და მისი გადაცემის ერთდროულობა. ეკრანულობა განსაზღვრავს შერეული გამოსახულებითი ენით საუბარს, რაც ახასიათებს როგორც კინოს, ისე თეატრს. ტელევიზიამ კი შეიმუშავა დრამატურგიული მასალის თავისებური ვარიანტი (ტელესპექტაკლი, ტელესერიალი)

ტელეგადაცემის დროს ჩვენ წინ ეკრანია, მატერიალური სამყარო ადამიანებით, დეკორაციებითა და გამართული სტუდია-პავილიონებით. მაყურებელმა იცის პირდაპირი გადაცემის დროს მის ოჯახს სტუმრობს ის ადამიანი, რომელიც ტელეკამერის წინ იმყოფება. თუმცა მის წინაშე ოპტიკური ეფექტია. რაც შეეხება მაყურებელს, იგი უშუალოდ გადაცემის, ქმედების თანამონაწილეა, რომელიც ვერ ხდება რეალურ სივრცეში. თუ მაყურებელი გამორთავს ტელევიზორს, იგი ვერ იქნება ამა თუ იმ გადაცემის მონაწილე, ანუ აღარ არის მაყურებელი და ირღვევა თანამონაწილეობის ბალანსი რეალურ სივრცეში.

შევეცადოთ განვიხილოთ ტელევიზიის სპეციფიკური ნიშნები:

ტელესამყარო აღმოცენდა ტელემაყურებლების წარმოდგენებიდან და დაკვირვებებიდან. ის ყოველდღიურად უჩვენებს ისეთ ნაწარმს, რომელიც კინოხელოვნების პოეტიკის ჩარჩოებში არ თავსდება.

ტელევიზიის მასობრიობის გამო მაყურებელი ხშირად ისეთ სატელევიზიო გადაცემას ეგუება, რომელიც რეიტინგულ ამინდს ვერ ქმნის. სატელევიზიო გადაცემაზე დასწრება უფასოა და მისი ყურება სახლში თამამად შეგიძლია, ის ხომ „ოჯახის მეგობარია“.

ტელევიზიის ეს უნარი გამოიხატება მისი ფიზიკური ბუნებით, რომელიც შეტყობინების შექმნისა და გადამცემი საშუალებების სპეციფიკას განსაზღვრავს. ესენია:

პირველი – ტელევიზორის მიერ მიღებული სატელევიზიო სიგნალის ელექტრომაგნიტური რხევების თვისება, შეადგინოს ნებისმიერ წერტილში (გადამცემის მოქმედების ზონაში), მას შეგვიძლია ვუწოდოთ ყველგანშელწვადობა.

მეორე – შეტყობინების გადაცემის უნარი მოძრავი გამოსახულების ფორმით, რომელსაც თან ახლავს მუსიკა. ამას შეიძლება დავარქვათ ტელევიზიის ეკრანულობა. ამ დროს სახეები აღიქმება უშუალო მგრძობელობით, რის გამოც ხელმისაწვდომია ფართო აუდიტორიისათვის.

მესამე თვისება – ეს არის ქმედების, მოვლენის შეტყობინებისა და ერთდროულობის გამოსახვა ეკრანზე. ეს უნიკალური თვისება მხოლოდ პირდაპირი გადაცემის დროს ცხადდება, როდესაც გამოსახულება ეთერში გადის სატელევიზიო კამერების მეშვეობით, წინასწარი ფიქსაციის გარეშე ანუ აწმყო დროში. ამ არაფიქსირებული შეტყობინების შექმნისა და გადაცემის უნარს ვუწოდებთ ტელევიზიის უშუალობას, რაც დაკავშირებულია ტელეგადამცემის სიმულიანტობასთან (ანუ ჩვენების, ცქერის, ტრანსლაციის ერთდროულობასთან)

ეს სატელევიზიო გადაცემის განსაკუთრებულობას განაპირობებს. მთელი გადაცემა მიდის ტელემაყურებლის მიმდინარე ცხოვრების პარალელურად და ერთდროულად. ტელევიზიაში ტრადიციული ჟურნალისტური ჟანრები – ინტერვიუ, რეპორტაჟი და სხვა – ეკრანული ასახვისას გამოირჩევა ერთი თვისებურებით: თემა, იდეა, შინაარსი გადმოცემულია უშუალოდ ავტორის და მოვლენის გმირების, ადამიანების პიროვნული ხასიათების მთელი სისრულით.

სატელევიზიო კომუნიკაციის ხმოვან-ხედვითი ხასიათი კომუნიკატორსა და აუდიტორიას (მაყურებელს) შორის კონტაქტის აღდგენას მოითხოვს. სწორედ, ამიტომ ამბობენ, რომ ტელევიზიამ კაცობრიობას დაუბრუნა ორატორული ხელოვნების აღქმის საშუალება ლიტერატურული შემოქმედების განვითარების გამო.

მსოფლიოს უმსხვილესი ტელეკომპანიები ცდილობენ, ჰყავდეთ ისეთი წამყვანები, რომლებიც მაყურებლის ნდობასა და სიმპატიას იმსახურებენ.მათ თემის ფინიშინგი (finishing-ბოლომდე მიყვანა) ლოგიკურ დასასრულამდე შეუძლიათ.

სატელევიზიო გადაცემათა სიჭრელის გამო ნაცნობი სახე აუდიტორიისთვის იმ ორიენტირად იქცევა, რომელსაც თან მოჰყვება კონკრეტული ტელემაყურებლისთვის საინტერესო ინფორმაცია.

თუ ჟურნალისტი ეკრანული ქმედების მონაწილეა, მით უფრო მაღალია პერსონიფიკაციის დონე და, ამავე დროს, მაყურებელი მის მიერ წარმართულ მძაფრ ინტერვიუს, რეპორტაჟს თანაგრძობით უყურებს და მას „დადებით გმირად“ წარმოადგენს. როდესაც ტელემაყურებელი ელოდება ჟურნალისტის გამოჩენას, ეს მიუთითებს პერსონიფიკაციის მაღალ დონეზე, რადგან მას სჯერა მისი და ითვალისწინებს აღნიშნული საკითხისადმი მის აზრს. მაგალითად, სატელევიზიო შოუს წამყვანებთან ერთად მონაწილეებს საშუალება ეძლევათ საჯაროდ გამოთქვან თავიანთი აზრი და განიხილონ მოცემული თემა ტიპურ საეკრანო სახესთან.

ტელევიზიის კიდევ ერთ სპეციფიკურ თვისება, რასაც უშუალობას ვუწოდებთ, განსაზღვრავს მის პრინციპულ შესაძლებლობას – ინფორმაციის ოპერატიულ მოპოვებასა და გავრცელებას. სპეციფიკურობაზე საუბრის დროს მოისაზრება პირდაპირი, ანუ „ცოცხალი გადაცემა“. თუმცა, დიდი ხანია ტელევიზიები იყენებენ წინასწარ ჩაწერილ გადაცემებს, ვინაიდან ჩანაწერის ჩვენება რენტაბელური აღმოჩნდა.

უშუალობა თავისთავად მაყურებელში ბადებს „თანდასწრების ეფექტის“ ფსიქოლოგიურ განწყობას და ნდობას ამა თუ იმ გადაცემის მიმართ. ამიტომაცაა რომ ამ განწყობის გამო წინასწარ დაფიქსირებული გადაცემა მაყურებელთა გარკვეული წრისთვის აღიქმება, როგორც უტყუარი შეტყობინება

ხმოვანი სახე – ტელემაყურებლისთვის ხმა ზოგჯერ აღრმავებს გამოსახულების აღქმას, ზოგჯერ ისე იპყრობს მათ ყურადღებას, რომ გამოსახულებასაც იქვემდებარებს. ყური თვალზე უფრო მიმდობია, ის აღიქვამს უცნობსა და უცნაურს.

მაყურებელი მომთხოვნია იმის მიმართ რასაც ეთერიდან ხედავს, ვიდრე ისმენს.

ტელევიზიაში მრავალი ხმოვანი პალიტრაა, რომლებიც განსაზღვრავს გადაცემის ხასიათს.

ტელევიზიის სპეციფიკური თვისებებიდან აღსანიშნავია მისი პროგრამულობა, ინფორმაციები ჯგუფდება და იქმნება ერთი მთლიანობა. კინოსგან განსხვავებით (კინოში თითოეულ მონათხრობ ისტორიას აქვს დასასრული და არ აქვს შემდგომი გაგრძელება), სატელევიზიო პროგრამაში იშვიათად არის წარწერა „დასასრული“, რადგან მეორე დღეს ახალი ტელედღე იწყება.

ტელევიზიის არსი და მნატვრული სახის თავისებურებები შეჯამებისას დავასკვნით, რომ ტელევიზია არის საშუალება, რომელიც ხელოვნების ტრადიციული დარგების ნაწარმოებებს უხსნის გზას. ის გამოსახულებისა და რეალობის ერთდროულ სურათს გვაძლევს. „დასწრების ეფექტი“ კი განაპირობებს მაყურებლის ურთიერთობის პიროვნულ ხასიათს.

#### **ლიტერატურა:**

1. ნიკო ლეონიძე-„ტელევიზიის მოამბე“,თბილისი,1987
2. ნიკო ლეონიძე „ტელე-რადიო ჟურნალისტიკის საკითხები“ თბილისი, 1998
3. მარსელ მარტინი,, კინოს ენა“,„ისკუსტვო“,1959
4. ვლადიმერ საპაკი,„ტელევიზია და ჩვენ“, მოსკოვი,1963

## მარიამ კერესელიძის ცხოვრებისეული პერიპეტიები

**მარიამ მარჯანიშვილი**

ფილოლოგიის დოქტორი

ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული

მუზეუმის მეცნიერ-თანამრომელი, საქართველო

### აბსტრაქტი

იმეცნიერულად დადასტურებულია, რომ გენეტიკური მემკვიდრეობა პიროვნებას თავისი სურვილისა და ნების გარეშე მშობლებისაგან გადმოეცემა, რითაც იგი უკავშირდება წინაპართა მსოფლიოს. ასევეა კონსტიტუციაც, ნერვული სისტემა, ტემპერამენტი, ნაწილობრივ ხასიათიც, - მემკვიდრეობითია. თუ ამ მცნებიდან ამოვალთ მარიამ კერესელიძე გენერალი მამის ლეო კერესელიძის ალი-კვალი გახლდათ. მასავით მიზანმიმართული, თავგანწირული, ბეწვის ხიდზე მავალი, ერთი სიტყვით „უშიშო ვითარცა უხორცო“. ქართული ჯიშისა და გენის, ერის თავისუფლებისაკენ სწრაფვის დაუოკებელი წყურვილი მამამ იმთავითვე ჩაუნერგა პატარა მარიამს, რომელიც ერთადერთ პირმშოს „მამაკაცურად ზრდიდა, ცდილობდა, მისთვის გამოემუშავებინა ისეთი თვისებები, რომლებიც რთულ ვითარებაში გამოადგებოდა.“ გენერლის უდიდესი სურვილი იყო, რომ მარიამი მისი პოლიტიკური კურსის გამგრძელებელი გამხდარიყო. მამის პოლიტიკურ ქურაში გამოზრდილი ქალიშვილის ყველა ქმედება ქართული სახელმწიფოებრიობის აღსადგენად იყო მიმართული. მეორე მსოფლიო ომის დროსაც ჯერ კიდევ 19 წლის მარიამ კერესელიძე კა-გე-ბეს ინფორმაციით სამი წლის განმავლობაში გერმანელებს უშეცდომოდ აბომბვინებდა გიბრალტარის ინგლისურ ბაზებს. მის „დამსახურებათა“ ნუსხაში შედიოდა აგრეთვე ტანჟერში აკრედიტებულ ამერიკელ და პორტუგალიელ ელჩებს შორის წარმოებული საიდუმლო მოლაპარაკებების გამყვანებაც. ამიტომაც მასზე ნადირობდნენ: საბჭოთა კა-გე-ბე, ინგლისის დაზვერვა, საფრანგეთის პოლიცია და გერმანელი ფაშისტებიც კი... მარიამ კერესელიძეს მეორე მსოფლიო ომში ანტისაბჭოთა დაჯგუფებაში გერმანელთა მხარეს ფორმალურად - სხვისი ინტერესებისათვის, ხოლო გულში საქართველოს აღდგენისათვის ფიქრით იბრძოდა. ომის დამთავრების შემდეგ სამხრეთ ამერიკაში გადასახლდა და პერუში ცხოვრებისა და მოღვაწეობის პერიოდში, 1960 წელს ესპანურ ენაზე დაწერა პიესა „მაიტა“, ხოლო მეორე პიესა გახლდათ „ვარსკვლავების ფესვი“, რომელიც პერუს თეატრის როსა ვუნდერის დასმა წარმოადგინა. პერუში ხალხის მძიმე მდგომარეობის მიზეზით, მარიამ კერესელიძე კომუნისტური პარტიის საქმიანობაშიც ჩაერთო. უცნაურია, მაგრამ ფაქტია, რომ ქართული ემიგრაციის მემარჯვენე ფრთის ცნობილი ლიდერის ლეო კერესელიძის ქალიშვილი, მამის მსოფლმხედველობრივი იდეოლოგიის გამტარებელი და საბჭოთა რეჟიმის მოწინააღმდეგე, პერუში ცხოვრებისას მხარს უჭერდეს კომუნისტებსა და აღიარებდა ფიდელ კასტროს. 1964 წელს მარიამი ჩამოშორდა პერუს კომუნისტურ პარტიას (პრორუსულს), და პრომაოისტური პოზიცია აღიარა. საბოლოოდ მარიამი და მისი მეუღლე პერუდან გაქცეულნი პარიზში დამკვიდრდნენ. იგი სორბონის უნივერსიტეტში მარიამ ჰერერას სახელით კითხულობდა ლექციებს. 2013 წელს მარიამ კერესელიძის ანდერძის თანახმად მისმა მეუღლემ ფერფლი საქართველოში ჩამოიტანა. ასეთი იყო დაკარგული ქართველი ქალის ცხოვრებისეული პერიპეტიები.

**საკვანძო სიტყვები:** კერესელიძე, პერუ, დაკარგული

### Mariam Kereselidze's Life Twists and Turns

#### Abstract

It is scientifically proved that genetic heritage, irrespective of a person's wish or will, is passed down from parents, which connects him/her with their predecessors' world. The same can be said about constitution, nervous system, temperament, character – they are all inherited. From this point of view, Mariam Kereselidze was a copy of her father, general Leo Kereselidze. She was determined, self-sacrificing and daring like her father. The love of Georgian gene and origins, the

striving towards freedom were inspired by her father from her very childhood. Mariam was the only child so her father brought her up in a manly manner, tried to develop the features which she would use in difficult situations. The general wished his daughter to continue his political course. Brought up in her father's political surrounding, all Mariam's actions were directed to restore Georgia's statehood. During the World War II, at the age of 19, Mariam Kereselidze helped the Germans to bomb English bases in Gibraltar for three years, according to KGB. On her "achievements" list, there was also a revelation of secret negotiations between American and Portuguese ambassadors. That was why she was hunted by: Soviet KGB, English Intelligence, French police and even German Nazis... In the World War II, Mariam Kereselidze fought among anti-Soviet group, on the Germans' side for others' interests, formally, but in reality she fought for Georgia. After the war she moved to South America and while living in Peru, in 1960, she wrote a play "Maita" in Spanish, her second play was "Roots of Stars" which was staged by Rosa Wonder's cast of Peru Theatre. Due to hard life conditions in Peru, Mariam Kereselidze started her activity in Communist Party. It is strange but true that the daughter of the famous right-wing leader of the emigrants Leo Kereselidze, the carrier of her father's ideology and the opponent of the Soviet regime, supported communists in Peru and recognized Fidel Castro. In 1964, Mariam left Peruvian Communist Party (pro-Russian) and joined pro-Maoist position. Finally, Mariam and her husband ran away from Peru and settled in Paris. She read lectures at Sorbonne University under the name of Mariam Herrera. According to her will, her husband brought her ashes to Georgia in 2013. These were life twists and turns of a lost Georgian woman.

**Keywords:** Kereselidze, Peru, lost

მეცნიერულად დადასტურებულია, რომ გენეტიკური მემკვიდრეობა პიროვნებას თავისი სურვილისა და ნების გარეშე მშობლებისაგან გადმოეცემა, რითაც იგი უკავშირდება წინაპართა მსოფლიოს.

ასევე კონსტიტუციაც, ნერვული სისტემა, ტემპერამენტი, ნაწილობრივ ხასიათიც, - მემკვიდრეობითია. თუ ამ მცნებიდან ამოვალთ მარიამ კერესელიძე გენერალი მამის ლეო კერესელიძის ალი-კვალი გახლდათ. მასავით მიზანმიმართული, თავგანწირული, ბეწვის ხიდზე მავალი, ერთი სიტყვით „უშიშა ვითა უხორცო“.

ქართული ჯიშისა და გენის, ერის თავისუფლებისაკენ სწრაფვის დაუოკებელი წყურვილი მამამ იმთავითვე ჩაუკირა პატარა მარიამს, რომელიც ერთადერთ პირმშოს „მამაკაცურად ზრდიდა, ცდილობდა, მისთვის გამოემუშავებინა ისეთი თვისებები, რომლებიც რთულ ვითარებაში გამოადგებოდა.“

გენერლის უდიდესი სურვილი იყო, რომ მარიამი მისი პოლიტიკური კურსის გამგრძელებელი გამხდარიყო და ამიტომაც მას მსოფლიოს დამპყრობთა არიალში მოქცეულ სამშობლოს სვე-ბედზე თავიდანვე ათვითცნობიერებდა.

მამის მონათხრობიდან იცოდა, რომ საქართველომ სხვადასხვა დროს იწვნია: კიმირიელთა, სკვითთა, თრაკიელთა, რომაელთა, ბერძენთა, სპარსთა, არაბთა, თურქთა, მონღოლთა, თურქმანთა, ყირიმელთათართა მძლავრობის სუსხი. ერთიანი საქართველოს სხეულს ასევე დაუნდობლად ფლეთთა გარეშე მტერთა მიერ დაგებული ხვანჯები, წეწავდა გარედან წაქეზებული შინაგანი წინააღმდეგობანი და ბოლოს უღებდა ძმათა მკვლელი ომები. საუკუნეთა მანძილზე მუსლიმანური ზღუდით გარშემოვლებული საქართველო მაჰმადიანური ქვეყნების მძლავრობით ყოფნა-არყოფნის პირადაც იყო მისული. დამპყრობლები ძლიერ ზეგავლენას ახდენდნენ ქვეყნის პოლიტიკაზე, ეკონომიკაზე, კულტურისა და ყოფიერების სხვადასხვა სფეროზე.

მუსლიმანური გარემოცვის გარდა საქართველო, XVIII საუკუნის მიწურულს, რუსეთის იმპერიის სამიზნეც გახდა, საიდანაც დაიწყო ისტორიული ბედუკუღმართობის კიდევ ერთი დიდი ხანა, როდესაც საქართველოს პირველ და მეორე ოკუპაციებს თან მოჰყვა ქვეყნის ანექსია. დამოუკიდებლობის კვლავ აღდგენისათვის თითოეულ ქართულ პოლიტიკურ ემიგრანტს მამულიშვილური შემართებით ზოგჯერ ხმლით და მახვილით, ზოგჯერ სიტყვითა და კალმითაც უხდებოდა ბრძოლა.

მარიამ კერესელიძემ კარგად გაითავისა, რომ ქართველად დაბადება დიდ ბედნიერებასთან ერთად დიდი უბედურებაც იყო და ამიტომაც ჯარისკაცვით გენერალი მამის დავალებათა უსიტყვო შემსრულებელი ბავშვობიდანვე გახდა.

ჯერ კიდევ 4 წლის ასაკში, მამის პოლიტიკური კურსის გამგრძელებელმა, 1925 წელს, „თეთრი გიორგის“ დაარსების დღეს პირველი პოლიტიკური ნათლობა მიიღო და მისი ცხოვრების კრედოდ „თეთრი გიორგის“ დევიზი - „საქართველო უწინარეს ყოვლისა“ - გაიხადა.

ეს დევიზი კი თავის არსში მისი წესდებიდან გამომდინარე გულისხმობდა: „თეთრი გიორგისათვის“ ერი წმიდათა წმიდაა. ყველა დანარჩენი მას უნდა ეწირებოდეს. ერი მარადიულია, დანარჩენი ყველაფერი წარმავალია. დროული უნდა ეწირებოდეს მარადიულს... პიროვნებანი გარდამავალი და დროული სტუმრები არიან ერის არსებობის პროცესში... ასევე წარმავალნი არიან ის საზოგადოებრივი თუ პოლიტიკური ფორმები, რომლებიც იქმნებიან ისტორიის სხვადასხვა პერიოდში. სამი ათასი წლის მანძილზე ქართველ ერს მრავალი წყობა და პოლიტიკური ფორმა გამოუვლია. ესა თუ ის ფორმა იმდენად იყო ხანგრძლივი, რამდენადაც ის დადებითად უპასუხებდა ერის წარმატებასა და დღეგრძელობას... ჩვენ გვინდა ყოველივე შევწიროთ ერის კეთილდღეობას. ჩვენ გვინდა დავიხოცოთ ყველა, თუ ეს იქნება თავდები ერის დღეგრძელობისა, ყველა აზრები, იდეები, სისტემები, ყველაფერი ერის წარმატებას უნდა ემსახურებოდეს... ერი თუ ბედნიერია, მისი ყოველი შვილიც ბედნიერია!“ (მანველიშვილი, 1990, გვ. 168).

შეიძლება ითქვას, რომ მარიამ კერესელიძემაც ეს წესდება მთელი მისი ცხოვრების პოსტულატად გაიხადა. ვინაიდან დიდი გამძლეობით, ფართო ხედვის უნარით დაჯილდოებული და მამის პოლიტიკურ ქურაში გამოზრდილი ქალიშვილის ყველა ქმედება ქართული სახელმწიფოებრიობის აღსადგენად იყო მიმართული.

მეორე მსოფლიო ომის მსვლელობისას იგი მაშინათვე ქართველმა მატა ჰარად მონათლეს, რამეთუ სილამაზით განთქმული ეროტიკული ცეკვების შემსრულებელი ჰოლანდიელი ჰერტრუდ მარგარეტ ზელე პირველი მსოფლიო ომის დროს თურმე ორმაჯ ჯაშუშად იყო მიჩნეული. გადმოცემით, იგი გერმანულ ფლოტსა და არმიაზე ინფორმაციას საფრანგეთს აცუობინებდა. მასვე ბრალად ედებოდა ასევე გერმანულ დაზვერვასთან საფრანგეთის საწინააღმდეგო კავშირიც.

ანალოგიურ ბრალდებას უყენებდნენ მეორე მსოფლიო ომის დროსაც ჯერ კიდევ 19 წლის მარიამ კერესელიძესაც, რომელიც კა-გე-ბეს ინფორმაციით სამი წლის განმავლობაში გერმანელებს უშეცდომოდ აბომბვინებდა გიბრალტარის ინგლისურ ბაზებს. მის „დამსახურებათა“ ნუსხაში შედიოდა აგრეთვე ტანჟერში აკრედიტებულ ამერიკელ და პორტუგალიელ ელჩებს შორის წარმოებული საიდუმლო მოლაპარაკებების გამჟღავნებაც, რომლის გამოც მარიამ კერესელიძეზე ნადირობდნენ: საბჭოთა კა-გე-ბე, ინგლისის დაზვერვა, საფრანგეთის პოლიცია და გერმანელი ფაშისტებიც კი...

მეორე მსოფლიო ომში ფაშისტური გერმანიის აღსასრულის ჟამს მარიამ კერესელიძეც „ქართველ ემიგრანტებთან ერთად მზად იყო ინგლისელებს ჩაბარებოდა, რითაც დიდი შანსი ეძლეოდა ინგლისის დაზვერვის ინტერესთა სფეროში მოხვედრილიყო“.

ასევე კ.გ.ბ.ს მასალების მიხედვით 1945 წლის 29 აპრილს, გამთენიისას თურმე „ღამით პარტიზანთა მხარეს გადასვლის მცდელობისათვის „სს“-ის ქართული პოლკის მებრძოლებს დაუპატიმრებიათ მარიამ კერესელიძე. ქართველი „ესესელების“ აზრით, იმდენად დიდი იყო ლეო კერესელიძის ავტორიტეტი ანტისაბჭოთა ემიგრაციაში, რომ მის ქალიშვილს ფაშისტებისათვის არ გაიძეებდნენ“.

საერთოდ, მისი ჯაშუშობის ბრალდების მიუხედავად იტალიელი პარტიზანები მარიამს მაინც ენდობოდნენ: „ომის ბოლოს პარტიზანი ვიყავი იტალიის მთებში, წამიყვანია 600 ქართველი ბიჭები. გერმანელმა „ესესეებმა“ კინალამ დამხვრიტეს, მაგრამ, როგორც იყო გადავრჩი. დედამ საშინელი დრო გაატარა, სულ მოელოდა ამბავს, რომ მკვდარი ვიყო. მის შემდეგ რაღაც ჯილდო უნდოდათ მოეცათ, მაგრამ მე ეს არ მაინტერესებს. მანდ, იტალიის მთებში ქართველებს აღმერთებენ და ოფიციალურად გამოაცხადეს, რომ „ქართველების წყალობით და მარიამის წყალობით ჩვენ გადავრჩითო. თორემ, იტალიელი პარტიზანების იმედით ყოფილიყვნენ, ბევრი ხალხი დაიღუპებოდა, ვინაიდან იტალიელი პარტიზანებმა კურდღელებივით ირბინეს საშიშ დროს.“

ომის დროს ფრიდონ წულუკიძემ ჩამაბარა თავისი ხელით გერმანელ „ს.ს.“ რომ დამხვრიტონ! როგორღაც გადავრჩი. იტალიაში, ომის შემდეგ იტალიურმა მთავრობამ მთხოვა თუ შეიძლებოდა საკონცენტრაციო ბანაკიდან ფრიდონის გაშვება და მე ვეთანხმები“ (პერუ, 01.10.1958).

თავდაპირველად ქალიშვილის ქმედებას, ქცევასა თუ საზოგადოებასთან ურთიერთობას თვალყურს „თეთრი გიორგის“ ხელმძღვანელი ლეო კერესელიძე ადევნებდა.

1942 წელს, ვუსტრაუს ტყვეთა ბანაკში იგი მამის ინტერესების გამტარებლად საქმიანობდა და ანტისაბჭოთა აგიტაციას ეწეოდა. მარიამი ბანაკში ორგანიზებულ ქართული სიმღერისა და ცეკვის გუნდში (ხელმძღვანელი პავლე მალრაძე) მონაწილეობდა. გუნდში მღეროდა ქართულად და მომხიბვლელად ასრულებდა კავკასიურ ცეკვებს. გუნდი მთელ გერმანიასა და მის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე მოგზაურობდა. ტყვეთა ბანაკში მან ბევრი ქართველი მეგობარი შეიძინა და ქართული ენა უფრო განიმტკიცა.

იმ დროს გერმანიაში ანტისაბჭოთა დაჯგუფებებში მრავალი თვით- შემოქმედებითი გუნდი არსებობდა, რომლის მიზანი იყო უცხოეთში ქართული ხელოვნებისა და კულტურის პროპაგანდა.

ამ თვალსაზრისით საკმაო წარმატებას აღწევდა მარიამ კერესელიძე, რომელიც ბავშვობიდანვე ქართულად მღეროდა, ცეკვავდა და ლექსებსაც წერდა: „ამ შუკრების უმაღლესი წერტილი მარიამ კერესელიძისა და გივი ყანდაშვილის მიერ შესრულებული ქართული ცეკვა განდა“, - აღნიშნავდა თავის მოგონებაში გივი გაბლიანი.

ქართული ცეკვების უბადლო შესრულებით, მეორე მსოფლიო ომში გერმანელების ჯაშუშად მონათლული, შემდეგ კი გერმანელების წინააღმდეგ იტალიელ პარტიზანებთან ერთად მებრძოლი, ფრიდონ წულუკიძის მიერ გერმანელ „ესელებზე“ დასახვრეტად გადაცემული და ბოლოს მარიამის მიერ გამცემი თანამემამულის შენდობის მაგალითი, მრავალ ანალოგიებს პოულობს მატა ჰარის ცხოვრების ეპიზოდებში, თუნდაც იმით, რომ 1917 წლის 13 თებერვალს გერმანიის სასარგებლოდ ჯაშუშობაში ბრალდებულმა მატა ჰარმაც, დახვრეტის წინ აპატია ყველაფერი ჯალათებს და მათ ჰაეროვანი კოცნაც გაუგზავნა.

ინგლის-ამერიკის ავიაციის მიერ ბერლინის დაბომბვისას, 1943 წელს, ლეო კერესელიძე დაიღუპა. ამასთან დაკავშირებით მარიამი მამიდას წერდა: „22 ნოემბერს 1943 წელს მამილომ გვითხრა, რომ სიზმარში ნახა თავისი თავი თეთრად ჩაცმული და მთელი ნათესავები, დედ-მამა, რომლებიც მოკვდნენ - შავი ტანისამოსით და გვითხრა: „ცუდია, მალე მოკვდები“ და 23-ში დაიღუპა, როგორც ბებია მარიამი“ (30.08.1956).

სამშობლოს მკერდიდან მოკვეთილმა ღირსეულმა შვილმა ლეო კერესელიძემ მისი ნიჭი და უნარი თავისი ქვეყნის ერთგულებას, სიყვარულს და მის უკეთეს მერმისზე ფიქრს შეაღია... „მამაჩემი სულ ამბობდა: მე ვერ ველირსები საქართველოში დაბრუნებას, მაგრამ თქვენ კი დაბრუნდებითო“, - აღნიშნავდა მარიამი მამიდის სახეზე გაგზავნილ წერილში (30.08.1956).

ამიტომ მისი ოცნება იყო მამის ანდერძის სრულყოფა: „დღეს როცა ტალარაში მივკედი, გული მცემდა და ვფიქრობდი რომ უეჭველად რამე არა ჩვეულებრივი მომელოდებოდა ფოსტაში. და შემხვდა შენი წერილი მამის სურათით! ვერ წარმოიდგენ თუ როგორ იმოქმედა ჩემზე! თანაც მეჩქარებოდა, მინდოდა მალე დავბრუნე მანკორაში (ტალარიდან მოშორებულია 80 კილომეტრით), რომ დედას სურათი ჩამებარა. რომ იცოდე თუ რა მადლობელია! დედასთვის, და ჩემთვისაც, ყველაზე ძვირფასი რამ არის მამის სურათი...

რა ცოცხალი, ძვირფასი და გრძნობიარე წერილი მომწერე, ჩემო კარგო! მე ასე მეგონა თქვენთან ვიყავი; შენთან ძალიან ახლო, თითქმის ვგრძნობდი შენი ალერსი, შენი ტკბილი სიტყვები, მთელი შენი მომზიდვარე პიროვნება... მართლა, აქ გარდა დედა, არაფერი არ მაინტერესებს და არაფერიც არ მინდა! მე და დედის ოცნება ეს არის, რომ დავბრუნდეთ საქართველოში, რას იტყვი? ამ იმედით, ამ ოცნებით, მინდა როგორმე ფული მოვიგო, და იმედია, მოვახერხებ კიდევაც. უკანასკნელ წერილში გაცნობდი რომ ლიმაში გადავდივართ საცხოვრებლად და მანდ რომელი მუშაობას ვაპირებ. იმედია ყველაფერი გამოვა კარგად. ჯერ-ჯერობით ბევრი ვალები მაქვს, მაგრამ უკვე ერთხელ, სამი წელიწადი უკან ისეთ მდგომარეობაში ვიყავი და კარგათ ავასწორე ჩემი საქმე. საერთოდ ხალხი მენდობა, რადგან არავის არ ვატყუებ. მითუმეტეს უბრალო ხალხს ვუყვარვარ; ისინი ნახავენ რომ მუშაობას არ მეშინიან, რომ მათი გულის ტკივილი მესმის, რადგან ძალიან ბევრი და საშინელი სიღარიბე განმიცდია მეცა. მეთევზეები, ჩოფრები, მუშები ამ ხალხს მართლა ძალიან ბევრ რამეში ყოველთვის მეხმარება, მეც ვეხმარები ყოველნაირად. საერთოდ ძალიან მსიამოვნობს, როცა ხალხი სიყვარულსა ვრძნობ, და ყველგან ვიცი ადამიანობა და გულკეთილობა, ხანდისხანაც დიდი ბოროტობაც, მაგრამ ამას მავიწყდება“ (30.07.1957).

მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგაც მარიამს ისევ დედის ოჯახი დაეხმარა. ბიძამ ისინი შვეიცარიაში წაიყვანა. 1948 წელს მარიამ კერესელიძე შევიდა შვეიცარიის უნივერსიტეტში. სწავლის პარალელურად იგი ევროპულ ენებს ასწავლიდა სკოლებში. შემდეგ კი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მთარგმნელადაც მუშაობდა.

„ჩემმა ბიძამ (დედის მხრივ), წაიყვანა 1948 წელი შვეიცარიაში, უნივერსიტეტში ვსწავლობდი, თანაც ენებს ვასწავლიდი სკოლებში, მერე დავიწყე უნო–ში მუშაობა მთარგმნელათ და მანდ კარგი ფული ვიგებდი. აქაც თევზაობით კარგათ წავიდა საქმე და იმედია კარგათ წავა ლიმაში...“

შენი წერილი სიცოცხლის წყაროა ჩვენთვის. მე და დედა სულ ველი შენგნით წერილს. ჯერ ვერ გავამთავრე რომანი ვინაიდან დღიური მუშაობა და ბრძოლა ცხოვრებისათვის არც დრო და არც სიწყნარეს არ მაძლევს" (30.07.1957).

მარიამ კერესელიძეს მამის ყველა თვისებასთან ერთად მისი სამწერლო ნიჭიც გამოჰყვა: „14 წელიწადის უკან პატარა, ქართულად დაწერილ ლექსებს ვწერდი, რომელსაც მღეროდი ფანდურზე, მიკვირს და გული მტკივა რომ სრულიად დავიწყებული მაქვს მშობლიური ენა! „ბოლოს დროს, ორი დრამა დავწერე, ვნახოთ თუ მიიღებენ ტეატრში!“ (24.09.1958).

მარიამ კერესელიძემ პერუში ცხოვრებისა და მოღვაწეობის პერიოდში, 38 წლის ასაკში, ესპანურ ენაზე პიესა „მაიტა“ დაწერა: „სექტემბრის თვეში აქ პირველ თეატრში დგამენ ჩემს პირველ პიესას-დრამას ესპანურად დაწერილს. გიგზავნი გაზეთს, სადაც იწერება, რომ ქართველი ვარ. ჩემი პსევდონიმია – ლეო კერელი! იმედია მეორე დრამა ჩემი დაიდგმება 1960 და თუ კი კარგია, ვინ იცის, იქნებ ევროპაში მიიღონ და ... ვინ იცის თუ კი საბჭოთა კავშირში არ მიიღონ? იმიტომ რომ ეს დრამა პერუს ცხოვრებიდან არის აღებული. მე დიდი იმედი მაქვს, რომ ჩემი პიესა „მაიტა“ მიიღებენ თბილისშიც და მოსკოვშიც და ეს იქნება დიდი საშუალება ჩვენი შეხვედრისა“ (03.07.1960).

მარიამ კერესელიძის მეორე პიესა გახლდათ „ვარსკვლავების ფესვი“, რომელიც პერუს თეატრის როსა ვუნდერის დასმა წარმოადგინა. ამასთან დაკავშირებით მარია ეუხენია გონსალეს ოლაეჩა წერს: „ლა კაბანია“-ში ფერნანდო ტოვარის რჩევით, როსა ვუნდერის დასმა წარმოადგინა ლეო კერელის სამ მოქმედებიანი დრამა „ვარსკვლავების ფესვი“. პიესა, როგორც ეროვნულ თეატრალურ კონკურსში გამარჯვებული 1961 წელს დაჯილდოვდა.

ლეო კერელი - წარმოშობით ევროპელი, რომელიც პერუში დამკვიდრდა, „ვარსკვლავების ფესვი“ თავდაყირა აყენებს დღემდე მკაცრი ცენზურის ქვეშ მყოფ სამყაროს. ავტორი დიდი სიმამაცითა და უხეშობის გარეშე მამაკაცივით არღვევს იმ მარადიულ კედელს, სადაც ინდივიდი განიცდის დეგრადირებასა და ხდება შეუბრალებელი ინტრიგების მსხვერპლი... თავის სიუჟეტში ლეო კერელი ოსტატურად მართავს დიალოგებს; მოხერხებულად აღწერს სულიერ სირთულეებს, პერსონაჟებს თეატრალური და უდაო პოეტური სილამაზის მქონე ფრაზებით ალაპარაკებს...“ („თეატრის კრიტიკა“, 27.09.1963)

პერუში ხალხის მძიმე მდგომარეობის მიზეზით, მარიამ კერესელიძე კომუნისტური პარტიის საქმიანობაშიც ჩაერთო. „მე დიდი სიმპათია მაქვს საერთოდ ამ დაჩაგრული ხალხისათვის.“ ამის გამო ამერიკელები ცუდი თვალით უყურებდნენ, რადგან მარიამ კერესელიძე ღიად საუბრობდა ხალხის უმძიმეს სოციალურ პრობლემებზე: „ამას წინათ საბჭოეთში ჩამოვიდა ერთი მამაძალი რომელსაც ქვია CESAR ORTEGA FLORES (სესარ ორტეგა ფლორეს) ექიმია და თანაც დეპუტატი. იგი ამხანაგი იყო ჩვენი; მე მას ვაფასებდი რადგან ნიჭიერი და იმიტომ ინდოენია. (შენ ხომ კარგად იცი რომ ნამდვილი პერუანები ინდოენები რქვიან) და მე დიდი სიმპათია მაქვს საერთოდ ამ დაჩაგრული ხალხისათვის. ორტეგამ ცოლობა მთხოვა მე უარი ვუთხარი და ის იყო მიზეზი იმისი გაბრაზებისა. წარმოიდგინე თუ რა საშიში საქმე იყო ჩემთვის ეს ამბავი, რომ დამაბეზლა ამნაირად!“ (მანკორა, 6.08.1960).

მიუხედავად ამ გაფრთხილებისა, მარიამ კერესელიძე მაინც აქტიურად იბრძოდა დაჩაგრული ხალხის სოციალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, არამარტო სიტყვით, არამედ კალმითაც. იგი განცხადებებით მიმართავდა სხვადასხვა უმაღლეს ინსტანციებსაც.

უცნაურია, მაგრამ ფაქტია, რომ ქართული ემიგრაციის მემარჯვენე ფრთის ცნობილი ლიდერის ლეო კერესელიძის ქალიშვილი, მამის მსოფლმხედველობრივი იდეოლოგიის გამტარებელი და საბჭოთა რეჟიმის მოწინააღმდეგე, პერუში ცხოვრებისას მხარს უჭერდეს კომუნისტებსა და ალიარებდა ფიდელ კასტროს.

რევოლუციურ-პოლიტიკურ აქტივობაში ჩართულმა მარიამ კერესელიძემ ერთ-ერთ კონფერენციაზე გაიცნო მისი მომავალი მეუღლე წარმოშობით ესპანელი მანუელ ჰერერა ასპაუხა: „მართალია იგი ყოველთვის პოლიტიკური პერსონა გახლდათ, მაგრამ ცხოვრების მეორე ეტაპზე მამის დიდი პოლიტიკური შეცდომა აღარ გაიზიარა. 1964 წელს მარიამი ჩამოშორდა პერუს კომუნისტურ პარტიას (პრორუსულს), რადგან პრომაოისტურმა ფრთამ პარტიის შიგნით ვერ აიღო მმართველობის სადავეები ხელში. იგი მაოისტური ფრთის გამარჯვებისათვის მოქმედებდა. მარიამ კერესელიძის უთანხმოების მიზეზი მოსკოვის ბრძანებებზე ზედმეტად დაქვემდებარება და პარტიის ბიუროკრატიზაცია გახლდათ.

პერუში მოღვაწეობისას იგი ჩამოშორდა პარტიის კონსერვატიულ ფრთას და ქვეყნის სამხრეთით ორას კილომეტრზე განთავსებულ ნავსადგურში სახლგაო ბიოლოგიის ფაკულტეტზე ინგლისურ ენას ასწავლიდა. აქვე ჩამოაყალიბა „Service d'Extension Culturelle de l'Universite vers le Peuple“ (ხალხისთვის უნივერსიტეტის კულტურული გაფართოების სამსახური), სადაც მალვით ისწავლებოდა მარქსიზმი.“

საბოლოოდ მარიამი და მისი მეუღლე, როგორც ეს უკანასკნელი აცხადებს: „წლების წინ პერუდან ისე გამოვიქცეით, თან მხოლოდ ერთი ჩანთა გვქონდა და ყველაფერი, რაც მარიამს ეკუთვნოდა ღიმაში დარჩა“.

მანუელ ჰერერასთან ერთად პარიზში მარიამ კერესელიძემ თავისი ცხოვრების უკანასკნელი წლები გაატარა. იგი საფრანგეთში სორბონის უნივერსიტეტში მარიამ ჰერერას სახელით კითხულობდა ლექციებს. ბოლო წლებში მას კავშირი გაწყვეტილი ჰქონდა, როგორც ბიძამისის გიორგი კერესელიძის, ასევე მამიდის ელენე გლურჯიძის შთამომავლებთანაც.

სიცოცხლის ბოლო წლებში, მარიამ კერესელიძეს გამუდმებით ახსენებოდა თავს მამის დანაბარები: „მე ვერ ვეღირსები საქართველოში დაბრუნებას, მაგრამ თქვენ კი დაბრუნდებითო.“

...2002 წლის თებერვალი იდგა. საწუთრო უკანასკნელ წუთებს უთვლიდა მარიამ კერესელიძეს, როდესაც მეუღლეს კიდევ ერთხელ შეახსენა ანდერძი, რომ გორში კერესელიძეების საგვარეულო სასაფლაოზე მისი ფერფლი მიმოებნია.

... 2013 წლის 24 მაისს საქართველოში ტურისტად ჩამოსულ მანუელ ჰერერას თან ახლდა მეგობარი ქალი. საფრანგეთის მოქალაქეებმა გორში კერესელიძეების საგვარეულო საფლაოზე ვერ მიაგნეს. სამწუხაროდ, მათ თხოვნას არც მართლმადიდებელმა ეკლესიამ დაუჭირა მხარი, ამიტომ მანუელ ჰერერა იძულებული გახდა გორის ცენტრში, სტალინის სახლ-მუზეუმის ეზოს მარჯვენა სვეტთან ჩაეფლო მარიამ კერესელიძის ფერფლი. „მე ვარ ერთადერთი თვითმხილველი, რომელიც დაესწრო გორში მარიამ კერესელიძის ფერფლის დასაფლავებას. ეს იყო დიდი ემოციის რამდენიმე წამი...“

მარიამი იყო ქალი, რომელიც იმსახურებს ყურადღებას, მის ცხოვრების შესწავლასა და იმ გზავნილის ანალიზს, რომელსაც ის ატარებდა თავისი ხალხისათვის... ის იყო ქალი, რომელიც დათმობაზე არასოდეს წასულა და არც საკუთარი პრინციპებისათვის უღალატია.

რაც შეეხება ბატონ ჰერერას, მან შეასრულა მარიამ კერესელიძის სურვილი: „დაებრუნებია იგი თავის სამშობლოში“, - აღნიშნავდა მართა დონოსო.

მამის წინასწარმეტყველება აღსრულდა. მარიამ კერესელიძის ფერფლი ქართულმა მიწამ მიიღო. დღეს, როცა საქართველოში ფართოდ აღინიშნება დამოუკიდებლობის 100 წლის- თავი, მნიშვნელოვნად მიგვანია სამართლებრივი შეფასება მივცეთ, 1921 წელს დაკარგული დამოუკიდებლობის კვლავ აღდგენისათვის მებრძოლ პოლიტიკურ ემიგრანტებს და მათ შორის მარიამ კერესელიძეს, რომლებიც მეორე მსოფლიო ომში ანტისაბჭოთა დაჯგუფებაში გერმანელთა მხარეს ფორმალურად - სხვისი ინტერესებისათვის, ხოლო გულში ყველა საქართველოს აღდგენისათვის ფიქრით იბრძოდა.

**დამოწმებული ლიტერატურა:**

1. გაზეთი „ახალი თაობა“ (1996) №97, 17.07, თბილისი.
2. კერესელიძე-გლურჯიძე, ე (1956-1960). პირადი არქივი. თბილისი.
3. კედია, ს (2007). „მასალები პირადი არქივიდან.“ თბილისი.
4. მანველიშვილი, ალ (1990). „თეთრგორგული მოძრაობა და მონარქია“. „ნარკვევები და წერილები“. სან-ფრანცისკო.
5. ჟურნალი „ლიტერატურული ძიებანი“(2007). ტ. XXVIII, თბილისი.
6. სულაძე, გ (2012). „ქართული ანტისაბჭოთა ემიგრაცია და სპეცსამსახურები“.თბილისი.
7. სამეცნიერო ჟურნალი „ქართული ემიგრაცია“ (2013). №1, თბილისი.

## **ტოპონიმიკურ-ანთროპონიმიული ძიებანი XVIII საუკუნეში თურქული აღწერების მიხედვით (სოფლები ძალინა, ახალშენი)**

**ნიკოლოზ ოთინაშვილი**

ა/პროფესორი

გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, საქართველო

### **აბსტრაქტი**

აღნიშნული სოფლები მდებარეობენ მდინარე ფცის ფრონეს ხეობაში, ისინი ისტორიული დასახლებებია და მოხსენებულია მატეანეებში. ორივე სოფელი თავიანთი უბნებით ეთნიკურად ყოველთვის ქართული იყო. 1715 წლის რუისის საეპისკოპოსოს დავთარში მოსახლეობა აღწერულია გვარით და სახელით, ხოლო 1728 წლის თურქულ აღწერაში სახელითა და მამის სახელით. აღნიშნული აღწერით სოფლებს უნდა გადაეხადათ თურქული მხარისათვის ხორბალი, ქერი, ფეტვი, ერბო, ცხვარი, მიწის გადასახადი, გადასახადი ღორზე და სხვა. ეკონომიკური საკითხების გარდა აღწერაში ყურადღებას იქცევს ენობრივი ფორმები. თურქული აღწერით საკუთარი სახელები ძველი ქართული - საძებარ ფუძის სახით არის წარმოდგენილი, ხოლო მამის სახელი მიცემით ან ნათესაობით ბრუნვაში გავრცობილი ფორმით. ამასთან ხშირად საკუთარი სახელები ბოლოვდება -ა ხმოვნით, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოს რეალობისათვის არის დამახასიათებელი და მაკნინებელ აფიქსად არ მიგვაჩნია.

**საკვანძო სიტყვები:** მდინარე ფცი, თურქული, ტოპონიმიკურ-ანთროპონიმიული

## **Toponymic-Antroponimic Explorations in the 18th Century According to Georgian and Turkish Censuses (villages Dzagina, Akhalsheni)**

### **Abstract**

These village are locates in the river Ptsa Prone's valley. They are historic settlements and are mentioned in the chapters. Both villages ethnically were Georgian ninth their districts. In 1715 the population of the Ruisi Episcopacy is marred by the surname and name in the charts, but in the Turkish description of 1728 ninth the name and father's name. With the mentioned description, villages should be paid to the Turkish side ninth wheat, Barley, Millet, Ghee, Sheep, Land tax, Tax on the pig and etc. Apart from the economic issues the attention is paid to the description ninth language forms. Onn names are presented as an old Georgian base ninth the Turkish description, but father's name ninth the speeded form in dative and genitive case – As that, often on names are ended nith – a novel which is characteristic for East Georgian reality and me don't think it is the decadence affit.

**Keywords:** river Ptsa, Turkish, Toponymic-Antroponimic

აღნიშნული სოფლებიდან ძალინა მდებარეობს მდინარე ფცის ფრონესა და ოჟორის წყლის შესართავში, ოდნავ დასავლეთის მხარეს, შემადლებულ ზეგანზე. სოფელი შედიოდა ყორნისის რაიონში, ამჟამად კი ქარელის რაიონია. სოფელი ჯვრის ნიშნით დატანილია ვახუშტის მიერ შედგენილ რუკაზე (1845 წ.).

XVIII საუკუნის შუა წლებში ცნობილი მეცნიერი ვახუშტი ბაგრატიონი თავის თხზულებაში აღნიშნავს სოფელ ძალინას, იგი წერს: „თიღვას ჩრდილოთ კერძ არს ძალინა ციხე და სასახლე“ (გეოგრაფია, 1895). კოშკი და სასახლე შუა საუკუნეების ძეგლებია და წარუშლელ მთაბეჭდილებას ახდენს მნახველზე. აქვე შემორჩენილია ორი ბაზილიკა, აგებული მაცხოვრისა და ღვთისმშობლის მარიამის სახელზე. უფრო მოგვიანებით ცნობილი ენციკლოპედისტი იოანე ბაგრატიონი ფცის წყალზე სოფელ ძალინას ასახელებს, როგორც „მოსახლეს“ (ი. ბაგრატიონი, 1986).

XV-XVII საუკუნეებში და შემდგომ ფცის ფრონესა და სხვა ადგილების მფლობელები ყოფილან თავადი ამირეჯიბები, იგივე ფალავანდიშვილები იყვნენ და აქვე ცხოვრობდნენ. ამ გვარის შესახებ ვახუშტი წერს: „ამათ ერთობათა შინა აქუნდათ მამული იმერეთსა და ქართლსა შინა და შემდგომად განყოფისა სამეფოსა, ერთი ძმა იქით და ერთი აქათ დაშთნენ, ვითარცა აჩენს სიგელნი და მამულნი მათნი“ (ქც., 1973, 34).

იოანე ბატონიშვილი აღნიშნავს: „ამირეჯიბნი არიან ესენი ძველადვე ფალავანდიანთა გვარისანი, რომელთაცა აქუთ მამულნიცა ურთიერთსა შორის შერეულნი, გარნა ამირეჯიბობა გაუგვარდათ სახელისა გამო, ვინათგან ამირეჯიბობა ნიშნავს საქმის მომხმარებელსა“ (შემოკლებითი აღწერა, 1997).

1715 წლის „რუისის საეპისკოპოსო დავთრის“ მიხედვით ძალიან დიდი სოფელი ყოფილა, სადაც ცხოვრობდნენ ჭილაძეები, დონაძეები, გვიტაშვილები, გულიაშვილები, ლუქუნიძეები, ბარბაქაძეები, მიქელაშვილები, მწყერაშვილები, ჩიტაშვილები, გეჯაძეები, იალანაშვილები, გოგრიჭიანები.

როგორც მთელი რიგი დოკუმენტებიდან ირკვევა, ხეობაში პოლიტიკური მოვლენების, მთიელთა განუწყვეტელი თავდასხმების გამო მოსახლეობა შემცირებულა, ნაწილი ბრძოლებში დაიღუპა, გადარჩენილები კი სხვა ადგილებში გადასახლდნენ. მაგალითად ჭილაძეები გადასახლდნენ დვანის ფრონეს სოფელ ავანეში და გორის სოფელ ატენში. ლუქუნიძეები ქართლის სოფელ მოხისში, ჩიტაშვილები იგივე ჩიტაძეები - ქართლის სოფელ ზემო ნიქოზში, მწყერაძეები იგივე მწყერაშვილები - დვანის ფრონეს სოფელ დვანში, დონაძეები - ქარელში და სხვა.

მოსახლეობა ყოველთვის აკითხავდა მშობლიურ ადგილებს და ალბათ სხვებთან ერთად ესეც არის მიზეზი, რომ ტოპონიმთა და ანთროპონიმთა დროთა განმავლობაში გამძლე გამოდგა. ზემოხსენებულ მცხოვრებთა შთამომავლებთან ჩაწერილი მასალების მიხედვით, ასევე ადგილების რამდენჯერმე მოხილვის შემდეგ სოფლის უბნების ლოკალიზაცია ასე გამოიყურება: დონაძეების უბანი განლაგებული იყო ძაღონის ჩრდილო-დასავლეთით, რომლის სახნავ-სათესი მამულები მერე სოფლის კოლმეურნეობაში გაერთიანდა. ამ ადგილების სახელებია: დონაძის წყარო, დონაძის უბანი, სადაც ეხლაც არის საცხოვრებელი სახლების ნაშთები, დონაძის წყარო - კლდის ძირში, კოდი, რომელიც ასევე წყაროს სახელია.

დონაძის გვარი იწარმოება, როგორც დონაძიანი, რომელიც კრებითობას აღნიშნავს, ხოლო საკუთრებას დონაძიანთ წყარო, ეს წარმოება ჩვეულებრივია სხვა გვარებისთვისაც.

სოფელში შედარებით გვიან უცხოვრიათ ხუციშვილებს, რომლებსაც აზნაურის ტიტული ჰქონდათ, მათი ვრცელი მამულები ძაღონის ჩრდილოეთით არის და ერქვათ „ხუციანთ მინდორი“ ან „მინდვრები“, ასევე იყო მამული „ხუციური“, სადაც ასევე იყო და ეხლაც არის საკულტო ძეგლის ნაშთი.

სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთით არის ასეთი სახელწოდების ტოპონიმები: მშვილდაურის ტყე, ანობი, იმერეთის ხევა, საყარაულო ხევი, მწყერაანთ გრძელამინდორი, ლუქუნიძის გზა, ჩიტაანთ - ჩიტაძის ველი, ორბელაძე, რომელიც გვარი იყო სოფელში და ამის მიხედვით ახოს დაერქვა ეს სახელი, აქედან ტყის გზა იმერეთში გადადის.

სოფელში სამხრეთის მხარეს არის მამული, რომელსაც ეწოდება გიასელა, ეს სახელი დაერქვა 1715 წლის ზემოხსენებული აღწერის მიხედვით მოხსენებულ პირს „გიასელას“ და როგორც ინფორმატორები მოგვითხრობენ ეს სახელი ეწოდებოდა დასახლებას გვარის მიხედვით, მაგრამ რაიმე სხვა ცნობა ამის შესახებ არა გვაქვს.

სოფელში ცხოვრობდა გვარი იალანაშვილი, რომლებიც დღესაც ცხოვრობენ ხეობის სოფლებში ხუთ ადგილას და იწერებიან როგორც იარლანაშვილი, რ-ბგერა წარმოებაში გვიან ჩაერთო ფონეტიკური მოვლენის წყალობით.

ისევე ვახუშტის მიხედვით - ამათ (ფალავანდიშვილებს) ერთობათა შინა აქუნდათ მამულნი იმერეთსა და ქართლსა შინა... იწოდებიან როგორც „ფალავანდიანთი“, როგორც ჩვენს მიერ ჩაწერილი მასალები გვამცნობს, ამ გავრიდან შტონაყარი გვარებია: როსტომიშვილები - როსტომიანთი, ზურაბისშვილები - ზურაბიანთები, გლახასშვილები - გლახაანთი, ზაალისშვილები - ზაალიანთები, ბერისშვილები - ბერიანთები.

სოფელი ახალშენი მდებარეობს მდინარე ფცის ფრონეს მარჯვენა მხარეს ვაკე ადგილზე. სოფელი, როგორც ძალიან, მოხსენებულია ვახუშტი და იოანე ბაგრატიონების თხზულებებში, აღნიშნულია ვახუშტის რუკაზე, ასევე 1715 წლის რუისის საეპისკოპოსოს დავთარში. აღნიშნული აღწრის მიხედვით სოფელში ცხოვრობდნენ როგორც მჭელიძე ისე ჭელიძე, რომლებიც მოვიდნენ რაჭის (ქვემო) სოფლებიდან სადმელი და ჭელიაძე. იობაშვილი მოსულია რაჭის სოფელ მრავალძალიდან, მესხი მოსულია სოფელ კორდიდან, ხუციშვილი - მესხეთიდან. აღნიშნული გვარები ცალ-ცალკე უბნებად ცხოვრობდნენ და ეხლაც ასე არიან. წარმოება ასე დააჩნდება: ხუციანთ უბანი, მიკროტოპონიმები შტოგვარების მიხედვით: გიოგრაანთი, ბერიანთი, თევდორაანთი.

მესხიანთ უბანი, თევდორაანთი, შალიკაანთი, არჩილაანთი, ვასოაანთი, კოტეაანთი, ღვთისოაანთი.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სოფელი ახალშენი, რომელიც 1715 წლის რუისის საეპისკოპოსოს დავთარშია მოხსენებული, მდებარეობდა ფცის ფრონეს მარცხენა მხარეს და შედიოდა აწ უკვე ნასოფლარ არამგამას შემადგენლობაში. 1715 წელს ამ სოფელში ცხოვრობდნენ: სამსონაშვილები, დვილი, დვალი (გვარია სატომო), იობაშვილები, აჭარაძეები. როგორც ხემახსენებულ დავთარში აღნიშნულია „არამგამა და ახალშენი ერთი არის, დრამაც ასე სძეს“. არამგამადან შედარებით მკაცრი ბუნების გამო მთავრობის დადგენილებით 50 წლის წინათ მოსახლეობა მდინარის მარჯვენა ნაპირზე დასახლდა და სოფელს დაერქვა ისევე ახალშენი.

სოფელ არამგამაში გვარ მესხის შტოგვარებია: რეხოაანთი, ლავრენტაანთი. დვალის მიხედვით - დვალიაანთი, ამ გვარს დღესაც აქვს ურთიერთობა რაჭველ დვალებთან.

იობაშვილების შტოგვარებია: ლუკაანთი, სერგიაანთი.

დღეს სოფელში ასევე ცხოვრობენ: ბუხალაძე - ბუხალაძიანთი, რომლებიც დიდი ლიხვის ხეობის სოფელ ბუხალიდან არიან ჩამოსულები. ხარაულები, რომლებიც დვალეთიდან არიან ჩამოსულები, სადღობელაშვილები მოსულები არიან საჩხერის რაიონიდან.

ძველი ახალშენიდან ზუბიაშვილები გადასახლდნენ ქართლის სოფელ ხერტში, ყოყუაშვილები - ქარელში და გორში, ბიძინაშვილები - სოფელ ბერშოეთში, შიოშვილები - სოფელ ხელთუბანში.

„1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი“ ერთ-ერთი საუკეთესო წყაროა მე-18 საუკუნის 20-30-იან წლების ოსმალეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიაში. აქ უპირველეს ყოვლისა საჭიროა მთელი რიგი პრობლემების წარმოჩენა. სოციალურ-პოლიტიკური საკითხები, საგადასახადო სისტემა, მიგრაცია, ქართულის ენის საკითხები და სხვა პრობლემები.

როგორც სხვა მხარეებში ისე დაპყრობილ ქართლში ოსმალებმა დაწვრილებით აღწერეს ყველა სოფელი, მაგრამ პრობლემა ის არის, რომ იმ დროისათვის საომარი მოქმედების გამო ბევრი სოფელი დაიცალა, მოხდა მიგრაცია და გაძნელებულია სოფლების ლოკალიზაციის დადგენა. ამასთან დასახლებული პუნქტების სახელები თურქული ტექსტის გამო შესაძლოა ქართულად სწორად არ არის გადმოცემული, სწორედ ეს არის სიძნელე, რაც აუცილებლად უნდა მოგვარდეს.

ფრონეს ხეობის სოფლებიდან ამჯერად წარმოვადგენთ ძალიანსა და ახალშენს, რომლებიც ფცის ხეობის სოფლებია. როგორც ხემათ აღინიშნა, ისინი ქართულ ისტორიულ წყაროებში არაერთხელ არიან მოხსენებული.

ოსმალური აღწერის მიხედვით აღნიშნული რეგიონის სოფლები საამილახვროში შედიოდა.

ხემახსენებული დავთარი ერთ-ერთი საუკეთესო წყაროა ქართული პოლიტიკური, ისტორიულ-გეოგრაფიული, ლინგვისტური, ონომასტიკური საკითხების შესასწავლად. ოსმალური ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლით, გამოკვლევითა და ფაქსიმილურებით გამოსაცემად მოამზადეს აკად. სერგი ჯიქიამ და პროფ. ნოდარ შენგელიამ.

ოსმალური საგადასახადო სისტემის მიხედვით სოფელ ძალიანს მართებდა:

ფეტვის ქილა 50 ახჩა

უშრის გადასახადი ერბოზე 250

გადასახადი სკაზე 100

- გადასახადი ცხვარზე 350
- მიწის გადასახადი 120
- წისქვილის თვალი ერთი სრული წლით გადახდა 100

„სოფელი ახალშენი ახლოსაა სათესველ ირმაქამთან ექვემდებარება ამილახვარს“ ცხოვრობს 37 კაცი.

- სოფელში მიწის დღიური მფლობელობა 50
- ხორბალი ქილა 200
- ქერი ქილა 30
- ფეტვის ქილა 40
- გადასახადი ერბოზე 250
- არუსანეს გადასახადი 120
- გადასახადი ცხვარზე 350
- მიწის გადასახადი 200
- გადასახადი ღორზე 120

ჯამი 12360

1715 წლის „რუისის საეპისკოპოსოს დავთრის“ და 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთრის ენობრივი მონაცემების შედარებისას შეიძლება ასეთი დასკვნა გამოვიტანოთ, ისინი დროის მიხედვით დიდად არ განსხვავდებიან და აქვთ საერთო ენობრივი ნიშნები, ასევე განსხვავებული ელემენტები.

ორივე აღწერაში მთავარი საკითხი არის ის, რომ საკუთარი სახელი, რომელიც ქართულ აღწერაში გვართან ერთად არის წარმოდგენილი, ხოლო თურქულში მამის სახელთან, მათი კვლევისას რას უნდა დაეფუძნოს? ამის გასარკვევად უნდა დავადგინოთ თუ რა არის საკუთარი სახელი.

სიტყვა, რომელიც გარკვეული მნიშვნელობის მქონეა და წარმოადგენს ფორმას, რომელიც შინაარსს გამოხატავს. ენა შეისწავლის მნიშვნელობას რაც ენის სისტემაში შედის და აქ გამოიყოფა ლექსიკური და გრამატიკული მნიშვნელობა. ლექსიკა და სემასიოლოგია ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული.

სახელის ფუძე ორივე აღწერაში

<u>ძალინა, ახალშენი</u>	<u>თურქული აღწერა</u>
ჭილაძე ბერიკა	ზაალ ძე ათაბეგისა
დონაძე პატი	ბაგრატ ძე ერეკლესი
მჭედლიძე შერმაზან	ბასი ძე ხეჩუასი
პაპუნაშვილი ბერი	ბერი ძე მისი
ჩუბინიაშვილი იესე	ბაზილი ძე ზურაბისა

ერთნოგრაფიულად ფრონეს ხეობა ქართლ-იმერეთის საზღვარზე მდებარეობდა და მხარე უფრო მეტ გავლენას განიცდიდა რაჭის, იმერეთის და სხვა დასავლური პროვინციებიდან. მართალია სალიტერატურო ენის საყრდენი ქართლური იყო, მაგრამ დიალექტური მონაცემები ყოველთვის გვხვდებოდა წერილობით ძეგლებში.

-ა სუფიქსი, რომელიც ხშირად განიხილება მორფოლოგიაში, როგორც მკანინებელი ფორმანტი, ჩვენ შემთხვევაში საკუთარ სახელებთან ორივე აღწერაშია წარმოდგენილი:

<u>ძალინა, ახალშენი</u>	<u>თურქული აღწერა</u>
დათუნა	კაზარა

მიქელა	გოგიჩა
თევდორა	ოქიტა
პაატა	კოგინა
ბეჟუა	ხივა
საძაგელა	რცხილა

აქ ძირითადად წარმოდგენილია თანხმობან ფუძეზე დართული -ა, რაც ძირითად აღმოსავლეთ საქართველოს რეალობისთვისაა დამახასიათებელი და მიგვაჩნია, რომ დამამცირებელი ელფერი არ დაჰკრავთ.

ოსმალურ აღწერაში გვხვდება -ია სუფიქსიანი საკუთარი სახელები: ზაჯია ძე ვარდანისა, ონია ძე მამრისა, ონია ძე ნასყიდასი, შოშია ძე მამუკასი, შოშია ძე კოკინასი, კოგია ძე ბესისა და სხვა. -ია სუფიქსი მეტი ექსპრესიულობის გამომხატველია.

ორივე აღწერაში როგორც ქართულ ისე თურქულში საკუთარი სახელები არა მეორდება და ამის მიზეზი შეიძლება იყოს მიგრაცია. 1715 წლის მონაცემებთან შედარებით 1728 წლის მონაცემები რიცხოვნობის მიხედვით გაზრდილია. ქრისტიანული სახელების გვერდით უკვე გვხვდება ასეთი სახელები: კაზარა, აჰმედ, რომელიც უკვე გამუსლიმებულია, ხეჩუა, ხივა, ჯისია, ანდერქი, კარაპეტ, ჯასთიჯა, რუბენა, ჯუდა და სხვა.

თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი არის დიდი, ისტორიული წყარო, ჩვენი სინამდვილის შესაცნობად, რომელიც მომავალში მრავალ კითხვას გასცემს პასუხს.

## ლიტერატურა

1. ქართლის ცხოვრება, ტ. IV, 1973.
2. იოანე ბაგრატიონი. შემოკლებითი აღწერა საქართველოსა შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა, თბ., 1997.
3. ვახუშტი ბაგრატიონი. გეოგრაფია, II წიგნი, ქართლი, გამოცემა მოსე ჯანაშვილისა, 1895.
4. ვახუშტი ბაგრატიონის რუკები (1745 წ.). შიდა ქართლი.
5. იოანე ბაგრატიონი. ქართლ-კახეთის აღწერა, თბ., 1986.
6. 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი, წიგნი I, თბ., 2009.
7. თაყაიშვილი ე. არხეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი, წიგნი პიველი, ტფ., 1907. რუისის დავთარი შედგენილი ნიკოლოზ მროველის ორბელიშვილის ანუ ყაფლანიშვილის მიერ.
8. ს. მაკალათია. ფრონეს ხეობა, თბ., 1963.

## ნაზიმ ჰიქმეთის რევოლუციური პოეზია

ელენე ჯაველიძე

ასოცირებული პროფესორი სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### აბსტრაქტი

ნაზიმ ჰიქმეთის (1902-1963) რევოლუციურ-რომანტიკული პოეზია თურქული ლიტერატურის გამორჩეული და უჩვეულო ფენომენია. ნაზიმ ჰიქმეთი მე-20 საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე ნაყოფიერი და ფართოდ შესწავლილი თურქი მწერალია. ნაზიმ ჰიქმეთი იყო პოეტი, რომელმაც 20-იანი წლების თურქულ პოეზიაში მემარცხენე იდეოლოგია შემოიტანა, თურქული ლიტერატურის საერთო ტენდენციებისგან განსხვავებული ჟანრობრივად ახალი პოლიტიკური პოეზია შექმნა. პოეტის ლირიკულ განცდათა გადმოცემის უშუალო პირდაპირობამ, ტრადიციული პოეტური ხერხების უკუგდებადამ, პოლემიკურმა სტილმა გავლენა იქონია თურქული ლიტერატურის განვითარების ტენდენციებზე. საბჭოთა კავშირში ჩასული მწერლის ცნობიერების, მისი მხატვრული ხედვის ჩამოყალიბებაზე მაიაკოვსკის ლექსის სტრუქტურამ, ფუტურიზმის, კონსტრუქტივიზმისა და მარქსიზმის იდეოლოგიამ დიდი გავლენა იქონია. იგი ლექსში „პოეტი“ აცხადებდა: „ჩემთვის საუკეთესო ლექსი „ანტი-დიურინგია“, ოღონდ ჩემი მთავარი ნაწარმოების: კონსტრუქტივისტულ-მარქსისტული რომანის დასაწყებად ველი, როდის გავხდები „კაპიტალის“ ჰაფიზი“. ჰაფიზმა კი ზეპირად იცის ყურანი. XX საუკუნის დასაწყისში თურქული ლიტერატურა გარდატეხისა და განვითარების ფოკუსშია მოქცეული. ეს არის ეპოქა, როდესაც ქვეყნის სულიერი გამოღვიძება იწყება, დროთა შეჯახება, მათი დრამატული კოლიზიები იძვრება. ეს ტენდენციები ნათლად ჩანს ნაზიმ ჰიქმეთის შემოქმედებაში. მის ადრეულ პოეზიაში იკითხება კლასიკური ლიტერატურის პოეტური ტრადიციის ელემენტები, შემდგომ ფუტურიზმისა და კონსტრუქტივიზმის გავლენა. მოგვიანებით პოლიტიკური სატირის, პათეტიკური ჰეროიკის ადგილს მგრძობიარე ლირიკა იკავებს. გვხვდება პროზისა და პოეზიის სინთეტიკური შერწყმა. ბოლო პერიოდის ნაწარმოებებში გამოსჭვივის ცნობიერების ნაკადის ელემენტები, სიურეალისტური ხედვა. ნათელია, რომ ნაზიმ ჰიქმეთის პოეზია განსაკუთრებული მხატვრული ფენომენია სპეციფიკური ნიშან-თვისებებით და კანონებით. 20-იანი წლების მისი პოეზიის მრავალშრიან სტრუქტურაში იკვეთება მოდერნისტული ხელოვნების ავანგარდისტული ნიშან-თვისებები.

**საკვანძო სიტყვები:** რევოლუციურ პოეზია, ფუტურიზმი, კონსტრუქტივიზმი და მარქსიზმი

### Revolutionary Poetry of Nazim Hikmet

#### Abstract

The revolutionary-romantic poetry of Nazim Hikmet (1902-1963) is a completely outstanding and unusual phenomenon for Turkish literature. Nazim Hikmet is one of the most prolific and widely discussed writers of 20th century. Nazim Hikmet was a poet, who was the first to introduce Turkish poetry leftist ideology, and created a new political poetry different genre from the overall trends in Turkish literature. His sense of immediacy in lyrics, rejection of the traditional poetic techniques and polemical style influenced the development of the characteristics of Turkish literature. The structure of the poem of Mayakovsky, ideology of Futurism, Constructivism and Marxism greatly influenced the writer's awareness of his artistic vision and ideas shaping, when he visited the Soviet Union. In his poem "The Poet", he said: "For me, the best poem is Anti-Duhring, but for starting the main work the Constructivist-Marxist novel I wait, when I'll become the Capital's hafiz". Hafiz is a man who knows the Koran by heart. At the beginning of the XX century Turkish literature is placed under the focus frames of the turning point and development. This is the era when the spiritual awakening begins, in the time clash their dramatic collisions are formed. These trends are clearly seen in Nazim Hikmet's works. In his early poetry, we can read the literary elements of classic poetry tradition, then the influence of Futurism and Constructivism. Poet was interested in expanding the boundaries of lyric genre, prose and poetry fusion. In his last works, there are seen some features of modern art: the elements of the stream of consciousness, surrealist vision. It is clear that the Nazim Hikmet's Poetry is exceptional

artistic phenomenon with its specific features and laws. In his multilayer structure of poetry of 20ies is revealed specificity of the modernist avant-garde art.

**Keywords:** Revolutionary poetry, Futurism, Constructivism and Marxism

## შესავალი

ნაზიმ ჰიქმეთს ახალ თურქულ მწერლობაში გამორჩეული ადგილი უჭირავს. იგი თურქეთის ფარგლებს გარეთ ცნობილი და სახელმწიფოებრივი პოეტია. ჰაქან აქსაის აზრით, ნაზიმ ჰიქმეთი თურქული პოეზიისთვის ისეთივე ფიგურაა, როგორც პუშკინი რუსული პოეზიისათვის: „მათი პუშკინი, ჩვენი - ნაზიმ“.<sup>1</sup> ნაზიმ ჰიქმეთი წარსული კულტურის მიღწევების უარყოფით ახალი რევოლუციური მხატვრული საშუალებების, ენობრივი ხერხების შექმნას ლამობდა. საბჭოთა კავშირში ჩამოსული ახალგაზრდა ნაზიმ ჰიქმეთი რევოლუციური აღტყინებით ჩაება ქვეყნის ლიტერატურულ პროცესებში. ამ პერიოდში მასზე დიდი გავლენა იქონია რუსულმა ფუტურისმმა. ნაზიმ ჰიქმეთი კლასიკური ლიტერატურის მიღწევებს უარყოფდა, თვლიდა, რომ ადამიანი მანამ ვერ შეძლებდა ფუტურისტული ნაწარმოების გაგებას, სანამ მისი გონება კულტურული გადმონაშთისგან არ გათავისუფლდებოდა. ამავე დროს მისი პოეზია იცნება მარქსისტული შინაარსით, რევოლუციური პათოსით.

ნაზიმ ჰიქმეთს სურდა ლიტერატურაში მაქსიმალური ცვლილების შემოტანა. ყველაფერი ლაკონური და „სტილის აჩქარებისკენ“ მიმართული, რათა შექმნილიყო ცოცხალი თავისთავადი მეტყველება. ლიტერატურას „მატერიის ცხოვრება“ უნდა გამოეხატა და მას შერწყმოდა. ნაზიმ ჰიქმეთის ხედვით, თანამედროვე ცხოვრებას მხოლოდ წერის ტელეგრაფული სტილი მიესადაგებოდა. სიტყვების გაგლეჯა, მრავალწერტილი, ყოველივე ეს დაძაბული, ნერვული მდგომარეობისა და დინამიზმის გამოვლენის საშუალებად ესახებოდა.

ნაზიმ ჰიქმეთი იხსენებდა: „როდესაც ვიღებდი ცნობებს საბჭოთა რუსეთის მოვლენებზე და გავიგე მარქსისა და ლენინის სახელები, მივხვდი, რომ ლექსით უნდა გამოემხატა აქამდე უთქმელი ფიქრი და გრძნობები. აქ უპირატესად ახალი შინაარსის შესატყვისი ახალი ფორმის მოძებნა მალეუვდა. (...) შემდგომ ლექსის შინაარსი უკვე ფორმაზე მეტად მალეუვდა“ (Хикмет, 1967: 225). 1921 წელს საბჭოთა კავშირში ჩამოსული ახალგაზრდა ნაზიმ ჰიქმეთის პოეტური ინსპირაციის წყარო „მეოცე საუკუნის ავანგარდისტული ხელოვნებასა და პოეტური მიმდინარეობებთან კავშირში უნდა განვიხილოთ“ (Hilav, 1965: 14). იგი გახსნილი იყო რუსული ავანგარდის ხელოვნების ტენდენციების მიმართ, შემდგომში მან ეს ეტაპი გადალახა, მაგრამ ფუტურისმის ესთეტიკა 20-იანი წლების მის ლირიკაში ნათლად იკითხება.

## მეთოდი:

სტატიაში დასმული საკითხების კვლევისას გამოყენებულია აღწერითი, შედარებითი, ტიპოლოგიური სტრუქტურული კვლევისა და სისტემური ანალიზის მეთოდი. გამოკვეთილია ნაზიმ ჰიქმეთის იდეოლოგიის აქსიოლოგიური მახასიათებლები, მისი კავშირი ფუტურისმთან, მარქსიზმთან და სოცრეალიზმთან.

ნაზიმ ჰიქმეთი რუს ფუტურისტებთან ერთად წარსული კულტურის მიღწევებს უარყოფდა ახალი რევოლუციური მხატვრული საშუალებების, ენობრივი ხერხების შექმნას ლამობდა. რევოლუციასთან შერწყმული რუსული ფუტურისმის ძირითადი ნიშნები ასე შეიძლება ჩამოვყალიბოთ: მემამოხეობა, მსოფლმხედველობის ანარქიულობა, ხალხის მასების განწყობის გადმოცემა; კულტურული ტრადიციების უარყოფა, მომავლისკენ ორიენტირებული ხელოვნების შექმნის სურვილი; ნორმატიული პოეტიკის ტრადიციული ფორმების წინააღმდეგ გალაშქრება, ლექსის რითმულ და რიტმულ ორგანიზაციაში ექსპერიმენტული ცვლილებები. ორიენტაცია წარმოთქმულ „სმენად“ ლექსზე და არა „თვალისთვის“ შექმნილ საკითხავ პოეზიაზე. აქედან მოდის ტენდენცია პლაკატური პოეზიის, ასე ვთქვათ, „ლექსი-

<sup>1</sup> <http://t24.com.tr/yazarlar/hakan-aksay/bir-kez-daha-merhaba-moskova-merhaba-nazim,3748>

ლოზუნგის“ შექმნისა. განთავისუფლებული „თავისთავადი“ სიტყვის ძიება და „გონებისთვის გაუგებარი“ ენის შექმნის ექსპერიმენტები; ტექნიკისა და ინდუსტრიული ქალაქების კულტი; ეპატაჟის პათოსი.

უნდა აღინიშნოს, რომ ნებისმიერი მოდერნისტული მიმდინარეობა ხელოვნებაში ძველი ნორმებისა და კანონების ნგრევით იმკვიდრებს თავს. ოღონდ, ამ თვალსაზრისით, ფუტურიზმი უკიდურესი ექსტრემიზმით გამოირჩეოდა. ეს ავანგარდისტული მიმდინარეობა „მომავლის ხელოვნების“ შექმნაზე აცხადებდა პრეტენზიას და კატეგორიულად უარყოფდა მანამდე არსებულ შემოქმედებით გამოცდილებას. ფუტურისტები ტრადიციულ ფორმას ანგრევდნენ და ხელოვნებაში არსებული პირობითობის მოშლას ცდილობდნენ, რათა ის შერწყმოდა XX საუკუნის დაჩქარებულ პროცესებს. ნაზიმ ჰიქმეთიც თავყანს სცემს მოქმედებას, მოძრაობას, სიჩქარეს, ძალას. ეწევა საკუთარი თავის განდიდებას და ყველაფერ „კლასიკურს“ აძაგებს. ტექნიკის კულტი, ფუტურიზმისა და კონსტრუქტივიზმის ესთეტიკას აყალიბებს. ნაზიმ ჰიქმეთის ლექსს „მექანიზაცია“ ასე იწყებს:

trrrrum,	თრრრრრუმ,
trrrrum,	თრრრრრუმ
trrrrum!	თრრრრრუმ!
trak tiki tak!	თრაქ თიკი თაქ!
Makinalaşmak	მექანიზაცია
istiyorum!	მინდა!

საზოგადოების, ეპატაჟის მიზნით პოეტი აცხადებს: „აუცილებლად მოვძებნი რაიმე ხერხს,/ მუცელში ტურბინას ჩავადგმევინებ./ და ბედნიერი ვიქნები,/ როცა კუდზე წვრილ ხრახნის გაკვიკეთებ!“ და, რა თქმა უნდა, ის „ადამიანი- მანქანის“ პირველი მოდელი გახდება.

სამყაროს ონტოლოგიური სურათის რადიკალური ტრანსფორმაცია XX საუკუნის პირველ მეოთხედში, დაკავშირებულია სოციალურ ძვრებთან, მსოფლიო ომთან და რევოლუციასთან. ამ კოგნიტიური დისონანსის მაშტაბებს ნათლად წარმოაჩენს მაქს შელერი: „XX საუკუნე - ბოლო ათი ათასი წლის ისტორიაში პირველი ეპოქაა, როდესაც ადამიანი აბსოლუტურად პრობლემატური გახდა. ამასთანავე, მან უკვე აღარ იცის რაა, მაგრამ, ისიც არ იცის, რომ ეს არ იცის“ (Шелер, 1993: 132). ანტროპოლოგიური და ანტროპოცენტრისტული შეხედულებებისა და ღირებულებების რედუცირება, ადამიანისა და მისი არსებობის საბაზისო კოორდინატების მიმართ დამოკიდებულების გადაფასება - ასე შეიძლება შეფასდეს ეს პერიოდი.

ძალის პრიორიტეტით, ომისა და ნგრევის მოთხოვნილებით ფუტურიზმის იდეოლოგია ძალიან ახლოს იდგა როგორც მემარჯვენე, ასევე მემარცხენე რადიკალიზმთან: ანარქიზმთან, ფაშიზმთან, კომუნიზმთან. ამდენად, ახლად შექმნილ საბჭოთა კავშირის რევოლუციურ იდეოლოგიასთან მას სრული თანხმიერება ჰქონდა. ნაზიმ ჰიქმეთი აღფრთოვანებულია „დიქტატურის შემოსვლით“:

Hari, hari,  
 Hurra, hurra,  
 Hurrrra!  
 Geçti bize  
 Diktatura!... (Hikmet, 1962:85)

მოდერნისტულ დისკურსში გმირის სიგიჟე, შლეგიანობა აბსურდული სამყაროსგან თავდაცვა ხდება. ავანგარდისტულ კონტექსტში სიგიჟე ნორმატიულ მდგომარეობად მიიჩნევა და ახლის შენების ფუნდამენტია. ახალ მსოფლმხედველობრივ პარადიგმაში სიგიჟე, როგორც ადრე რაციონალიზმი, სამყაროს შემეცნებისა და შეცვლის ხერხი ხდება. ოღონდ შემეცნების ობიექტის დენოტაცია და კონოტაცია რადიკალურად იცვლება: სიგიჟეს შეუძლია არა მარტო ალტერნატიული სამყაროები შექმნას, როგორც ეს მოდერნიზმშია, არამედ სიგიჟით ხდება იმანენტურ სამყაროში ცვლილების შეტანა.

რუსი ფორმალისტები შკლოვსკი, იაკობსონი და ეიხენბაუმი ფუტურისტულ „ზაუმურ“ ენას გლოსოლოგიის ანალოგად თვლიდნენ (Шкловский, 1990: 45-58; Якобсон, 1978: 272-316; Эйхенбаум, 1987: 375-408). ფუტურისტული დისკურსის ქვაკუთხედი ძველის, კლასიკურის განადგურების ესთეტიკა ხდება. ნაზიმ ჰიქმეთთან, რომელიც „ზაუმს“ არ იცნობს, ან არ სწყალობს, დისტანცია ავტორსა და ლირიკულ გმირს შორის ფაქტიურად არ არსებობს, იმდენად ალტყინებულია ლოზუნგით „ჩვენ ძველ სამყაროს დავანგრევთ და ახალს ავაშენებთ“. ნაზიმ ჰიქმეთი თავად იაზრებს დიალექტიკურ შეფარდებას რაციონალურსა და ინტელიგიბილურს შორის, ის აცნობიერებს თავისი პოზიციის ამბივალენტურობას. იგი თავს შლეგად წარმოგვიდგენს და მზის დაპყრობის ესქატოლოგიას გვიხატავს.

20-იან წლებში მიხეილ სვეტლოვის ლექსი „გრენადა“ ძალიან პოპულარული იყო. ლექსის ბოლოს მტრის ტყვიით განგმირული გმირი ცხენიდან ვარდება და ასწრებს მხოლოდ „გრენა...“-ს თქმას. ამ ლექსის შთაბეჭდილებით ნაზიმ ჰიქმეთი წერს ლექსებს „მტირალა ტირიფსა“ და „კასპიის ზღვას“. ლექსში „მტირალა ტირიფი“ მოთხრობილია გააფთრებით მორბენალი წითელი ცხენოსნების ამბავი. ერთი დაჭრილი მხედარი ცხენიდან ვარდება. რაზმი დიდი სისწრაფით უკანმოუხედავად ტოვებს იქაურობას, დაჭრილი მხედარი მარტო რჩება. პოეტი ამ მხატვრულ სახეს ამგვარად დაყოფილი, დანაწევრებული, შეკუმშული მოჭრილი პჭკარებით გვაძლევს:

Atlılar atlılar kızıl atlılar,

Atları rüzgarkanatlılar!

Atları rüzgar kanatlı..

Atları rüzgar

Atları...

At... (Hikmet, 1962:155-156)

მ ხ ე რ ე ბ ი, მ ხ ე რ ე ბ ი წ ი თ ე ლ ი მ ხ ე რ ე ბ ი,

მა თ ი ც ხ ე ნ ე ბ ი ქ ა რ ი ს ფ რ თ ო ს ა ნ ი !

მათი ცხენები ქარის ფრთოსა!...

მათი ცხენები ქარი...

მათი ცხენები...

ცხენი...

„კასპიის ზღვაში“ პოეტი ყურადღებას ამახვილებს მღელვარე ზღვაში ნავის ჩაძირვა ამოყვინთვის ტალღისებურ პროცესზე, პათეტიკურად იმეორებს სიტყვა kayak-ს (ნავი), რომელიც ფინალურ ნაწილში ერთ მარცვალზე (ka...) წყდება და ნავის ჩაძირვას გადმოგვცემს. ლექსის გრაფიკული გამოსახულებაც, ყოველი პჭკარი ჩასვლა-ამოსვლის პროცესს ხაზავს:

Çıkıyor kayak	ამოდის ნავი,
İniyor kayak	ჩადის ნავი.
Çıkıyor ka...	ამოდის ნა...
İniyor ka...	ჩადის ნა...
Çık...	ამო...
İn...	ჩა...
Çık...	ამო...

ნაზიმ ჰიქმეთმა თურქულ პოეზიაში შინაარსის, ფორმისა და აღქმის თვალსაზრისით მანამდე არნახული სიახლეები შემოიტანა, თავისუფალი ლექსის ნოვატორი გახლავთ. სიტყვასთან და მის ელემენტებთან მუშაობა გულისხმობდა ფონეტიკური და გამოსახულებითი ფაქტორების აქტუალიზაციას. საზოგადოდ, ამან ფუტურისტები ენის ფილოსოფიის პრობლემასთან მიიყვანა, რადგან „სიტყვათშემოქმედება“ არა მხოლოდ ენობრივი მატერიის განახლების განაცხადი იყო, არამედ სამყაროს სიტყვის ძალმოსილებით შეცვლის პრეტენზიაც.

ამგვარი უნივერსალიზმისა და ცხოვრების ხელოვნების მოთხოვნილების დეკლარაცია სიმბოლიზმშიც გვხვდება და შეიძლება მისგან ნასესხებადაც გავიაზროთ, ოღონდ ფუტურისტებისათვის სიტყვა სიმბოლო აღარ იყო, ის თავისთავთან მიმართებას აყალიბებდა და ახალ ენად ყალიბდებოდა. სიტყვა-ნიშანი უკვე მოქმედებდა პირდაპირ - აკუსტიკურად და ოპტიკურად. კრუჩონიხი ადარებდა ენას „ხერხთან ან ველურის მოწამლულ ისართან“. რუსულმა ავანგარდმა სიტყვის გამოკვეთილ, ვიზუალურ ხატთან ერთად უმაღლეს სიმადლეზე აიყვანა მისი აკუსტიკური ხატიც, რაზეც მიუთითებს ფუტურისტებში გავრცელებული პრინციპი ენის გამომგონებლობისა. „პოეტი დამოკიდებულია თავის ხმაზე და ყელზე“,- ამბობდა კრუჩონიხი. ნაზიმ ჰიქმეთისთვის სიტყვის კომუნიკაციური ფუნქცია მნიშვნელოვანი იყო. ამდენად, იგი „სიტყვათშემოქმედებას“ არ ეწევა, მაგრამ თურქული პოეზიისთვის უცხო პოლიტიკურ ლექსიკონს კი აყალიბებს და აზრის გამოსახულებით სტრუქტურას ქმნის.

საბჭოთა კავშირში სწავლის დროს ნაზიმ ჰიქმეთმა რუსული კარგად არ იცოდა, ამას გარდა, იმ პერიოდში გაბატონებული ლიტერატურული სკოლების დეკლარირებული ხელოვნების თეორია მას სოციალისტური რეალიზმის პოეტად ვერ აქცევდა. 1924 წელს იგი თურქეთში დაბრუნდა და 1928 წელს ისევ დაბრუნდა საბჭოთა კავშირში. იქ გატარებული სამი წლის განმავლობაში სოციალისტურ რეალიზმზე მეტად ფუტურიზმით და კონსტრუქტივიზმით იყო გატაცებული. და მაინც, ადრეული სოცრეალიზმის პრინციპები ნათლად იკვეთება მის შემოქმედებაში, რაზეც შემდგომ ვისაუბრებთ. ძნელია იმის თქმაც, რომ იმ პერიოდში პოეტი მაიაკოვსკის გავლენის ქვეშ მოექცა. ჰიქმეთი მაიაკოვსკის შესახებ შემდეგნაირად საუბრობს: „თავიდან, რუსული ენა კარგად არ ვიცოდი, მაიაკოვსკის ლექსები არ მესმოდა. ახლაც ვერ ვიტყვი, რომ ყველაფერი მესმის, მაგრამ მისი ლექსის ფორმას ვბაძავდი. მეგონა, რომ იგი თავის ნააზრევს ყოველთვის ამ ფორმით გამოხატავდა, მეც ვცდილობდი ჩემი აზრები ამ სახით გადმომეცა, მაგრამ მისი რვეულის ნახვის შემდეგ აღმოვაჩინე, რომ მაიაკოვსკი ყოველთვის საფეხურებრივი, დანაწევრებული სტრიქონების სისტემით არ წერდა“ (Бабаев, 1975:92).

საბჭოთა კავშირში ყოფნის პერიოდში ნაზიმ ჰიქმეთმა, როგორც ლიტერატურული, ასევე პოლიტიკური თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ცვლილება განიცადა. ამ ცვლილების შედეგად მისი ლირიკა ფორმისა და შინაარსის თვალსაზრისით თურქეთში არსებულ პოეზიას დაშორდა. მან კი ლენინიზმის საფუძვლების მქონე კომუნიზმის იდეები გაითავისა. თავის პროგრამულ ლექსში „პოეტი“ აცხადებდა: ჩემთვის საუკეთესო ლექსი „ანტი-დიურინგია“, მაგრამ მთავარი ნაწარმოების: „კონსტრუქტივისტულ-მარქსისტული“ რომანის დასაწყებად ველოდები, როდის გავხვდები „კაპიტალის“ ჰაფიზი“ (Hikmet, 1962:64). ნაზიმ ჰიქმეთთან ფორმალიზმი ძალზე შეზღუდულია, ფუტურიზმის პერიოდშიც ის პირველ რიგში რევოლუციონერ-მარქსისტია.

ნაზიმ ჰიქმეთი იხსენებდა, „ბათუმში ვნახე რუსული ლექსები, რომელიც სვეტისებურად იყო დაბეჭდილი. ერთმა თურქმა, რომელიც რუსულის ცოდნით თავს იწონებდა, მითხრა: ამის თარგმნა შეუძლებელიაო.

დამისახელა ლექსების ავტორი: მაიაკოვსკი. მე დავინტერესდი, რატომ წერდა მაიაკოვსკი სვეტისებურად, რატომღაც დარწმუნული ვიყავი, რომ ის არ იყო ფრანგული თავისუფალი საზომით დაწერილი, რომელსაც ძალიან კარგად ვიცნობდი, არამედ იყო რაღაც სრულიად ახალი. მწამდა, რომ სწორედ ასე აზროვნებს პოეტი; და ასევე ტალღისებურად დავწერე ლექსი „მშეერთა გუგები“ (Хикмет, 1967:226). საერთო ჩემსა და მაიაკოვსკის შორის, პირველ რიგში, პოეზიასა და პროზას შორის დისტანციის მოშლაა, მეორე რიგში, სხვადასხვა ჟანრებს შორის არსებული საზღვრების განადგურებაა (ლირიკა, სატირა და სხვ.) და, მესამე, პოეზიაში პოლიტიკური ენის შემოტანაა. ფორმა განსხვავებულია. მაიაკოვსკი ჩემი მასწავლებელია, მაგრამ მე მასავით არ ვწერ. მოსკოვში სწავლის პერიოდში მე მაიაკოვსკით პოეტი-ტრიბუნი ვიყავი“ (Бабаев, 1975:93). სკანდალებით ცნობილი თურქი ლიტერატორი ფეამი საფა თვლიდა, რომ ნაზიმ ჰიქმეთის ლირიკა არის მაიაკოვსკის პოეზიის გადამღერება (Göze, 1995:205-235).

როგორც აჰმედ ოქტაი აღნიშნავდა, 1940-იან წლებამდე ნაზიმ ჰიქმეთის გარდა თურქეთში არ გამოჩენილა არც ერთი მწერალი, რომელსაც ახალი ლიტერატურა მარქსისტულ კონტექსტში გაეაზრებინა. უფრო მეტიც, ყურნალებში არ გამოქვეყნებულა არც ერთი მნიშვნელოვანი ანალიზი ან კვლევა, რომელიც ლიტერატურის თეორიას ამ კონტექსტში განიხილავდა, ან, თუნდაც, გარკვეულ წვლილს შეიტანდა ამ მიმართულებით (Oktay, 1980: 112).

გერმანელი მოაზროვნე ე. იუნგერი 1930-იან წლებში წერს, რომ დასავლური დემოკრატიული საზოგადოება მიზნად ისახავს უსაფრთხოების, კომფორტის გაზრდას: „აქ იგრძნობა ტკივილის დამაამბებელი მომაჯადოებელი კომფორტი, რომელიც უცნაურად არის დაღვრილი ჰაერში და მას ნარკოტიკული ორთქლით ავსებს... თითქოს ყველაფერი მხოლოდ იმისთვის არის, რომ გაანათოს, გაათბოს, აამოძრავოს, გაამხიარულოს“ (Юнгер, 2002: 488). ცხადია, რომ ცხოვრების დონე ამაღლდა, კლასობრივი ბრძოლის აუცილებლობა აღარ არის, მაგრამ რევოლუციონერი ნონკონფორმისტი მარქსისტ-ლენინელებისთვის კეთილდღეობის ეს მოდელი მიუღებელი აღმოჩნდა.

ნაზიმ ჰიქმეთის ხედვით, საყოველთაო კეთილდღეობა თავგანწირვას მოითხოვს. უდიდესი ჰეროიკული მუხტია გამოხატული „მზის მსმელთა სიმღერაში“. ლექსში განსაკუთრებული აქცენტი გაკეთებულია რეჩიტატივზე, სადაც პოეტი ყოველ ბგერას გამოყოფს, განსაკუთრებულად კი ა-ბგერას, ამ პასაჟს ლექსში ოთხჯერ იმეორებს და მას კურსივით დიდი ასოებით გამოყოფს და როგორც ფუტურისტებს სჩვევიათ სასვენ ნიშნებს არას დაგიდებთ:

შ ე ტ ე ვ ა ა

მ ზ ე ზ ე შ ე ტ ე ვ ა!

მ ზ ე ს დ ა ა ა ა ვ ი პ ყ რ ო ბ თ

მ ზ ი ს დ ა პ ყ რ ო ბ ა ა ხ ლ ო ს ა ა!

მზის შეპყრობა, მისი „დაღვევა“ პოეტისთვის „ფოლადის ფეხების“ მქონე ვაჟკაცების ფიზიკურ სამყაროზე გამარჯვების ნიშანია. საინტერესოა, რომ პოეტი „სიკვდილის“ ბრძანებას წინამძღოლისგან ელის (ფუტურისტულ ანარქიას კომუნისტური იდეოლოგია ცვლის): „ბრძანე, მოვკვდეთ, მოვკვდებით! შენს ხმაში ჩვენ მზეს ვსვამთ“:

ჩვენ აღვმართეთ დიდი კიბე,

მივაბჯინეთ ზეცის კიდეს,

მოციმციმე ვარსკვლავებზე

რკინის კავით ჩამოვკიდეთ,

და დავადგით ფეხი გვამებს,

აქ დაცემულ მებრძოლ ბიჭებს.. (ჰიქმეთი, 1952: 6-11)

პოეტი აგრძელებს: „ ახლა ჩვენთვის მათზე გლოვის/ და ტირილის/ დრო არ არის,/ გვეჩქარება, მზისკენ მივალთ,/ გული მზისკენ მიიჩქარის“. არის კი ტკივილზე, შიშზე გამარჯვება, თანამებრძოლის სიკვდილის მეხსიერებიდან წაშლა, საკუთარ თავთან ბრძოლის შედეგი? პირადულზე, სუბიექტურზე უარის თქმა, თვითგანადგურება კი, ის რაც საჭიროა საყოველთაო ბედნიერებისათვის?! პოსტმოდერნულ ეპოქაში მცხოვრები ადამიანისთვის ამგვარი ჰეროიკის გაგება რთულია, რადგან მსგავსი პროცესი თავისი არსით სუბიექტისთვის ნეგატიური და გამანადგურებელია. მაშ რა პოზიტიურ ღირებულებას შეუძლია შეავსოს ეს უფსკრული?! როგორ შეიძლება ახალი მგრძობელობის მოპოვება? რაშია რომანტიკულ-რევოლუციური აზროვნების აქსიოლოგია?

ჩვენ ვიცოდით, რომ რევოლუციური, შემდგომში კი, საბჭოთა იდეოლოგია საზოგადოების მართვის ძალზე უბრალო მოდელს აყალიბებს. რევოლუციურ-სოციალისტური ხელოვნება და კულტურა გთავაზობს მარტივ, გასაგებ, წინასწარ განსაზღვრულ კავშირებს - „უბრალო ურთიერთობებს“, რადგან ამ სისტემაში მხოლოდ ეს იძლევა მყარი წესრიგის განცდას. ნაზიმ ჰიქმეთი იყენებს სამეტყველო ენას, ეძებს მკაცრ უბრალოებას, სიტყვები თოთქოს სამხედრო ნაბიჯით მოდიან და ერთგვარი სინტაქსური მწყობრი მწკრივის სახეს იძენენ და ლექსს ეპიკურ რიტმიკას აძლევს. ნაზიმ ჰიქმეთის პოეტიკაში სოციალისტურ სამყაროს გააჩნია ნათელი, გამჭვირვალე სტრუქტურული ასკეტურობა. მასში არაფერია ზედმეტი, ისევე როგორც ნაზიმ ჰიქმეთის სიტყვათა რიგსა და სტილში.

გამჭვირვალეობა ნაზიმ ჰიქმეთის რიტორიკაში სიცხადეს ნიშნავს, კიდევ გახსნილობას, სიმართლეს, გულწრფელობას. ეს კომუნიკაციური ველი გულისხმობს მილიონობით ადამიანთა თანაარსებობას, მათი გაჭირვების გაზიარებას, რაც, თავის მხრივ, საერთო ინფორმაციულ სივრცეს აყალიბებს. სიცოცხლის სიყვარული, ხალისი ესთეტიკური და ეთიკური იმპერატივის სახეს იძენს. „ძლიერის“ სემანტიკაში შედის ცხოვრების ეგზისტენციური დანიშნულება: ემსახურო უბრალო ადამიანებს, ხალხისთვის თავი გაწირო. ახალი ცხოვრების მოდელში უცილობლად შემოდის ტანჯვის გადალახვის პათოსი. საყოველთაო ბედნიერი მომავლის რწმენა სავსეა მშვენიერი ცხოვრების მოლოდინით.

ამგვარად, ჰარმონიულ მომავალზე ორიენტაცია პოეტს ყოფიერების ტრაგიზმის გადალახვაში ეხმარება და სიკვდილის მიმართ დამოკიდებულებას სრულად უცვლის. პოეტი მზად არის თვალი გაუსწოროს ხუთი მილიონი მშვიერი ადამიანის, 15 თურქი კომუნისტის, რიგითი ჯარისკაცის, მენავის, მებრძოლთა სიკვდილს, რადგან წინ ბედნიერ უტოპიურ მომავალს ხედავს, მაშინ სიკვდილი საერთო საქმის სამსხვერპლოზე თავგანწირვის ეპიზოდია მხოლოდ. სანამ „ბედნიერების მატარებელი“ ჩამოდგება, მხედრებმა უნდა იბრძოლონ დაილუპონ კიდევ, რა გასაკვირია რომ, რაზმი ვერც კი ამჩნევს თანამებრძოლის სიკვდილს, ის მიჰქრის („მტირალა ტირიფი“). ხოლო ლექსში „ჰაერი მიძიმეა“ პოეტი უკვე თავად მზად არის „შეაკვდეს ბრძოლაში ჯალათებს“ და ამბობს: „ჰაერი, ვით ტყვია, მიძიმეა/ ტიალი.../ (მტარვალმა არ იცის გრძნობა/ და დანდობა):

მე ვყვირი...

მე ვყვირი...

მე ვყვირი...

ვლრიალებ:

„იჩქარეთ

საბრძოლო ტყვიის გადადნობა!“

პოეტს ვილაც ელაპარაკება აფრთხილებს... ვინ არის ეს „ის“?! მისი ალტერ ეგო, მეორე „მე“, თუ ვინმე „სხვაა“? მნიშვნელობა არა აქვს: „ის“ ზრუნავს მასზე, განიცდის, არ უნდა, რომ პოეტი დაილუპოს: „ის მე მეუბნება:/

„ნუ ყვირი, გაჩერდი, შენ ფერფლად იქცევი, თუ ამ გზით იარე!.. /ბევრია ნალველი, დარდი და.../ არც ერთი/ არა ჰყავს მკურნალი/ გულის ღრმა იარებს“. პოეტი კი მას პასუხობს:

მე თუ არ დავიწვი,

შენ თუ არ დაიწვი,

ჩვენ თუ არ დავიწვით,

ბნელს რა გაანათებს?!...“ (ჰიქმეთი, 1952: 52-53)

ამგვარად, ნაზიმ ჰიქმეთის რევოლუციურ იდეოლოგიაში უპირველესი შეუპოვარი უშიშრობის მიღწევას, მისი სიმბოლური კონცეპტი „სიძლიერე და გაუტეხელობაა“. ის ადამიანთა საერთაშორისო ერთიანობისა და მათი სოლიდარობის სოციალისტურ კულტუროლოგიურ მითზეა დაფუძნებული.

### დასკვნა

ნაზიმ ჰიქმეთის შემოქმედება სამი უმნიშვნელოვანესი ონტოლოგიური პარადიგმის გადაკვეთაზეა: სანუკვარი უტოპიური და პოსტუტოპიური - რევოლუციური და პოსტრევოლუციური საბჭოთა მენტალობისა და საკუთრივ ბურჟუაზიული სახელმწიფო რეჟიმის დანგრევის აუცილებლობაზე, რომელშიც კონცეპტის სახით თურქეთი შედის. მისი ადრეული შემოქმედება გამსჭვალულია რევოლუციური ალტყინებით. ლექსებში გამოსჭვივის უმანკო თავდადება და თავდაჭერილი მგრძობელობა მეზობლისა, რომელიც ცდილობს სიცოცხლის ფასად მოუტანოს ხალხს ბედნიერი მომავალი.

მარქსისტი მწერალი როგორც შუა საუკუნეების ადამიანი დარწმუნებულია (პროპაგანდით), რომ მის სიცოცხლეს აზრი აქვს მხოლოდ იმისთვის, რომ იბრძოდეს, რათა განათავისუფლოს ადამიანები მთელ პლანეტაზე. ადამიანის ინდივიდუალიზმი, მისი პირადი ხვედრი ღირებული აღარ არის, აქ კოლექტივზე ფიქრობენ მხოლოდ. რევოლუციონერი პოეტის ცხოვრება უნდა იყოს ჰეროიკული და იდეის სამსხვერპლოზე თავგანწირვის ფორმატის.

ამას გარდა, სულიერი კულტურის სფეროში ისეთი მნიშვნელოვანი კონცეპტების გადაკვეთა როგორცაა ინიციატივა, პასუხისმგებლობა, სიმამაცე, რისკზე წასვლის მზაობა და ამავე დროს მზაობა შეასრულო უფიქრებლად ბრძანება, არაფერი გააკეთო კოლექტივის დანარჩენ წევრებთან შეთანხმების გარეშე, (დემოკრატიული ცენტრალიზმი), ღირებულებეთა სტრუქტურაში დაძაბულობას იწვევს, რადგან რევოლუციონერს უნდა ჰქონდეს ნდობა, მაგრამ ყურადღება არ უნდა მოადუნოს; ყველა ადამიანი უნდა დაფასდეს, მაგრამ უნდა იმოქმედო პრინციპით „შეუცვლელი არავინაა“. საკუთარ ავტონომიურობაზე უარის თქმა, პარტიული დისციპლინა, მორჩილება, მსხვერპლმეწიროვის გამართლება, ადამიანის მიმართ უტილიტარული დამოკიდებულება, ხელისუფლების მიერ ადამიანებით მანიპულირება ზეპრაგმატული ფსევდოჰუმანიზმის სახეს იღებს.

ნაზიმ ჰიქმეთის პოეზიაში ეთოსი პათოსი და ლოგოსი მკაფიოდ არის გამოხატული და ის ადრეული სოცრეალიზმის პრინციპებზეა დაფუძნებული. ეს არის: პარტიულობა, რომელიც გულისხმობს არჩეული იდეოლოგიის განსაკუთრებულობას, უპირატესობას, განუმეორებლობას, მონუმენტალიზმს, მითოლოგიზმს, ოპტიმიზმს, მეზობლ ბუნებას. ის „ახალი ჰუმანიზმის“ სახეს იძენს, ასხივებს მასობრიობის პათოსსა და თემატურ შეზღუდულობას.

### გამოყვებულ ლიტერატურა:

1. <http://t24.com.tr/yazarlar/hakan-aksay/bir-kez-daha-merhaba-moskova-merhaba-nazim,3748>
2. Хикмет, Назим, Автобиография, «Вопросы литературы», 1967. №11, Москва.
3. Hilav, S. "Nazim Hikmet Üzerine Notlar: kaynaklar", Yön, S.115. (1965 11. Haziran)

4. Шелер, М. Человек и история // THESIS. Теория и история экономических и социальных институтов и систем. 1993, №3
5. Hikmet, Nazım, Bütün Eserleri Sekiz Cilt, Şiirler 1916-1951, (с.1), Narodna prosveta, Sofya, 1962.
6. ჰიქმეთი, ნაზიმი, რჩეული ლექსები (თურქულიდან თარგმნა ვახტანგ კეკელიძემ), საბჭოთა მწერალი, თბილისი, 1951
7. Шкловский В.О. О поэзии и заумном языке// Шкловский, В. Б. Гамбургский счет. Статьи. Воспоминания. Эссе. Москва, 1990
8. Якобсон, Р. Новейшая русская поэзия. набросок первый: Подступы к Хлебникову// Якобсон, Р. Работы по поэтике, Москва, 1978
9. Эйхенбаум, Б. Теория «формального подхода» // Эйхенбаум, Б. О литературе. Работы разных лет, Москва, 1987
10. Бабаев, А. Назым Хикмет, Жизнь и творчество, издательство «Наука», Москва, 1975
11. Göze, E. Peyami Safa – Nazım Hikmet Kavgası, Boğaziçi Yayınları, İstanbul, 1995.
12. Oktay, A. Bir Arayışın Yazıları Bir Yazının Arayışları, Yazko Edebiyat, İstanbul, 1980
13. Юнгер Э. Рабочий. Господство и гештальт. Тотальная мобилизация. О боли. СПбЖ Наука, 2002
14. ჰიქმეთი, ნაზიმი, რჩეული ლექსები (თურქულიდან თარგმნა ვახტანგ კეკელიძემ), საბჭოთა მწერალი, თბილისი, 1951

## მეფის ბიბლიური მოდელი და სულხან-საბა ორბელიანი

ნესტან სულავა

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

### აბსტრაქტი

ძველ ქართულ ლიტერატურულ ძეგლებში მეფის ხატ-სახის ჰიპოდოგმურ-პარადიგმული გააზრება სიუჟეტის განმსაზღვრელ ფაქტორად ისახება. სიუჟეტის განვითარების თვალსაზრისით, მეფისა და ტახტის მემკვიდრის გასააზრებლად განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს სულხან-საბა-ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა“, რომელშიც მეფისა და ტახტის მემკვიდრის სახე გაიზარება, როგორც სიუჟეტის განმსაზღვრელი ფაქტორი. ძველ ქართულ სიტყვაკაზმულ ლიტერატურაში სიუჟეტის განვითარების თვალსაზრისით, მეფისა და ტახტის მემკვიდრის ჰიპოდოგმურ-პარადიგმულად გასააზრებლად განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს რამდენიმე განსხვავებული ჟანრის თხზულება: „სიბრძნე ბალაჰვარისა“, შოთა რუსთველის „ვეფხისტყაოსანი“ და სულხან-საბა-ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა“, რომელთა სიუჟეტური ჩარჩოს საწყისი ეტაპი ერთმანეთის მსგავს ქარგაზეა აგებული. თითოეული მათგანი ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებულ ეპოქაში შეიქმნა. „სიბრძნე ბალაჰვარისა“ ინდოეთში ქრისტიანობის გავრცელების ამბავს გადმოგვცემს, ფაქტობრივად, იგი ბუდას ცხოვრების გაქრისტიანებული ვერსიაა, შოთა რუსთველის პოემა მეფის ინსტიტუტის მხატვრული წარმოსახვისა და სინამდვილის ურთიერთმიმართების თვალთახედვით ეპოქალურ სიანხლეს ამკვიდრებს არა მხოლოდ ქართულ, არამედ მსოფლიო ლიტერატურაში, ხოლო სულხან-საბა-ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა“, საღვთისმეტყველო საზრისთან ერთად, ზნეობრივი აღმზრდელი-პედაგოგიური ფუნქციის მატარებელი ნაწარმოებია და განმანათლებლური იდეების დამკვიდრებას გვთავაზობს. მეფისა და ტახტის მემკვიდრის ჰიპოდოგმურ-პარადიგმული გააზრება, როგორც სიუჟეტის განმსაზღვრელი ფაქტორი, ძველი ქართული ლიტერატურის სწორედ ამ სამი, ჟანრობრივად ერთმანეთისაგან განსხვავებული თხზულების, განხილვის საფუძველზე მნიშვნელოვან შედეგებს იძლევა. ჩემი განხილვის საგანია მეფის ბიბლიური მოდელის მხატვრული წარმოსახვისა და სინამდვილის ურთიერთმიმართებათა შესახებ მსჯელობა სულხან-საბა ორბელიანის თხზულების „სიბრძნე სიცრუისას“ მიხედვით. საბას თხზულების უმთავრესი განსახილველი საკითხი მეფის იდეალური სახის ჩამოყალიბებაა, მეფის ხატ-სახის შექმნა, როგორც უნდა იყოს მეფე, რომ მან უკეთ უპატრონოს სახელმწიფოს და ერს. ამის სათავე მეფის ბიბლიურ მოდელშია საძიებელი, ხოლო მეფის ბიბლიური მოდელი ძირითადად მეფეთა წიგნებშია ჩამოყალიბებული. ებრაელთა პირველი მეფიდან, საულიდან და მეორე მეფიდან, დავით წინასწარმეტყველიდან მოყოლებული, მეფის ორი ტიპია გასააზრებელი: 1. კეთილი, ქველმოქმედი მეფისა, რომლის პროტოტიპად ბიბლიური დავით წინასწარმეტყველი მოიაზრება, და 2. უკეთური მეფისა, რომელმაც საღვთო გზას გადაუხვია (II რჯ. 17, 19), რაც სიბრძნე სიცრუისაში იგავებში წარმოჩენილ მეფეთა სახეებშია ასახული. ბიბლიური სწავლებით, მეფე სახელმწიფოს მთლიანობის, ერთიანობის სახე-სიმბოლოა, საფუძველია, ეროვნული ცნობიერების დვრიტაა, სათავეა. მეფის ბიბლიური მოდელი, უწინარეს ყოვლისა, დავით წინასწარმეტყველის პიროვნებაშია ჰიპოდოგმურად განსაზღვრებული და ყოველმხრივ შემკულ, ჰარმონიულად განვითარებულ პიროვნებას გულისხმობს. დავით წინასწარმეტყველი ქართველ ქრისტიან მეფეთა წინასახედ მოიაზრება და მისი ჰიპოდოგმური სახე, როგორც ნიმუშისა, ბაგრატიონთა მთელ დინასტიას გასდევს. მეფის მსოფლმხედველობა, ზნეობრივი სახე სახელმწიფოს ხატ-სახეა, ყოველი მოქალაქისათვის მისაბაძია, იგი ერის რაობასა და სულიერ-ზნეობრივ ხატ-სახეს განსაზღვრავს. მეფემ ადამიანურ სისუსტეებს უნდა სძლიოს, მასზე მაღლა უნდა დადგეს, რათა ერის წინაშე პირმართლად წარდგეს და ცოდვათაგან თავისუფალმა ღვთისაგან რწმუნებული ქვეყანა ღირსეულად მართოს. მეფე ღვთის რჩეულია, რომელმაც ღვთისაგან მიწოდებული ქვეყნისა და ერისათვის თვისისა უნდა დადგას თავი თვისი. სულხან-საბა ორბელიანმა ჩამოაყალიბა მეფეთა და ხელმწიფეთა ქვეყა-ქმნათა კოდექსი, რომელსაც სამართლიანი, ჰარმონიული სახელმწიფოს მართვისა და არსებობის წესი და რიგი ეფუძნება. ავტორმა იგი განსაზღვრა, როგორც „საქმე სიტყვიანი და სიტყვა საქმიანი“. „სიბრძნე სიცრუისას“ ტახტის მემკვიდრის დაბადების, აღზრდისა და მისი შედეგის კვალობაზე სიუჟეტის განვითარებაში ნათლად

დავინახავთ წინარელიტერატურული ტრადიციებისაგან სულხან-საბა ორბელიანის განსხვავებულ მიდგომასა და შეფასებას. ფინეზ მეფემ მეფისწულს ლეონის სახით გონიერი აღმზრდელი მიუჩინა. უფლისწულის ცალკე სასახლეში აღზრდას თავისი მიზანდასახულობა ჰქონდა, აღმზრდელი სამეფო კარის ზედამხედველობისაგან თავისუფალი უნდა ყოფილიყო, აგრეთვე, უფლისწულის აღზრდისას საშუალება ჰქონოდა, ისე მოქცეულიყო, როგორც საჭიროდ მიიჩნევდა. ლეონი აღმოჩნდა იმგვარი აღმზრდელი, რომელმაც მეფისწულს თავისი სახელმწიფოს, თავისი ხალხის გასაჭირის შეცნობა ასწავლა; მისი მეთოდი განსაკუთრებით მკაცრი იყო, რადგან, ლეონის აზრით, მომავალმა მეფემ უნდა იგრძნოს ტკივილიც და შვებაც, უნდა გაიზიაროს თავისი ხალხის, თავისი ქვეშევრდომების ჭირიც და ლხინიც. მოხსენებაში მსჯელობა გაშლილია სწორედ ამ ფუნდამენტურ საკითხებზე, რომელთა მიხედვით შეიძლება სულხან-საბა ორბელიანის თხზულების სიუჟეტის, ამბის განვითარების, ცალკეული იგავის მიზანდასახულობა სრულყოფილად წარმოჩნდეს.

**საკვანძო სიტყვები:** „სიბრძნე ბალაჰვარისა“, „სიბრძნე სიცრუისა“, სიუჟეტი, მეფის მხატვრული სახე, მხატვრული წარმოსახვა, სინამდვილე.

## The Biblical Model of the King and Sulkhan –Saba Orbeliani

### Abstract

In the literary heritage of ancient Georgian writing the main factor of identification of the plot is the paradigm meaning of the king's symbol. Sulkhan –Saba Orbeliani's writing "Wisdom of the Lie" has specific meaning to think about the king and his heritage from the point of the view of the plot development. In this literary writing king and his heiress are the main factors for plot development. In Georgian literary heritage from the point of the view of plot development king and his heiress took main place in several writing, like as; "Wisdom of Balahvari", Shota Rustveli "Knight in the Tiger's Skin", and Sulkhan–Saba Orbeliani's writing "Wisdom of the Lie", because of the fact that the plot of those stories are built on the same facts. Each of them are written in the same epoch. "Wisdom of Balahvari" is about the Christianity, how the religion was spread. To say the true, it is about the Christian version of the life of Buddha. Shota Rustaveli's „Knight in the Tiger's Skin" is the innovation of the epoch regarding the king's life and reality not only in Georgia, but also in the world. Sulkhan –Saba Orbeliani's "Wisdom of the Lie" with orthodox meaning, has moral, didactical and pedagogical function. With the paradigm of the king and his heiress as a main characteristic of the plot development, in abovementioned, completely different stories and discussion of this task will give important results. During discussion we focus on the relation of the biblical model and reality on the base of Sulkhan-Saba Orbeliani's "Wisdom of the Lie". The main characteristic of Saba's story to show us the development of perfect king's ideal, how does the king have to look like to be the real leader of the nation. Roots of a such model of the king can be seen in the Bible. Mainly the biblical models of the kings can be seen in the Books of Kings. From the first king of Jewish Saul and Davit there are given two different types of the kings: 1. Good and philanthropist like Davit and 2. Bad king who did not follow the ways of the Lord. (II Deuteronomy 17, 19), and this is given in the parable of the "Wisdom of the Lie". According the Bible king is the symbol of the unity, national identity, the biblical model of the king is given in the face of the Davit, author of the psalms and he is perfect, full of positive emotion, developed in harmony, and Davit is the ancestor of Georgian kings and his symbol face as a model is the motif of all Bagrationi kings in Georgia. The world outline of the king is the symbol of the state he rules. He is the model for all citizens and defines the identity of the nation. The king has to be strong to destroy the weaknesses all others have to be the right person in front of the nation and to rule as needed. The king is chosen by the God and must sacrifice oneself for the country and nation. Sulkhan – Saba Orbeliani gave us the codex of the acts the king must follow on which the order and turn of the state based. Author identified this rules and orders as "action with word and the word with action". If we follow the in the story how was the heiress of the kind born and then grow up we will notice the new, not existing before, assessment and attitudes to the task. King Pinez order the Leon as educator of the son as he was the wise person. To grow up the heiress separately in other palace has special meaning. Son must be freed from the supervisor from the royals. Leon must have the possibility to grow up the Son of the King as he considered it right. Leon was the educator who gave to the Son of the king great knowledge to be able to know the difficulties of the nation, people. His methods were strict for the reason that Leon thought the king must know what does this mean to be happy and unhappy. To think about the people's life

fully. In the speech we will talk about this fundamental tasks to give the understanding of the plot development, aim of each parable in Sul Khan-saba Orbeliani's writing.

**Keywords:** "Wisdom of the Lie", "Wisdom of Balahvari", the paradigm of the king, action, reality.

### **მიზანი.**

ჩემი განხილვის საგანია მეფის ბიბლიური მოდელის მხატვრული წარმოსახვისა და მეფის რეალური სახის ურთიერთმიმართებათა შესახებ მსჯელობა სულხან-საბა ორბელიანის თხზულების მიხედვით, რაც საზოგადოდ სინამდვილისა და მხატვრული ასახვის პრობლემის ურთიერთმიმართებათა განხილვასაც მოითხოვს. მეფის ბიბლიური მოდელის მხატვრული წარმოსახვისა და სინამდვილის ურთიერთმიმართებათა შესწავლა სულხან-საბა ორბელიანის პრაქტიკული მოღვაწეობისა და „სიბრძნე სიცრუისას“ მიხედვით მნიშვნელოვანია, რადგან მწერალი, როგორც აღმზრდელი ვახტანგ მეექვსისა, ქართლის ტახტის მომავალი მფლობელისა, უფლისწულის აღზრდის პროცესის პარალელურად საკუთარი გამოცდილებისა („საქმე სიტყვიანი“) და ბიბლიური წიგნების ცოდნის („სიტყვა საქმიანი“) საფუძველზე ქმნის თავის თხზულებას. სულხან-საბა ორბელიანმა მეფის იდეალი, მისი რაობა და რაგვარობა ბიბლიური მოდელის გააზრების, სახელმწიფოებრივი მოწყობის სისტემათა ღრმა ცოდნისა და ცხოვრებისეული მდიდარი გამოცდილების საფუძველზე ჩამოაყალიბა თავის იგავურ თხზულებაში „სიბრძნე სიცრუისა“, რომლის ერთ-ერთი ძირითადი მიზანდასახულობა სახელმწიფოს ღირსეული პატრონის აღზრდაა. ამ საკითხის შესასწავლად საჭიროა აიხსნას, რა იგულისხმება სათაურში „სიბრძნე სიცრუისა“, რომლის სათაურსა და სიუჟეტურ ჩარჩოს საერთო მახასიათებელი ნიშნები აქვს თხზულებასთან „სიბრძნე ბალაჰვარისა“. ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებოა სულხან-საბა ორბელიანის თხზულების სახელწოდება, რატომ მისცა მწერალმა თავის წიგნს ასეთი სათაური და რა აკავშირებს განსხვავებულ დროში შეთხზულ ხსენებულ ჰაგიოგრაფიულ ნაწარმოებთან, რა მსგავსება-განსხვავებები შეინიშნება მათ შორის? სიუჟეტის განვითარების რომელი კომპონენტების მიხედვით შეიძლება მსჯელობა „ვეფხისტყაოსანთან“ მსგავსებაზე? ყოველივე ზემოხსენებულის მიხედვით ნაშრომში შევხებით ორ საკითხს: 1. სულხან-საბა ორბელიანის თხზულების მრავალგანზომილებიანი სათაურის მეტაფორულობას, ენიგმურობას, ალუზიურობას; 2. მეფის მხატვრული სახის ასახვა-ჩვენებას, რის ახსნის საფუძველს სათაურიც იძლევა.

### **მეთოდი.**

საკითხის დასმა თავისთავად მიუთითებს, რომ ნაშრომში გამოყენებული იქნება კვლევის მულტიდისციპლინური მეთოდები, კერძოდ: ისტორიულ-შედარებითი, ანალიტიკური, ნარატოლოგიური, რეცეფციული, რემინისცენციური, ჰერმენევტიკული კვლევის მეთოდები, რადგან დასადგენია თხზულებათა მრავალმხრივი ურთიერთმიმართების საკითხები, რომელთაგან განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მეტაფორულ და სიმბოლურ აზროვნებას, ალუზიებისა და ენიგმების გამოვლენას. სწორედ მათი მეშვეობით იქნება შესაძლებელი მემკვიდრეობითობის, ტრადიციულობისა და ინოვაციის ადგილი და მნიშვნელობა სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისას“ იდეურ-მსოფლმხედველობრივი, მხატვრულ-გამომსახველობითი, ესთეტიკური რაობა-რაგვარობის გამოსავლენად.

### **შესავალი.**

ზემოთ დავსვით კითხვა იმის შესახებ, რატომ მისცა სულხან-საბა ორბელიანმა თავის წიგნს ასეთი სათაური და რა აკავშირებს განსხვავებულ დროში შეთხზულ ნაწარმოებთან „სიბრძნე ბალაჰვარისა“, რა მსგავსება-განსხვავებები შეინიშნება მათ შორის? უნდა აღინიშნოს, რომ სულხან-საბა ორბელიანის თხზულების სათაურის თაობაზე სამეცნიერო ლიტერატურა საკმაოდაა შექმნილი და წინამდებარე ნაშრომში მათი დამოწმება, ვფიქრობთ, საჭირო არაა, რადგან განსახილველი საკითხის წარმოსაჩენად ამას არსებითი მნიშვნელობა არ აქვს. ამაზე საუბარი მხოლოდ იმითაა განპირობებული, რომ უკეთ გამოვლინდეს „სიბრძნე სიცრუისაში“ დასმული მეფის მხატვრული ხატ-სახის რაობისა და რაგვარობის

საკითხი, რისთვისაც საჭიროდ მივიჩნით მსჯელობა მეფის ბიბლიური მოდელის, მეფის ხატ-სახის შესახებ „სიბრძნე ბალაჰვარისაში“, შოთა რუსთველის „კეფხისტყაოსანში“, სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისაში“.

## მსჯელობა.

1. „სიბრძნე სიცრუისა“, როგორც თხზულების სახელწოდების შესახებ, სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთგზის გამოითქვა განსხვავებული შეხედულებები, რომლებიც საკმაოდ ამომწურავად ასახავენ საგნის არსს, მით უმეტეს, ილია ჭავჭავაძის მიერ სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა“ შესახებ გამოთქმული თვალსაზრისის შემდეგ თითქმის არც არაფერი შეცვლილა მის გადასაზრებლად. თუმცა-კი დამატების სახით უნდა აღინიშნოს, რომ „სიბრძნე სიცრუისა“, როგორც თხზულების სათაურის, არსის ერთი მხარე, რომელზეც ადრე არ ყოფილა ყურადღება გამახვილებული, უთუოდ მოითხოვს განხილვას.

ვიდრე „სიბრძნე სიცრუისა“ შეიქმნებოდა, წინარელიტერატურულ ტრადიციებში სამი თხზულების, ძველი ალექსის ორი წიგნისა და ერთი ჰაგიოგრაფიული სახელწოდებას აერთიანებს სიტყვა „სიბრძნე“. ესენია: „სიბრძნე სოლომონისა“, „სიბრძნე ისო ზირაქის ძისა“ და „სიბრძნე ბალაჰვარისა“. სამივე თხზულების სათაურში სიბრძნე დაკავშირებულია კონკრეტულ პიროვნებასთან, ბიბლიურ წინასწარმეტყველებთან - სოლომონთან და ისო ზირაქის ძესთან, ქრისტიანული რელიგიის მქადაგებელთან, ბალაჰვართან, რომელიც ქრისტიანულ სიბრძნეს გადასცემს ინდოეთის მეფის, აბენესის ძეს, ტანტის მემკვიდრეს. სულხან-საბა ორბელიანის თხზულების სათაური წინამორბედ ავტორთა თხზულებების სათაურთაგან სწორედ იმით განსხვავდება, რომ მასში რომელიმე პიროვნების სიბრძნეზე კი არაა საუბარი, არამედ, ილია ჭავჭავაძის შეხედულების მიხედვით, გამონაგონის, ადამიანის ფანტაზიით შექმნილ-შეთხზულ სიუჟეტში ჩადებულ სიბრძნეზე, რომელიც საღვთო სიბრძნესაც მოიცავს და საეროსაც. სწორედ აქ იჩენს თავს სინამდვილისა და მხატვრული ასახვის მიმართებათა საკითხი. ამ მხრივ უაღრესად მნიშვნელოვანია მეფის სახის მხატვრული გააზრება და მისი მიმართება რეალობასთან, რადგან მეფის სახის მოდელი ბიბლიურ, ძველო ალექსის მოძღვრებაში შემუშავდა და ჰიპოდიგმურ ხატ-სახედ იქცა შემდგომი ხანის ლიტერატურული ნაწარმოებებისათვის; აგრეთვე, ისიც უნდა ითქვას, რომ მეფის ბიბლიური მოდელის კვალი თვალნათლივ შეინიშნება რეალურ მეფეთა სახეებში. „სიბრძნე ბალაჰვარისასა“ და „სიბრძნე სიცრუისაზე“, როგორც სათაურებზე, ყურადღება შევაჩერეთ იმის გამო, რომ ორივეგან სათაურშივე ყურადღება გამახვილებულია სიტყვაზე „სიბრძნე“ და შემდეგაა დასახელებული, ვისი ან რის სიბრძნეზეა საუბარი. „სიბრძნე ბალაჰვარისას“ სათაურში სიბრძნე პიროვნებას, ბალაჰვარს, მიეკუთვნება, თხზულებაში მიზნად დასახულია ბალაჰვარის სიბრძნის ასახვა-გადმოცემა, ხოლო „სიბრძნე სიცრუისაში“ „სიბრძნე“ ფილოსოფიურ-საღვთისმეტყველო და პოეტური შინა-არსის მომცველია. თხზულებათა ამგვარი სახელდების საფუძველი ბიბლიურ წიგნებში იძებნება; გავიხსენოთ ბიბლიის ორი წიგნის სახელდება: „სიბრძნე სოლომონისა“ და „სიბრძნე ისო ზირაქის ძისა“. შეიძლება თამამად ითქვას, რომ ბიბლიური სახელდებები ჰიპოდიგმურ მხატვრულ-ესთეტიკურ ფუნქციას ასრულებს თხზულებათა სათაურებად „სიბრძნე ბალაჰვარისას“ და „სიბრძნე სიცრუისას“ წოდებისათვის, ე. ი. ისინი ერთმანეთის მიმართ ჰიპოდიგმურ-პარადიგმულია, რაც უკვე მოწმობს იმას, რომ თხზულებათა სათაურები პოეტურია და სახისმეტყველებითი თვალსაზრისითაა განსახილველი. განსხვავება თვალში გვეცემა სულხან-საბა ორბელიანის თხზულების მეტაფორულ-ენიგმური და ალუზიური შინა-არსის მქონე სახელწოდება „სიბრძნე სიცრუისა“, რომელშიც პიროვნების სახელი არაა აქცენტირებული და საზოგადო სახელის არსია ჩაქსოვილი. საზოგადოდ, ზემოთაც აღინიშნა, „სიბრძნე სიცრუისა“, როგორც თხზულების სათაური, რამდენიმე სამეცნიერო ნაშრომშია განხილული. „სიბრძნე ბალაჰვარისას“ სათაურის მეტაფორა, ენიგმა, ალუზია გამჭვირვალე და ნათელია, იგი კვალდაკვალ მიჰყვება ბიბლიურ თხზულებათა სახელდების ტრადიციას, ხოლო სულხან-საბა ორბელიანის თხზულების სათაური, თუნდაც კომპოზიციური თვალსაზრისით, კიდევ მიჰყვება და კიდევ განსხვავდება, რის გამოც საგანგებო დაკვირვებას უთუოდ მოითხოვს.

2. მოკლედ დავიმოწმებთ სამეცნიერო ლიტერატურიდან ყველასთვის ცნობილ თვალსაზრისს სიუჟეტისა და კომპოზიციის შესახებ; სიუჟეტი თხზულების კომპოზიციური საყრდენია, ხოლო კომპოზიცია თავის მხრივ მხატვრული ნაწარმოების აგების პრინციპების ერთიანობას გულისხმობს. ზემოხსენებული მხატვრული ნაწარმოებების შინაარსში ორი მომენტი ვლინდება: 1. ერთია ამბები, რომლებიც

ერთმანეთთან გარკვეულ მიზეზთა გამო არის ერთმანეთთან დაკავშირებული და ერთიანობაში ნაწარმოების ერთ საერთო ქარგას ქმნის, რაც ავტორის მხატვრულ წარმოსახვას ეყრდნობა; 2. მეორეა მწერლის მიერ წარმოდგენილი თხრობის სისტემა, რომელიც საჭიროა თემის გასაშლელად და რომლის საშუალებითაც ავტორი სინამდვილის ელემენტების ჩვენებას ისახავს მიზნად. სიუჟეტის ასაგებად ავტორისეული თხრობა მნიშვნელოვან როლს ასრულებს. სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისაში“, როგორც მაღალი მხატვრული დონის ნაწარმოებში, თითოეული იგავი სიუჟეტურ ხაზთანაა დაკავშირებული და თხრობაც უწყვეტად მიმდინარეობს. მკითხველი მიჰყვება არა მარტო ცალკეული იგავის თხრობას, არამედ ნაწარმოების გამაერთიანებელ, ერთ თხზულებად შემკვრელ სიუჟეტს, ე. ი. მთლიანი თხზულების სიუჟეტსაც ადევნებს თვალყურს. გამოიყოფა ავტორისეული და პერსონაჟისეული თხრობა, რომელთა მეშვეობით მხატვრულ ნაწარმოებში უკეთ გამოიხატება მსოფლმხედველობრივი, იდეოლოგიური, ესთეტიკური მრწამსი და ფენომენი.

3. სულხან-საბა ორბელიანის თხზულების უმთავრესი განსახილველი საკითხი მეფის იდეალური სახის, მეფის ხატ-სახის, როგორც მოდელის, შექმნაა, როგორი უნდა იყოს მეფე, რათა მან უკეთ უპატრონოს სახელმწიფოს და ერს. მწერალი რეალურად არსებულ მეფეზე არ საუბრობს, მისი მიზანია მეფის იდეალური, ზოგადი ხატ-სახე აჩვენოს. ამის სათავე მეფის ბიბლიურ მოდელშია საძიებელი, ხოლო მეფის ბიბლიური მოდელი ძირითადად მეფეთა წიგნებშია ჩამოყალიბებული. ებრაელთა პირველი მეფიდან, საულიდან და მეორე მეფიდან, დავით წინასწარმეტყველიდან მოყოლებული, რეალური და მხატვრული ხატ-სახის კვალობაზე გასააზრებელი მეფის ორი ტიპი ჩამოყალიბდა: 1. კეთილი, ქველმოქმედი მეფისა, რომლის პროტოტიპად ბიბლიური დავით წინასწარმეტყველი მოიაზრება და ჰიპოდოგმურ სახედ იქცა, და 2. უკეთური მეფისა, რომელმაც საღვთო გზას გადაუხვია (II რჯ. 17, 19). ბიბლიური სწავლებით, მეფე სახელმწიფოს მთლიანობის, ერთიანობის სახე-სიმბოლოა, საფუძველია, ეროვნული ცნობიერების დვრიტაა, სათავეა. მეფის ბიბლიური მოდელი, უწინარეს ყოვლისა, დავით წინასწარმეტყველის პიროვნებაშია ჰიპოდოგმურად განსახოვებული და ყოველმხრივ შემკულ, ჰარმონიულად განვითარებულ პიროვნებას გულისხმობს. დავით წინასწარმეტყველი ქართველ ქრისტიან მეფეთა წინასახედ მოიაზრება და მისი ჰიპოდოგმური სახე, როგორც ნიმუშისა, ბაგრატიონთა მთელ დინასტიას გასდევს. დავით წინასწარმეტყველის პოლიტიკური მოღვაწეობისა და სულიერ-ინტელექტუალური განვითარების გზა წინააღმდეგობებით აღსავსე ურთულეს ცხოვრებაზე გადის. მეფის მსოფლმხედველობა, ზნეობრივი სახე სახელმწიფოს ხატ-სახეა, ყოველი მოქალაქისათვის მისაბაძია, იგი ერის რაობასა და სულიერ-ზნეობრივ ხატ-სახეს განსაზღვრავს. მეფემ ადამიანურ სისუსტეებს უნდა სძლიოს, მასზე მაღლა უნდა დადგეს, რათა ერის წინაშე პირმართლად წარდგეს და ცოდვათაგან თავისუფალმა ღვთისაგან რწმუნებული ქვეყანა ღირსეულად მართოს. მეფე ღვთის რჩეულია, რომელმაც ღვთისაგან მისთვის მინდობილი ქვეყნისა და ერისათვის თვისისა უნდა დადვას თავი თვისი.

დავით წინასწარმეტყველი ძველ აღთქმაში ღვთივრჩეული ერის წინამძღოლად, მორწმუნე, ღვთივსულიერი მეფის ნიმუშად, არქეტიპადაა წარმოდგენილი. ძველმა აღთქმამ დავით წინასწარმეტყველი მამამთავარ აბრაამის გვერდით დააყენა. ამას მათეს სახარების დასაწყისიც მოწმობს: „წიგნი შობისა იესუ ქრისტისი, ძისა დავითისი, ძისა აბრაჰამისი“ (მთ. 1, 1). დროში ძალზე დაცვილებული ორი ბიბლიური პიროვნების ერთმანეთის გვერდით მოხსენიება ბიბლიურ ეპოქებს მიუთითებს და თითოეულს სიანლის დამამკვიდრებლად მიიჩნევს. დავითი იესეს ძეთაგან ფიზიკურად არ გამოირჩეოდა, უფლის რჩეული იგი თავისი სულიერობითა და შინაგანი სამყაროთი იყო. სწორედ ამიტომ იყო მასთან ასე ახლოს ღმერთი. დავითს მორჩილება და თავმდაბლობა ახასიათებდა, რომელთაც მამის სახლში ყოფნისასაც ამჟღავნებდა. მამის ფარაში წასული მწყემსურ ცხოვრებას შეუდგა, რითაც მომზადდა საფუძველი, რომ ღვთის „ცხოვართა“ მწყემსი გამხდარიყო. მალე დადგა დრო, როდესაც წინასწარმეტყველი სამოელი უფლის მითითებით იესეს სახლში მივიდა, რათა აქ მის ძეთაგან ერთ-ერთს ისრაელის მეფედ სცხოს. ბიბლიურ მონათხრობში ესაა დავითის პირველი გამოჩენა. სწორედ სახელგანთქმული დავითის მეფობა გახდა ღვთისათვის სათნო და ყველა მეფეს, რომელიც ღვთის ერის სამართავად ჰყავდა მოვლენილი უფალს, ევალეობდა დავითს მიმსგავსებოდა.

ძველ აღთქმაში მოცემულია მეფის ხატ-სახის შეფასება, რომელიც ღმერთისაგან, შემოქმედისაგან მომდინარეობს და, შესაბამისად, იგი ყოველგვარ ადამიანურ შექებაზე მაღლა დგას. ესაა დავითის მთელი ცხოვრების შეჯამება, რომელშიც წინაა წამოწყებული მეფის უსაზღვრო ერთგულების გრძნობა და ღვთისადმი რწმენა, რომელთაც უფლის მიმართ სიყვარული ერთვოდა თან, რადგან შეუძლებელია იმედი

და რწმენა სიყვარულის გარეშე. ასეთი იყო დავითი: მეფე, წინასწარმეტყველი და მეფსალმუნე, ადამიანი, რომელსაც ჰქონდა რწმენა, სასოება და სიყვარული ღვთისა, რაც კორინთელთა მიმართ პირველ ეპისტოლეში პავლემ შემდეგი სახით ჩამოაყალიბა: „ხოლო აწ ესერა ჰგიეს სარწმუნოებაჲ, სასოებაჲ და სიყვარული, სამი ესე: ხოლო უფროჲს ამათსა სიყვარული არს“ (I კორ. 13, 13). ერთი მხრივ, სწორედ ამ სამი სათნოების შეთვისებისა და არსობრივად გააზრების საფუძველზე გამოისყიდა დავით წინასწარმეტყველმა თავისი ჩადენილი ყველა ცოდვა, მეორე მხრივ, ეს სამი სათნოება შემდგომში ქრისტიანული მრწამსისა და ეთიკური კოდექსის საფუძველთადაფუძველი გახდა.

დავითის მოღვაწეობა აღსავსე იყო გამოცდებით, გამარჯვებებით, მწუხარებებით. თავისი ცხოვრების ყოველ მონაკვეთში, ლხინსა თუ გასაჭირში მყოფი, წერდა ფსალმუნებს, ლოცულობდა, ღმერთს განადიდებდა, რის შედეგადაც სულიერ სისავსესა და სისრულეს მიაღწია. ისრაელში მონარქიის არსებობის პერიოდში ღვთისადმი მსახურების სამი ძირითადი საფეხური გამოიყოფა: სამეფო, საწინასწარმეტყველო და საღვთისმსახურო. დავითს ღმერთმა სამივე მისიის აღსრულება დააკისრა, იგი იყო მეფეც, წინასწარმეტყველიც, ღვთისმსახურიც. მეფობით იგი მეფის წინასახედ, არქეტიპად იქცა, წინასწარმეტყველის სახელი მისმა სულიერმა და სახელმწიფოებრივმა საქმიანობამ განსაზღვრა, მესამე – საღვთისმსახურო, დავითის მიერ ღვთის სადიდებლად ფსალმუნთა შექმნას გულისხმობდა, რომელსაც ქრისტიანულ ლიტურგიაში დღესაც უდიდესი ღირებულებითი მნიშვნელობა ეკისრება. ეს სამივე მისია არც ერთ ბიბლიურ მეფეს ისე არ აღუსრულებია, როგორც ეს დავით წინასწარმეტყველმა შეძლო. ამიტომაც იქცა დავითი მეფის ჰიპოდოგმურ სახედ, ხოლო მისი მეფობა უფლისათვის სათნო, მოსაწონი გახდა; ასე, რომ დავითმა თავისი მეფობის ურთულეს გზაზე სამივე სახის მისია აღასრულა. ახალი აღთქმის ერთ-ერთ წიგნში, „საქმე მოციქულთაში“, ბიბლიური ბენიამინის შთამომავლის, კისის ძის, საულის გარდაცვალების შემდეგ იუდას შთამომავლის, იესეს ძის, დავითის გამეფების შესახებ ნათქვამია: „და ვითარცა გარდაცვალა იგი, აღუდგინა მათ დავით მეფედ, რომელსა-იგი თავად ეწამა, და თქუა: ვპოვე დავით ძე იესესი, კაცი გულითადი ჩემი, რომელმან ყოს ყოველი ნებაჲ ჩემი. მისისა მის ნათესავისაგან ღმერთმან აღთქუმისა მისებრ აღუდგინა ისრაელსა მესწნელი იესო“ (საქმ. 13, 22). სიტყვები - „კაცი გულითადი ჩემი“ („ἀνδρα κατά την καρδίαν μου“) - დავითის ცხოვრებისა და მოღვაწეობის განმსაზღვრელი სიტყვებია, ეს სიტყვები ნათქვამია დავითის პიროვნების შესაცნობად, ღმერთმა ამ სიტყვებით ბიბლიურ მეფეთაგან ერთადერთი დავითი შეამკო და წარმოაჩინა. საულის ნაცვლად ღმერთმა დავითი აირჩია, რომელიც არ იყო იდეალური და უცოდველი, მაგრამ არჩევანი მასზე იმიტომ შეჩერდა, რომ იცოდა, მისი გული უფალთან იქნებოდა, ღვთის ბრძანებათა აღსრულებას შეეცდებოდა, ღვთის სიტყვის მორჩილება შეეძლებოდა. დავითს მაცხოვრის გენეალოგიაში ყოფნის პატივი ხვდა წილად და ღირსეული ადგილიც დაიკავა. მასვე ხვდა წილად უფლის კიდობნის იერუსალიმში შებრძანების პატივიც, რაც, ფაქტობრივად, იერუსალიმში მაცხოვრის დიდებით შესვლას მოასწავებდა. იერუსალიმი უნდა გამხდარიყო ქვეყნის პოლიტიკური და რელიგიური ცენტრი, რაც ქვეყნის ერთიანობისა და ერთი ჭეშმარიტი ღმერთის რწმენის გამოხატვის გარანტი უნდა ყოფილიყო.

ზემოთ აღინიშნა, რომ დავითი ჩვეულებრივი ადამიანებზე ცოდვილი იყო, იმთავითვე არც იდეალური ყოფილა, მაგრამ ისეთი სინანული, როგორც მან გამოავლინა და გამოხატა 50-ე ფსალმუნში, მანამდე კაცობრიობას არ სმენია. ეს ფსალმუნი უსაზღვრო სინანულის განცდის გამოხატულებაა, ღვთისადმი რწმენის, სასოების, სიყვარულის ლოცვა, ღვთისადმი ადამიანის სიყვარულის უსაზღვრო მიმართების გამოვლენაა. ადამიანს ღვთისაკენ მიმავალი გზა შეუძლია განვლოს რწმენით, სასოებითა და სიყვარულით, რაც ღმერთთან თანაზიარების საწინდარია. ამიტომაც იქცა დავითი, მეფე, წინასწარმეტყველი, ფსალმუნთა ავტორი, მეფობის სიმბოლოდ და არქეტიპად.

ბიბლიური მეფის ხატ-სახით დავალებულია მსოფლიო ლიტერატურისათვის უაღრესად მნიშვნელოვანი თხზულება „სიბრძნე ბალაჰვარისი“. მისი სიუჟეტი მსოფლიო ლიტერატურაში გავრცელებულ, მთარულ სიუჟეტს წააგავს. ინდოეთის მეფე აბენესს, წარმართს, კერპთაყვანისმცემელს, მოწყალე და მშვიდი ხასიათით გამორჩეულს, შვილი არ ჰყავდა. დიდი ხნის კედრების შემდეგ მოწყალე და კაცთმოყვარე ღმერთმა მას ვაჟი მიანიჭა, სახელად იოდასაფი უწოდეს. ამგვარივე სიუჟეტური ქარგაა სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისაში“ გამოყენებული, მაგრამ სიუჟეტის შემდგომი განვითარება განსხვავებულია. მეფე აბენესის სურვილითა და ბრძანებით შეკრებილმა ვარსკვლავთმრიცხველებმა უფლისწულს მომავალში დიდებული მეფობა უწინასწარმეტყველეს. მეფის ქვეშევრდომთა შორის იყო ერთი ბრძენი კაცი, რომელმაც განაცხადა, რომ იოდასაფი დიდებას კი მიაღწევს, მაგრამ იგი იქნება არა

ამქვეყნიური; უფლისწული დიდი წინამძღვარი შეიქმნება, ჭეშმარიტების მქადაგებელი გახდება. როგორც თვით ავტორი მოგვასხენებს: „ყრმაი ესე არა არს ამის სოფლისა, არამედ ესრეთ ვჰგონებ, ვითარმედ დიდი წინამძღვარი იყოს გზასა ჭეშმარიტებისასა“. მეფის ბრძანებით ინდოეთიდან ყველა ქრისტიანი გააძევეს, იოდასაფი ცალკე სასასახლეში გადაიყვანეს და აღმზრდელები მიუჩინეს. მეფის ერთგული ბალაჰვარი, ღვთისმსახური და ქრისტიანი მორწმუნე, გამოირჩეოდა თავისი გონიერებითა და სიფრთხილით; იგი მეფესაც ძლიერ უყვარდა. თუმცა მისი ქრისტიანობის ამბავი არ იცოდა და სხვა დიდებულებზე მეტად სცემდა პატივს, რაც მის მსახურებს არ მოსწონდათ; ბალაჰვარი მეფესთან სწორედ მათ დაასმინეს, ამცნეს, რომ ქრისტიანი იყო. მეფე იძულებული გახდა, სხვა ქრისტიანების მსგავსად, ბალაჰვარიც განედევნა; აიძულა, დაეტოვებინა ინდოეთი. „ბალაჰვარმა დაუტევა დიდება ესე წარმავალი და მძოვართა თანა წარვიდა იესუ ქრისტესა...“. მეფის მცდელობის მიუხედავად, წამოზრდილმა მეფისწულმა ინდოეთში მალულად შემოსული ბალაჰვარისაგან ქრისტეს მოძღვრება შეისწავლა და იოდასაფი ჭეშმარიტების გზაზე დააყენა, იგავების საშუალებით შეაცნობინა ქრისტეს სარწმუნოების სიძლიერე და საუკუნო სასუფევლის არსი. მეფისწულმა წუთისოფლის წარმავლობისა და ამაოების შესახებ ბალაჰვარის მეშვეობით შეიტყო და ქრისტეს სჯულის მქადაგებელი გახდა. აბენესი შეეცადა ერთადერთი ძის გადარჩენას, მაგრამ ვერაფერი გააწყო. პირიქით, ამ უკანასკნელმა მამამისი აბენესი, რომელმაც ყველა ქრისტიანი სამეფოდან გააძევა, ქრისტეს რჯულზე მოაქცია. თხზულება, ფაქტობრივად, ბუდას ცხოვრების გაქრისტიანებული ვერსია, ინდოეთში ქრისტიანობის გავრცელების ამბავს ასახავს. ჩვენთვის მნიშვნელოვანი თხზულების სიუჟეტის განვითარების განხილვაა, რომლის მთავარი მიზანი ქრისტიანული მრწამსის შეცნობაა, მის გარშემო აიგო მთელი ნაწარმოები.

„სიბრძნე ბალაჰვარისა“ საყურადღებო თხზულებაა, რადგან იგი მეფისა და ტახტის მემკვიდრის პრობლემას შეეხება, თუმცა, მისი ძირითადი საკითხი სხვაა, კერძოდ ინდოეთში ქრისტიანული მოძღვრების ქადაგება.

ასევე უაღრესად მნიშვნელოვანია შოთა რუსთველის პოემის კონცეფცია მეფის ხატ-სახის ჩვენებისას, რაც ცალკე გვაქვს განხილული (სულავა, 2017). ამიტომ აქ მხოლოდ ზოგადი აღნიშვნით შემოვიფარგლებით. „ვეფხისტყაოსანში“ მეფის ბიბლიური და საქართველოს ისტორიის ნიშნით აღბეჭდილი მოდელი იკითხება. ამავე დროს, ძველი მსოფლიოს, აღმოსავლეთისა და დასავლეთის რუსთველის თანამედროვე იმპერიათა სახელმწიფოებრივი წყობის, მათში არსებული წინააღმდეგობების ანარეკლიც შეინიშნება. „ვეფხისტყაოსანში“ სახელმწიფოს მოწყობის ორგვარი მოდელია ნაჩვენები, რაც მეფის სახის ზოგად ასპექტში გააზრებას უკავშირდება.

სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა“ არაერთ მსგავსებას ამჟღავნებს „სიბრძნე ბალაჰვარისას“ სიუჟეტთან. „სიბრძნე ბალაჰვარისა“: ინდოეთის ძლევამოსილ მეფე აბენესს დიდი ხნის ლოდინისა და მწუხარების შემდეგ შეეძინება ნანატრი შვილი იოდასაფი. „სიბრძნე სიცრუისა“: მეფე ფინეზს, უშვილობით დიდხანს შეწუხებულს, საბოლოოდ შეეძინება ვაჟი – ჯუმბერი. სიუჟეტური განვითარების თვალსაზრისით „ვეფხისტყაოსანიც“ მათ უახლოვდება: ფარსადან მეფეს შვილი დიდხანს არ ჰყავდა და შეეძინა ასული, თუმცა, მასში არ ჩანს შვილის მისაცემად ღმერთისათვის თხოვნა და საამისოდ მეფის მიერ წყალობის გაღების მოტივი. სიუჟეტური სხვაობა „სიბრძნე ბალაჰვარისას“, „სიბრძნე სიცრუისასა“ და „ვეფხისტყაოსანს“ შორის დიდია, მაგრამ მეფის უშვილობისა და მისი მემკვიდრის დაბადების აუცილებლობის ძირითადი ეპიზოდები ერთმანეთს ემთხვევა.

4. მეფის არქეტიპის, მისი ბიბლიური მოდელის მხატვრული წარმოსახვისა და სინამდვილის ურთიერთმიმართებათა შესწავლა სულხან-საბა ორბელიანის პრაქტიკული და სამწერლო მოღვაწეობის პარალელური აღქმით შეიძლება განვსაზღვროთ. მეფის იდეალი და მისი რაობა ბიბლიური მოდელის გააზრების, სახელმწიფოებრივი მოწყობის სისტემათა ღრმა ცოდნისა და ცხოვრებისეული მდიდარი გამოცდილების საფუძველზე საბამ ჩამოაყალიბა „სიბრძნე სიცრუისაში“, რომლის ძირითადი მიზანდასახულობა სახელმწიფოს მომავალი ღირსეული მმართველის აღზრდაა. როგორი უნდა იყოს მეფე, როგორც პატრონი და მესვეური, რომ სახელმწიფოს სწორად მართვა-გამგეობა და საკუთარი ქვეყნის მოქალაქეთა ღირსეული მოვლა-პატრონობა შეძლოს, მეფის იდეალის შესახებ საბას მიერ ჩამოყალიბებულ შეხედულებებში წარმოჩნდება. დავიმოწმოთ დებულებები თხზულებიდან „სიბრძნე სიცრუისა“, რომელშიც მოცემულია მეფისა და მეფობის იდეალი, ის ძირითადი მოთხოვნები, რომელსაც სახელმწიფო და ერი უყენებს მეფეს:

„მეფეთაგან სამნი უყვარან ღმერთსა: სიმშვიდე, სიმდაბლე და სულგრძელობა.

მეფეთაგან სამს დაიმადლებს უფალი: სამართალსა უქრთამოსა, მოწყალებასა და დიდსა სიყვარულსა ყოველთასა.

მეფეთაგან სამს ინატრიან ქვეყანანი: ზავთსა მართებულსა, სიმართლესა უზაკველსა და სიუხვსა მოუკლებელსა.

მეფეთაგან სამს იქენებენ დიდებულნი: სიკბოსა წესიერსა, ნადიმსა ამოსა და ჭირში - ჭირსა და ღვინში - ღვინსა.

მეფეთაგან სამს ნდომობენ მხედარნი: ცხენთა მალსა, საჭურველსა მაგარსა და დანახვასა ნამსახურისასა.

მეფეთაგან სამს იღვწიან გლახაკნი: კარსა ღიასა, თხოვისა ბოძებასა და სიხარულით წარვლენასა.

მეფეთაგან სამს ითხოვენ მონანი: სავსესა ტაბლასა, ჯამაგირთა მოუკლებლობასა და მალე შეუბეზლებლობასა.

მეფეთაგან სამს ინდომებენ ვაზირნი: ყურის მიპყრობასა, სიტყვის გაგონებასა და რჩევის დაჯერებასა.

მეფეთაგან სამს ინებებენ მოჩივარნი: საჩივრის სმენასა, აუჩქარებლობასა და დაუფერებლობასა.

მეფეთაგან სამს ინატრებენ ვაჭარნი: თვალთა და ლალთა ცნობასა, ღირებულის მიცემასა და უფასურად ვაჭრობასა.

მეფეთაგან სამს ევედრებიან მოგზაურნი: მეკობრეთაგან მორჩენასა, ზვერის წესად აღებასა, ფუნდუკთა უშუღართა დგომასა.

მეფეთაგან სამს იხვეწებიან შესმენილნი: მობეზღრისა წაყენებასა, ურისხველად ბრძანებასა და მართლებასა თავისასა.

მეფეთაგან სამს ითხოვენ პატიმარნი: შეცოდებისა შენდობასა, რისხვის წყალობად შეცვლასა და ხილვასა პირისა მისისასა.

ესე არს წესი მეფეთა, ესე არს საბოძარი თემთა, ესე არს გოდოლი სპათა, ესე არს ზღუდე ქალაქთა! რომელმან ჰყოს, იგი და ქვეყანა მისი დაემყაროს“ (სულხან-საბა ორბელიანი, I, 1959: 41-42). სამეფო ქვეყათა და მოქმედებათა სულხან-საბასეული კოდექსი ბიბლიურ ხნეობრივ სწავლებებს ემყარება და იგი ყოველი დროისათვის შესაფერისია, რადგან „მრავალნი მწყემსნი უმჯობეს არიან უგვანთა მეფეთა... მეფე ესეთი ხამს: გლახაკთა, მონათა, გლეხთა, მსახურთა, აზნაურთა, თავადთა, დიდებულთა, მეფეთა და ხელმწიფეთა წესი, რიგი, შრომა, ჭირი, მუშაკობა, საქმე, ვაჭრობა, სმა-ჭამა და მიცემა იცოდეს“ (სულხან-საბა ორბელიანი I, 1959: 30). ესაა „საქმე სიტყვიანი და სიტყვა საქმიანი“ კოდექსი მეფეთა და ხელმწიფეთა ქვეყა-ქმნათა, რომელსაც სამართლიანი, ჰარმონიული სახელმწიფოს მართვისა და არსებობის წესი და რიგი ეფუძნება.

„სიბრძნე სიცრუისას“ ტახტის მემკვიდრის დაბადების, აღზრდისა და მისი შედეგის კვალობაზე სიუჟეტის განვითარებაში ნათლად დავინახავთ სულხან-საბა ორბელიანის მემკვიდრეობითობის პრინციპის გათვალისწინებით ტრადიციულ და მწერლის ეპოქის მოთხოვნათა შესაბამის ნოვაციურ მიდგომასა და შეფასებას. ფინეზ მეფემ მეფისწულს ლეონის სახით გონიერი აღმზრდელი მიუჩინა. ცალკე სასახლეში უფლისწულის აღზრდას თავისი მიზანდასახულობა ჰქონდა, აღმზრდელი სამეფო კარის ზედამხედველობისაგან თავისუფალი უნდა ყოფილიყო, აგრეთვე, უფლისწულის აღზრდისას საშუალება ჰქონოდა, ისე მოქცეულიყო, როგორც საჭიროდ მიიჩნევდა. ლეონი აღმოჩნდა იმგვარი აღმზრდელი, რომელმაც მეფისწულს თავისი სახელმწიფოს, თავისი ხალხის გასაჭირის შეცნობა ასწავლა; მისი მეთოდი განსაკუთრებით მკაცრი იყო, რადგან, ლეონის აზრით, მომავალმა მეფემ უნდა იგრძნოს ტკივილიც და შვებაც, უნდა გაიზიაროს თავისი ხალხის, თავისი ქვეშევრდომების ჭირიც და ღვინიც.

„სიბრძნე სიცრუისაში“ ერთ-ერთი მთავარი პრობლემა აღზრდის პრინციპების ჩვენებაა, ამიტომ ავტორმა მკითხველს სწავლა-განათლების მიღებისაკენ მოუწოდა. მეფე ფინეზს მეფისწულის ღირსებით აღზრდა სურდა, რაც საბოლოოდ სამეფო კარის გავლენისა და ზედამხედველობისაგან თავისუფალი ლეონის წყალობით გახდა შესაძლებელი. აღმზრდელის ძირითადი ყურადღება ზნეობისა და მორალის საკითხებისკენ არის მიმართული, რაც ხშირად იგავებით გადმოიცემა, ხოლო იგავების საშუალებით ღვთაებრივი სიბრძნის გადმოცემა თხზულებაში ერთიანი სიუჟეტური რკალის შექმნას ემსახურება.

თითოეული იგავი კი, ცალკე აღებული, გარკვეულ სიბრძნეს გადმოსცემს და მთლიან სიუჟეტურ რკალს ქმნის.

„სიბრძნე სიცრუისაში“ ყოველ იგავს აღმზრდელი ფუნქცია ეკისრება და სიცრუის, ანუ გამონაგონის საშუალებით საღვთო სიბრძნე აისახება. მკითხველი არა მხოლოდ ცალკეულ იგავს, არამედ მთელ სიუჟეტს მიჰყვება. სწორედ ეს არის „სიბრძნე სიცრუისას“ სიუჟეტის სრულყოფილების გამოხატულება, რის შედეგადაც მწერლის მისიაც, - აღზრდილისა და აღმზრდელის ხატ-სახეები იდეალურად წარმოაჩინოს, - შესრულებულია. მეფისწულის აღზრდის მთელი არსი ისაა, თუ როგორაა იგი აღზრდილი, შეუძლია თუ არა სახელმწიფოს პატრონობა, მართვა-განგება, ხალხის ჭირ-ვარამისა და ღვინის გაზიარება. ფინეზ მეფე მეფისწულის აღმზრდელს მეფის ძის მკაცრად მოპყრობას უსაყვედურებდა, ადანაშაულებდა, დასჯას უპირებდა. ლეონმა მოსალოდნელი საფრთხე წინასწარ განჭვრიტა და მეფეს ფიცის წიგნი ჩამოართვა, რამაც იგი მის რისხვას გადაარჩინა. სამეცნიერო ლიტერატურაში ერთხანს გაბატონებული იყო მოსაზრება იმის შესახებ, რომ „სიბრძნე სიცრუისას“ აღზრდის მეთოდები „სპარტანულია“, რადგან სპარტაში, ძველი საბერძნეთის ქალაქ-სახელმწიფოში, აღსაზრდელებს მკაცრი ფიზიკური წვრთნის საფუძველზე ზრდიდნენ. სულხან-საბას აღზრდის მეთოდიც სპარტაში დამკვიდრებულ მეთოდს მიახლოებდა; თუმცა, იგი მისგან მკვეთრად განსხვავდება, რადგან ლეონი ჯუმბერს არა მხოლოდ ფიზიკურად, არამედ სულიერადაც წვრთნის, რაც ადამიანის შინაგან თავისუფლებას ემყარება. სპარტული მეთოდი კი ადამიანის თავისუფლებას არ ითვალისწინებდა, პირიქით, შვიდი წლის ასაკიდან წაყვანილი ბავშვი აღზრდის მონა ხდებოდა. ლეონისთვის მთავარია ჯუმბერმა იცოდეს შიმშილის, ტკივილის, ჯოხის დარტყმის ფასი, ყოველივე იმის ფასი, რის გადატანაც მეფის ყველა განსხვავებული ფენის ქვეშევრდომს უხდება, რათა სამართლიანი, კეთილი და მოწყალე ხელმწიფე იყოს. ლეონის შეგონებები, მეფის იდეალის წარმოჩენა, ჯუმბერის აღზრდის მეთოდი ერთიან პრინციპებს ექვემდებარება და ღირსეული მეფისწულის აღზრდას ისახავს მიზნად. ტახტის მემკვიდრე ღირსების მქონე უნდა იყოს, მან უნდა იცოდეს „საქმე სიტყვიანი“ და „სიტყვა საქმიანი“ (ეს საკითხი ცალკე შესწავლას მოითხოვს).

ჩვეულებრივ, მხატვრულ ნაწარმოებებში მეფე დახასიათებულია, როგორც ძლევამოსილი, მებრძოლი და სიქველით განთქმული პიროვნება. ყოველ მეფეს შემოკრებილი ჰყავს ვეზირები, რომლებიც ბრძნულ რჩევებს აძლევენ. „სიბრძნე სიცრუისას“ მეფე-პერსონაჟის, ფინეზისაგან განსხვავებით, „სიბრძნე ბლაჰვარისას“ პერსონაჟი მეფე აბენეს მისნები იოდასაფის გაქრისტიანებას უწინასწარმეტყველებენ. ამ წინასწარმეტყველებით დამფრთხალმა მეფემ თავის ვაჟს, ტახტის მემკვიდრეს, ცალკე სასახლე აუშენა და გამზრდელები მიუჩინა, მათთან ერთად გამოკეტა. გამზრდელებს დაავალა, რომ მეფისწულს ამქვეყნიური მანკიერებანი არ ენახა. ასევე, „ვეფხისტყაოსანში“ მეფე ფარსადანმა ნესტან-დარეჯანი განცალკევებით ფაზარის ქვისაგან აშენებულ სასახლეში გადაიყვანა და აღსაზრდელად თავის ქვრივ დას, ქაჯეთიდან მობრუნებულ დავარს ჩააბარა, რომელიც ვერ აღმოჩნდა შესაფერისი მწვრთნელი, რასაც ხვარაზმმას შვილის მკვლელობის შემდეგ ფარსადანის ნათქვამი შემფასებლური სიტყვები მოწმობს: „მე ღმრთისა ვუთხარ, დაუბამს მას ეშმაკისა ბადესა“. მეფე ტახტის მემკვიდრის აღზრდას საღვთო წესებისა და მოძღვრების კვალობაზე მოითხოვდა, მაგრამ შედეგი მოთხოვნების საპირისპირო აღმოჩნდა. თუ შევადარებთ „სიბრძნე ბლაჰვარისას“, „ვეფხისტყაოსნის“ და „სიბრძნე სიცრუისას“ სიუჟეტურ განვითარებას ტახტის მემკვიდრის დაბადების, აღზრდისა და მისი შედეგის კვალობაზე, ნათლად დავინახავთ სულხან-საბას ორბელიანის თხზულების სიუჟეტის სხვაობას, რადგან ფინეზ მეფემ მეფისწულს იმგვარი გონიერი აღმზრდელი, ლეონი, მიუჩინა, რომ აღზრდილმა მისი მეთოდის სისწორე დაადასტურა. აუცილებლად უნდა ითქვას, რომ იოდასაფის, ჯუმბერისა და ნესტან-დარეჯანის აღმზრდელებსა და აღზრდის მოტივებს შორის დიდი სხვაობაა. სამივე თხზულებაში მეფისწულისთვის ცალკე სასახლე საგანგებოდ აიგო. პირობები ერთნაირია, მაგრამ მეფისწულის, ტახტის მემკვიდრის, გაწვრთნილობა სხვადასხვაგვარი აღმოჩნდა. უფლისწულების ცალკე სასახლეებში აღზრდას თავისი მიზანდასახულობა ჰქონდა, აღმზრდელები ზედმეტი ზედამხედველობისაგან თავისუფალნი უნდა ყოფილიყვნენ, აგრეთვე, უფლისწულის აღზრდისას მათ საშუალება უნდა ჰქონოდათ, მოქცეულიყვნენ ისე, როგორც საჭიროდ მიიჩნევდნენ. ლეონი აღმოჩნდა იმგვარი აღმზრდელი, რომელმაც მეფისწულს თავისი სახელმწიფოს, თავისი ხალხის გასაჭირის შეცნობა ასწავლა; რაც მთავარია, ასწავლა საკუთარი შესაძლებლობების განსაზღვრა და საკუთარი ტავის შეცნობა. მისი მეთოდი განსაკუთრებით მკაცრი იყო, რადგან, ლეონის აზრით, მომავალმა მეფემ უნდა იგრძნოს ტკივილიც და შვებაც, ჭირიც და ღვინიც.

„სიბრძნე ბალაჰვარისაში“ დასმულ საკითხთაგან მთავარი ქრისტიანული აღმსარებლობის ქადაგება, აღქმა, მიღება და გავრცელებაა, რომლის გარშემოც შეიკრა სიუჟეტური რკალი. მეფე აბენესი ცდილობდა, შვილი ყოველგვარი სატანჯველისათვის აერიდებინა, საღვთო მოძღვრებაზე ფიქრისაგან განეკრძალა, რადგან თუ კაცი ქრისტიანობის მიმდევარია, მან სიბერის, ავადმყოფობის და სიკვდილის რაობაც იცის, ხოლო ყოველივე ამის შემცნობ ადამიანს ამქვეყნად შვებით ცხოვრება გაუძნელდებოდა. მეფეს ესმოდა ქრისტიანობის არსი. იცოდა, რომ ყოველი ქრისტიანი ამქვეყნიურ ცხოვრებას წარმავალად და ამოდ მიიჩნევდა. მეფის აზრით, მეფისწული სწორედ ამას არ უნდა ჩასწვდომოდა, რაც, ცხადია, უდიდესი შეცდომა იყო. თხზულებაში პოლემიკა ერთმანეთს დაპირისპირებულ პერსონაჟებს შორის ქრისტიანული სარწმუნოების გამო იმართება. ნაწარმოებში ეს ურთიერთდაპირისპირება იგავების ფონზეა გაშლილი და სიუჟეტს ბოლომდე გასდევს. ე.ი. ძირითადი თემა, სიუჟეტური რკალი რელიგიურ საკითხებს უკავშირდება.

„სიბრძნე სიცრუისაში“ ერთ-ერთი მთავარი აღზრდის პრინციპების ჩვენებაა, რაც სახელმწიფოსა და ერზე მზრუნველი გვირგვინოსნის, ღირსეული მეფის წვრთნას გულისხმობდა, რომელიც, თავის მხრივ, ქრისტიანულ მსოფლმხედველობას, ზნეობრივ პრინციპებს ეფუძნებოდა. მეფე ფინეხს მეფისწულის ღირსებით აღზრდა სურდა, რაც საბოლოოდ ლეონის წყალობით გახდა შესაძლებელი.

აღზრდელის ძირითადი ყურადღება ზნეობისა და მორალის საკითხებისკენ არის მიმართული, რაც ხშირად იგავებით გადმოიცემა, ხოლო იგავების საშუალებით ღვთაებრივი სიბრძნის გადმოცემა თხზულებაში ერთიანი სიუჟეტური რკალის შექმნას ემსახურება. თითოეული იგავი კი, ცალკე აღებული, გარკვეულ სიბრძნეს გადმოსცემს და მთლიან სიუჟეტურ რკალს ქმნის.

თუ „სიბრძნე ბალაჰვარისაში“ იგავით რელიგიურ-ფილოსოფიური მსჯელობაა გადმოცემული, „სიბრძნე სიცრუისაში“ იგავი აღზრდელით ფუნქციას მოიცავს და გამონაგონის საშუალებით, რასაც მწერალი სიცრუეს უწოდებს, საღვთო სიბრძნე აისახება. მკითხველიც არა მხოლოდ ცალკეულ იგავს, არამედ მთელ სიუჟეტს მიჰყვება. სწორედ ეს არის „სიბრძნე სიცრუისას“ სიუჟეტის სრულყოფილების გამოხატულება და მწერლის მისიაც, აღზრდილისა და აღზრდელის ხატ-სახეები იდეალურად წარმოაჩინოს, შესრულებულია. მეფისწულის აღზრდის მთელი არსი ისაა, თუ როგორაა იგი აღზრდილი, შეუძლია თუ არა სახელმწიფოს პატრონობა, მართვა, ხალხის ჭირ-ვარამისა და ლხინის გაზიარება, რისთვისაც აუცილებელია საკუთარი თავის შეცნობა და საკუთარ შესაძლებლობათა წვდომა. „სიბრძნე სიცრუისაში“ მეფისწულის აღზრდა-განათლების ასახვისას „ვეფხისტყაოსნის“ იდეურ-მსოფლმხედველობრივი და ზნეობრივ-ეთიკური მრწამსის ანარეკლი შეინიშნება, თუმცა, ისინი ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავდებიან. ფარსადან მეფე ხვარაზმშას შვილის მოკვლის გამო პასუხს თავის ასულს არ სთხოვს, პასუხისმგებლობას მის აღზრდელს, დავარს, აკისრებს, რადგან მეფისწულის საქციელზე პასუხისმგებელი აღზრდელია, ამიტომ მეფისწულის შესაფერისი აღზრდაა საჭირო. ფინეხ მეფე მეფისწულის აღზრდელს მისადმი მკაცრ მოპყრობაში ადანაშაულებს და დასჯას უპირებს. ლეონმა მოსალოდნელი საფრთხე წინასწარ განჭვრიტა და მეფეს ფიცის წიგნი ჩამოართვა, რამაც იგი მის რისხვას გადაარჩინა.

## შედეგები:

მეფის იდეალი და მისი რაობა ბიბლიური მოდელის გააზრების, სახელმწიფოებრივი მოწყობის სისტემათა ღრმა ცოდნისა და ცხოვრებისეული მდიდარი გამოცდილების საფუძველზე სულხან-საბა ორბელიანმა ჩამოაყალიბა „სიბრძნე სიცრუისაში“, რომელიც იმ ძირითად მიზანდასახულობასთან ერთად, რაც ავტორმა ამ თხზულებას დააკისრა, „ვეფხისტყაოსნის“ ზოგიერთი ეპიზოდისა თუ კონტექსტის კომენტარის როლსაც ასრულებს. ესაა მეფის ფუნქციის განსაზღვრა სახელმწიფოს პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ბიბლიური სწავლებით, მეფე მთელი ცხოვრების მანძილზე უნდა იცავდეს და ასრულებდეს უფლის სიტყვას, მისდევდეს რჯულის წიგნს, რაც მისი და მის მემკვიდრეთა მეფობის ხანგრძლივობისა და სვიანობის გარანტიად ისახება. ამიტომაც შეიძინა მეფობამ ესქატოლოგიური და მესიანური დატვირთვა, რაც მნატვრულ თხზულებებშიც აისახა.

**წყაროები:**

1. ახალი აღთქმა, 1994: ახალი აღთქმა, წმ. გიორგი მთაწმინდელის რედაქცია, თბილისი, 1994.
2. ბალავარიანი, 1957: ბალავარიანის ქართული რედაქციები, გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ილია აბულაძემ, თბილისი, 1957.
3. ბიბლია, 2017: ბიბლია, ორ ტომად, კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის გამოცემა, თბილისი, 2017.
4. სულხან-საბა ორბელიანი, 1959: სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, I, თბილისი, 1959.

**სამეცნიერო ლიტერატურა:**

1. სირაძე, 1975: რ. სირაძე, ძველი ქართული თეორიულ-ლიტერატურული აზროვნების საკითხები, თბილისი, 1975.
2. სირაძე, 1987: რ. სირაძე, ლიტერატურულ-ესთეტიკური ნარკვევები, თბილისი, 1987.
3. სულავა, 2017: ნ. სულავა, მეფის სულიერი განვითარების გზა „ვეფხისტყაოსანში“, მეორე საერთაშორისო კონფერენცია თემაზე: „ისტორია, ხელოვნება, ლიტერატურა და კულტურა სამხრეთ კავკასიასა და შავი ზღვის რეგიონში“. შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, 26-27 სექტემბერი, 2017.
4. ჯავახიშვილი, 1905: ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს მეფე და მისი უფლების ისტორია, ტფილისი, 1905.
5. ჯავახიშვილი, 1984: ივ. ჯავახიშვილი, თხზ., VII, ქართული სამართლის ისტორია, II, თბილისი, 1984.

## მითოსური გმირის ფუნქცია მოდერნისტულ ლიტერატურაში

ზეინაბ კიკვიძე

ასოცირებული პროფესორი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

### აბსტრაქტი

მოდერნისტული მწერლობის დამახასიათებელი ნიშნებიდან ქართულ ლიტერატურაში ყველაზე მკაფიოდ ზეკაცის ძიებისა და მისი ფენომენის გააზრების თემა ფიგურირებს. ერთი მხრივ, ადამიანის ეგზისტენციურმა მდგომარეობამ, სამყაროსადმი გაუცხოებისა და გამიჯვნის სურვილმა, მეორე მხრივ, პოლიტიკურმა რეალობამ, საბჭოთა წყობის დიქტატურამ და ბოლშევიკურმა ტერორმა, ღმერთდაკარგული საზოგადოების ცნობიერებაში ახალი მყოფობის, კაცზე აღმატებული და შემოქმედთან მიანლოებული პიროვნების ჩამოყალიბების მოთხოვნა გააჩინა. ამ მოთხოვნის თეორიული საყრდენიც არსებობდა ფრიდრიხ ნიცშეს მიერ შემოთავაზებული ზარატუსტრას სახით. თუმცა ქართულ ლიტერატურას ეროვნულ მეხსიერებაშიც ჰყავდა ზეკაცის არქეტიპი უძველესი მითოსური გმირის, ხოგაის მინდიას სახით. მითოსური გმირის მხატვრული სახე კ.გამსახურდიასა და გრ.რობაქიძის თხზულებებში პარადიგმული ვარიაციით მუშავდება და ავლენს მოდერნისტული ეპოქის დამახასიათებელ ნიშანს. ღმერთდაკარგულ და კაცთმოძულე სამყაროში ზეკაცის მინდიას ძირითადი თვისება ღვთაებრივი სიყვარულია, რომელიც რამდენიმე პლასტად იშლება: 1. ბუნების სიყვარული და მისი შეცნობა თანაზიარობის საფუძველზე; 2. მოყვასის სიყვარული და მისი ტკივილის გათავისება; 3. სამშობლო მიწისადმი ტრფობა და თვითშეწირვა; 4. მტერში ადამიანის, მსგავსის შეცნობა და მისი სიყვარული. მოდერნისტი მწერლები უძველესი მითოსური გმირის რეპრეზენტაციით აფიქსირებენ ადამიანის დანიშნულებას, მოველინოს ქვეყანას იმისათვის, რომ შეიმეცნოს დაფარული და ემსგავსოს ღმერთს.

**საკვანძო სიტყვები:** მოდერნიზმი, მითოსური გმირი, კ.გამსახურდია, გრ.რობაქიძე.

## A Function of a Mythic Hero in Modernist Literature

### Abstract

Among the characteristic features of modernist literature, the themes of the search for Overman and of the conceptualization of his phenomenon are most salient in Georgian belles-lettres. On the one hand, the existential condition of man, a desire to be alienated and separated from the world, and, on the other, the political reality, dictatorship of the Soviet rule, and the Bolshevik terror generated a demand for new being, for molding of a person prevailing man and being close to the Creator in the cognition of the godless community. A theoretical background of the demand was available as Zarathustra, set forth by Friedrich Nietzsche. However, Georgian literature had an archetype of an overman in the national memory as the ancient mythic hero – Mindia of Khogai. Extraordinariness of birth and death, acquiring of wisdom as a result of eating of a snake's flesh and becoming a hero by means of divine knowledge, losing one's connection with Nature due to the common world problems and Mindia's personal tragedy appeared to be the most essential features accurately conforming the modernist worldview requirement. In Georgian belles-lettistic area, the modernist epoch has another adept as Vazha-Pshavela's Snake-eater whose image condenses the author's creative principle – unity of life and death, and by this way to identify the essence of human existence. In K. Gamsakhurdia's and Gr. Robakidze's writings, an artistic image of a mythic hero has been processed by means of paradigmatic variations identifying a characteristic feature of the modernist epoch. In the godless and misanthropic world, the main feature of Mindia as Overman is divine love being unfolded into several layers: 1. Love to nature and its conceptualization based on reciprocity; 2. Love to one's neighbor and sympathy with his pain; 3. Love and self-sacrifice to one's homeland; 4. To identify a human, a similar one in an enemy and love to him. By means of representing an ancient mythic hero, modernist writers render a human's function – to come to this world in order to acquire the hidden and become similar to God.

**Keywords:** Modernism, Mythical Hero, K. Gamsakhurdia, Gr. Robakidze.

მოდერნიზაციულმა ეპოქამ ხელოვნებაში მარადიული პრობლემატური საკითხები ახლებური ელფერით წარმოაჩინა და ადამიანს საკუთარი თავის ძიების ტრადიციული გზების ნაცვლად ახალი გააკვალინა. ეგზისტენციურმა შეხედულებებმა კაცობრიობის შემეცნება თითქოს გაათავისუფლა არსებული დოგმებისაგან და მეტად გაუხსნა საკუთარი მეს შეცნობის საშუალება. ჟან პოლ სარტრის თვალსაზრისის მიხედვით, „ადამიანი თავდაპირველად არსებობს, ეცნობა საკუთარ თავს, წარმოდგენას იქმნის სამყაროზე და მხოლოდ ამის მერე განსაზღვრავს საკუთარ არსებობას“. საკუთარი არსებობის განსაზღვრაში უპირატესად პიროვნული თავისუფლების ძიება და მოპოვება იგულისხმებოდა. შედეგად სარტრი ასკვნიდა, რომ თავისუფლებას ადამიანი ჰუმანიზმთან მიჰყავდა.

საკუთარი თავის შეცნობა მოდერნიზმში ნიშნავდა ტრადიციული შეხედულებების გადაფასებას, ზოგ მათგანზე უარის თქმას და ახალი ორიენტირების გამოკვეთას. მოდერნიზმამდელი სამყარო ღმერთის, შემოქმედის იდეით ცხოვრობდა, ამ მიმდინარეობამ კი თავდაყირა დააყენა ღმერთზე წარმოდგენა; მეტიც, მოდერნიზაციული ესთეტიკისათვის ღმერთის ცნება ნონსენსად გადაიქცა და ამას საფუძველად ფრიდრიხ ნიცშეს მოსაზრებები დაედო. „ესე იტყოდა ზარატუსტრა“ ახალი თაობის, ახალი იდეების გენერატორად იქცა და კულტურულ სივრცეში ორი მთავარი თეზა ჩამოაყალიბა. ეს იყო „ღმერთი მოკვდა“ და „ადამიანი არსების გარეშე“. უზენაესი გონის არსებობა ეჭვქვეშ დადგა. შედეგად ადამიანური ცხოვრების საზრისს თითქოს საყრდენი გამოეცალა; რამდენადაც არსებობა გახდა კიდევ უფრო უსაგნო, უმიზნო, ვიდრე მოდერნიზმამდელი თაობებისათვის. თითქოს და მთელი სამყარო ეგზისტენციაში ჩაიძირა.

საყოველთაო გაუცხოების მიზეზები იწყებოდა გლობალური პოლიტიკიდან, რომლის ყველაზე დიდ მწვერვალად ალბათ, პირველი მსოფლიო ომი უნდა ჩაითვალოს და გადიოდა ადამიანის სულის ურთულეს და უღრმეს შრეებზე. ცნობიერების დაფარულ პლასტებში რეპრეზენტირებას განიცდიდა ბიბლიური გოდების თემაცა და ამოების გამოსახვის რომანტიკულ-ფილოსოფიური პოზიციებიც. ღმერთის იდეისგან დაცლილი საზოგადოება დიდხანს ვერ გაძლებდა მკაფიო ორიენტირის გარეშე. ადამიანს აუცილებლად სჭირდებოდა ზე-გონი, რომლის იდეალური სახე ესთეტიკური ფენომენისათვის იქნებოდა რომელიმე ადეპტი და ასეთ ნიმუშად უნდა ქცულიყო თვითონვე ადამიანი. თუმცა არა ღმერთზე მინდობილი, არამედ თვითონვე ღმერთობის განმასახიერებელი. ეს უნდა ყოფილიყო ზე-ადამიანი, ზეკაცია, ზოგადად ადამიანზე აღმატებული და შემოქმედთან მიახლოებული პიროვნება, რომელიც ახალი სამყაროს შემოქმედი გახდებოდა.

ქართულ მოდერნიზაციულ ლიტერატურაში ნიცშეს ზარატუსტრას გარდა, კიდევ ერთი იდეალი არსებობდა. ერის მეხსიერებაში მკაფიოდ ცოცხლობდა ზეკაცის არქეტიპი უძველესი მითოსური გმირის, ხოგაის მინდიას სახით.

დაბადებისა და სიკვდილის არაჩვეულებრივობა, გველის ხორცის ჭამით სიბრძნის მიღება და ღვთაებრივი ცოდნით გმირად ქცევა, ყოფითი ცხოვრების გამო ბუნებასთან თანაზიარობის დაკარგვა და მინდიას პიროვნული ტრაგედია, ის უარსებითესი მახასიათებლები აღმოჩნდა, რომლებიც ზუსტად ეხამებოდა მოდერნიზაციული მსოფლმხედველობის მოთხოვნას.

მინდიას პერსონაჟზე რამდენიმე მითოსური გადმოცემა შემონახული; ვარაუდობენ, რომ მათში ასახული ამბები უკავშირდება არა ერთ, არამედ რამდენიმე ადამიანს, თუმცა მითოსურმა მეხსიერებამ კონკრეტულ სახეში გააერთიანა ისინი და ჩამოაყალიბა ერთიანი შეხედულება მინდიაზე, ჩვეულებრივ მოკვდავზე, რომელიც ზეკაცის ფუნქციით იმოსება და ღვთაებრივ რანგამდე მალღდება.

ხევესურული ანდრეზი მოგვითხრობს, რომ, როცა არხოტის თემის სოფელ ამლაში საბეკურისკარს ხოგაის შვილი მინდი დაიბადა, ცაზე ორი მზე იდგა. ორი მნათობის, და განსაკუთრებით მზის გამოჩენა, თავისთავად მიანიშნებს გამორჩეულ, არაჩვეულებრივ მოვლენაზე. კერძოდ, ქვეყნიერებას ეკლინება კაცი, რომელიც იმთავითვე საკრალური ნიშნით გამოირჩევა.

ხოგაის მინდიას კულტურული გმირის სტატუსი მისი მედიცინასთან კავშირით იწყება. მინდიამ იცის მცენარეთა ენა, რის საფუძველზეც შეუძლია უებარი წამლები მოამზადოს. ძველ საქართველოში ხალხური მედიცინა საკმაოდ მაღალ დონეზე იდგა, ხალხმა იცოდა მცენარეული წამლების მომზადება და ამ ცოდნას თაობიდან თაობას გადასცემდა; თუმცა მინდიას შემთხვევაში ეს ცოდნა საკრალური ძალით იმოსება. მინდია განსაკუთრებული შემთხვევის წყალობით, ქაჯეთში ტყვეობისას გველის ხორცის ან სისხლის გასინჯვით, ხდება მცენარეთა და ზოგადად ბუნების ენის მცოდნე.

მინდიას მითოსში კიდევ ერთი ამბავი გვხვდება, მითოსური გმირი გუგულების ქვეყანაში მოხვდება. ეს ამბავიც ფუნქციურად იმავე აზრის მატარებელია, როგორც ქაჯების ქვეყანაში მოხვედრისა. ორივეგან მინდია იღებს ცოდნას გველის ხორცის ან სისხლის სახით. მანამდე ის კარგავს გონებას, მან უნდა გაიაროს სამი სკნელის მსგავსი ტოპოსი, რაც გუგულების ქვეყანაში ცეცხლის, წყლისა და მატყლის ლოგინის სახითაა წარმოდგენილი, ესეც ინიციაციის რიტუალისათვის დამახასიათებელი ერთგვარი დეტალია. მიღმურ სამყაროში გამობრძმედილი და გაბრძენებული გმირი უკვე ღვთის დავლათით სავსე მოემართება სამშობლოში. შინ დაბრუნებული მინდია ხევსურეთის თვალი და გული ხდება. მთელ მოსახლეობაში ვრცელდება მისი უწყლვადობის ამბავი. მინდია ლაშქარს უძღვის წინ და მისი მონაწილეობით ყოველი ბრძოლა წარმატებულია. თუმცა მინდია არღვევს საკრალური ცოდნისათვის აუცილებელ პირობას. ის იძულებულია იცხოვროს ისე, როგორც ჩვეულებრივი მოკვდავი ცხოვრობენ, კერძოდ ისიც ჭრის ხეს, კლავს ნადირს და შედეგად მინდიას ერთმევა სახეო ცოდნა.

მითოსური გმირის სიკვდილი და გლოვა ორმაგი სახისმეტყველებითაა წარმოდგენილი, მას დასტირიან ზეციური და მიწიერი ოჯახის წევრები. პირველი ადგილი კი მითოსურ ღვთაებათა დატირებას უჭირავს. მინდიას სიკვდილი მზის, მთვარისა და ვარსკვლავების შეძრწუნებას იწვევს, მთელი სამყარო იქცევა თითქოს, რადგან კვდება არა ჩვეულებრივი მოკვდავი, არამედ ადამიანურიდან ამაღლებული ღვთაებათა დონემდე ასული პიროვნება, რომელსაც დასტირის მთელი სამყარო:

*„ხოგაის მინდი კვდებოდა,  
მზე ჩადიოდა, ჰქრებოდა,  
ჩამოდიოდა მარსკვლავი,  
მთვარე უკუღმა დგებოდა...“*

ქართულ სალიტერატურო არეალში მოდერნისტულ ეპოქას კიდევ ერთი ადებტი ჰყავს ვაჟა-ფშაველას გველისმჭამელის სახით, რომლის სახეშიც კონდენსირებულია ავტორის შემოქმედების პრინციპი, სიკვდილისა და სიცოცხლის ერთიანობა და ამ გზით ადამიანის არსებობის აზრის ამოცნობა. ვაჟამ თავისი პოემა დააფუძნა იმ იდეას, რომელიც მან პუბლიცისტურ წერილში „პატრიოტიზმი და კოსმოპოლიტიზმი“ განავითარა. მწერლისათვის ადამიანის სიცოცხლის დანიშნულება სამყაროს მსახურებაა, რომლის გზაც სამშობლოს სიყვარულზე გადის. პიროვნული თვისებები ჰუმანიზმის იდეების საშუალებით პიროვნებას ზეკაცად აქცევს, თუმცა ჩვეულებრივი მოკვდავისათვის ფაქტობრივად შეუძლებელია ღვთაებრივ დონემდე ასვლა. ამის მიზეზად აკაკი ბაქრაძე ადამიანისა და ღვთის ერთიანობის დარღვევას მიიჩნევდა. სამოთხის სახით ადამმა, მაშასადამე კაცობრიობამ, დაკარგა არა მხოლოდ სულიერი ცნობება და ღვთაებრივ საუფლოში ყოფნა, არამედ უპირატესად საკუთარი მე. მოგვიანო ლეგენდის თანახმად, ადამმა გაიხადა ის სულიერი საცმელი, რომელიც მას სამოთხეში მოსავდა. სახისმეტყველებითი თვალსაზრისით ეს უნდა ყოფილიყო ადამიანის შინაგანი სამყარო, რომლის იდეალური ფორმა განდმრთობას, ადამიანის შემოქმედის წიაღში და შემოქმედის ადამიანის მეში ყოფნას გულისხმობდა.

მითოსური გმირის სახის ასეთი ინტერპრეტაცია სავსებით იდეალური აღმოჩნდა მოდერნისტული ლიტერატურისათვის. ზეკაცობისაკენ აღმავალი ადამიანი, რომელიც ეძიებდა თავის დაკარგულ საწყისს, საკუთარ თავთან გაუცხოებული უუცხოვდებოდა სამყაროსაც, გადიოდა ინიციაციის გზას და თითქოს ახლადშობილი, ახალი თვისებებით ისევ უბრუნდებოდა საზოგადოებას. ასეთი პარადიგმული ვარიაციებით მინდიას სახე ქართული მოდერნიზმის ორმა უსაჩინოესმა ფიგურამ, კონსტანტინე გამსახურდიამ და გრიგოლ რობაქიძემ შემოგვთავაზეს. მათს გმირებში რეპრეზენტირებული მითოსური სახის თვისებები შეერწყა მოდერნისტული ეპოქის დამახასიათებელ ნიშნებს.

ღმერთდაკარგულ და კაცთმოძულე სამყაროში ზეკაცის მინდიას ძირითადი თვისება ღვთაებრივი სიყვარულია, რომელიც რამდენიმე პლასტად იშლება:

1. ბუნების სიყვარული და მისი შეცნობა თანაზიარობის საფუძველზე;
2. მოყვასის სიყვარული და მისი ტკივილის გათავისება;
3. სამშობლო მიწისადმი ტრფობა და თვითშეწირვა;

#### 4. მტერში ადამიანის, მსგავსის შეცნობა და მისი სიყვარული.

კონსტანტინე გამსახურდიამ თავის ნოველაში მინდიაზე არსებული ყველა ვარიანტი გაითვალისწინა; ასევე გამოიყენა ვაჟას მიერ შემოთავაზებული თვითმკვლელობის ვერსიაც. მისი გმირი უნივერსალური ადამიანია, რომელსაც ძალუძს ერთნაირად უყვარდეს მტერიცა და მოყვასიც, რომელიც ებრძვის მტერს, მაგრამ ჭკრეტს მასში ადამიანს. მინდიასათვის ერთიანია სამყარო, საზღვრების გარეშე. მის იდეალურ ვარიანტად კი ჭიანჭველათა ქალაქი ესახება, სადაც ჰარმონია და წესრიგი ურთიერთპატივისცემასა და სიყვარულს ეფუძნება. თუმცა რეალობა გაცილებით მკაცრია და ორი დაპირისპირებული სამყარო\_ადამიანი და ბუნება; ადამიანი და ადამიანი\_ვერასოდეს მიიღებს ზეკაცს. ის მხოლოდ იდეალად უნდა დარჩეს, ისე როგორც იესო არ მიიღო მისმა თანადროულმა საზოგადოებამ, მაშინ როდესაც ღვთაებრივი იდეის გამო ადამიანები ყველაფრისათვის მზად იყვნენ. მწერალი ცდილობს ქისტი ხადიშათის პერსონაჟის შემოყვანით შეაძლებინოს თავის გმირს დაპირისპირებულ საზოგადოებათა შერიგება. გამსახურდიასეულ მინდიას ზეკაცობის ნიშნად ჩლდილი არა აქვს, უს ღვთებრივია, სულისმიერია და ჩრდილი მაშინაც კი არ უჩნდება, როცა ბუნების გამგონი ყური ეხშება, რადგან მოდერნისტი მწერლისათვის უპირატესი ჰუმანისტური იდეებია. მინდიას ჩრდილი მხოლოდ ხადიშათის მოკვლის შემდეგ გაუჩნდება. ის ზეკაცობიდან ძირს ეშვება და ჩვეულებრივ მოკვდავად კვდება. ერთი შეხედვით პოზიცია ნათელია. ადამიანს არ უძლია გახდეს ზეკაცი, რადგან გაუცხოებული საზოგადოება არასოდეს დაუშვებს საკუთარ წიაღში ახალი ღმერთი იშვას. თუმცა მწერლის გზავნილი გაცილებით უფრო მეტია. მართალია გმირი იღუპება, მაგრამ არ კვდება სიყვარული, რომელიც აუცილებლად უნდა გაცდეს დაპირისპირებულთა შრიგებისა და ერთიანობის საწინდარი. ესეც ერთგვარი შექსპირული იდეის ვარიაციაა.

გრიგოლ რობაქიძის „ლამარაში“ ქალი, მაცდური გველი სულიერი ჰარმონიის მსხვერვის მიზეზია. მინდიას პიროვნების მთლიანობა და სულიერ ძალთა ინტენსივობა ქალით გამოიცდება. თუმცა რობაქიძისეულ გმირს ძალუძს აღემატოს საკუთარ თავს, საზოგადოებრივ ხედვებს და საკუთრი თავი მსხვერპლად გაწიროს, იმისათვის, რომ სისხლი გამოისყიდოს და ცოდვა გაწმინდოს. მტერი მტერია, მაგრამ უპირატესად ადამიანია, მაშასადამე მოყვასია და ადამიანს უნდა უყვარდეს თავისი მსგავსი. ასეთი დამოკიდებულება ადამიანთათვის თითქმის შეუძლებელია, მხოლოდ ?ძლიერი ნებისყოფისა და მაღლი იდეალების ადამიანებს ძალუძთ მტერში მოყვასი დაინახონ. ასეთი ადამიანები იმოსებიან ზეკაცის ტიტულით და ორიენტირ აძლევენ ღმერთდაკარგულ საზოგადოებას.

მოდერნისტულმა მწერლობამ სრულყოფილად გამოიყენა მითის შესაძლებლობანი; დაძლია დრო და მირჩა ელიადეს თქმისა არ იყოს, პროფანული ქრონოლოგიური დროიდან თვისობრივად განსხვავებულ მუდმივ დროში გაიყვანა თანადროული სახეები; შემოსა ისინი მუდმივობის კატეგორიის თვისებებით და საკუთარ ეპოქაში გზა გაუხსნა მარადიულ ადეპტებს.

მოდერნისტი მწერლებმა უძველესი მითოსური გმირის რეპრეზენტაციით დააფიქსირეს ადამიანის დანიშნულება,\_ მოველინოს ქვეყანას იმისათვის, რომ შეიმეცნოს დაფარული და ემსგავსოს ღმერთს.

#### გამოყენებული ლიტერატურა

1. ბაქრაძე 2000: ა.ბაქრაძე, მითოლოგიური ენგადი. თბილისი, 2000.
2. გამსახურდია 1976: კ.გამსახურდია, თხზულებანი ათ ტომად, ტომი VI, თბილისი, 1976.
3. კიკვიძე 2018: ზ. კიკვიძე, ქართული მითოლოგია, ქუთაისი, 2018.
4. კიკნაძე 2008: ზ.კიკნაძე, ქართული ფოლკლორი, თბილისი, 2008.
5. ნიცშე 1993:ფრ.ნიცშე, ესე იტყოდა ზარატუსტრა, თბილისი, 1993.
6. რობაქიძე 2009: გრ.რობაქიძე, „ლამარა“ <https://burusi.wordpress.com> > 2009/05/29
7. სარტრი 2018: ჟ.პოლ სარტრი, ეგზისტენციალიზმი ჰუმანიზმია, <https://ru.scribd.com/doc/274427770/20.08.2018>.

## ძვირფასი ქვების სიმბოლიკა ხალხურ პოეზიასა და მწერლობაში

მარიამ ბაკურიძე

ასოცირებული პროფესორი

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის, საქართველო

### აბსტრაქტი

ქართულ პოეტურ სახეთაგან პოპულარობითა და შინაარსის მრავალფეროვნებით მარგალიტს ერთ-ერთი პირველი ადგილი უკავია. მარგალიტი შეუღლების, უბიწოების, სილამაზისა და მწუხარების სიმბოლოა. მსოფლიოს მრავალი ხალხის პოეტურ ხელოვნებაში მარგალიტი, მზის ატრიბუტად მიჩნეულ სხვა ძვირფას თვლებსა და ქვებთან ერთად მშვენიერების სიმბოლოა. ასევე წარმოგვიდგება მარგალიტის პოეტური სახე ქართულ ხალხურ პოეტურ შემოქმედებაშიც. ხშირ შემთხვევაში მარგალიტი – სიმბოლო სილამაზისა, სიყვარულის სპეციალურ გრძობასთანაა დაკავშირებული. ქართულ ხალხურ სიტყვიერებაში მარგალიტი მეტწილად ლამაზი ქალის განსახიერება და მარგალიტია. არც მწერლები დარჩნენ გულგრილნი გამოყენებინათ თავინათ შემოქმედებაში მარგალიტის სიმბოლიკა. მარგალიტი – სიმბოლო შეუღლების, დამახასიათებელია აღმოსავლური ლიტერატურისათვის, კერძოდ – ფირდუსის, ნიზამის, საადი შირაზელის და სხვათა შემოქმედებისათვის. რაც შეეხება „ვეფხისტყაოსანს“, მასში მარგალიტი დაქორწინების პირობის სიმბოლოა. არჩილ სულაკაურის „ოქროს თევზებში“ არის ერთი მნიშვნელოვანი სიმბოლოური ხაზი – ესაა „მოსე მამისთვალის მარგალიტი“. არჩილ სულაკაურსაც მარგალიტის სიმბოლო ქართული ფოლკლორიდან აქვს აღებული, მაგრამ მწერალი უპირატესად ყურადღებას ამახვილებს ამ სიმბოლოს ერთ-ერთ ელემენტზე, მის ნაწილზე, რომლითაც ზნებრივი სიწმინდის ცნება თავის საგნობრივ გამოხატულებას მატერიალურ ასახვას პოულობს ამ ძვირფასი ქვის სახით.

**საკვანძო სიტყვები:** ქართული ხალხური პოეზია, ძვირფასი ქვები, არჩილ სულაკაური, ვეფხისტყაოსანი

## Gem Symbols in Folk Poetry and Literature

### Abstract

In Georgian poetry, pearl holds exceptional role with its popularity, content and variety. Pearl is a symbol of marriage, purity, beauty and grief. In many nation's poetic art, pearl is attribute for sun and with many other gems it is symbol for beauty. Poetic face of pearl in Georgian folk poetry and art is the same. In most cases pearl is a symbol of beauty, love and pure feelings. Today in Georgian folk works, it is mostly used as an attribute of a beautiful woman. Neither writers were left indifferent and used symbol of pearl in their works. Symbol of pearls is characteristic for eastern literature, particularly – in Pirdous's Nizam, in works of Saadi Shirazi and others. In "Vefkhistkaosani" pearls is a symbol for a promise of marriage. There is one important symbolic line in Archil Sulakauri's "Golden fish" – it is a "pearl of Mose Mamistvalovi". Archil Sulakauri borrowed this symbol from folklore, but writer draws attention to one of its elements, to part of it, by which concept of morality gains its physical shape, in a form of a gem.

**Keywords:** Georgian Folk Poetry, Gem Symbol, Archil Sulakauri, Vefkhistkaosani

ქართულ პოეტურ სახეთაგან პოპულარობითა და შინაარსის მრავალფეროვნებით მარგალიტს ერთ-ერთი პირველი ადგილი უჭირავს. მარგალიტი შეუღლების, უბიწოების, სილამაზისა და მწუხარების სიმბოლოა. მსოფლიოს მრავალი ხალხის პოეტურ ხელოვნებაში მარგალიტი, მზის ატრიბუტად მიჩნეულ სხვა ძვირფას თვლებსა და ქვებთან ერთად მშვენიერების სიმბოლოა. ასევე წარმოგვიდგება მარგალიტის პოეტური სახე ქართულ ხალხურ შემოქმედებაშიც. ხშირ შემთხვევაში მარგალიტი – სიმბოლო

სილამაზისა, სიყვარულის სპეტაკ გრძნობასთანაა დაკავშირებული. დღეს ქართულ ხალხურ სიტყვიერებაში მეტწილად ლამაზი ქალის განსახიერება და ატრიბუტია. გამიჯნურებული ვაჟი ასე მიმართავს ლამაზ ქალს:

„ობოლი მარგალიტი ხარ,  
ფერსა ვერ გიცვლის ზამთარი“.

ქართულ ხალხურ პოეზიაში მარგალიტი ლამაზი ქალის სხეულის ნაწილებთან – ბაგე-კბილთან, თითებთან არის შეტოლებული:

„კბილ-მარგალიტი აფრქვევდა  
შუქსა მიდამოს და ველსა“

მარგალიტი, როგორც სიმბოლო სილამაზისა, მეტად დამახასიათებელია აღმოსავლური მწერლობისათვის, კერძოდ, ფირდოუსის, ნიზამის, საადი შირაზელისა და სხვათა შემოქმედებისათვის.

რუსთაველის უკვდავ ქმნილებაში მარგალიტის, როგორც სილამაზის სიმბოლოს შინაარსი განსაკუთრებით მდიდარი და მრავალფეროვანია. რუსთაველის მარგალიტი ასახიერებს ადამიანის ფიზიკურ სილამაზესაც და მისი სიტყვის დიდ ხელოვნებასაც. ობოლი, ე.ი. იშვიათი მარგალიტი დიდი ხელოვნების, რუსთაველის ქმნილების პოეტური სახეა. პოეზიაში ძველი ამბის გაცოცხლების გამოა ნათქვამი:

„...აქამდის ამბად ნათქვამი, აწ მარგალიტი წყობილი.

... ვით მარგალიტი ობოლი, ხელის-ხელ საგოგმანები.“

საინტერესო ამბის – ლამაზი სიტყვის მნიშვნელობითაა გამოყენებული მარგალიტი ნესტან-დარეჯანის თავგადასავლის გამო ქაჯეთის მეფის ნათქვამებში: „ვნახე, ძოწსა მარგალიტი გარე ტურფად მოემაზრდა“

ფატმანის ნაამბობით ნესტანს „ვარდი ერთგან შეეწება, მარგალიტი არ აჩენდა“.

თინათინზე თქვა ავთანდილმა: „ვით მარგალიტსა გარეშე მოსავს ძოწისა ბაგითა“.

არაბეთს კვლავ შექცევის წინ ხანგრძლივი განშორებით შეწუხებული ავთანდილი თხოვს თინათინს:

„სიცოცხლისა საიმედო ნიშანი რა წამატანე“.

ავთანდილს თხოვნა აუსრულეს:

„ქალმან მისცნა მარგალიტი, სრულ-ქმნა მისი საწადელი“.

ავთანდილი სასოებით ატარებს თინათინის საჩუქარს – მარგალიტის სამაჯურს. თინათინთან გამოთხოვნების შემდეგ შინ მობრუნებული ავთანდილის საქციელისა და ღრმა განცდას პოეტი ასე წარმოგვიდგენს.

„რა გულსა უთხრა გულისა, სიტყვანი საგულისანი,  
მან მარგალიტნი მოიხვნა, მის მზისა სამეყვისანი,  
მის მზისა მკლავსა ნაბამნი, მათ კბილთა შესატყვისანი,  
პირი დასდვა და აკოცა, ცრემლი სდის ვითა ბისონი.“

თინათინის საჩუქარი – ქორწინებისა და ერთგულების სიმბოლური ნივთი – მარგალიტის სამკლავე ამ შემთხვევაში სილამაზის პოეტური სახეა.

არჩილ სულაკაურის „ოქროს თევზში“ არის ერთი მნიშვნელოვანი სიმბოლური ხაზი, რომელიც მიმზიდველი ნოველის ჩართვით იქმნება. ამ „ნოველას“ შეიძლება ეწოდოს „მოსე მამისთვალის მარგალიტი“. მასში გადმოცემული ამბავი რომანის მთავარ გმირზე დიდი გავლენას ახდენს. დათო ხვდება, რომ ნორა ისევე ძარცვავს მას, როგორც ნიკო კორინთელმა გაძარცვა ესთერი და ნორა სულიერი თუ მატერიალური ფასეულობისაგან, რადგან მისი კეთილგანწყობის მოპოვებას მოტყუვლებით ცდილობს. ამიტომ აღარ სურს მას ამ ქალთან სიახლოვე. აღნიშნული ეპიზოდის სიმბოლური ხასიათი მჭიდრო კავშირშია რომანის ზნეობრივ პრობლემატიკასთან და მის უკეთ გამოკვეთას უწყობს ხელს.

მოსე მამისთვალის ჰყავდა ლამაზი ცოლი, ესთერი, და ჰქონდა საგვრეულო განძი – ძვირფასი მარგალიტი, რომელსაც თვალისჩინივით უფრთხილდებოდა. ნიკო კორინთელმა ესთერის გული მოინადირა და მარგალიტს ხელთ იგდო. ქალი ჯავრისაგან გარდაიცვალა, რადგან დარწმუნდა, რომ ამ მარგალიტს ვეღარ დაიბრუნებდა. მოსე კი ცხედრის წინ ასე ჰგოდებდა: „ესთერ, ესთერ, შენ დაგენაცვლე! რა იქნა მარგალიტი?!“

მარგალიტის დაკარგვის ამბავი ღრმა სიმბოლური მნიშვნელობის მქონეა. მარგალიტის სიმბოლური მნიშვნელობა მრავალგვარია. საყურადღებოა, რომ სახელი ესთერი მეტად პოპულარულია ებრაელ ხალხში და იგი უნებურად გვაგონებს ბიბლიურ თქმულებას ესთერის შესახებ. ესთერი სპარსეთის მეფის არტაქსერქსის საყვარელი მეუღლე იყო. მან ებრაელი ხალხი მეფის რისხვისაგან გადაარჩინა.

მოსე მამისთვალის ერთ-ერთი უძვირფასესი განძი გააჩნდა ქვეყნად – ლამაზი ცოლი და იშვიათი მარგალიტის თვალი. ბიბლიურმა ესთერმა ებრაელი ხალხის გადარჩენის მისია იტვირთა და ღირსეულად აღასრულა კიდეც. მოსეს მარგალიტსაც ასეთი გადარჩენის მისია უნდა აღესრულებინა. რომანში მარგალიტის დაკარგვამ გადატანით, სიმბოლური მნიშვნელობით, პატიოსნების და სიწმინდის სიმბოლოდ გვევლინება: „ნუ მისცემთ სიწმინდეს ძალთა, ნუცა დაუფენთ მარგალიტსა თქვენსა წინაშე ღორთა, ნუუკუე დათრგუნონ იგი ფერაითა მათითა და მოიქცნენ და განგხეთქნენ თქვენ“. (მათე 7,6).

ესაა გაფრთხილება და მოწოდება ადამიანური ღირსებისა და სინდისის დასაცავად, სულიერ საუნჯეთა უგუნურთა და უღირსთაგან დასაფარად. ქართული ფოლკლორული ტრადიციის თანახმად, მარგალიტი სილამაზის, სისპეტაკისა და სიყვარულის სიმბოლოა. მარგალიტი სილამაზის სიმბოლოა – ესთერიც ულამაზესი ქალია; მარგალიტი ერთგულების, სიწმინდისა და ზნეობრივი სისპეტაკის სიმბოლოა და ამიტომ განიცდიან ასე ტრაგიკულად მოსე და ესთერი მის დაკარგვას. მარგალიტი მწუხარების სიმბოლოა – მოსეს და ესთერის მწუხარებაც განუსაზღვრელია.

არჩილ სულაკაურსაც მარგალიტის სიმბოლო ქართული ფოლკლორიდან აქვს აღებული, მაგრამ მწერალი უპირატესად ყურადღებას ამახვილებს ამ სიმბოლოს ერთ-ერთ ელემენტზე, მის ნაწილზე, რომლითაც ზნეობრივი სიწმინდის ცნება თავის საგნობრივ გამოხატულებას, მატერიალურ ასახვას პოულობს ამ ძვირფასი ქვის სახით. უფრო მეტიც, მარგალიტის სიმბოლიკაზე დაყრდნობით და სიმბოლური ფრაზის „ესთერ!... ესთერ! მითხარი, რა იქნა ჩემი მარგალიტი?“ ხშირი გამეორებით, ანუ ლაიტმოტივის ხერხით მწერალი აძლიერებს თხრობის ექსპრესიას და მიუთითებს სიმბოლური ინფორმაციის მრავალმნიშვნელობაზე. იგი ნათელს ჰფენს რომანის იდეურ მიზანდასახულობასაც.

ამრიგად, მოსეს მარგალიტი, განზოგადებული სახით, პატიოსნების სიმბოლოა, ასე, რომ თუ რომანის პირველ ნაწილს სიმბოლურ ლაიტმოტივად გასდევდა – „ოქროს თევზი თავს ბედნიერად გრძნობდა“, მეორე ნაწილიდან ვიდრე დასასრულამდე მეორდება ფრაზა, რომელიც მოსეს ნაღვლიან კითხვას გამოხატავს. მოსეს ნამდვილი მარგალიტის ნაცვლად უბრალო ქვა შერჩა ხელთ, ჩვეულებრივი კენჭი. ... „ის ქვა აღარ იყო პატიოსანი თვალი, რომლის იმედით რამდენიმე თაობს უცხოვრია!. სწორედ ამ სიტყვებით მჟღავნდება მარგალიტის სიმბოლური შინაარსი – ზნეობა ის საწყისია, რომელიც კაცობრიობის გადამრჩენელ ძალას წარმოადგენს.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. Z. Kiknadze, Mesopotamian Mythology, 1976.
2. Folk Poetry, Vol. V, 1976.
3. Epic of Gilgamesh, 1963.
4. Kotetishvili V. Folk Poetry, 1961.

## მხატვრული ტექსტის ჰერმენევტიკული მეთოდით კვლევა (თეორიული ასპექტები)

თინათინ თვალჭრელიძე

დოქტორანტი.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

### აბსტრაქტი

მხატვრული ტექსტების ჰერმენევტიკული მეთოდით კვლევა მეტად აქტუალური და საინტერესოა. ჰერმენევტიკა სხვაგვარად გაგების თეორიადაა აღიარებული. იგი მოიაზრება როგორც ლიტერატურული ნაწარმოების ახსნისა და განმარტების უნივერსალური ხერხი. მხატვრული ტექსტების ამ კუთხით კვლევა ნოვატორულია, ღრმა ფილოსოფიურ-ლიტერატურათმცოდნეობითი საფუძვლების მქონეა. იგი ტექსტის ფუნდამენტური გააზრების საშუალებას იძლევა, რომლის გამოყენებითაც საცნაური ხდება მხატვრული ნაწარმოების შინაგანი და გარეგანი ლოგოსი. "ყველგან, სადაც სამყარო განიცდება ჩვენ მიერ, სადაც ხდება უცხოობის ჩამოცილება, ყველგან სრულდება ჰერმენევტიკული პროცესი სამყაროს შეკრებისა სიტყვაში და ზოგად ცნობიერებაში", – წერს გადაამერი. "აზრის გამოვლინება ენაში" – ასე განსაზღვრავს ჰერმენევტიკას შლაიერმახერი, ხოლო ჰაიდეგერი ფილოსოფიას ადამიანური ყოფიერების ჰერმენევტიკას უწოდებს. თვით "ჰერმენევტიკის" ცნება არ არის ერთმნიშვნელოვანი. მას ჩვეულებრივ უწოდებენ ტექსტების განმარტების ხელოვნებასა და თეორიას. ამ მნიშვნელობით ჰერმენევტიკა გაჩნდა დამწერლობის წარმოშობასთან ერთად და მას შემდეგ ყოველთვის ჰქონდა აქტუალური მნიშვნელობა, რადგან მუდამ არსებობდა და იარსებებს წერილობითი წყაროების სწორი გაგებისა და ახსნის პრობლემა. მეორე მნიშვნელობით, ჰერმენევტიკა არის თანამედროვე ფილოსოფიური მიმდინარეობა, რომელიც არ დაიყვანება ტექსტების კვლევის მეთოდოლოგიაზე და წარმოადგენს გაგების თავისებურ ფილოსოფიას. გაგებისა და ახსნის პრობლემით ჰერმენევტიკა დაინტერესებულია უკვე ანტიკური ხანიდან, რაც სტოელთა ფილოსოფიურ სკოლას უკავშირდება. ამ სკოლის წარმომადგენლებმა დაიწყეს ბერძნული მითების, ჰომეროსის "ილიადასა" და "ოდისეას" და პესიოდეს "თეოგონის" განმარტება. განმარტების ხელოვნებას ეხებოდნენ სოფისტებისა და რიტორიკის სკოლებში. შემდეგ სტოელებთან განვითარდა ე.წ. ალექსანდრიული ინტერპრეტაცია.

**საკვანძო სიტყვები:** ჰერმენევტიკური, ჰერმენევტიკური მეთოდი, ანალიზების მოდელები / ინტერპრეტაციის მოდელები.

## Hermeneutical Research of a Feature Text (Theoretical Aspects)

### Abstract

"Everywhere, where the world is experienced by us, where the alienation is removed, everywhere the hermeneutical process of gathering of the world in word and in consciousness in general is completed." (H. Gadamer) "Expression of thought in language" – this is how Schleiermacher defines the concept of understanding. Often a reader reads a text, knows its content, although we are not sure that they have understood the text. When or how can we be confident that a recipient has correctly understood a text? There is no unequivocal criterion in relation to a literary work. Understanding of a fiction text, its correct interpretation, unification of synchronous and diachronic angles, reader and theoretician, author and historic context, inner and external logos, lingual and genre model – this is the scarce list from literature theory issues, which a reader must be aware of for the deconstruction and further correct reconstruction of a text. Research of fiction texts by hermeneutical method is very acute and interesting. Hermeneutics is recognized as the theory of understanding differently. It is considered as the universal tool of definition and explanation of a literary work. Research of fiction texts from this angle has deep philosophical-literary criticism basis. It allows fundamental understanding of a text and by using it we get acquainted with the main idea of a text. Understanding of a literary work means not only knowledge of facts, but also the

whole text, as a model having certain content. The given model is expressed in genre, creative techniques, composition and plot peculiarities, writer's language and unity of different "codes", which must be decrypted. The key to correct interpretation of a text is expressed in the knowledge of the "codes" (code of means of expression, genre code...) Reader understands a text through the enigmas presented in it, in synchronous and diachronic angle. This is how reader's experience transferred to the text. Several analysis models have been developed in framework of the different 20th century literary theories. Those analysis models/interpretation models are: hermeneutical, reception aesthetics, structuralist, post-structuralist/deconstructive, discourse analysis, system theory, gender, psychoanalytical, sociological, intertextual interpretation methods/analysis models. It is the philosophical-existential reading, based on the hermeneutical method that allows more or less perfect interpretation of the in-depth idea. Hermeneutical method has highly influenced the humanitarian and literary criticism thinking of the 20th century. In hermeneutical interpretation the main goal is not only the reconstruction of a literary text; the main goal of interpretation is the extension of the knowledge of a reader and their better understanding of themselves.

**Keywords:** hermeneutical, hermeneutical method, analysis models/interpretation models.

## შესავალი

თანამედროვე ფილოსოფიური ჰერმენევტიკა არის გაგების ფილოსოფია და მისი საგანია სამყაროსა და ყოფიერების შესახებ ადამიანური ცოდნის მთელი ერთობლიობა.

თანამედროვე ფილოსოფიაში სამი ძირითადი თემა შეიძლება გამოვკვეთოთ. ესენია: ადამიანის "ბუნების" პრობლემა, რომელსაც იკვლევს ფილოსოფიური ანთროპოლოგია, გაგების პრობლემა, რომელიც მიმართულია მატერიალურ ობიექტივაციებში ჩაშიფრული იდეალური საზრისის მიმართ, რაც ჰერმენევტიკის საგანს წარმოადგენს და ამ საზრისის უშუალო, ინტუიტიური წვდომის პრობლემა, რომელიც მიეკუთვნება ფენომენოლოგიის კვლევის სფეროს.

ადამიანი თავის გარშემო არსებულ სინამდვილეს სწვდება არა მხოლოდ თეორიული შემეცნების, პრაქტიკულ-უტილიტარული მიდგომისა თუ ღირებულებითი ათვისების თვალსაზრისით, არამედ გაგების ფორმითაც. ჰერმენევტიკა, როგორც მოძღვრება გაგების შესახებ, ის საშუალებაა, რომელიც სამყაროს ამ შუქზე დანახვის, გახსნისა და გამოვლენის შესაძლებლობას იძლევა. გაგება არა მარტო შემეცნების სახეობაა, არამედ, „უპირველეს ყოვლისა, ის არის ადამიანის არსებობის თავდაპირველი, ძირეული მომენტი“, \_ აღნიშნავს ჰაიდეგერი, უწოდებს რა ფილოსოფიას ადამიანური ყოფიერების ჰერმენევტიკას (ქავთარაძე 2001:5).

## სტოელთა ფილოსოფიური სკოლა

გაგებისა და ახსნის პრობლემით ჰერმენევტიკა დაინტერესებულია უკვე ანტიკური ხანიდან. გარკვეული ტიპის ტექსტების ახსნისას მან გამოიმუშავა მრავალი თავისებური წესი, ხერხი, მეთოდი, რომლებიც საბოლოოდ დაიყვანება, ერთი მხრივ, ტექსტის ლოგიკურ-გრამატიკულ ანალიზზე და, მეორე მხრივ, ტექსტის ავტორის მოტივაციების, მიზნებისა და მისწრაფებების ფსიქოლოგიურ განხილვაზე, რამდენადაც ამისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საშუალებაა ინტერპრეტატორის წარმოსახვა და სუბიექტური გამოცდილება. ამგვარ ახსნას ხშირად ახასიათებენ, როგორც ფსიქოლოგიურს, სუბიექტურს, ან ინტუიტიურს. მხატვრული ტექსტების ინტერპრეტაცია ჯერ კიდევ ანტიკური ხანიდან იღებს სათავეს, რაც სტოელთა ფილოსოფიურ სკოლას უკავშირდება. ამ სკოლის წარმომადგენლებმა დაიწყეს ბერძნული მითების, ჰომეროსის „ილიადასა“ და „ოდისეას“ და ჰესიოდეს „თეოგონიის“ განმარტება. განმარტების ხელოვნებას ეხებოდნენ სოფისტებისა და რიტორიკის სკოლებში. შემდეგ სტოელებთან განვითარდა ე.წ. ალეგორიული ინტერპრეტაცია.

ბერძნული ფილოსოფიის მიხედვით „ღმერთთა ენა“ მიუწვდომელია უბრალო მოკვდავთათვის, მისი გაგება „შუამავლის“ პრეროგატივას წარმოადგენს. პლატონი თავის დიალოგში „იონი“ ღმერთთა ენის ამხსნელებს პოეტებს უწოდებს. განმარტების ხელოვნების სხვადასხვა მხარეს ეხება არისტოტელე თავის თხზულებებში, რომლებშიც განიხილავს რიტორიკის, პოეტიკისა და ლოგიკის საკითხებს.

მხატვრული ტექსტის ინტერპრეტაციის პროცესში სტოელები ურთიერთისაგან განასხვავებდნენ წარმოთქმულ და შინაგან ლოგოსს: პირველი არის ტექსტის პირდაპირი აზრი, ხოლო მეორე ამ გამოხატულების შინაარსი, ანუ დაფარული საზრისი. შინაგანი ლოგოსი, ტექსტის დაფარული საზრისი ცხადდება გარეგან ლოგოსში, ანუ ტექსტის პირდაპირ აზრში. შესაბამისად, შინაგანი ლოგოსის წვდომა და განმარტება ხდება ამ პირდაპირი აზრის გავლით: ე.ი. გამოხატულების განმარტება-გაგების გზით მივდივართ შინაგანი ლოგოსისაკენ.

### შუა საუკუნეების ჰერმენევტიკა

ტექსტის ინტერპრეტაციის პროცესში სტოელთა მიერ შინაგანი და გარეგანი ლოგოსის გამოყოფა და მათი ერთ მთლიანობად მოაზრება, ანუ ტექსტის ალეგორიული ინტერპრეტაციის მეთოდი შემდგომ განვითარდა ბიბლიის ტექსტების ელინისტური და პატრისტიკის პერიოდის ეგზეგეტიკაში.

შუა საუკუნეებში ჰერმენევტიკა განუყრელად დაუკავშირდა თეოლოგიას, რადგან ქრისტიანული თეოლოგიური აზროვნების აღმავლობის ეპოქაში აუცილებელი ხდება საღვთო წიგნების, ეკლესიის მამათა თხზულებების განმარტება. წმინდა წიგნებში მოცემული დოგმები და მათი ახსნის ფორმები საუკუნეების მანძილზე ღვთისმეტყველთა პრეროგატივას წარმოადგენდა. გვიან შუა საუკუნეებში ჩამოყალიბდა ჰერმენევტიკის თეოლოგიასთან დაკავშირებული სახეობა, რელიგიურ-დოგმატური ჰერმენევტიკა. წამყვანი კათოლიკე თეოლოგები და ფილოსოფოსები ჰერმენევტიკოსი-პრაქტიკოსები იყვნენ და ამავე დროს, განიხილავდნენ ტექსტების ახსნის მეთოდების საკითხსაც, რადგან კათოლიკური სქოლასტიკის ჩამოყალიბება და განვითარება მჭიდროდ იყო დაკავშირებული სარწმუნოების დოგმატების, ეკლესიის მამათა თხზულებების სხვადასხვაგვარ ახსნასთან. თავდაპირველად, ქრისტიანობა ბიბლიას აღიქვამდა, როგორც ღვთის სიტყვას, სადაც ყოველგვარი შეცდომა დაუშვებელი იყო. ღვთის სიტყვა წარმოადგენდა აბსოლუტურ ჭეშმარიტებას.

ბიბლიური ტექსტების გაკეთილშობილებისათვის შუასაუკუნეების კათოლიკური და მართლმადიდებლური ეკლესიის ღვთისმეტყველებმა შექმნეს ტექსტის შეცდომების განმარტების მისაღები ხერხები. საბოლოოდ, შეიქმნა და სქოლასტიკურ საღვთისმსახურო სკოლებში ისწავლებოდა სახელწოდებით "საღვთო წერილის განმარტება" (Hermeneutica Sacra), ბიბლიური ტექსტების სწორი გაგების და განმარტების სისტემა. ამ სქემის თანახმად ბიბლიურ ტექსტებში უნდა განიხილოს სამმაგი აზრი:

1. ემოციურ-სიტყვასიტყვითი;
2. გადატანით-დამრიგებლობითი (ზნეობრივი);
3. იდეალურ-მისტიკური.

ბიბლიის ტექსტების ალეგორიული განმარტების წამოწყება ფილონ ალექსანდრიელს უკავშირდება (I ს. ქრ. წ). ფილონი თვლის, რომ ავტორი ყოველთვის ზრუნავს იმისთვის, რომ ტექსტი ალეგორიული იყოს. შესაბამისად, ამგვარი ტექსტი ალეგორიულად უნდა იქნას განმარტებულ-გაგებულ. ამ შემთხვევაში ეგზეგეტიკის ჰერმენევტიკული ამოცანაა ბიბლიის ტექსტში მოცემული პირდაპირი აზრის მიღმა მუდამ ეძიოს დაფარული საზრისი. ფილონის თანახმად, ბიბლიაში მოცემული ობიექტური ნიშნები ალეგორიულად უნდა განიმარტოს.

დანტე ალიგიერი საღვთო წერილის გაგების ოთხ პრინციპს გამოყოფდა:

1. სიტყვასიტყვითი; 2. ალეგორიული; 3. მორალური; 4. ანაგოგიკური (აღყვანებითი) (ალიბეგაშვილი 1999: 19).

### ფილოსოფიური ჰერმენევტიკა

XIX საუკუნიდან ჩნდება ფილოსოფიური ჰერმენევტიკა, რომელიც განიხილავს წერილობითი წყაროების ინტერპრეტაციის პრობლემებს. მისი წარმოშობა დაკავშირებულია გერმანელი ფილოსოფოსისა და თეოლოგის ფრიდრიხ შლაიერმახერის (1768-1834) სახელთან. შლაიერმახერის მოღვაწეობა იქცა ჰერმენევტიკული კვლევისაკენ შემობრუნების წერტილად. შლაიერმახერი თვლიდა, რომ თავისთავად

ცხოვრებაში ხდება მხოლოდ გაურკვევლობა. ხოლო ჰერმენევტიკის უნივერსალური მიზანი გახდა გაგების, განმარტების სურვილი და ძიება. აუცილებელი გახდა ამ ყველაფრის პრაქტიკული განხორციელება. შლაიერმახერი ერთმანეთისაგან განასხვავებდა "ხელოვნურ" და "ბუნებრივ" გაგებას. არსებითი განსხვავება არის ის, რომ ერთი დაინტერესებულია ზუსტი გაგებით, მეორე კი – არა. ზუსტი გაგება შეესაბამება გარკვეულ ტექნიკურ გაგებას.

შლაიერმახერის მოძღვრების სიახლე ისაა, რომ მან ჰერმენევტიკას, რომელიც მანამდე წარმოადგენდა თეოლოგიაში წმინდა ტექსტების სწორი ახსნის, ფილოლოგიაში კი კლასიკური ლიტერატურის სწორი ინტერპრეტაციის პრაქტიკული რეკომენდაციების კრებულს, მისცა უნივერსალური თეორიის ხასიათი.

ფრ. შლაიერმახერმა ტექსტის ინტერპრეტაციის პროცესში გამოყო ორი ასპექტი – ტექსტის გრამატიკული და ფსიქოლოგიური, ანუ ტექნიკური ინტერპრეტაცია. გრამატიკული ინტერპრეტაცია ქმნის ტექსტის გარეგან ლოგოსს, მაგრამ ავტორი როგორც ინდივიდუალური არსი ამავედროულად ცდილობს ტექსტის შექმნის პროცესში ენობრივი სტრუქტურის ისე გამოყენებას, სადაც გამოჩნდება მისი შემოქმედებითი ინდივიდუალობა, რაც ვლინდება ავტორის მსოფლხედვაში, სტილსა და სახისმეტყველებაში. შლაიერმახერის აზრით, უნივერსალური ჰერმენევტიკა არ დაიყვანება გაუგებარი ტექსტების ახსნის მიზნით ჩამოყალიბებულ კანონთა კრებულზე – ჰერმენევტიკისათვის ყველაზე მნიშვნელოვანია თავად გაგების ზოგად-ფილოსოფიური გააზრება. თუ გაგებას აქვს უნივერსალური ხასიათი, ასევე უნივერსალური უნდა იყოს ჰერმენევტიკა, როგორც გაგების მოძღვრება, – წერს შლაიერმახერი (ქავთარაძე 2001:13).

შლაიერმახერმა გამოყო გაგების სამი შემადგენელი ნაწილი: რეკონსტრუირება, შემოქმედობითობა და ინდივიდუალობა.

შლაიერმახერის მიხედვით, ტექსტის გრამატიკული ინტერპრეტაცია ეფუძნება კომპარატიულ მეთოდს, რომელიც ტექსტის ცალკეული ნაწილების ურთიერთთან შედარების საფუძველზე ადგენს ტექსტის ზედაპირულ შინაარსს, პირდაპირ აზრს. ტექნიკურ-ფსიქოლოგიური ინტერპრეტაცია იყენებს დივინატორულ მეთოდს, რაც გულისხმობს ტექსტის აგებულებაში „თავისი თავის ჩასმას“, ტექსტის ზოგად მიმოხილვას. ამ შემთხვევაში ხდება ტექსტის პირველსაზრისის ინტუიციური წვდომა. ტექსტის გრამატიკული და ტექნიკურ-ფსიქოლოგიური ინტერპრეტაციები, შესაბამისად, დივინატორული და კომპარატიული მეთოდები, გულისხმობენ ჰერმენევტიკულ წრეს, ანუ ინტერპრეტაციის პროცესს მთელიდან ნაწილისაკენ, და პირიქით, ნაწილიდან მთელისაკენ. აქ გვაქვს ტექსტის დაფარული პირველსაზრისისა და მისი ქვესაზრისების გამოდუმბული დივინაცია და კომპარაცია. ამ წრის არსი ის არის, რომ ამ განმარტების სისტემაში წარმოდგენილია ტექსტის ცალკეული ფრაგმენტები მთელ ნაწარმოებთან მიმართებით, სხვა ნაწყვეტებთან დაპირისპირება; ასევე მთელი ნაწარმოების განმარტება სინქრონულად არსებულ ფრაგმენტებთან მიმართებით. გაგების პროცესისი თავისებურებაა მისი ციკლური ხასიათი. ჰერმენევტიკის ფარგლებში პირველად გამოჩნდა მთელისა და ნაწილების ურთიერთმიმართება, რომელმაც თავისი განხორციელება ჰპოვა „ჰერმენევტიკული წრის“ ცნებაში.

ფილოსოფიური ჰერმენევტიკის განვითარების შემდეგი ეტაპი დაკავშირებულია გერმანელი ფილოსოფოსის ვილჰელმ დილთაის სახელთან. დილთაი ამტკიცებს, რომ ინტერპრეტაციის დროს თუკი გათვალისწინებულია ავტორის ფილოსოფიური პოზიცია, მისი ფსიქოლოგია, ნაწარმოების შექმნის სოციალურ-კულტურული პირობები, მაშინ მკითხველი თხზულების აზრის გაგებისას შეცდომას არ დაუშვებს. ამასთან, დილთაი მეტ მნიშვნელობას ანიჭებდა ტექსტის შინაგან, ფსიქოლოგიურ არსს, ფილოსოფიური ჭეშმარიტების ინტუიტიურ გაგებას.

დილთაი ჰერმენევტიკას სიცოცხლის ჩაწერილი სახით ფიქსირებულ გამოსახულებათა გაგების ხელოვნებას უწოდებს. ჰერმენევტიკის საგანია გაგება. „გაგება წარმოადგენს ფუძემდებლურ მეთოდს ყველა შემდგომი მოქმედებებისა გონისმცნიერებებში“ (Дильтей 1984: 16). ამგვარი ჰერმენევტიკული წესები გამოიყენება იქ, სადაც გასაგები ობიექტი გარკვეული სახით არის დაფიქსირებული. ამასთან, ჰერმენევტიკა არა მხოლოდ გაგების პრაქტიკაა, არამედ გაგების თეორიაცა და ფილოსოფიის თეორიაც. ჰერმენევტიკას, როგორც უზოგადეს თეორიას, ეკისრება დაახასიათოს ის, რაც მის საგნადაა მიჩნეული – დაახასიათოს გაგება. ამგვარად, დილთაისთან ჰერმენევტიკა იქცევა ფუნდამენტურ მეცნიერებად საერთოდ ინტერპრეტაციის მეთოდოლოგიის შესახებ (Дильтей 1984: 18).

გაგების კლასიფიკაცია დილთაიმ ორი ფაქტორით განსაზღვრა – შინაარსი და ფორმა-სტრუქტურა. გვაქვს გაგების სამი სახე: თეორიული, მოქმედების გაგება და განცდის გამოსახულების გაგება. პირველის ამოცანაა აზრისეული ფენომენის წვდომა, მეორე წვდება ნებისეულ მიზანს, მესამე – შინაგან სამყაროს, გრძნობათა სამეფოს. როცა გვანტერესებს გამოსახულების სტრუქტურა, ფორმა, აგების ორ სახეს ვიღებთ: ელემენტალური გაგება უკავშირდება “ცალკეულ” ფენომენს, ხოლო მაღალი გაგება – მთლიანობას. ორივე კლასიფიკაციაში გაგების სახეების თავისებურება გაგების საგანთა თავისებურებითაა განპირობებული. დილთაის კონცეფციის ძარღვია გამგებისა და გასაგების ნათესაობის აღიარება. ინტერპრეტატორის ინდივიდუალობა და ნაწარმოების ავტორის ინდივიდუალობა დილთაისათვის, მსგავსად შლაიერმახერისა, არ უპირისპირდება ერთმანეთს როგორც ორი საწინააღმდეგო ფაქტი. ინდივიდუალობის არსებობა, დილთაის აზრით, სულაც არ გამორიცხავს, ადამიანთა შორის იგივეობრივს, რაღაც საერთოს არსებობას. იმიტომ, რომ ინდივიდუალურ განსხვავებებს ადამიანთა შორის ქმნის არა პიროვნებათა თვისებრივი სხვაობანი, არამედ ადამიანების სულიერ პროცესთა რაოდენობრივი, ხარისხობრივი სხვაობანი. “უცხოვს” გამოვლენაში არ მონაწილეობს არაფერი ისეთი, რასაც არ შეიცავს გამგების სიცოცხლისეული მთლიანობა.

გამოჩენილი გერმანელი ფილოსოფოსი ჰანს გეორგ გადამერი თანამედროვე ფილოსოფიური ჰერმენევტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფიგურაა. „გადასვლა მეცნიერების სამყაროდან სიცოცხლის სამყაროზე“, - ასე ახასიათებს ფილოსოფიური ჰერმენევტიკის ფუძემდებელი, მარტინ ჰაიდეგერის მოწაფე, ჰანს გეორგ გადამერი იმ მკვეთრ შემობრუნებას, რომელიც მოხდა XX საუკუნის გერმანულ ფილოსოფიაში. აქ იგი გულისხმობს ნაბიჯს-გადადგმულს ჰუსერლისა და ჰაიდეგერის და, აგრეთვე, მათი მოწაფეების მიერ. უწოდებს რა თავის კონცეფციას ფილოსოფიურ ჰერმენევტიკას, გადამერი სულ ცოტა ორ ამოცანას წყვეტს. ერთ მხრივ, უერთდება ჰერმენევტიკის – როგორც ტექსტების ახსნის თეორიისა და პრაქტიკის მრავალსაუკუნოვან ტრადიციას, მეორე მხრივ, კი გვიჩვენებს იმ მნიშვნელოვან ცვლილებებს, რომლებიც ამ ტრადიციამ და მისმა კონცეფციებმა განიცადა. გარდასახვა შეუძლებელია. ვარაუდი, თითქოს ინტერპრეტატორს ძალა შესწევს პლატონად იქცეს, გულუპყვილობაა. არანაკლებ გულუპყვილობაა წარსული ეპოქის რეკონსტრუირების თვალსაზრისი ჰერმენევტიკური საშუალებებით. მისი სრული აღდგენა შეუძლებელია. ამიტომ გადამერთან ძირითად ჰერმენევტიკულ პროცედურას „გადაადგილება“ კი არ წარმოადგენს, არამედ „მისადაგება“. საქმე ის კი არაა, რომ თავი ავტორთან გავაიგივოთ და ამით დავძლიოთ მანძილი მის და საკუთარ „ცდას“ შორის, არამედ ვიცით რა, რომ ეს მანძილი დაუძლეველია, ავტორის „ცდა“ საკუთარს მივუსადაგოთ. ჰერმენევტიკული ძალისხმევა მიმართულია არა იმაზე, რომ ავტორის სიტუაციაში გადავიდეთ, არამედ იმაზე, რომ შინაარსი საკუთარ სიტუაციაზე გადმოვიტანოთ. ამგვარად, გადამერი ინტერპრეტაციის მიზანს ხედავს არა „კვლავწარმოქმნაში“, არამედ, „შექმნაში“, ე.ი. არა ჩანაფიქრის რეკონსტრუირებაში, არამედ საზრისის კონსტრუირებაში. ამგვარ შემოტრიალებას, ბუნებრივია, მივყავართ ინტერპრეტაციის პლურალობის აღიარებასთან. ტექსტის სხვადასხვაგვარი ახსნა არ შეიძლება დავიყვანოთ ერთზე, „სწორზე“, რამდენადაც ამგვარი რამ არ არსებობს. რადგანაც ტექსტის საზრისობრივი შინაარსი თავისი ბუნებით მრავალმხრივია, ამდენად ინტერპრეტაციის სხვადასხვაგვარობაც გარდაუვალია;

გადამერი წინააღმდეგია მკითხველის სტიქიური სწრაფვისა, ტექსტი ახსნას ხელთ არსებული ისტორიულ-კულტურული მონაცემების პრიზმაში. ასევე არ მიმართავს იგი ბიოგრაფიულ ანალიზს, რომელსაც ფართოდ იყენებდნენ დილთაი და მისი მიმდევრები (დილთაის მოსწავლეებს ი. ვახს, რ. უნგერს, გ. მიშს არსებითი ტექსტის საზრისი დაჰყავთ მისი ფსიქოლოგიურ და ბიოგრაფიულ მხარეებზე). ესაა პრინციპული განსხვავება ფილოსოფიურ ჰერმენევტიკასა და მის წინამორბედ ჰერმენევტიკას შორის. გადამერი ემიჯნება რეკონსტრუქციულ-ემფატიკურ ტრადიციას და მიიჩნევს, რომ ამ ტრადიციას საფუძვლად უდევს ილუზია. ეს ილუზია მდგომარეობს გონითი სფეროს გამჭირვალეობის დაშვებაში. ზუსტად მისი დაშვება ედო საფუძვლად ჰერმენევტიკის ისეთ პროცედურას, როგორცაა „გადაადგილება“ (Гадамер 1991: 329).

გადამერი იზიარებს დებულებას, რომ მკვლევარი არასოდეს არ არის თავისუფალი საწყისი გაგებისაგან, რომელიც მოცემულია იმ ტრადიციის მიერ, რომლის ფარგლებშიც ის ცხოვრობს და აზროვნებს. გადამერი აღიარებს გაგების ბუნების ახლებურად გააზრების აუცილებლობას, რადგან თვითონ გაგება უნდა მოვიაზროთ არა როგორც სუბიექტური მოქმედება, არამედ როგორც ურთიერთქმედების სავსებით რეალური პროცესი თანამედროვეობისა – მკვლევარების სახით და წარსულისა – კულტურულ-ისტორიული

მემკვიდრეობის სახით. ამ რეალურ პროცესში მკლევარი ჩართულია თავისი წინასწარი გაგებით. დღეს შესაბამისად გაგებულნი კულტურულ-ისტორიული ტექსტი სხვაგვარად შეიძლება იქნას გაგებული. ჭეშმარიტი შემოქმედებითი გაგებისას არ შეიძლება ვილაპარაკოთ არც თავდაპირველი ჩანაფიქრის რეკონსტრუქციაზე, არც შემოქმედებითი პროცესის დუბლირებაზე, როგორც ამას ადგილი აქვს ტრადიციულ ჰერმენევტიკაში. გაგება, მართლაც, არ შეიძლება იყოს უკეთესი, არც უფრო ნათელი ცნებების ხარჯზე შინაარსის უკეთესი ცოდნის მნიშვნელობით, არც გაცნობიერებულთან შედარებით. თანამედროვე ჰერმენევტიკისათვის გაგების საკითხი არის ნამდვილი გაგების საკითხი არანამდვილისაგან განსხვავებით. ჩვენ ვიგებთ არა ავტორზე უკეთესად, არამედ ვიგებთ „სხვადასხვაგვარად, თუკი საერთოდ ვიგებთ“.

ამგვარია ჰერმენევტიკული ჰორიზონტების მოკლე თეორიული მიმოხილვა, მეთოდოლოგია, რომელმაც მოიცვა ტექსტის ხილული და დაფარული შრეები.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. ჰერმენევტიკა, თანამედროვე საზღვარგარეთული ლიტერატურათმცოდნეობა. 2000. მთარგმნ.: გ.ლომიძე. თბილისი: ჟურნალი „სჯანი“ #1.
2. ლიტერატურის თეორია, XX საუკუნის ძირითადი მეთოდოლოგიური კონცეფციები და მიმდინარეობები. 2008. თბილისი: ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა.
3. რატინი ირმა. ლექციები ლიტერატურის თეორიაში. 2005. თბილისი: ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა.
4. Герменевтика: история и современность. 1985. Москва: издательство „Мысль“
5. ალიბეგაშვილი გ. ეპიფანე კვიპრელის “თვალთაი” და ქრისტიანული ეგზეგეტიკის ტრადიციები. 1999. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
6. ჭავთარაძე თ. ჰერმენევტიკის არსის შესახებ. 2001. თბილისი: „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“.
7. ჭავთარაძე თ. გაგების არსის შესახებ. 2001. თბილისი: “თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“.
8. Гадамер Г.Г. Актуальность прекрасного. 1991. Москва: издательство “Искусство”.
9. Дильтей В. Описательная психология. Т. 2. 1984. Москва, издательство “Искусство”.

## უახლესი ტენდენციების საკითხი ქართულ მხატვრულ კერამიკაში

მაია იზორია

ხელ. დოქტ. თბილისის აკ.ჭუთათელაძის  
სახელმწიფო სამხატვრო აკადემია, საქართველო

### აბსტრაქტი

თიხის ამოუწურავი პლასტიკური შესაძლებლობები, სახვითი ელემენტების გამოყენებისა და სივრცეში მასშტაბური ტრანსფორმაციის უნარი კერამიკას საშუალებას აძლევს თანამედროვე ეპოქაშიც ქმედითი იყოს. 1960-იანი წლებიდან ქართულ კერამიკაში განსაკუთრებით მწვავედ დგას სივრცის, ფორმისა და ფუნქციის ურთიერთმიმართების საკითხი. ეს პრობლემა მრავალფეროვნად აისახება უახლესი ქართული კერამიკის მხატვრულ ტენდენციებში, რომელიც წარსულთან კავშირს არ კარგავს და მოდიფიცირებულად აგრძელებს ეროვნული კერამიკის ტრადიციებს. ამის საფუძველზე ძლიერდება ნაწარმოების მონუმენტური თვისება და სიმბოლური ხდება მისი პირობითი მხატვრული ფორმა, რომელიც კერამიკას სივრცის გამფორმებლის როლს ანიჭებს. ქვეყანაში გამეფებული იდეოლოგიის მიუხედავად, კერამიკული ნაკეთობების ფორმისქმნადობისას თავს იჩენს ფუნქციონალიზმისა და მინიმალიზმის მიმდინარეობებისთვის დამახასიათებელი მიდგომებისა და ელემენტების გამოყენება. თუმცა ამ საზოგადოდ გავრცელებულ კოსმოპოლიტურ ტენდენციებშიც ქართული კერამიკა საკუთარ საწყისებს პოულობს და მისთვის დამახასიათებელ იერსახეს მნიშვნელოვანწილად ინარჩუნებს.

**საკვანძო სიტყვები:** ქართული, კერამიკა, მხატვრული, ტენდენცია, თანამედროვე, უახლესი მიმდინარეობა,

## Recent trends in the Artistic Ceramics in Georgia

### Abstract

Nexhaustible plastic possibilities of clay, the use of pictorial elements and the ability to scale transformation in space allow the ceramics to be in action in the modern era. From the 60s of the XX century a long way of approaching the Georgian ceramics to the world art begins. This is reflected in the problems that are common to these searches of the time. The question of the interaction of form space and functions is especially acute. This is the most important problem for all branches of plastic arts and is also relevant in the modern age of multimedia synthesis of the 21st century. This problem is reflected in different ways in the artistic trends of Georgian ceramics in recent years. Moreover, since the 60s of the last century the Georgian ceramic school has already created a narrative about innovations. She was able to show the true nature of ceramic materials. This school has restored the connection with the past and gave modern style the national traditions. Therefore, the latest artistic trends in Georgian ceramics are based on the accomplishments of the local school and genetic linking with the past. The monumental feature of the work is strengthened on this basis. In addition, the conditional form of artwork becomes symbolic, which acquires the role of the designer of space within the boundaries of utilitarian ceramics. Despite the ideology of the country. During the formation of ceramic works the use of attributes and elements characteristic of functionalism and minimalism is observed. However, Georgian ceramics is looking for its origin in these generalized cosmopolitan tendencies and basically keeps its characteristic appearance.

**Keywords;** Georgian, ceramics, artistic, trend, , modern, latest course

უახლესი ქართული კერამიკის მხატვრული ძიებები გამორჩეულია თავისი რთული, მრავალსახოვანი ხასიათით..... მასში თავს იყრის საზოგადოდ გავრცელებული მსოფლიო ტენდენციები და წინარეხანის ადგილობრივი სკოლის ტექნოლოგიური მიღწევები. ამიტომ უახლესი კერამიკის ნიმუშები გენეტიკურ კავშირშია ტრადიციებთან და გარკვეულწილად ინარჩუნებს ეროვნულ იერსახეს. მათი კონცეფტუალური ხასიათი და ფორმისქმნადობა მოვლენათა არსში წვდომისა და სიმბოლური სახე-ხატების მოძიებისაკენაა

მიმართული, რასაც ერთგვარ მნიშვნელოვანებას სძენს მასალათა სინთეზისა და ინსტალაციის გამოყენება. ნაწარმოების იდეურ ქარგაში ჩაღრმავება პერფორაციისა და ვიდუ-არტის საშუალებებითაც ხორციელდება. კერამიკის კომპოზიცია ამით თითქოსდა ასოციაციურად „ცოცხლდება“ და უფრო „სანახაობრივ“ ხასიათს აღწევს. ასე იქმნება „განსულოვანებული“ სივრცე, რომლის წიაღშიც ნამუშევრის ფორმისქმნალობა მისტიკურ საბურველში ეხვევა და გარკვეულწილად, მის ფუნქციასაც საკრალურობას ანიჭებს.

ქართული კერამიკა უახლესი ხელოვნების ყველა მიმართულებას იმ ძირითადი თვისების საფუძველზე ეხმიანება, როგორცაა სივრცეზე ტრანსფორმაციის უნარი. კერამიკული მასალების ფორმისქმნაობიდან გამომდინარე იგი აირეკლავს იმ წამყვან ტენდენციას, რომელიც ფუნქციონალიზმის დამოკიდებულებასა და მინიმალიზმის ელემენტებს იყენებს. ნამუშევრების გამახვილებული განზოგადებული პლასტიკა, მყარი კონსტრუქციული აღნაგობა, ტექტონიკურობა და მინიმალურად დაყვანილი დეკორი პირობით ფორმას, მის თვისებებს, არსს, რაობას, იდენტობას წარმოაჩენს. ამ დარგის მონუმენტურობისკენ მიდრეკილება გარემოს გამფორმებლად ამკვიდრებს კერამიკულ ნამუშევრებს. მეორე პარალელური პოზიციით 1960-1970-იანი წლების ქართული კერამიკა ანალიტიკური განსჯის ეპოქას ნაწარმოების მხატვრული ფორმის ემოციური, „განსულოვანებული“ სიმბოლიკით ეხმიანება. ობიექტური რეალობისგან „განთავისუფლებული“ მისი პირობითი მოცულობა, ფაქტურა და ფერი თითქოსდა სახვითი ხელოვნების ზღვარს „აბიჯებს.“

დღევანდელი გადმოსახედიდან ნაწარმოების ეროვნულ მხატვრულ ფორმას „ამოფარებული“ ეპოქალური ძიებები ქართულ კერამიკას სააშკარაოზე 1980-იანი წლებიდან გამოაქვს. იგი მას სუბიექტის ლოგიკით განზოგადებულ ცნებებთან აკავშირებს და განიხილავს, როგორც ჭეშმარიტების ნარატივს. ამ პერიოდიდან მოყოლებული სამყაროს აღქმის ტრანსფორმაცია ცნობიერების სხვა სიბრტყეზე გადაინაცვლებს. ნაკლებ მნიშვნელოვანი ხდება მიმეტური რეპრეზენტაცია, ვიდრე რაიმე სახის რეფლექსია, ან რეპრეზენტაციის მეთოდები. ერთგვარ პარადიგმას წარმოადგენს დასავლური მოდერნიზმის, პოსტმოდერნიზმის, მინიმალიზმისა და კონცეფტუალიზმის მსოფლმხედველობრივი და ვიზუალური ინტერპრეტაცია. მათდამი მიმართვა ადგილობრივი სიმბოლიზმისა და რომანტიზმის საფუძველზე მიმდინარეობს, რასაც სხვადასხვა საზრისისა და ხელწერის მატარებელი სუბიექტების ფონზე ინდივიდუალიზმი ახასიათებს.

სამყაროს ხედვის კოსმოპოლიტურობასთან ერთად მხატვრები გზას აძლევენ იმ განცდებსა და გრძნობებს, რომელსაც გონისმიერი განსჯის პროცესი განწყობების, ასოციაციების სახით იწვევს. ამ ყველაფერმა მოიტანა გამონატვის თავისუფლება და ძირითადად აისახა საქსპოზიციო და მონუმენტური კერამიკის სახეობებში. მათ განვითარებას ერთგვარი წინაპირობა შეუქმნა 1960-იანი წლების კერამიკულმა სკოლამ, რომელმაც გარემოსთან ინტეგრირებით, სახვითი საწყისის დომინირებით და არქიტექტურასა თუ ხელოვნების სხვა დარგებთან სინთეზირებით საფუძველი ჩაუყარა ამ ძიებებს.

მომდევნო თაობების ექსპერიმენტატორობა სწორედ წინარე ხანის ტექნიკურ-ტექნოლოგიურ პრაქტიკას ეყრდნობა. ეს მხატვრები უკვე ისე სრულყოფილად ფლობენ ნებისმიერ მასალას და იმდენად პროფესიონალურად იყენებენ მას, რომ მუშაობის პროცესში მხოლოდ ფიქრი, განსჯა და გამოწვის „მისტიკურ აქტზე“ დამოკიდებულება დარჩენიათ. 1980-1990-იან წლებში ასე ყალიბდებიან ისინი არტისტებად, ინდივიდებად, რომლებიც ქართულ მოდერნისტულ კერამიკაში პლასტიკურ-ფერწერული ეფექტების გამომსახველობას ამკვიდრებენ. მათი პლასტიკური მეტაფორები მითოლოგიზებულ დროში მოქმედებენ. ნამუშევრები მეტწილად მოდერნისტული და პოსტმოდერნისტული ხელოვნების ელემენტების ნაზავით შესრულებული კამერული ქანდაკებებია, რომლებიც კონსტრუქციულ ხასიათს ინარჩუნებენ და განაგრძობენ სივრცის ორგანიზებას. ნაკეთობების უკიდურესად განზოგადებული სტილიზებული ფორმა, ფაქტურა და ფერი ავტორის ერთგვარ „თვითნებობასაც“ გვიჩვენებს. თანამედროვე ქართულ კერამიკაში ამის მაგალითები მრავლად გვაქვს.

გიორგი (გია) იაშვილის კერამიკული ქანდაკება „მხედარი“ (შამოტი, მარილები, 1991წ) რეალური ხატის გონით აღქმული კონცეფტია. მხედრის ერთ არსებად ქვეული ჰიბრიდული მოდელის სიმბოლიკასა და სემანტიკას არქაულად განზოგადებული და გამარტივებული, სტილიზებული და დეფორმირებული „დაძაბული“ მოცულობა წარმოადგენს. პერსონაჟის „ფარული მღელვარება“ მონოქრომული ზედაპირის რელიეფური ფაქტურითაც ვლინდება. რეპრეზენტაციის შემეცნებითი და სენსორული ხერხებით ყალიბდება ოთარ ვეფხვაძის კომპოზიცია „ნაყოფიერება“ (შამოტი, ჭიქური 1990წ). მის არსს ამ თემის გამომხატველი არქეტიპების, სიუხვის თასისა და ფრთოსანი ქალღვთაების პლასტიკური მოტივი გადმოსცემს (ილ.1). ამდენად იგი კერამიკული ქანდაკებაა და მხოლოდ სიმბოლურად ატარებს

უტილიტარულ ფუნქციას. ნამუშევრის რაფინირებული ფორმების ერთგვარი არქაულობა, სემანტიკური ნაწილების ხაზგასმული უტრირება, სიძველის გამომხატველი ზედაპირის ფაქტურა და სამყაროს მოდელთან კავშირში აღქმული ფერების სიმბოლიკა ნაყოფიერების ცნების ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის გამტარია.

შეფასებითი პოზიციიდან წარმოდგენილი ქეთევან რუხაძის კომპოზიცია „მეტამორფოზა“ (შამოტი, მეტალთა ოქსიდები, ოქრო, ჭიქური 1991წ) მოდერნისტული იმპერატივების ნიმუშთა რიგს განეკუთვნება (ილ. 2) ქანდაკების კონცეფტუალური საფუძველია მოცულობაზე დაბალი რელიეფით დაძვრილი ქალის განზოგადებული სახის შინაგანი გარდასახვის ვიზუალურად ჩვენება. ამ დროს წარმოქმნილი სახეების მეტყველებას მოქნილი მკვეთრი ნახატითა და სიმბოლური ფერებით გაძლიერებული გამოსახულების მხატვრული ეფექტები განაპირობებს.

1980-იანი წლებიდან გავრცელებული ე.წ. სკულპტურულ-სტრუქტურული ანსამბლების მიმართულებას ასახავს ამავე ავტორის „წელიწადის დრონი“ (შამოტი, მეტალთა ოქსიდები, ჭიქურები 1989წ.). მას ყველა ის თვისება ახასიათებს, რაც ამ ანსამბლების ბუნებას აქვს, პირველ რიგში ეს არის სტრუქტურაში შემავალი პლასტიკური მხავილების ისეთი იმპროვიზება, რომელიც სხვადასხვა ასპექტით წარმოაჩენს თემას. ამიტომ ამა თუ იმ სივრცის სპეციფიკის გათვალისწინებით შესაძლებელი ხდება ანსამბლების პლასტიკური ელემენტების ე.წ. „მომთაბარეობა“ ანუ მოძრაობა. ქანდაკებები სხვადასხვა გარემოში თავისუფლად განლაგდებიან და კომპოზიციურ წყობას მუდმივად იცვლიან. ამასთანავე ცალკეული მათგანის დასრულებული მხატვრული ფორმა მისი გათითოებულად, დამოუკიდებლად ექსპონირების საშუალებასაც იძლევა. ანსამბლების ტიპოლოგიური სიახლოვის მიუხედავად, ქეთი რუხაძის კომპოზიციის გამოსახველობას საფუძვლად უდევს თხელი სიფრიფანა ფორმებისა და ნაძვრების ორიგინალური პლასტიკა და სიმბოლური ფერებით მოხატული ზედაპირის მხატვრული ეფექტებით გამოწვეული განცდა (იზორია მ., 2007: 63).

ქ.რუხაძისგან განსხვავებით, ნინო ციციშვილისა და მარიამ (მარიკა) იზორიას ანსამბლურად გადაწყვეტილი სკულპტურული კომპოზიციები სხვადასხვა ზომით იმეორებენ ერთი და იგივე ფორმას. ისინი სივრცის მასშტაბთან ურთიერთობის დემონსტრირებას გვიჩვენებენ. ნინო ციციშვილის კომპოზიცია სახლწოდებით „ქარში“ (შამოტი, ფაიფური, 1990წ) მიზნად ისახავს ანალოგია შექმნას კლასიკური ქანდაკების კერამიკულ იმპროვიზაციასა და სამყაროს მარადიულობას შორის. ამ შემთხვევაში კონცეფტუალური ინტერესია მინიმალისტურად შესრულებული მსგავსი ქანდაკებების განმეორებითი რიტმით, მკაფიო სილუეტითა და მონოქრომული ზედაპირით ქვისა და თიხის მასალათა არსის, მისი მუდმივობის ჩვენება.

მარიკა (მარიამ) იზორიას სკულპტურულ ანსამბლში სახელწოდებით „ცეკვა“ (შამოტი, შერეული ტექნიკა, 1994წ.) საპირიპირო ამოცანა დგას. იგი სამყაროს მარადიულობის ილუზიას ქალთა პირობითი ფიგურების დინამიკური პლასტიკით წარმოქმნის. (ილ.3). მხატვარი ამ შთაბეჭდილებას ქანდაკებათა მოძრაობის დიფერენცირებით ამძაფრებს. დომინირებული თეთრი ფერის სიმბოლიკა, ზედაპირზე დაძვრილი თუ ჩაკვეთილ-ამოღარული ელემენტების სემანტიკა თემასთან დაკავშირებული ასოციაციების მრავალგვარობას იწვევს. გამომსახველობითი ხერხების ამგვარ ურთიერთჩანაცვლებას სიცხადე და მთლიანობა შეაქვს კომპოზიციაში. შეიძლება ითქვას, რომ ორივე ანსამბლში ფიგურების მეტყველება, მათი ზომების ცვალებადობა თუ მოძრაობის დიფერენცირება გადმოსცემს იმ რიტმს, რომელიც უსასრულო სივრცესთან ასოცირდება.

ამავე ავტორების მიერ მოგვიანებით, XXI საუკუნის დასაწყისში შესრულებულ სკულპტურულ ანსამბლებში ღრმავდება კონცეფტუალური საწყისი. ამ დროს რეპრეზენტაციის ხერხები თავად ხდებიან რეპრეზენტაციის ობიექტები [Danto A. 2013:53-54:125]. ნინო ციციშვილის კომპოზიცია „მატრიარქატი“ (შამოტი, ჭიქური, მეტალთა ოქსიდები, ანგობა, მაიოლიკა, შებოლვა, 2001წ.) მცირე ზომის, მკვეთრი ფერებით მოხატული ქალთა მკვრივი არქაული ტორსების ანსამბლია. ბაზისად გამოყენებული მინის სამკუთხა სიბრტყე მიმართულებას აძლევს ანსამბლის სოლისებურ განლაგებას. მის ზედაპირზე არეკლილი რიტმულად განმეორებული გამოსახულებები და განათებით წარმოქმნილი ფერწერული ეფექტები ანსამბლის სივრცეში არქაული ეპოქების ნოსტალგიას იწვევს. მინის სამკუთხა სიბრტყის სიმბოლური ფორმა არა მარტო აძლიერებს კომპოზიციის ანსამბლურობას, არამედ ხაზს უსვამს მისი ნაწილების სინტაქსურ ერთეულებად შეკავშირებას. ამ კონტექსტში მინა-წყლის, ტორსები - მიწის, ხოლო ინტენსიური ფერების ლივლივი - მზის ილუზიას ქმნის. როგორც სიცოცხლის საწყისის განმასახიერებელი ელემენტები ისინი ანსამბლშიც შეწყობილად თანაარსებობენ. მარიკა (მარიამ) იზორიას სკულპტურული

ანსამბლი „რიტუალი“ (შამოტი, შერეული ტექნიკა, 2007წ.) მიწიერი და ზეციური საწყისების მთლიანობის იდეას არა სტატიკური, არამედ „მოძრავი“ პლასტიკური მახვილებით გადმოსცემს. მისი კონცეფტი ხდება ქალის განყენებული ფიგურა, რომელიც არქექტივების ანალიზის საფუძველზე ყალიბდება და ბუნების არსს გამოხატავს. მატერიალური და გამჭოლი ნაწილების დინამიკური შეთავსებით აგებული ქალის პლასტიკური იმპროვიზაციები ერთგვარ მედიუმებად წარმოგვიდგებიან. მათი დეტალიზების გარეშე ნაქანდაკარი ლაკონური ფორმები, განსაკუთრებით კი მოხატულობა თავისი ზედაპირის სპეციფიკური ფაქტურით მხატვრული ეფექტების თვითკმარობას გვიჩვენებს და მახვილს სვამს ქალის იდეურად მნიშვნელოვან სხეულის ნაწილებზე.

იგივე თემა სრულიად განსხვავებულად წყდება ლალი ქუთათელაძის კომპოზიციაში, რომლის ერთგვარ რეპლიკასაც ქალის (შამოტი, ჭიქური, 2014წ.) უკიდურესად არქაული პლასტიკა წარმოადგენს. მისი ზოგადად დაძვრული გამარტივებული ფორმები სემანტიკური მნიშვნელობის უძველეს პირობით გამოსახულებად აღიქმება. ამიტომ სხვადასხვა პოზიციაში გადმოცემული პლასტიკური ელემენტები თავისი უშუალო გამომხატველობით პირველსაწყისთან ასოცირდება. ამთროპომორფული მოტივების გარდა, ობიექტებად გვეკლინებიან „განსულოვანებული“ უტილიტარული ფორმებიც. ასე მაგალითად, გია (გიორგი) იაშვილის კომპოზიციაში „ფიქრი“ (თინა, შებოლვა, 1996წ.) მონოქრომული უტილიტარული ნაკეთობების „გაცოცხლებას“ რელიეფურად დაძვრული სიუჟეტური გარსი და ფორმების განმეორებადობა იწვევს.

ამ ეტაპზე თვისობრივად ახალი ესთეტიკური ფენომენის მატარებელი ხდება მასალათა სინთეზის მეთოდით შექმნილი კერამიკული კომპოზიციები, რომლებიც გათვალისწინებულია როგორც საექსპოზიციოდ და ზოგადად საინტერიეროდ, ასევე საექსტერიეროდაც. ყველაზე გავრცელებულია თიხისა და ლითონის, ან თიხის, ლითონისა და მინის მხატვრული შესაძლებლობების ტრადიციული შეთავსება. ოთარ ვეფხვაძის სხვადასხვა დროს შესრულებული დეკორატიული კომპოზიციები - თიხის უტილიტარული ფორმებისა და მცირე პლასტიკის „აღმოსავლური მოტივები“ (ტროას ცხენი, ქალი ღვათაებები) უპირატესად, ამ მასალების კომბინაციებით აღწევს ორიგინალურ მეტყველებას. მარიკა იზორიას ნახელავებში ეს ტრადიციული სქემა გარკვეულწილად ირღვევა. მასალათა სინთეზირებისას იგი ქსოვილის ეფექტებსაც მიმართავს. თიხის, ლითონისა და ბატიკის შეთავსება ეგზოტიკურ ელფერს სძენს მოდერნის სტილის ვარიაციებზე აგებულ მხატვრის დეკორატიული სანათების სერიას (2010-2012წ.წ.). მისივე ნამუშევარში, სახელწოდებით პრიზი (თინა, მინა, 2015წ.) ლითონის გარეშე თიხისა და მინის გამოყენებას ლოგიკურად უნდა დაეკარგა ნაწარმოების ტექტონიკურობა და სიმყარე, მაგრამ პრაქტიკულად ასე არ მოხდა. მინის მასალის გამჭვირვალებისა და სიმსუბუქისკენ მიდრეკილების მიუხედავად, მისი მასიური ბლოკის კონსტრუქციამ, თიხის ცენტრალურ ელემენტს საიმედო საყრდენი შეუქმნა.

გასაკვირი არ არის, რომ ორივე მხატვარი გარემოს დიზაინშიც იწყებს მოღვაწეობას, სადაც წამყვანია კონსტრუქციულობა და მონუმენტურობა. ოთარ ვეფხვაძის ტრადიციული მასალების (თინა-ხე-ლითონი-მინა) სინთეზირებით შექმნილი სივრცობრივი კომპოზიციები - ფერწერულ-პლასტიკური არტ-ობიექტები ამ სფეროშიც დელიკატურად დახვეწილი და რაფინირებულნი არიან. ისინი ამასთანავე თავისი ლირიკული გამომსახველობით კამერული მიკრო-სივრცეების განფორმებლად გვეკლინებიან. მარიკა იზორიას პანოებისა და არტ-ობიექტების შედარებით დიდი ზომები და გამოყენებული მასალებისა (თინა-ხე-ლითონი-მინა-ქვა-სარკე და მოხატული კედლის ჩანართები) თუ ტექნიკების ფართო დიაპაზონი მასშტაბურ სივრცესთან თანაარსებობის უნარს იძენს. ზოგჯერ მხატვრის არტ-ობიექტებს მრავალფუნქციური დატვირთვა აქვს და გამფორმებლის როლის გარდა, ინტერიერის მაორგანიზებელი კონსტრუქციის დანიშნულებასაც ითავსებს (ილ.4). სწორედ ასეთი მრავალფუნქციურობა ახასიათებს გია მიმინოშვილის მინიმალისტურ არტ-ობიექტებსაც (შამოტი, შერეული ტექნიკა, კიევი, 2016წ.). ამ შემთხვევაში ავტორი მთელ შენობას რვა საფასადო კერამიკული ჩანართით (30x60x80სმ.) და შიდა სივრცისთვის გათვალისწინებული რელიეფური პანოთი (60x300 სმ.) აფორმებს. მათი სტილი ჰარმონიულ თანწყობაშია თანამედროვე არქიტექტურასთან (არქ. იგორ პალამარჩუკი). შენობის დიზაინი ისეთივე უბრალოა, როგორც მისი არქიტექტურული ფორმები. ავტორმა შექმნა დეკორის სისტემა, რომელსაც მხოლოდ ერთი მოტივი აქვს და ინსტალაციის მსგავსად, მთელ შენობაში მეორდება. მაღალი რელიეფით დაძვრული დეკორის მკაფიო, გამომსახველი ტალღოვანი მოტივი თავისი ასიმეტრიულობით და დინამიურობით არქიტექტურის სწორ ხაზებს აცოცხლებს. იმავდროულად, მისი შავი ფერისა და ნაჭედი

ფორმების ერთგვარი სიმკაცრე შენობის ნათელი კედლების ფონზე „კლასიკურობის“ შთაბეჭდილებას იწვევს და ტექტონიკურობის შეგრძნებას უფრო მეტად აძლიერებს.

XXI საუკუნის დასაწყისიდან ქართულ კერამიკაში არანაკლებად გამოიკვეთა მინიმალისტური მიმართულება, რომელმაც გააძლიერა კონცეფტუალიზმი და გარკვეულწილად შეამცირა გამომსახველობითი ხერხების გამოყენება. თუმცა მინიმალიზმის საზღვრებშიც ადგილობრივი სიმბოლიზმისა და რომანტიზმის ელემენტების აშკარა „შემოჭრა“ შეინიშნება. ეს ძირითადად თავს იჩენს თემისადმი დამოკიდებულებაში. თუმცა ცალკეულ შემთხვევაში მის მხატვრულ ინტერპრეტაციაშიც ვლინდება და მოცულობის ზედაპირზე ფაქტურულ-ფერადოვანი ეფექტების შეტანას განაპირობებს. ეს ყოველივე ნამუშევარში ავტორისეულ ხელწერასაც ამკვიდრებს.

სანიშნოდ შეგვიძლია მოვიყვანოთ ნატო ერისთავის პლასტიკური და პლასტიკურ-კონსტრუქციული ობიექტები, რომელთა გეომეტრიულად გამარტივებული აბტრაქტიული ფორმები შიდა სტრუქტურასა და შემოსაზღვრავ სილუეტს ერთმანეთთან ორგანულად აკავშირებს. ამიტომ ცხადად შეიგრძნობა ობიექტის რეალური სივრცე და ხაზი ესმება ირგვლივ არსებულ გარემოსაც. ამასთანავე, ობიექტების გეომეტრიზებული ფორმები, ფერითი კონტრასტები და არაერთგვაროვანი ფაქტურა მოდელბთან იწვევს ასოციაციებს. მაგალითად, ამ ხერხით, სერიაში „აგურის ქარხანა“ (თიხა, შერეული ტექნიკა, 2011წ.) ადამიანის ყოფაში აგურის მნიშვნელოვანების კონცეფტუალური საფუძველია წარმოჩენილი. ღია გაგრატიონის, მალხაზ მშველიძის და გია (გიორგი) მიმინოშვილის მინიმალისტურად შესრულებულ აბსტრაქციებში ანალიტიკა იმდენად ძლიერდება, რომ ობიექტი „კონცეფტუალური არტის“ სფეროში გადადის.

მხატვრები იდეის წარმოსაჩენად ნებისმიერ საშუალებას მიმართავენ. ეს ე.წ. „დიდი თამაშის“ სახელით ცნობილი რეპრეზენტაციის მეთოდი ხშირად ერთდროულად მოიცავს რამდენიმე მედიას: სკულპტურას, ვიდეოს, ფილმს, ინსტალაციას და მათ შორის პერფომანსაც [Mayer. J.2014: 8-10:21-22]. მისი დამკვიდრება ქართულ კერამიკაში ორი ათეული წელია, რაც მიმდინარეობს. ღია ბაგრატიონის კონცეფტუალურ გამოფენაზე „ზუსტად“ (2015წ.) თიხის ჭეშმარიტ არსში ჩაღრმავების მიზანმა საგამოფენო სივრცეში განაპირობა, როგორც პერფომანსისა და ვიდეოს ვიზუალური ელემენტების შეტანა, ასევე ექსპოზიციაში ტექსტუალური კომპონენტების ჩართვაც. მათი საშუალებით გამოფენის კვლევის ობიექტი - თიხა, რამდენიმე ფორმულის სახით განიხილება. თიხის ქოთანი და მის შიგნით „დავანებული სულის“ საკრალური სივრცე. აგრეთვე თიხა, როგორც „სულის ჭურჭლის“ მასალა. ამ კონტექსტში ავტორისა და მკვლევარის პერფომანსში მონაწილეობა „გათამაშდა“ თიხის ქოთნის კეცის მტკრევის აქტით, რის დროსაც შიგთავსში ჩაყრილი სველი ბრინჯი ინარჩუნებდა ჭურჭლის ფორმას და კეცის საზღვრებში „დავანებული სულის“ ასოციაციებს იწვევდა. ვიდეოს კადრებშიც მტკრევის აქტის გაბმულად ჩვენება „ჭურჭლისა და სულის“ მარადიული ურთიერთკავშირის იდეას „ქადაგებდა“. საგამოფენო დარბაზში ექსპონირებული ნამუშევრებით შექმნილი არქაული გარემო, რომელსაც ავტორმა პირობითად უწოდა „შემლილი ჩაის სმა“ - მიწისა და წყლის სტიქიების განუყოფლობას განასახიერებდა. ყველა ამა ელემენტის ერთობლიობამ მართლად რომ „ზუსტად“ გამოავლინა თიხისა და თიხის ჭურჭლის საკრალური და ფიზიკური ცნებების არსობრივი დატვირთვა.

არტისტერიუმის ღონისძიების ფარგლებში ქართულმა კერამიკამ კონცეფტუალიზმის კიდევ ერთი მიმართულება - ინტელექტუალური განსჯის ობიექტის „მატერიალიზაციის“ პროცესი ასახა [Danto.A.2013:23-26]. „ღია“ სივრცეში თიხის ბლოკებით აგებული ლალი ქუთათელაძის კომპოზიცია „ცეცხლოვანი კედელი“ (2014წ.) უპირველესად, გამოწვის მისტიკური აქტისადმი მიძღვნილი მონუმენტი სიმბოლოა. იმავდროულად კი, იგი ბუნებასთან ძველის შერწყმისა და ლანდშტაფტის განუყოფელ ნაწილად გადაქცევის პროცესსაც წარმოაჩენს.

წარმოდგენილი სურათის მრავალფეროვნების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ქართული თანამედროვე კერამიკა მსოფლიო ხელოვნების პროგრესს იზიარებს. ისე რომ, საკუთარ ადგილობრივ ფესვებსაც არ წყდება. ამავე დროს სწორედ ეს მრავალფეროვნება, ყველა თანამედროვე მიმართულების ქმედითობა ამ დარგში ერთგვარ სირთულესაც წარმოქმნის. ერთი მხრივ, მასში თავს იჩენს წმინდა მოდერნისტული მიდგომა - ფორმის საგნობრიობისა და და ზედაპირის მხატვრული დამუშავებისას წამოჭრილი ფორმალური ამოცანები. მათ გადასაწყვეტად კერამიკოსები მსოფლიო მემკვიდრეობას მიმართავენ. ასევე აქტიურად იყენებენ ტრადიციების ფართო სპექტრს თავისი რომანტიული, მითოლოგიზებული მსოფლალქმითა და ტექნიკურ-ტექნოლოგიური ხერხების მდიდარი ბაზისით.

პარალელურად ამ დარგშიც, აქტიურდება თანამედროვე ხელოვნებისთვის დამახასიათებელი „ჭეშმარიტების ძიებისა“ და „ჭეშმარიტების მაძიებელი გმირის“ მაჩვენებელი ტენდენცია. კლასიკური მოდელით, ფილოსოფიური საწყისის მქონე მინიმალისტურ ნამუშევრებში ვიზუალური მხარე მკვეთრად იკლებს. თუმცა განხილვამ გვიჩვენა, რომ ქართული კერამიკა ამ ტიპის ნამუშევრებშიც მხატვრულ გამომსახველობას ბოლომდე ვერ ელევა. ფორმის ზედაპირის ასკეტურ სახეში კერამიკოსებს ძალზე მწირად, მაგრამ მაინც შეჰყავთ ფაქტურულ-ფერადოვანი ეფექტები. ეს ერთგვარი მინიშნებაა იმაზე, რომ კოსმოპოლიტური „მინიმალიზმის“ წიაღშიც ქართული კერამიკა საკუთარ საწყისებს ეძიებს. შესაძლოა, რომ მისი შთაგონების წყარო 1960-იან წლებში აღორძინებული მკაცრი, ასკეტური იერის ტრადიციული შავპრიალა კერამიკა გახდა. ეს დასაშვებია პირველ რიგში, იმიტომ რომ შებოლვის ტექნიკა მინიმალიზმისა და ფუნქციონალიზმის ხანაშია ხელმეორედ „დაბადებული“. მიუხედავად ამისა, მისი სადა ფორმები აღდგენითი ჭიქურის ძუნწი აქცენტებითაა არც თუ იშვიათად გაცოცხლებული. ზემოთქმულიდან გამომდინარე ცხადია, რომ ქართული კერამიკა მიზანდასახულად იღწვის იმ ახალი განაცხადისთვის, რომლის პროდუქტი არსებული ძიებების განვითარების შედეგი იქნება.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. იზორია, მათა. (2007 1-2). ქართული მხატვრული თანამედროვე კერამიკა 1980-1990-იან წლებში.
2. Danto, Arthur, C. (2013). After the End of Art: Contemporary Art and the Pale of History: გამომცემელი: თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია, ქართულ ენაზე.
3. Mayer, James. (2014). Minimalism: Art and Polemics in the Sixties; გამომცემელი: თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია, ქართულ ენაზე.

1. ოთარ ვეფხვაძე „ნაყოფიერება“, შამოტი, ჭიქურები 1990წ.



2. ქეთევან რუხაძე, მეტამორფოზა, შამოტი, შერეული ტექნიკა, 1991წ.



3. მარიკა იზორია, ცეკვა, შამოტი, შერეული ტექნიკა, 1994წ.



4. მარიკა იზორია, ბუხარი „ხევსურული“, შამოტი, შერეული ტექნიკა, 2011წ. თბილისი



**РУССКИЙ**

## Темпоральные наречия в функционально-коммуникативном аспекте

**Тea Нoдия**

И. Джавахишвили Тбилиси  
Государство Университет, Грузия

### Аннотация

При построении высказывания мы обычно не думаем о том, как именно одно слово сочетается с другим. Это можно объяснить тем, что соответствующие сведения не только имеются в нашем языковом сознании, но и жестко связаны в нём с образами материальных оболочек тех или иных слов. Тем самым устанавливается тот информационный элемент, принадлежность которого к значению слова вытекает из того очевидного факта, что его незнание делает невозможным построение правильных речевых конструкций. Поэтому необходимо уделить должное внимание синтаксической сочетаемости. В свете синтаксической сочетаемости рассмотрению подлежат и наречия. Как известно, в толковых словарях заголовочными словами в словарных статьях являются имена существительные, прилагательные, числительные, местоимения и глаголы. Однако в их число не входят многие наречия. В основном они обращают внимание на наречия на -о, -е, производные от качественных прилагательных и наречия на -ски, -цки, -ьи. Даже авторы БАС и МАС описывают наречия в таком же плане. Хотя Л.В. Щерба писал, что категория наречия является исключительно формальной категорией, ибо значение её совпадает со значением категории прилагательных. Приведённое высказывание объясняет точку зрения исследователей на соотносительные наречия как на не отличающиеся по смыслу от соответствующих прилагательных слов. Говоря о сочетательной ценности наречия, следует упомянуть, что несмотря на кажущуюся синтаксическую инертность, наречие способно сочетаться практически со всеми членами речи. Оно может быть господствующим и зависимым членом сочетаний, в которых осуществляются такие связи, как управление и примыкание. Однако отсутствие у наречия формального указания на отнесённость признака к действию, свойству или предмету имеет своим следствием то, что в сочетаниях с наречием в качестве грамматической связи реализуется, как правило, примыкание. И всё это относится и к группе темпоральных наречий.

**Ключевые слова:** наречия, информационный элемент, категория, синтаксическая сочетаемость.

## Temporal Adverbs in Functional and Communicative Aspect

### Abstract

When constructing a statement, we usually do not think about how exactly one word is combined with another. This can be explained by the fact that the relevant information is not only in our linguistic consciousness, but also tightly connected in it with images of the material shells of certain words. This establishes the information element, whose belonging to the meaning of the word stems from the obvious fact that his ignorance makes it impossible to form the right speech constructions. Therefore, it is necessary to pay due attention to syntactic compatibility. In the light of syntactic compatibility, adverbs are also subject to consideration. As is known, in explanatory dictionaries heading words in dictionary entries are nouns, adjectives, numerals, pronouns and verbs. However, they do not include many adverbs. Basically, they pay attention to adverbs on -o, -e, derived from qualitative adjectives and adverbs on -ски, -цки, -ьи. Even the authors of the Big Academy Dictionary and the Small Academic Dictionary describe adverbs in the same way. Although L.V. Shcherba wrote that the category of the adverb is exclusively a formal category, for its meaning coincides with the meaning of the category of adjectives. The above statement explains the point of view of researchers on correlative adverbs as not differing in meaning from the corresponding adjectives. Observations show that the expression of time with the help of adverbs has its own specifics in comparison with nominal temporal groups, which gives reason to speak of the functioning in Russian language besides the category of nominal temporality of the category of adverbial temporality.

**Keywords:** Adverb, information element, category, syntactic compatibility.

В последнее десятилетие XX в. в лингвистике появляется новое направление- педагогическая лингвистика, которая предусматривает описание языка, максимально отвечающее потребностям обучения языку как средству передачи мысли и восприятия чужих информационных состояний. Исходя из этого, объектом изучения педагогической лингвистики является слово как носитель информации об обозначаемой им действительности, системные объединения слов, словарный состав как целое, состоящее из определённых частей, а также характерные для лексического уровня метаязыковые понятия и категории. В основе педагогической лексикологии лежит антропоцентрическое описание лексических единиц, их совокупностей и их свойств в интересах методики обучения соответствующему языку как средству общения, сообщения и воздействия(1,5).

Принципы педагогической лингвистики неоднородны. Одни из них вполне традиционны для лингвистики вообще, другие формулируются впервые. Существенно важно подчеркнуть, что в совокупности они образуют вполне эффективный инструмент, позволяющий придать лингвистическому описанию педагогически ориентированный характер. Статус слова в лексической системе определяет относительную ценность слова. Будучи обусловленными не реальностью, а лексической системой, упомянутые представления отличаются, конечно, от представлений, составляющих абсолютную ценность слова.

При построении высказывания мы обычно не думаем о том, как именно одно слово сочетается с другим. Это можно объяснить тем, что соответствующие сведения не только имеются в нашем языковом сознании, но и жестко связаны в нём с образами материальных оболочек тех или иных слов. Тем самым устанавливается тот информационный элемент, принадлежность которого к значению слова вытекает из того очевидного факта, что его незнание делает невозможным построение правильных речевых конструкций. Поэтому необходимо уделить должное внимание синтаксической сочетаемости.

Нами, вслед за рядом учёных, синтаксическая сочетаемость слова понимается как упорядоченная совокупность возможных синтаксических распространителей слова, которая относится к области межуровневых взаимодействий лексики и синтаксиса. В данном случае определённую помощь оказывают словари синтаксической сочетаемости.

В свете синтаксической сочетаемости рассмотрению подлежат и наречия. Как известно, в толковых словарях заголовочными словами в словарных статьях являются имена существительные, прилагательные, числительные, местоимения и глаголы. Однако в их число не входят многие наречия. В основном они обращают внимание на наречия на *-о, -е*, производные от качественных прилагательных и наречия на *-ски, -цки, -ьи*. Даже авторы БАС и МАС описывают наречия в таком же плане. Хотя Л.В. Щерба писал, что категория наречия является исключительно формальной категорией, ибо значение её совпадает со значением категории прилагательных. Приведённое высказывание объясняет точку зрения исследователей на соотносительные наречия как на не отличающиеся по смыслу от соответствующих прилагательных слов.

Говоря о сочетательной ценности наречия, следует упомянуть, что несмотря на кажущуюся синтаксическую инертность, наречие способно сочетаться практически со всеми членами речи. Оно может быть господствующим и зависимым членом сочетаний, в которых осуществляются такие связи, как управление и примыкание. Однако отсутствие у наречия формального указания на отнесённость признака к действию, свойству или предмету имеет своим следствием то, что в сочетаниях с наречием в качестве грамматической связи реализуется, как правило, примыкание. И всё это относится и к группе темпоральных наречий.

Наблюдения показывают, что выражение времени с помощью наречий имеет свою специфику по сравнению с именными темпоральными группами, что даёт основание говорить о функционировании в русском языке помимо категории именной темпоральности категории наречной темпоральности.

Отличие темпоральных наречий от именных темпоральных групп состоит, прежде всего, в способности наречий передавать субъективную характеристику действия, которая проявляется двояко. Во-первых, как субъективная оценка говорящим времени действия. Именные темпоральные группы, как правило, дают более конкретную, объективную темпоральную характеристику, например: *Встал я рано-в 5 часов* (Ср.: *Встал я рано-в 9 часов*). Во-

вторых, как субъективная ориентация говорящего в плане прошлого, настоящего и будущего относительно момента речи, например: Вчера купил билет- Сегодня прощаюсь с друзьями. Завтра-в путь.

В рамках данной статьи трудно передать всю сложную картину сочетаемости темпоральных наречий, которые имеют свою специфику.

Наречия времени представляют собой систему, существенно отличную от системы значений именных темпоральных групп. Наречия в системе представлены не как лексемы, а как лексико-семантические варианты (ЛСВ).

Проблема выделения ЛСВ темпоральных наречий уже привлекла внимание исследователей. Так, Е.В. Падучева выделяет ЛСВ наречий, связанных с выражением квантификации: всегда, иногда, никогда, обычно, часто, редко; (2,26-37). Г.И. Панова-ЛСВ наречий типа постоянно, *непрерывно* (3,59-63). Такая работа представляется нам плодотворной и весьма перспективной, так как расширяет знания учащихся о наличии различных ЛСВ у наречий об особенностях их функционирования в речи.

Говоря о ЛСВ наречий, нужно учитывать, что одни наречия имеют ЛСВ в рамках системы значений темпоральных наречий (сейчас, однажды, быстро и др.), а другие имеют ЛСВ, функционирующие вне рамок этой системы, вне функционально-семантического поля темпоральности. Например: наречия часто, редко, близко, далеко имеют ЛСВ, участвующие в выражении нетемпоральных, а пространственных отношений. В настоящей статье мы ограничимся в основном рассмотрением наречий, весь комплекс ЛСВ которых функционирует в пределах функционально-семантического поля темпоральности.

Например, наречие быстро. Во-первых, оно может быть реализовано ЛСВ (темп протекания действия), например: Он быстро пишет. Этот ЛСВ сочетается обычно с глаголами несовершенного вида, не имеющими при себе прямого дополнения (бежать, работать, подниматься и т. д.). Антонимом данного ЛСВ является наречие медленно, способное также сочетаться с глаголами совершенного вида, имеющими значение единичного действия, которое совершается в один приём, например: Он медленно встал, медленно написал свою фамилию и т. д.

Другой ЛСВ наречия быстро – время осуществления единичного действия, например: Он быстро написал роман. Этот ЛСВ сочетается с глаголами совершенного вида. Его антонимом является наречие долго с учётом того, что долго сочетается с глаголами несовершенного вида, а значит, не дифференцировано относительно завершенности действия. Например: Он долго писал роман. В данном случае мы не можем однозначно интерпретировать действие как завершенное или незавершенное.

Возьмём ещё один пример, наречие быстро – время осуществления повторяющихся действий. Например: Он быстро пишет романы. В данном случае значение ЛСВ конкретизируется во взаимодействии с глаголами несовершенного вида, имеющими дополнение, выраженное именем существительным во мн. числе.

ЛСВ быстро являются одновременно и наречие медленно, и наречие долго в одном из своих ЛСВ, например: Он долго (медленно) пишет романы.

Наречия на протяжении истории языка развиваются из других частей речи, о чём свидетельствуют и дошедшие до нас памятники. Класс наречий в древнерусском языке был более ограничен, чем в современном. Особенно ограниченным был круг, т.н. первичных наречий, т.е. наречий, не происшедших от других частей речи. Впрочем, и такие наречия, по-видимому, некогда развились из других частей речи, хотя мы и не всегда можем восстановить их этимологию.

Среди темпоральных наречий укажем, в первую очередь, на наречие теперь, происходящее из сочетания указательного местоимения порядкового числительного –топърво. Здесь также имела место редукция конечного слога, а кроме того, ассимиляция гласного первого слога к гласному второго слога. В некоторых говорах сохранилась форма «топерь» (таперь).

Довольно ясна связь наречия завтра и существительного утро, в котором в появилось в результате утраты слоговости безударным у (ударение здесь было перенесено на предшествующий гласный, входящий в состав предлога) в соседстве с более открытым гласным. Сочетание заутро, как архаизм, мы находим, например, у Пушкина («Полтава»):

Заутро казнь, но без боязни

Он мыслит об ужасной казни....

Сочетание за с формой утро не находит себе разъяснения в современном русском языке, где, хотя и редко, встречается сочетание предлога за с родительным падежом для обозначения времени.

Особый интерес представляет и наречие неожиданно, сочетаемость которого многими исследователями раскрывается в следующем порядке:

2. Сочетания наречия с господствующими по отношению к нему глаголами, например: неожиданно встать, приехать .....;
3. Сочетания наречия с господствующими по отношению к нему прилагательными, например: неожиданно сильный, громкий .....
4. Сочетания наречия с господствующими по отношению к нему числительными, например: третий, четвёртый .....подряд;
5. Сочетания заголовочного наречия с господствующими по отношению к нему другими наречиями, например: неожиданно сильно, громко...
6. Сочетания наречия с господствующими по отношению к нему словами категории состояния, например: неожиданно холодно, жарко....;
7. Сочетания наречия с зависимыми от него существительными и местоимениями, например: неожиданно для кого-чего: (о людях)- для отца.
8. Сочетания заголовочного наречия с зависимыми от него наречиями, например: совершенно неожиданно (4.91).

Однако, по нашим наблюдениям, наречие неожиданно имеет и темпоральное значение, например: Это был быстрый, неожиданный летний ливень. Столь неожиданный ответ озадачил меня. Такой поворот событий оказался неожиданным для всех (5.313).

Знание этих особенностей темпоральных наречий позволит, по нашему мнению, более корректно объяснить учащимся сочетаемость наречий быстро, теперь, завтра, утром, неожиданно и т.д.

Итак, в русском языке функционирует самостоятельная, существующая вне системы именных темпоральных групп, категория наречной темпоральности, представляющая большие трудности для нерусских учащихся, о чём свидетельствуют ошибки в их речи. Для предупреждения ошибок, для корректной презентации материала, связанного с употреблением темпоральных наречий, необходимо обращать внимание на наличие разных ЛСВ наречий, на их лексическую сочетаемость.

### Использованная литература

1. Виноградов В. В. Общение, сообщение и воздействие --- основные функции языка. М., 1963.
2. Падучева Е.В. Наречие как кванторное слово. АН СССР. Сер. Лит. и яз. 1989. Т. 48. № 1
